ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

4

1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვეტი

357
გამოცემის ოცდამეათე წელი

4

აპრილი
1987
თბილისი
სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა და პოეზია

3. ანზორ ეროვანიშვილი — მოთხრობა გივი მასწავლებელზე
24. დალილა ბედიანიძე — ლექსები
27. მარინა ხვალაძე — ლექსები
28. მარინა არაყიშვილი — როგორ ვეძებდით სიზმარში მამას. მოთხრობა.
38. ჯარჯი ფხოველი — ლექსები
41. აკოლოგნ ადონია — ლექსები
43. გზარი ფეტელავა — სიცოცხლემისჯილი. რომანი. საჟურნალო ვარიანტის დასასრული.
61. ლაშა ნადარეიშვილი — ლექსები
63. ზურაბ ნარმანია — რეკვიემი ბავშვებისათვის. ლექსი.
68. დავით თედორაძე — ლექსები
69. ნოდარ კოგენიძე — თეთრი ლიმილი. რომანი. დასაწყისი.
89. მირიან იორამაშვილი — ლექსები
91. მიხეილ გავაშელი — ლექსები
92. ქეთევან კვინტარაძე — ლექსები

გამოსათხოვარი

93. იოანეს უკვდავება

დიდი ოქტომბერი — 70

94. ბურაბ გვერდწითელი — გმირი და დრო. დასაწყისი

150 — ილია ჭავჭავაძე — 150

116. ელგუჯა მაღრაძე — მოძღვარი

წერილები

132. ჯანსუღ ღვინჯილია — „რაა მამული?!“
137. პაპა კაკაბაძირი — რწმენის წმინდა თავთავები
142. რუსუდან ნიფნიანიძე — „ლექსები ტანზე გამოსაყარი“
146. ლეილა თეთრუაშვილი — „ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი...“

რეცენზია

154. ამირან რობაქიძე — სულიერ ფეტამორფოზათა სტიმულები...

158. ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალსაზიშვილი
თედო გეჟიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოლიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ალიკო შარაშიძე
ნუგზარ შატაიძე

ალეთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო ცინცაძე
გოგი ფერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბაღრი ჭოხონელიძე
ბაკა ჯოხაძე

ანზორ ერქომაიშვილი

მოთხრობა გივი მასწავლებელზე

— ხუთი ღმერთს... ოთხი მე... სამები და ორები თქვენ...

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ კარგად ვიცით თქვენი საგანი, გივი მასწ...

— ჩემზე კარგად იცით?

— თქვენზე კარგად არა.

— მაშინ ოთხი მე. ჩემზე კარგად იცის ღმერთმა, გამოდის, რომ ხუთი ღმერთს. თქვენ რაღა დაგრჩათ? — სამები და ორები.

— ვინაა ეს ღმერთი ასეთი, სულიკო ავეანტაძეზე კარგად რომ იცის სოლფეჯიო?

— ვინაა, ბატონო, და, ბეთჰოვენი და მოცარტი. გასაგებია?

— კი.

— აბა რაღას მერჩით, ბიძიკო... — ხელებს გაშლიდა და გაგვიღიმებდა.

ასეთი საუბრის შემდეგ, გივი მასწავლებელი თავის ბლოკნოტში ჩამოგვიჩრიგებდა ჩვენს კუთვნილ სამიანებსა და ორიანებს. სემესტრის ბოლოს კი ზოგიერთ ჩვენგანს „თავისთან გაგვიტოლებდა“ (როგორც თვითონ ვეეტყოდა) და სანატრელ ოთხებსაც დაგვისვამდა სასწავლო ჟურნალში, თანაც დაგვამადლიდა: ეს იმიტომ, რომ სტიპენდია არ დაკარგოთო.

მას შემდეგ აგერ ოცდახუთ წელზე მეტი გავიდა და, ასე მგონია, რომ ყველაფერი ეს თითქოს გუშინ იყო.

სოფლიდან ბაბუაჩემმა ჩამოგვიყვანა თბილისში მე და ბაღრი თოიძე და გრიგოლ კოკელაძის რჩევით, კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში მიგვიყვანა. მაშინ ასე, 17-18 წლისანი ვიქნებოდით, ბაღრის მუსიკა იზიდავდა, მე უფრო ჟურნალისტობაზე ვოცნებობდი.

სასწავლებლის დირექტორმა, შალვა მაჭავარიანმა, თბილად მიიღო ბაბუა. შემდეგ ერთი პედაგოგი გამოიძახა და გვითხრა: „გაიცანით, კომპოზიტორი გივი ლორთქიფანიძე.“

იგი ასე, 40 წლისა თუ იქნებოდა, საშუალოზე მაღალი ტანის ჩაფსკვნილი, სპორტული აგებულების, პირმრგვალი, ღიმილიანი სახე და ნათელი თვალები ჰქონდა. როცა იღიმებოდა, თვალები უბრწყინავდა. თმა შეთხელებოდა, სახე სუფთად ჰქონდა გაპარსული, ეცვა უბრალოდ და სუფთად. ჩაცმულობითა და გარეგნული იერით ძალიან მოწესრიგებული პიროვნება ჩანდა.

მან ჯერ ბაბუა მოიკითხა, მერე ჩამოსვლის მიზეზი ჰკითხა.

— ეს ჩემი შვილიშვილია, ბაღრი კი — დის შვილიშვილი, მუსიკალური მონაცემები ცუდი არა აქვთ, გურული სიმღერები კარგად იციან, ჩვენი გვარი აგერ ორ საუკუნეზე მეტია მღერის, მაგრამ არც ერთ ჩვენგანს უმაღლესი მუსიკალური განათლება არ მიუღია. ახლა, როცა ხალხური სიმღერების მცოდნენი ცოტანი დარჩნენ და სანამ

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ გვიანი არ არის, აუცილებელია მათი სიმღერების ნოტებზე გადატანა, ამიტომ მინდოდა ამ ბიჭებს პროფესიული მუსიკალური განათლება მიეღოთ.

გვიან ყურადღებით მოუსმინა ბაბუას და თავის საკლასო ოთახში მივგიწვია, ჯერ სმენა და რიტმი გავგისინჯა, მერე გამოგვცადა და ბოლოს, ბაბუასთან ერთად, რამდენიმე გურული სიმღერა გვამღერა.

ბატონო არტემ! ეს ბიჭები ჩვენ თუ დაგვიჯერებენ, ნამდვილი მუსიკოსები გამოვლენ.

— ამას არ უნდა, ბატონო, მუსიკოსობა, ჟურნალისტობა უნდა, — აჩვენა ბაბუამ ჩემზე, ბადრი უფრო ჭკვიანია.

— რად გინდა, ბიძიკო, ჟურნალისტობა, შენნაირი ჟურნალისტი ყველა თუ არა, ყოველი მეორე მაინც იქნება. აი, თუ მუსიკაში სერიოზულად იმეცადინებ, შეიძლება ბევრ რამეს მიაღწიო, — ისე გულწრფელად მითხრა ყოველივე ეს, რომ არ შეიძლება კაცს მისი ნათქვამი არ დაეჯერებინა.

სასწავლებლიდან ერთად გამოვედით და ფეხით გავუყევით პლეხანოვის პროსპექტს, ეზოში ბაბუამ და გვიმ კარგა ხანს ისაუბრეს სიმღერებზე, ძველ მომღერლებზე და როცა იგი დაგვემშვიდობა, ბაბუას უტყუარმა ალღომ ათქმევინა: თუ ამ კაცს დაუჯერებთ, თქვენგან ნამდვილ მუსიკოსებს გამოიყვანსო.

სასწავლებელში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარეთ და სასწავლო წლის დაწყებამდე სოფელში წავედით დასასვენებლად. კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი იმ დროს „დინამოს" სტადიონის წინ, კლარა ცეტკინის ქუჩაზე მდებარეობდა. მას აგურის სამსართულიანი შენობის მესამე სართული ჰქონდა დათმობილი, ფართობი არ გვყოფნიდა, საკლასო ოთახები პატარა იყო, 10-12 კაცისაგან ჯგუფი ძლივს თავსდებოდა. ამ სასწავლებელში სექტემბერში პირველად მოვედი გივი ლორთქიფანიძის გაკვეთილზე, რომელიც გუშინდელ დღესავით მახსოვს.

გივი მასწავლებელი მოღიმარი სახით შემოვიდა საკლასო ოთახში და სათითაოდ გაგვეცნო ყველას. ჯგუფში ოთხი ბიჭი ვიყავით მე, ბადრი, სულიკო ავანტაძე თბილისიდან და თემურ ქევხიშვილი ყვარელის რაიონიდან. გარდა ამისა, ჩვენს ჯგუფში კიდევ რამდენიმე გოგონა მოხვდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

გივი მასწავლებელი ყოველ ჩვენგანს ეკითხებოდა ვინაობას და რომელი რაიონიდან იყო. შემდეგ გაიხსენებდა იქ თუ ვინმე მეგობარი ჰყავდა და იქაურ ანეგდოტებს და ზნე-ჩვეულებებზე გვიყვებოდა, თანაც ლაპარაკის დროს ამ კუთხისათვის დამახასიათებელი კილოკავით უქცევდა.

— სადაური ხარ, გოგო, შენე? — შეეკითხა ლალი რუხაძეს, როცა გაიგო, რომ იმერელი იყო.

— ხონიდან, მასწ...

— ოო! აბა დავძმაკაცდეთ, მე და შენ „ზემლიაკები" ვყოფილვართ. მე დიდი ჯიხაიშიდან გახლავარ წარმოშობით, თქვენთან ისევ აცხობენ პეტერეპეტერე მჭადებს?

დარეჯან მეშვილდიშვილი რაჭველი აღმოჩნდა, ონის რაიონიდან. იგი მეტად მომხიბლავი ჩანდა. კუთხეში მარტო დამჯდარიყო, მორიდებით ეჭირა თავი და დიდრონი შავი თვალები დაბლა დაეხარა.

— დარეჯან, გოგო, ქვე შენი ჭირიმე, წერეთელმა რა დაგვიბარა? — შეეკითხა გივი მასწავლებელი.

— არაფერი არ დაუბარებია, პატივცემულო მასწავლებელო, წამოსვლის ხანს წერეთელი არ ნახავს, — კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მიამიტად უპასუხა დარეჯანმა.

— კარგი, ქვე შენი ჭირიმე, დარეჯან, ზღვა თუ გინახავს?

— მე არა, მაგრამ ჩემმა დამ ნახა, — გულუბრყვილოდ უპასუხა დარეჯანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მთელი ჯგუფის გულიანი ხარხარი გამოიწვია. გივი მასწავლებელიც გულიანად იცინოდა. ასე სიცილ-კისკისში განვლო მთელმა პირველმა გაკვეთილმა.

მეორე გაკვეთილზე საუბარი მუსიკაზე ჩამოაგდო, გვიყვებოდა ზოგადად მუსიკის მნიშვნელობაზე, გამოჩენილი მუსიკოსების ცხოვრებაზე. ბევრი ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა ბეთჰოვენის, ბახის, მოცარტისა და სხვათა ცხოვრებიდან, ყოველივე ამას დიდი გატაცებით გვიამბობდა, შემდეგ როიალს მიუჯდა და ბეთჰოვენის მერვე სონატა დაუკრა. ჯგუფი სულგანაბული უსმენდა. გივი მასწავლებელმა დაკვრა დაამთავრა. მას შემდეგ ამდენი დრო გავიდა და, როცა ამ სონატას ვისმენ, ყოველთვის ცოცხლდება საუკეთესო მოგონებანი გივი მასწავლებელზე.

ორი გაკვეთილი ისე გავიდა, ვერც კი გავიგეთ. გაკვეთილების შემდეგ გივი მასწავლებელი ღიმილით დაგვემშვიდობა. ეს ღიმილი დღესაც მახსოვს. წასვლისას გვითხრა, რომ მას ძალიან უყვარს წესრიგი, და ვერ აიტანს დაგვიანებას, უყურადღებობას და დავალებების შეუსრულებლობას, და რომ ასეთების მიმართ სასტიკი და დაუნდობელი იქნება. ამნაირი კაცი როგორ შეიძლება მკაცრი იყოს-მეთქი, ვიფიქრე ჩემთვის. იმ საღამოს ბაბუას წერილი გავუგზავნე, ეწერდი, რომ გივი მასწავლებელი მთელს სასწავლებელში ყველაზე კარგი კაცია-მეთქი.

მეორე დღეს, შემოვიდა თუ არა გაკვეთილზე, ფანქრები, საშლელები და სანერტო რვეულები მოითხოვა, ვისაც არ აღმოგვაჩნდა, ყველაფერი ეს, თვითონვე დაგვირიგა და გაგვაფრთხილა, ეს იქნება უკანასკნელი და შემდეგში თუ მსგავსი რამ განმეორდება, გაკვეთილზე აღარ დაგიშვებთო, მერე გაკვეთილი აგვიხსნა და მეორე დღისათვის დავალებები მოგვცა. მომდევნო გაკვეთილზე, როცა მე და თემურ ქევხიშვილს ფანქრები წვერგაუთლელი აღმოგვაჩნდა, გივი მასწავლებელმა უყოყმანოდ გაგვაგდო გარეთ. მეორე დღეს ბოდიშის მოხდა მინდოდა, მაგრამ ... არ დამაცალა და გაკვეთილი მკითხა. ცოტა უღიმღამოდ ვუპასუხე. მან მაშინვე ორიანი „გამომიცხო" (როგორც თვითონ ამბობდა), და მითხრა: ბიძიკო, შენ აქ სასწავლებლად თუ ხარ ჩამოსული, უნდა ისწავლო, თუ არადა, დროს ტყუილად ნუ იკარგნ. მე ორიანებს მიჩვეული არ ვიყავი (სკოლაში კარგად ვსწავლობდი), ამიტომ ნიშანმა ცუდად იმოქმედა, თუმცა ეს არაფრით გამომიხატავს. შემდეგ გაკვეთილებზე გოგონებს მეტ ყურადღებას უთმობდა, ამან ბიჭები ცოტა გაგვიღიზიანა. გავიფიქრე, ალბათ, ჯიბრში თუ ჩაგვიდგა-მეთქი, რაც კიდევ უფრო ვირწმუნეთ მას შემდეგ, როცა ერთ-ერთ გაკვეთილზე, იმის გამო, რომ გაუპასუხავი ვიყავით, მე და სულიკო ავეანტაძე გარეთ გაგვაგდო. ვიფიქრე, ალბათ, მიზეზს თუ ეძებს, რომ დაგეტუქსოს-მეთქი, მთელ ჯგუფში ყველაზე მკაცრად მე მექცეოდა, ცოტა უკეთესად ბადრის.

შევეცადე, როგორმე გივი მასწავლებლის ფეხზე მომეგო. გაკვეთილებს კარგად ვსწავლობდი, სანიმუშოდ ვიქცეოდი, სასწავლო ნივთები ყოველთვის წესრიგში მქონდა. გაუპარსავი აღარ დავდიოდი, არ ვიგვიანებდი, მაგრამ ვერაფრით მისი გული ვერ მოვინადირე, რაც უნდა კარგად მეპასუხა, ერთხელაც არ შემაქებდა. ჩავთვალე, ალბათ, ჩემი თავიდან მოშორება უნდა-მეთქი, მაგრამ რატომ? — ამაზე ვიმტვრევდი თავს და ვერაფრით მიემხვდარიყავი.

სწავლის დაწყებიდან ერთი თვე გავიდა. მე პირველად მოვწყდი ჩემს სოფელს ასე დიდი ხნით, მენატრებოდნენ ჩემიანები და ცოტა მოწყენილი გამოვიყურებოდი.

სექტემბრის ბოლოს თემურ ქევხიშვილმა გივი მასწავლებელს შაბათი დღე გამოსთხოვა და თავის სოფელში რთველზე წავიყვანა მე და ბადრი. ჩვენთან ერთად იყო უფროსკურსელი ზაური ხუჯაძე, რომელიც მთელს სასწავლებელში საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. გივი მასწავლებელმა გაგ-

ვათვისუფლა იმ პირობით, რომ გაკვეთილებს კარგად მოვამზადებდით.

კახეთში პირველად ვიყავი, ამიტომ ყველაფერს ინტერესით ვათვალიერებდი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სიღნაღის გადასახედიდან ალაზნის ველმა, რომელიც ნისლში ჩაძირულიყო. ყვარლის მთები მხოლოდ ილიას ლექსის მიხედვით ვიცოდით, ახლა კი იგი ჩვენს წინაშე აღმართულიყო. მთელ კახეთში რთველი იყო გაჩაღებული. ამდენი დაბლარი ვენახი ერთად არასოდეს მენახა და ძალიან მიკვირდა, რატომ ხეზე არ უშვებდნენ ვაზს, როგორც იზაბელას. ასე ხომ შეიძლებოდა, საქონელს გაენადგურებინა? ამაზე თემურმა ბევრი იცინა და მითხრა, რომ რქაწითელი დაბლარი ვაზია და ხეზე ვერ იხარებსო.

ქეხიშვილები ვენახში გასულიყვნენ, ჩვენც მათ შევუერთდით, და სოფელს მონატრებულები დიდი ხალისით ვკრეფდით ქარვისფერ რქაწითელს.

საღამოს მშვენიერი სანახავი იყო სოფელი. ყურძნით დატვირთული ურმები ჭრიალით მიწეკვდნენ ორღობეში, ურმებში უმტესად ვირები იყო შებმული, ამდენი ვირი ერთად არ მენახა, რადგან, ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, „გურიაში ვირი ისეთივე მოვლენა იყო, როგორც უცხოელი ტურისტი ომამდე.“

აქაოდა, ქეკეხშვილებისას თბილისელი სტუმრები ორიანო, საღამოს მეზობლები გადმოვიდნენ. გაიშალა მშვენიერი სუფრა, ითქვა ბევრი კახური სიმღერა. სასწავლებელში თემური ქართლ-კახურ სიმღერებს გვასწავლიდა, ჩვენ გურულს ვასწავლიდით, ამიტომ სუფრაზე ჩვენც ვიმღერეთ „ქალგულო“, „გუშინ შვიდნი“, „მოკლე მრავალჟამიერი“ და სხვა, რითაც თემურის მეზობლები გავახარეთ. შემდეგ გურული სიმღერებიც შევუერიეთ, მაგრამ შევიტყვე, მაინცადამაინც არ მოეწონათ. თუმცა ზრდილობის გულისათვის ეს არ გამოუხატავთ.

ქეიფი კვირა დღესაც გაგრძელდა. დაგვიპატიჟეს მეზობლებმა, ძერე თემურის ნათესავებმა და რომ გივი მასწავლებლის შიში არა, ალბათ, ერთ კვირას მაინც დავრჩებოდით ახალსოფელში. კვირა საღამოს გამოვემშვიდობეთ არაჩვეულებრივად სათნო და სტუმართმოყვარე მასპინძლებს, თემურის მშობლებს, დეიდა მაროსა და ბიძია ვასოს, რომლებსაც ხილითა და ყურძნით სავსე კალათები გაემზადებინათ ჩვენთვის. ავტობუსში ძლივს ავიტანეთ ყურძნის აკიდობები, ჩირის ასხმულები და ხილი.

ორშაბათ დილით გივი მასწავლებელმა ჯერ გამოგვკითხა თუ როგორი „დრო გავატარეთ“ კახეთში, მერე გაკვეთილები შეგვიმოწმა და არადამაკმაყოფილებელი პასუხებისათვის სამთავეს ორიანები „გამოგვიცხო“, თანაც დაგაყოლა: თქვენ, ვენაცვალე, სწავლა არ გინდათ,“ ქეიფი და დროსტარება გირჩევნიათო.

ერთ დღეს, მივედი გაკვეთილზე და, როცა არაფერს არ ველოდებოდი, მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა.

მაშინ მოდაში იყო გრძელი თმა. მეც ისევე, როგორც ყველა სოფლიდან ჩამოსული, რომელიც ცდილობს არ ჩამორჩეს მოდას, გადავწყვიტე თმის მოშვება, დიდზე კი არა, მაგრამ გივი მასწავლებლის განსარისხებლად საკმარისი აღმოჩნდა, მან მითხრა, თუ ამ ჯაგარს ახლავე (თუმცა ხუუუტი თმა მქონდა) არ მოვიშორებდი, თვითონ გამკრეუდა თავისივე მაკრატლით. ჯიბეში თმის გასაკრეუი ფული ჩამიტანა და უახლოეს სპარიკმახეროში გამგზავნა. ამ შემთხვევამ ძალიან გამანაწყენა და რამდენიმე დღე გაკვეთილზე არ მოვსულვარ.

სამი დღის შემდეგ ბადრის პირით შემომითვალა, რომ აუცილებლად მივსულიყავი სასწავლებელში გაკვეთილზე უხმოდ ვიჯექი. გივი მასწავლებელი ისე იქცეოდა, თითქოს საერთოდ ვერ მხედავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილების შემდეგ მე და ბადრი თავისთან წაგვიყვანა სახლში, მე პირველად მოვხვედი პეტრიაშვილის ქუჩაზე, 32-ე ნომერში, სადაც ლორთქიფანიძეები ცხოვრობდნენ.

კარი სიმპათიურმა მოხუცმა ქალმა გაგვიღო, ეს დედაჩემია, გვითხრა გივი მასწავლებელმა და შემდეგ დედას მიუბრუნდა: «Мама, эти разбойники из Гурии».

დეიდა კატუშამ გაიცინა და ოთახში შეგვიძღვა, პირველი, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო უამრავი წიგნი, ნეტა ყველა თუ აქვს წაკითხული-მეთქი, გავიფიქრე.

გივი მასწავლებელმა თავის ოთახში შეგვიყვანა. ოთახი სათუთად იყო მოლაგებული. აქაც წიგნები, ელექტროსაკრავი და გრამფირფიტები ელაგა. მაგიდაზე საფანქრე იდგა, რომელშიაც სუფთად წვეტრწთლილი ფანქრები იწყო. იქვე - საშლელები, ფანქრის სათლელები, კალმისტრები და ნოტის ფურცლები ელაგა. ოთახში ყველა ნივთს თავისი ადგილი ჰქონდა. არაჩვეულებრივი სისუფთავე და საქმიანი იერი იგრძნობოდა. ოთახის ერთ კედელზე ერთადერთი გადიდებული ფოტოსურათი ეკიდა. ეს მამაჩემის მასწავლებელია, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ნიკოლაძე, გვითხრა გივი მასწავლებელმა, შემდეგ ჩემი აურაადება მიიპყრო შავმა პატარა როიალმა, რომელიც ოთახის კუთხეში იდგა. გივი მასწავლებელმა შეამჩნია ეს, დაჯდა როიალთან და რაღაც საოცარი მუსიკა დაუკრა, რომელმაც სევდიანი განწყობილება მომგვარა. წუთით დავტოვე თბილისი და სოფელში აღმოვჩნდი და როცა თვალის უპეები ცრემლით ამევსო, მუსიკაც დამთავრდა. ეს იყო „მთვარის სონატა“. შემდეგ გივი მასწავლებელმა ელექტროსაკრავზე ფირფიტა დადო, გაისმა არაჩვეულებრივი ტემბრის ბანი, რომელიც საოცარი ემოციებით ასრულებდა შეწუხებული თუ დამწუხრებული კაცის სიმღერას. მის ცრემლნარევ ხმაში დიდი მწუხარება იყო დაგუბებული — „ეს შალიაპინია, დიდი რუსი მომღერალი, — გაიმეორა გივი მასწავლებელმა, — დონ კიხოტის სიკვდილის სცენას ასრულებს ფრანგი კომპოზიტორის გასნეს ოპერა „დონ კიხოტიდან“. ნახეთ, რა საოცარი ოსტატობით ხატავს მომაკვდავი კაცის სახეს. აი, დედა მოელანდა, მოუსმინეთ, რა თბილად იგონებს მას.“

მე მომეჩვენა, რომ მბჟუტავი სანთლით ხელში, თეთრი სამოსით მოსილი, ღვთისმშობელივით გამოჩნდა დედა, იგი ნელ-ნელა მიუახლოვდა მომაკვდავ შვილს და საოცარი, დედაშვილური სიყვარულით მიეფერა. ამ ხმამ აფორიაქა დონ კიხოტი — შალიაპინი. შეწუხდა, აბობოქრდა, უკანასკნელად გაიბრძოლა, ისევ დედას ეძახდა. მერე თანდათანობით მიწყნარდა, სიკვდილს მიეწდო და დარჩა დედის ცრემლნარევი ხმა, რომელიც მომაკვდავ შვილს თავზე სანთელივით დასდგომოდა.

მუსიკა მიწყდა, მე პირველად გავიგე, რომ სიმღერით ასე შეიძლებოდა გრძნობებისა და მოქმედების გადმოცემა. მე მუსიკას კი არ ვუსმენდი, არამედ ვხედავდი ყოველივე ზემოაღწერილს. აი, ნამდვილი ხელოვანი რასა ჰქვია.

ოთახში, სამოც წელს გადაცილებული, მკვრივი, სპორტული აღნაგობის კაცი შემოვიდა. მას მშვიდი სახე ჰქონდა და მისი ასაკისათვის შეუფერებლად დაბერილი კუნთები მოუჩანდა მოკლესახელოებიანი პერანგიდან.

ალბათ, ძველი სპორტსმენი თუა-მეთქი, გავიფიქრე. ეს მამაჩემია, ირაკლი ლორთქიფანიძე, — გაგვაცნო გივი მასწავლებელმა. ირაკლი ბიძიამ მაგრად ჩამოგვართვა ხელი და სასადილო ოთახში მიგვიწვია.

მე ჯერ კიდევ მუსიკის შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი და ამიტომ უმადოდ დავიწყე ჭამა. ერთი რამ გამიკვირდა, ღვინო არავის შემოუთავაზებია ჩემთვის. სოფელში ასე არ იცოდნენ. ვინც უნდა მოსულიყო ჩვენთან, დედა და ბებია აუცილებლად ღვინოს ან არაყს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუტანდნენ. ქალაქში კარგი სტუმარმასპინძლობა არ სცოდნიათ-მეთქი, გავიფიქრე.

ნასადილევს ისევ გივი მასწავლებლის ოთახში გავედით და მოვისმინეთ არიები და სიმღერები: კარუზოს, ჯილის, ტიტო რუფოს, მილიცა კორიუსის, გალიკურჩისა და სხვათა შესრულებით. მე ზოგიერთი მათგანის გვარი პირველად მესმოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ისინი საუცხოოდ მღეროდნენ. მოვისმინეთ ნაწყვეტები ვერდის ოპერა „აიდა“-დან, რომელიც ძალიან მომეწონა. მართალი გითხრათ, ადრე ოპერა არ მომწონდა, სულ ვფიქრობდი, არ შეიძლება, პირდაპირ უთხრან ერთმანეთს სათქმელი, რაღა სიმღერით მიმართავენ-მეთქი, ახლა კი თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ საოპერო ხელოვნება ძალიან დიდი ხელოვნებაა.

— ახლა ქართველ მომღერლებს მოგასმენინებთ — გვითხრა გივი მასწავლებელმა და ელექტროსაკრავზე ფირფიტა გამოცვალა. გაისმა „ადდულ-არაბის“ არია არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე.“ დავით გამრეკელი მღეროდა. მე სიცილს ვერ ვიკავებდი, რადგან ამ არიამ ერთი ასეთი ამბავი მომაგონა:

ერთხელ, ჩვენს სოფელში ფილარმონიის მსახიობთა ჯგუფი ჩამოვიდა თბილისიდან. კონცერტის შემდეგ სტუმრებს ვახშამი გაუმართეს კოლმეურნეობის კანტორაში, სადაც, სხვებთან ერთად, სოფლის მომღერლებიც მიგვიწვიეს. მსახიობებმა სადღეგრძელოში გვითხრეს, რომ ძალიან მოეწონათ გურული სიმღერები. მე კი ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათ უფრო კასიანე ბერსენაძის სანთლის არაყი მოეწონათ.

როცა სუფრა ეშზში შევიდა, ერთერთმა მომღერალმა სიმღერა წამოიწყო. თანაც წინდაწინ გაგვაფრთხილა, ახლა „ადდულ-არაბის“ არიას გიმღერებთო. ილარიონ სიხარულიძემ ცოტა ხანს უსმინა და როცა მომღერალს თავისიანებიდან არავინ აჰყვა, იკადრა და პირველი ხმა თვითონ უთხრა, ხოლო ბანტელე იობოშვილმა დაიწია. სხვათა შორის უცნობის სიმღერის პირობაზე მშვენივრად შეუწყვეს ხმები.

— ეს არიაა და მარტო იმღერებაო, თქვა ცოტა ნაწყენმა მომღერალმა, როცა სიმღერა დამთავრდა.

— მარტო კაცი ჯამაშიაც ცოდვაა და, მით უმეტეს, სიმღერაში. მარტო სიმღერა არ გამიგია მე, ბიჭოს?! — ჩაილაპარაკა ილარიონ ბიძიამ.

მუსიკის მოსმენა დამთავრდა. გივი მასწავლებელმა კარებამდე გამოგვაცილა და ჩვენი უსაზღვროდ კმაყოფილი სახეები რომ დაინახა, შეგვპირდა, თუ კარგად ვიმუშავლიდით, ხშირად მოგვიწევედა თავის სახლში მუსიკის მოსასმენად.

7 ნოემბრისათვის სამ დღეს ვისვენებდით. „ბაბუას ხათრით“ გივი მასწავლებელმა ორი დღეც მოგვიმატა და მე და ბადრი სოფელში გავემგზავრეთ. მანამდე შევიკერეთ კრეპის შავი კოსტიუმები „ბუტიოკა“ შარვლით. „ბოკასინებმა“ ფეხები ლეღვივით ამიტყავა. ნეილონის პერანგებს შავი ჰალსტუხები გვიმშვენებდა და ვინაიდან მე და ბადრიმ „გალსტუკის“ გამონასკვა არ ვიცოდით, ნიაზი გუნთაიშვილმა გამოგვინასკვა და გაგვაფრთხილა: არ გაიხსნათ, თორემ ამის გულისთვის მახარაძეში ვერ ჩამოვალო. მოკლედ, ჩვენმა მშობლებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ „თბილისელი ბიჭები“ სოფელში მოდურად გამოწყობილი ჩავსულიყავით.

მატარებელში ბევრი ჩემი თანაკლასელი შემხვდა. კახი ჭანუყვაძე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობდა, რეზო ხობლენკო და მეგი აფხაზავა — პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ვიტალი ჯაში უნივერსიტეტში ჩარიცხულიყო და, რა ვიცი, კიდევ ვინ აღარა. ჩვენთან ერთად მგზავრობდნენ აგრეთვე რამდენიმე პედაგოგი ჩვენი ყოფილი სკოლიდან და უამრავი ნაცნობი მახარაძედან. მახარაძელების შეკითხვაზე, თუ სად სწავლობთო, ჩემი ამხა-

ნაგები ამაყად პასუხობდნენ: „გეპეი-ში“, „უნივერსიტეტში“, „სასოფლოში“ და ასე შემდეგ. კულტ-საგანმანათლებ-ლო სასწავლებლის ხსენებაზე მხრებს იჩეჩავდნენ და კითხულობდნენ: სადაა მაი სასწავლებელი. ბადრი ამაყად პა-სუხობდა „დინამოს“ სტადიონთანო, რადგან „დინამოს“ ადგილსამყოფელი ყველამ იცოდა.

ერთმა ნაცნობმა მკითხა: რატომ ინს-ტიტუტში არ ჩაბარეო?

ბაბუას ხათრი ვერ გავუტეხე-მეთ-ქი — ვუპასუხე.

— „ე, ბიჭო, გეთხუებია ჩემი ბიძა-ნაზა შენი მედალი, ორი ათასი მანეთი დავახარჯე მაგის მომზადებას და მაინც არ ეშველა აფერი“, ყველამ გაიცინა. მე შევწუხდი და გავწითლდი. მერე ეა-გონის ფანჯარასთან მივედი. წვიმდა. გუ-ნება გამიფუჭდა. ბაბუაზე გავნაწყენდი. რა იქნებოდა, რომელიმე ინსტიტუტში ჩამებარებინა და ახლა სხვებივით ამა-ყად დამესახელებინა ჩემი ინსტიტუტი. არადა, ბაბუამ დაიჩემა, გინდა თუ არა, მუსიკალური განხრით უნდა გაგრძე-ლოო სწავლა. ა, ბატონო! გავაგრძელე, მერე რა გამოვა, ვინ იცის, — ვფიქ-რობდი ჩემთვის, — ოთხი წელი სას-წავლებელში სწავლა, მერე ხუთი წელი კონსერვატორიაში, თუ ყველაფერი რიგზე იქნა და „ჯარში არ წამიყვანეს“, რომ დავამთავრე სწავლა, აგერ 27 წლის ვიქნები და გავიდა მთელი ცხოვ-რება. რაღას უნდა მოვესწრო მერე? ეს გივი მასწავლებელიც ჩემით უკმაყო-ფილოა, ვერ გავიგე, რა უნდა ჩემგან. თითქოს კარგადაც ვმეცადინეობ, ყვე-ლაფერს ვაკეთებ, მაინც ამ კაცის გული ვერ მოვიგე. ეს აზრები მაწვალებდა, როცა ტამბურში ჩემმა თანაკოფელმა ქესკინა თოიძემ ჩამოიარა. ძალიან გაეხარდა ჩემი დანახვა. ქესკინა ძველი მონადირეა. მას ბელებიანი დათვი მო-ეკლა, დათვის ტყავი და ბელები თბი-ლისში ჩაებარებინა „მონკავშირში“ და ახლა სოფელში ბრუნდებოდა.

— სად სწავლობ, ბიძია? — მკითხა ქესკინამ.

— საქართველოს კულტურის სამინ-ისტროსთან არსებულ კულტურულ-სა-განმანათლებლო სასწავლებელში, — ვუპასუხე მე.

— მალადეც! შენ იმფერი დედ-მამის შვილი ხარ, ყოლისფერ კაის იზამ — მითხრა ქესკინამ.

მახარაძის სადგურზე ბრდარ ლომ-ჯარია დაგვხვდა, კულტურნეობის მწვა-ნე „მოსკვიჩით“ და სოფელში წაგ-ვიყვანა.

— ტიტუ, რავა გაზრდილან და რავა დატყობიათ ქალაქისფერი“, — ისე გა-იკვირვეს მეზობლებმა, თითქოს ორი თვის კი არა, ორი წლის წასული ვყო-ფილიყავით სოფლიდან.

პირველი სემესტრი დამთავრდა. მა-ინცადამაინც კმაყოფილი არ ვიყავი ჩემი მდგომარეობითა და აკადემიური მოსწრებით, თუმცა საუკეთესო პედ-აგოგები მასწავლიდნენ.

სპეციალობას (დირიჟორობა) ახალ-გაზრდა, მაგრამ შესანიშნავი სპეცია-ლისტი ნინო მწვილოვაშვილი მასწავლი-და, არაჩვეულებრივი აღმზრდელი და ბრწყინვალე ბუნების დამქმანი, რო-მელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩემგან მუსიკოსი გამოსულიყო, ფორტეპიანოში ოფელია ინაშვილი მა-მეცადინებდა. ეოკალში — ელენე აბუ-ლაძე.

ხალხურ საკრავებს ქეთევან მეგრე-ლიძე მასწავლიდა, ხოლო ხალხურ სიმ-ღერებს ვასილ მახარაძე. გურული სიმ-ღერები კი კარგად ვიცოდი ბაბუას წყა-ლობით, მაგრამ ახლა თანდათან ვეუფ-ლებოდი საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს. ვ. მახარაძე ამის უბადლო ოსტატი იყო. ფლობდა ყვე-ლა კუთხის სიმღერებსა და მათი შეს-რულების ოსტატობას. სხვა საგნებს — ლ. მარტაშვილი, მ. ხვიჩია, მ. ყანჩელი, ზ. კუკულაძე, გ. კუტალაძე, ქ. ბერაია, ს. გობეჯიშვილი, კ. კომლაძე, ი. ახუა-შვილი და სხვები გვასწავლიდნენ.

გივი მასწავლებელი ყველა მთგანს ეკითხებოდა ჩემი აკადემიური მოსწრე-ბის შესახებ და სათანადო რეკომენდაციას

ახდენდა, ვინც კი ჩემით უკმაყოფილო იყო. ყველას მაგივრად გივი მასწავლებელი მტუქსავდა.

ვცხოვრობდი ქირით ერთ პატარა ოთახში, სადაც არ მქონდა ფორტეპიანო, რაც ასე აუცილებელი იყო ჩემთვის, ამიტომ, სხვებთან ერთად, ხშირად სასწავლებელში გვიან ღამემდე ვმეცადინეობდი, ხშირად უთენიაც მივდიოდი, თუ წინა ღამით რიგი არ მომწევდა.

ერთხელ გივი მასწავლებელს გაკვეთილი საკმაოდ კარგად ვუპასუხე. მეგონა, შემაქებდა, მაგრამ მან კატეგორიული ტონით მითხრა: შენით უკმაყოფილოა ფორტეპიანოს მასწავლებელი, და თუ სასწრაფოდ არ გამოასწორებ მდგომარეობას, ცუდად იქნება შენი საქმეო.

მე ვეუხარი, პიანინო არა მაქვს და ამიტომ ვერ ვახერხებ-მეთქი მეცადინეობას.

დღეს, გაკვეთილების შემდეგ ჩემთან წამოხვალ სახლში, — მითხრა პასუხად.

ბიძიკო, მოგწონს ჩემი როიალი? — მკითხა მან, როცა სახლში მივედით, მე თავი დავუქნიე, ეს იყო არაჩვეულებრივი როიალი „ბეხშტეინის“ ფირმისა, რომელიც, როგორც შემდეგ გავიგე, გივი მასწავლებელმა ომის შემდეგ ლენინგრადიდან ჩამოიტანა.

— ჰოდა, ბიძიკო, ყოველდღე შეგიძლია მობრძანდე და ამ როიალზე იმეცადინო, თუ გინდა, დილამდე, ოღონდ აქ სხვებიც მეცადინეობენ და ერთმანეთს ხელი არ შეუშალოთ, აბა, მოდი აქ, ცხრილს გადავხედოთ! მე მეგონა, გამონაკლისი ვიყავი. თურმე, ნუ იტყვით: უფროსკურსელები: ჯოყოლა სამჭკუაშვილი, მურმან ბერფულავა, ზაურ ხუჯაძე, როლანდ ხატიაშვილი და კიდევ რამდენიმე ნიჭიერი მოსწავლე „კონსერვატორიის კადრი“ ამ როიალზე იმაღლებდა თავის ცოდნას.

გივი მასწავლებელმა შემიდგინა კვირის განრიგი, უკვე თავისუფლად შეძელო მემეცადინა. ეს ჩემთვის უდიდესი პატივი იყო.

ხვალ შენთვისაც გავაკეთებინებ ერთ გასაღებს, თუ ჩვენები სახლში არ იქნებიან, თავისუფლად შეგიძლია გაღრმ კარი და შემოხვიდე. პირველად სამზარეულოში შეხვალ, გამოაღებ კარადას და კარგად ისაუზმებ, ღვინოს ხელი არ ახლო, თუ კარგად ისწავლი, „საპრაზნიკოდ“ (მე გამომაჯავრა, საპრაზნიკოდ სახლში გამიშვი-მეთქი, ერთხელ ვუთხარი), თითო ჭიქას დაგალევენებ. შემდეგ შემოხვალ ჩემს ოთახში და იმეცადინე. აი, ფირფიტების კატალოგიც, რომელი ჩანაწერიც მოგწონება, შეგიძლია მოისმინო. კატალოგი არაჩვეულებრივი სიზუსტით ჰქონდა შედგენილი.

კიდევ რა, ბიძიკო! ჰო, სულ დამავიწყდა, „ცუგა“ უნდა გაგაცნო. ცუგა მდევარის ჯიშის, საკმაოდ მოზრდილი ძაღლი იყო. მან ირონიულად შემომხედა, ეტყობა, მაინცადამაინც არ მოვეწონე და ამიტომ რამდენჯერმე დამიღრინა. გივი მასწავლებელმა აუხსნა, რომ მე არც ისე ცუდი ბიჭი ვარ, არა ვარ ქურდი და მამამაღლი, ცოტას მოვიზარმაცებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით უნდა მაპატიოს. — ცუგას არ უყვარს ზარმაცები, მომიბრუნდა მე, თუ კარგად ისწავლი, ხმას არ გაგცემს და თუ შეგატყო, რომ ტყუილუბრალოდ დადიხარ, კანჭებს გამოგჭამს. ხო, მართლა, ცუგას არ უყვარს ბგერა „სი ბემოლი“ და შეიძლება დაიყეფოს — მითხრა და როიალზე სი ბემოლი აიღო. ცუგამ რამდენჯერმე დაიყეფა, ჩვენ გულიანად გადავიხარხარეთ, სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, მგონი ცუგა დამიმეგობრდა.

მეორე დღეს, დათქმულ დროს მოვედი გივი მასწავლებელთან. სახლში არავინ იყო, კარი ფრთხილად გავაღე. ცუგამ, რომელიც კართან იწვა, დაიყეფა და, როცა დამინახა, კუდი გამიქიცინა. მე კარგად ვიმეცადინე და ახლა ფეხბურთზე ვაპირებდი წასვლას, ვფიქრობდი, გივი მასწავლებელმა თუ მომისწრო, შეიძლება არ გამიშვას-მეთქი, მაგრამ, ნურას უკაცრავად! ცუგა სასტიკ უარზე დადგა. მე მეგონა, ჯერ მაშინებდა, მაგრამ როცა კართან ახლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივედი, ყეფით გამოქანდა ჩემკენ და კინალამ შარვალი შემომახია. არც მოფეუბამ, არც ხვეწნა-უფდარამ, არც ქრთამმა (კარადიდან შაქარი მოვუტანე) არ გაკარა. რა ქექა, იძულებული ვიყავი. შევაღწიეს ოთახში და მეცადინეობა გამეგრძელებინა. გიგი მასწავლებელმა მომისწრო, მე და ცუგა ორივე შეგვაქო ღიმილით და ღამის თორმეტ საათამდე მამეცადინა, ფეხბურთის ანგარიში ტრამვაიში გავიგე მხოლოდ. მე შევეჩვიე ლორთქიფანიძეების ოჯახს და ხშირად დავდიოდი მათთან. ხან გიგი მასწავლებელი მიბარებდა, ხშირად ჯაუფურადაც. გვიხდებოდა მეცადინეობა. ჩვენთან ერთად უფროსკლასელებიც მიდიოდნენ. გიგი მასწავლებელი გარდა მეცადინეობისა, ბევრს გვასმენინებდა კლასიკური მუსიკის ნიმუშებს, გვიყვებოდა საინტერესო ამბებს, შემდეგ გვავსებდა და გამოგვემშვიდობებოდა. გვეტყოდა, თქვენ უკვე ისე გამიშინაურდით, რომ, ვინ იცის, ხვალ სასწავლებელში მითხრათ. „ზდრასტი, ვიკა, როგორა ხარო!“ — ჩვენ გულიანად ვხარხარებდით მეორე დღეს გაკვეთილზე ისე გვექცეოდა, თითქოს დღეს პირველად გაგვიცნო.

ღრო გადიოდა ჩვენ ბევრს ვმეცადინეობდით. გიგი მასწავლებელი ხანდახან გვიან ღამემდე გვტოვებდა და როცა მიხვდებოდა, რაღაცა ალარა აქვთო, მერეღა გაგიშვებდა სახლში. ხანდახან მამამისი, ირაკლი ბიძია გამოგვესარჩლებოდა ხოლმე: — რა გაუჭირე ამ ბავშვებს საქმე. დაასვენე ახლა ცოტა, მუსიკის გარდა, სხვა რამეზეც ვილაპარაკოთო, — ეტყოდა გიგი მასწავლებელს.

ირაკლი ლორთქიფანიძე სოფელ „დიდ ჯიხაიშში“ დაიბადა. იგი ბავშვობიდანვე მეგობრობდა შემდეგში გამოჩენილ მეცნიერთან გიორგი ნიკოლაძესთან და ახლო ურთიერთობაში იყო მამამისს, გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ოჯახთან, ნ. ნიკოლაძის შესანშნავი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც პატარაობიდანვე იზიდავდა ირაკლი ლორთქიფანიძეს.

გიორგი ნიკოლაძე პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, და ზაფხულობით, როცა სოფელში ჩამოდიოდა, ირაკლი გახუკრელად მასთან იყო, თუმცა ასაკით საკმაოდ ჩამორჩებოდა უფროს მეგობარს, სწორედ ასეთი არდადეგების დროს აზიარა გიორგი ნიკოლაძემ ირაკლი ლორთქიფანიძე ტანვარჯიშის ანბანს. ხოლო შემდეგში მისივე ხელმძღვანელობით ბერლინში ტანმოვარჯიშეებმა: ი. ლორთქიფანიძემ, გ. ეგნატაშვილმა, დ. ჯავრიშვილმა, ვ. ციცაშვილმა, ა. ბაქრაძემ, შ. აგლაძემ, ი. ნანეიშვილმა, ნ. ონანაშვილმა, თ. ნიკოლაძემ, გ. ბერულაშვილმა და სხვებმა დიდი ამაგი დასდეს საქართველოში ტანვარჯიშის დანერგვისა და განვითარების საქმეს.

ი. ლორთქიფანიძე, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გ. ნიკოლაძემ, რომელიც იმ დროს იუზოვკაში (დონეცკი) მუშაობდა, თან წაიყვანა და მუშაობა დააწყებინა ბრძმედის დანადგარების საკონსტრუქტორო ბიუროში, იუზოვკაში გატარებულმა წლებმა განაპირობეს ი. ლორთქიფანიძის გამოჩენილ ინჟინერ-მეტალურგად ჩამოყალიბება. ერთ-ერთი მთავანი ვის სახელთანაც არის დაკავშირებული ქარხნული მეტალურგიის განვითარება, გახლავთ ირაკლი ლორთქიფანიძე. 1950 წელს მისი ნაშრომი აღინიშნა სახელმწიფო პრემიით.

ირაკლი ბიძია იყო არაჩვეულებრივად მოწესრიგებული, სპეტაკი ადამიანი, დიდი პატრიოტი. ბრწყინვალედ იცოდა საქართველოს ისტორია და გიორგი ნიკოლაძესთან ერთად მოვლილი ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული, იყო ცნობილი მთამსვლელი. ირაკლი ბიძია აღმერთებდა თავის მასწავლებელს გიორგი ნიკოლაძეს და ბევრ საინტერესო ამბებს გვიამბობდა მის შესახებ, გვიამბობდა თუ რაოდენ დიდი ღვაწლი დასდო მან თავის სამშობლოს და თავის საყვარელ უნივერსიტეტს.

გიორგი ძალიან მკაცრი და მომთხოვნი ყოფილა. ერთხელ თურმე საკურსო გამოცდებს იბარებდა უნივერსიტეტში. მასთან შემოვიდნენ მისი მოწფეები მარო ტყავაძე და ელიკო ლორთქიფანიძე, რომლებთანაც ერთად ცოტა ხნის წინათ გ. ნიკოლაძემ მყინვარწვერი დალაშქრა, დარწმუნებულები, რომ ნიშანს მიიღებდნენ, მარომ და ელიკომ მისი საგანი კარგად არ მოამზადეს, გიორგიმ ისინი რამდენჯერმე გამოსცადა და ნიშანი არ დაუწერა. ბოლოს მთელი თვე ამეცადინა და როცა კარგად შეასწავლა ყველა საკითხი, მერე დაუსვა დამაკმაყოფილებელი ნიშანი, თანაც დასძინა: თქვენ ჩემი ახლობლები ხართ და უფრო მეტი მოგეთხოვებათო.

ირაკლი ბიძიას ბევრი ჰქონდა მოსაგონარი და საღამოობით თავისუფალ დროს გამოგვტაცებდა ხელიდან გივი მასწავლებელს და გვიყვებოდა ძველი თაობის გამოჩენილი ადამიანების შესახებ. ჩვენც დიდი გულისყურით ვუსმენდით.

ზამთარი ნელ-ნელა მიილია. დათბა. ირგვლივ ყოველივე აყვავდა. მე სოფელში გაზრდილი ბიჭი ვიყავი და საოცრად მიზიდავდა ბუნება. ვერ იქნა და ვერ შევეჩვიე ქალაქს. თითოეული აყვავებული ხე ჩემს სოფელს მაგონებდა. ერთ დღეს, როცა გივი მასწავლებელი ცოტათი კმაყოფილი დარჩა ჩვენი პასუხით, „რჩეულებს“ გამოგვიცხადა: „ვინაიდან ცოტა უკეთესად მეცადინეობთ, ჯილდოდ ხვალ მცხეთაში წაგიყვანთ ექსკურსიაზე, ჩვენთან ერთად წამოვა ცნობილი მეცნიერი შალვა ასლანაშვილი და, თქვენ იცით, ნამეტანი არ გაუთამამდეთო“. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მეორე დღეს, დილით ერთმანეთს შეეხვდით ავტობუსების სადგურთან. ავტობუსით ჩავედით ჯვრის გადასახვევამდე, იქედან ჯვარზე ავედით ფეხით, შემდეგ დავათვალიერეთ სვეტიცხოველი, მცხეთის სხვა ღირშესანიშნაობები და ბოლოს წავედით არმაზში, სადაც ენახეთ არმაზის სასარხეო.

საღამოს აღსავსე შთაბეჭდილებებით, უაღრესად კმაყოფილნი დავბრუნდით თბილისში მატარებელით. გამომშვიდობებისას გივი მასწავლებელმა გვითხრა: თუ კარგად იმეცადინებთ, მალე ზედაზენზე წაგიყვანთ, მერე გრემსა და იყალთოს დაგათვალიერებინებთო, ხოლო თუ კონსერვატორიის სტუდენტები გახდებით, ვარძიასა და სხვა მნიშვნელოვან ძეგლებსაც გაჩვენებთო, თანაც დასძინა, გადაეცით თქვენს ამხანაგებს, რომ ვინც კარგად არ იმეცადინებს, ვერ ეღირისება ჩვენთან ერთად ექსკურსიაზე წამოსვლასო.

გივი მასწავლებელმა აგვისრულა დანაპირები და მომდევნო წლებში მასთან ერთად შემოვიარეთ საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი, დავათვალიერეთ მეტად საინტერესო ისტორიული ძეგლები, რამაც ჩვენზე დიდი გავლენა მოახდინა.

უკვე მეორე წელი გადიოდა, რაც მე და ბადრი თბილისში ჩამოვედით სასწავლებლად. გივი მასწავლებელი საოცარ ზრუნვას იჩენდა ჩვენს მიმართ. იგი თავის მოწფეეებს სახლში გვამეცადინებდა, განსაკუთრებით ეხმარებოდა რაიონიდან ჩამოსულებს, ოჯახებს მოწყვეტილები არიან და უჭირთო. სახლში, გაკვეთილზე ისე არ დაგვსვამდა, თუ არ გვასაუზმებდა.

ერთხელ შეამჩნია, რომ ჩემი პერანგის საყელო გაცრეცილიყო, მეორე დღეს, გამომშვიდობებისას, რაღაც ქაღალდში გახვეული გადმომცა, ეს სახლში გახსენით, — მითხრა. ქაღალდში შეხვეული საუკეთესო პერანგი აღმოჩნდა. მე მადლობა გადავუხადე. მადლობა არ მინდა, როცა დიდი კაცი გახდები, მაშინ დამიბრუნეო, — მითხრა.

საჩუქრებს უმზადებდა ყველას. იმ წელს ძალიან ცივი ზამთარი იდგა. გივი მასწავლებელი ზოგს თავის პალტოს აძლევდა, ზოგს — ხალათს. თავისი რომ აღარ ეყო, ირაკლი ბიძიას ტანსაცმლის დარიგება დაიწყო. კიდევ ერთი ასეთი ზამთარი და მთელი ოჯახი შიშველი დავრჩებითო, ხუმრობდა ირაკლი ბიძია.

იმ მიზეზით, რომ „თავზე ბევრი ეურდღა და ბალანი გვქონდა,“ — გივი მასწავლებელი ხშირად ათმანეთიანს ჩაგვიდებდა ჯიბეში და გვეტყოდა: წადი ახლა და სანამ თავს არ გაიქუცავ, არ დამენახოო.

— კი მაგრამ, გივი მასწ... თავის გაკრეჭაში ალექსას ერთ მანეთს ვაძლევ.

— დანარჩენი, დიდი კაცი რომ გახდები, მერე დამიბრუნე, — გვეტყოდა.

იცოდა თითოეული ჩვენთაგანის დაბადების დღე. იმ დღეს აუცილებლად სახლში დაგვიბარებდა. საზეიმო სუფრას გაშლიდა და შედარებით მსუბუქი მეცადინეობის შემდეგ, სუფრასთან მიგვიწვევდა, დეიდა კატუშა ჩვენს საყვარელ კერძებს მოამზადებდა. თამადად ირაკლი ბიძია დადგებოდა. ჩვენ უფლება გვქონდა მხოლოდ ერთი ჭიქა დაგველია.

— რა არის, გივი მასწ... ერთი ჭიქა რას გვეყოფა, ორი მაინც იყოს, ყელი გამიშრა...

—ყელი თუ გაგიშრა, ბიძიკო, წყალი დალიე. ორი ჭიქა გერგება, როცა კონსერვატორიის სტუდენტი გახდები, სამი ჭიქა — როცა კონსერვატორიას დაამთავრებ...

აქ საქმეში ჩაერეოდა ირაკლი ბიძია და ისარგებლებდა რა თამადის უფლებებით, „რამდენიმე პატარა ჭიქა „იზაბელას“ დაგვალევინებდა, რომელსაც მათი სიძე შალვა კალანდაძე უგზავნიდა ხიდისთავიდან.

ერთხელ, საახალწლოდ მე და ბადრომ რამდენიმე ყუთი მანდარინი მივიღეთ სახლიდან. გადავწყვიტეთ, ორი ყუთი გივი მასწავლებლისათვის მიგვერთმია, წვიმიანი საღამო იყო. სასწავლებლიდან გვიან დავბრუნდით, ავიღეთ ორი ყუთი მანდარინი და მივადექით გივი მასწავლებელს. კარი თვითონ გაგვიღო.

— გამარჯობათ, გივი მასწ...

— რა არის ეს? გვკითხა ისე რომ სალამზე პასუხი არ გაუცია. ჩვენ მხრიდან ჩამოვიღეთ ყუთები, რომელიც საკმაოდ მძიმე იყო და ენის ბორძიკით დავიბადეთ: — ეს, გივი მასწ... სოფლიდან გამოგვიგზავნეს თქვენთვის, საახალწლოდ... თქვენგან ისე პატივცემული ვართ, რომ არ ვიცით, რა ვქნათ... რით გადაგიხადოთ... — გივი მასწავლებელი გაფითრდა, მერე თვალები აუელვარდა და მეხივით გავარდა, გვითხრა, „ქრთამი“ იმისათვის მომიტანეთ, რომ კარგი ნიშნები დაგისვათო, ჩვენ ბევრი ვემუდარეთ, მაგრამ არაფერმა გაჭრა. გაგვლანძღა, სასწავლებლიდან გარიცხვით დაგვემუქრა. მერე ზურგზე აგვკიდა ჩვენივე „ქრთამი“ და გვაიძულა ფეხით მიგვეტანა სახლამდე, კინაღამ სული გაგვძარა.

— ჰმ, პატივისცემა მოინდომეს! თუ ჩემი პატივისცემა გინდათ, რასაც გეუბნებით, გამიგონეთ, ხოლო ეს მანდარინები თქვენს ამხანაგებთან ერთად შესანსლეთო, — მოგვაძახა.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, არც ერთ ჩვენგანს აღარ უცდია მისთვის სამაგიერო პატივი ეცა.

დრო საოცარი სისწრაფით გადიოდა, უკვე მესამე კურსზე ვიყავი.

სექტემბერში, სოფლიდან რომ დავბრუნდი, გივი მასწავლებელს რამდენიმე გურული სიმღერა და საგალობელი ჩამოვუტანე, რომელიც ბაბუასაგან ჩავიწერე ზაფხულში. მან ყურადღებით გასინჯა ნამუშევარი, საჭირო შენიშვნები მომცა და მითხრა: „აი, ბიძიკო! ეს არის ნამდვილი საჩუქარი, ეს შენს მანდარინსაც სჯობია და სხვასაც. იცოდე, როცა სოფელში ჩახვალ, დროსტარებასა და გრძელ სადღეგრძელოებს სჯობია სიმღერები ჩაიწერო ბაბუაშენისაგან, ეს არის განძი, უდიდესი განძი, და ამ განძის მფლობელი ბაბუაშენია. გურული სიმღერები შენ კარგად იცი, ახლა მთავარია, მიიღო მუსიკალური განათლება, რომ გაგიადვილდეს ამ სიმღერების ჩაწერა“.

და დაიწყო გაძლიერებული მეცადინეობები.

ოქტომბერში უწყება მივიღე,

საბჭოთა არმიის რიგებში მიწევდნენ, აქ დამეხმარა ნათლიაჩემი კვიროსი ბერსენაძე. ცნობილი მომღეროლი, რომელსაც ძალიან უყვარდა ჩვენი ოჯახი და პირადად ჩემზე დიდი ამაგი ჰქონდა. კვიროსიმ სოხოვა თავის მეგობარ კომისარს და, როგორც გამონაკლისი, გაწვევა ერთი წლის ვადით გადამიდეს.

ახლა როგორმე კონსერვატორიაში უნდა მოვხვედრილიყავი, რადგან სტუდენტებს ჯარში არ იწევდნენ. ამისათვის საჭირო იყო, ერთ წელიწადში ორი კურსის მასალა გამეკლო. გივი მასწავლებელი ჩქარობდა, ბაბუა უკვე ალაკოვანი იყო და სანამ ჯანმრთელობა მოსდევდა, უნდოდა მისგან ყველაფერი ჩამეწერა.

იმ წელს სასწავლებლის დირექტორად დაგვინიშნეს ფიდიდ განათლებული, მაგრამ მკაცრი, მომთხოვნი და მეტად სამართლიანი, პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ გურგენიძე, რომელიც გივი მასწავლებელთან ერთად დიდად დამეხმარა, შემიდგინეს სპეციალური პროგრამა: ვინაიდან საშუალო სკოლა ვერცხლის მედლით მქონდა დამთავრებული, დირექტორის ბრძანებით, გამათავისუფლეს ზოგადი საგნების ჩაბარებისგან. რადგან მანიც სახლში მამეცადინებდა, გივი მასწავლებელმა თავისი საგნებიდანაც გამათავისუფლა. სასწავლებელში მარტო ფორტეპიანოსა და სპეციალობის გაკვეთილებზე დავდიოდი. დირიჟორობაში ნინო მწოლაკიშვილი მამეცადინებდა. უკვე საგამოცდო პროგრამაზე ვმუშაობდით და ნინო მასწავლებელი ენერგიას არ იშურებდა, რომ იგი დამეძლია. მთელ ჩემს გამოთავისუფლებელ დროს გივი მასწავლებელი კონსერვატორიის პროგრამის მოსამზადებლად იყენებდა. ჩემთან ერთად იმ წელს ჩვენი სასწავლებლიდან ზაურ ხუჯაძე, სულიკო ავანესიანაძე და გივი ბახტაძე აბარებდნენ. თითქმის ყოველდღე დავდიოდით გივი მასწავლებლის სახლში, როიალთან მორიგეობით ვმეცადინეობდით, მერე ერთმანეთს ვცდიდით, ისევ ვმეცადინეობდით, იქვე ვსადილობდით, ისევ ვმეცადინეობდით, ცუგა ერთგულად ვკვლავ ჯობდა კართან. ამ ხნის განმავლობაში ვერაფერი მისი გული ვერ მოვიგეთ, განსაკუთრებით ზაურ ხუჯაძეს ულოდნდა, ჩემს მიმართ უფრო თავაზიანი გახლდთ, მაგრამ, გარეთ გაშვებაზე ნურას უკაცრავად. სამსახურიდან გვიან მოვიდოდა გივი მასწავლებელი, ცუგას დაუყვავებდა და ჩვენ მაგრად გაგვწურავდა. ინვრისათვის გივი მასწავლებელი მაინც უკმაყოფილო იყო ჩვენი მომზადების დონით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შესაძლებლობის მაქსიმუმს ვაკეთებდით. უკვე ძალა აღარ შემწევდა. ხელები დამეჭიმა და ამტკივდა ფორტეპიანოზე მეცადინეობისაგან. თვალები გადამეღალა, ნერვიულმა დაძაბულობამ იმატა, მიუხედავად ამისა, გივი მასწავლებლის გული მაინც ვერ მოვიგე. იგი მეტს მოითხოვდა. მეტი არ შემეძლო. ცუღლუტობაში მდებდა ბრალს და მარწმუნებდა, რომ კონსერვატორიაში ვერ ჩავაბარებდი. მეშეკრებოდა, თუ უფრო მეტს არ ვიმეცადინებდი, ხელა აიღებდა ჩემზე. მე ვეღარ გავუძელი ამდენ ნერვიულ დაძაბულობას, ერთ მშვენიერ დღეს თავი მივანებე ყველაფერს და მახარაძეში წავედი. გადაგწყვიტე, კონსერვატორიაში აღარ ჩამებარებინა.

ერთი კვირის შემდეგ ჩვენთან ჩამოვიდა გივი მასწავლებელი. ვიფიქრეთ თავისიანების სანახავად (ჩიდინთავში მამიდაშვილები ჰყავდა) მას არც საყვედური უთქვამს ჩემთვის, არც ის უკითხავს, თუ რატომ გამოვიქეცი თბილისიდან. იგი ბაბუას ესაუბრა კარგა ხანს. მერე ვახშამზე ცოტა ღვინოც დალია (რაც იშვიათობა იყო) და თავისი ამბავი გვიამბო: იგი ჯერ კიდევ მუსიკალური სასწავლებლის მესამე კურსზე სწავლობდა, როცა საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, მერე ფინეთთან ომმა მოუსწრო, იქ იბრძოდა ბოლომდე. ფინეთთან ომის დამთავრების შემდეგ დემობილიზაციას ელოდებოდა. მაგრამ სახ-

ლში არ გამოუშვეს. დიდმა სამამულო ომმა დასავლეთის საზღვართან მოუსწრო. პირველივე დღეებში ჩაერთო ცხარე ბრძოლებში, ჯერ მსუბუქად დაიჭრა, მერე დაბომბვაში მოჰყვა და მძიმე კანტუზია მიიღო, სმენა დაკარგა. სამკურნალოდ ლენინგრადში გადმოიყვანეს, აქ მოუსწრო ლენინგრადის ბლოკადამ და იგი ბოლომდე დარჩა. წარმოუდგენელი გაჭირვება გადაიტანა, ავადმყოფობა, საშინელი შიმშილი, რამდენჯერმე შემცირდა პურის ნორმა. ქალაქში გაჭრა ყველა კატა და ძაღლი, ტყავის ქამრები, ხის წებო, ოთახის ყვავილები, ამას დაერთო დიდი ყინვები. წყალგაყვანილობა გაიყინა, სათბობი გათავდა, ელექტროსადგურები მოიშალა, სახლები ბნელში დარჩა, ლენინგრადში ყოველდღე ოთხიათასამდე კაცი კვდებოდა. არავინ იყო საფლავის გამთხრელი. ქუჩები ცხედრებით მოიფინა. ამ გაჭირვებამ ახალგაზრდები თითქმის დააბერა.

გივი მასწავლებელი მშობლებს სწერდა: „ლენინგრადიდან სამ-ოთხ კილომეტრის მანძილზე ვდგავართ, ნევის მარჯვენა ნაპირას, მივემგზავრებით კონცერტის ჩასატარებლად, იქნებ ცოტათი მაინც გავართოთ წითელარმიელები“. „ერთი თვეა, ყოველდღე ბარბაროსულად ბომბავენ ლენინგრადს, ბომბავენ განუწრეველად ყველაფერს, ძალიან ბევრი რამ არის დანგრეული“.

„ასე დიდი ხანი იმიტომ ვდუმდი, რომ წერის არავითარი საშუალება არ იყო, ვიყავი ბრძოლებში... გერმანელების მიწურებში ზიჩის სურათების დედნები ვიპოვეთ, კედელზე მიწებებულები. მე ხელთ მომხვდა ბეთჰოვენის სონატები, რაზედაც გერმანელებს დიდ მადლობას ვუხდი, სამეცადინოდ გამომადგება.“

„ორი კვირა ბრძოლებში ვიყავით, ჩვენ გვარდიელები გვქვია. ვცხოვრობთ შლისელბურგში, ბრძოლები ისეთი დიდი მასშტაბისა იყო, რომ ათ კილომეტრზე მიწა ციებიანივით ცახცახებდა“.

მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, სულით არასოდეს დაცემულა. თავისუფალ დროს დადიოდა ლენინგრადის მუსიკალურ სასწავლებელსა და კონსერვატორიაში. იქ ნოტები ეშოვა და ბლოკადის დამთავრებამდე მეცადინეობდა ბომბებისაგან ჩამონგრეულ ერთ საცხოვრებელ სახლში, სადაც „ბეხშტეინის“ ფირმის როიალი იდგა. ზამთრის სიცივეშიც კი თავისუფალ დროს როიალთან ატარებდა, კონსერვატორიისათვის პროგრამას ამზადებდა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ომი რომ დამთავრებოდა, კონსერვატორიაში ჩაებარებინა გამოცდები. მოეყინნა ყურები, ცხვირი, მშიერი, გათთშილი იჯდა და საათობით მეცადინეობდა. საჰაერო განგაშის დროსაც კი არ ტოვებდა თავის საყვარელ „ბეხშტეინს“. ერთხელ, როცა საჰაერო განგაში დამთავრდა, სამხედრო პატრულმა გაიგონა, რომ დანგრეულ სახლში ვიღაცა თავზეხელაღებული რიალზე უკრავდა. იგი შეიპყრეს და ჰაუპტვახტში გამწესეს.

ომი რომ დამთავრდა, დაავადმყოფებული და დაუძლურებული დაბრუნდა თბილისში. ჯერ მუსიკალური სასწავლებელი დაამთავრა ფრიადზე, მერე კონსერვატორიაში ჩაირიცხა და საკომპოზიციო ფაკულტეტი დამთავრა. მაშინ უკვე 35 წელს გადაცილებული იყო.

მე უხმოდ ჩავალაგე ჩემოდანი და ჯერ ხიდისთავში გავყევი გივი მასწავლებელს, მერე თბილისში.

კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების დაწყებამდე რამდენიმე თვე რჩებოდა. ჩვენ სულ გივი მასწავლებელთან ვმეცადინეობდით გვიან ღამემდე, მარტო დასაძინებლად მივდიოდით სახლში. როცა ძალიან გადავიღლებოდით, იგი ქალაქგარეთ წაგვიყვანდა. ეს იყო ჩვენთვის წამალი.

დაიწყო მისაღები გამოცდები. ნინო მასწავლებელმა უკანასკნელი გაკვეთილი ჩამიტარა და მითხრა: თუ რაიმე გაგეგება, უნდა ჩააბაროო. გივი მასწავლებელს მსგავსი რამ ვერ დავაცდენინეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდების წინა კონსულტაციაზე თვითონ წაგვიყვანა. კონსულტაციას ატარებდნენ: პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი, დოცენტები: მიხეილ ძოძიშვილი, მამია ჩიკაშუა, ჯემალ გოკიელი, გრიგოლ კოკელაძე და სხვები. იგივენი იღებდნენ მისაღებ გამოცდებსაც. ვიფიქრე, ალბათ, გივი მასწავლებელი გამომცდელებთან ორიოდე თბილ სიტყვას შემაწევს-მეთქი. მან კი ასე წარმადგინა კომისიისთან: „ეს ყმაწვილი უნიჭო არ არის, მაგრამ ცოტას მოიზარმაცებს, თანაც დაჯერებულია თავის თავში და ჭკონია რაიმე იცის, თოკიცა ტყავი გააძვრეთ, სხვას რომ ერთს შეეკითხებით, ამას ათი ჰკითხეთ, ვნახოთ, რა ბიჭიცაა!“ — აი, პროტექცია! ისედაც შეშინებულს, აღარ მინდოდა სადირიჟორო პულტზე ასვლა.

მისაღები გამოცდები ჩავბარე და სიების გამოკვრას აღარ დავლოდებივარ, ისე გავეცვალეთ სოფელში. გივი მასწავლებლის მისალოცი დეპეშა თურმე ჩემს ჩასვლამდე მიიღო ტერეზი ბებიამ.

მე დაღლილი ვიყავი და დასაძინებლად წამოვწექი, თამაზ ანდღულაძეს და გენო მუჯირს გაეგოთ ჩემი ჩამოსვლა და სანახავად მოვიდნენ.

— ანზორიაააა! — დამიძახეს ჭიშკრიდან.

— ღმერთო კი მომკალი, ვინაა თქვენი ანზორია, კაცი კონსერვატორიის სტუდენტია, — გამოეხმატკბილა ბებიაჩემი ტერეზი.

სექტემბერში, როცა კონსერვატორიაში მივედი, ახალი ამბავი შევიტყვე, გივი მასწავლებელი კონსერვატორიის პროორექტორად დაენიშნათ.

ახლა იგი მთლიანად კონსერვატორიის საქმეებით იყო დაკავებული, ლექციებს მხოლოდ ერთ ჯგუფთან კითხულობდა. ამ ჯგუფში, სხვებთან ერთად, მეც გახლდით. სტუდენტებს ისევე გვთხოვდა ყველაფერს, როგორც თავის მოწაფეებს სასწავლებელში, მისი ლექციის წინ შეშინებული სტუდენტები ამოწმებდნენ ჰქონდათ თუ არა წესრიგზე: ფანქრები, საშლელები, სანოტო რვეულები და სხვა, რომ არაფერი ვიკარგოთ. დავალების შესრულებაზე.

გივი მასწავლებლის პროორექტორობის დროს, პირველსავე მისაღებ გამოცდებზე მოაწყდნენ მისი ყოფილი მოწაფეები და ნაცნობ-ნათესავები. მან ჩვეული პირდაპირობით უთხრა ყველას, ვინც რისი ღირსი იყო: „შენ ბიძიკო, შენი მონაცემებითა და „ბაგაჟით“ კონსერვატორიისათვის არ გამოდგები. შენ კიდევ სცადე, მაგრამ ჩემი იმედი არ გქონდეს, მე იმას მოგიხერხებ, რომ მაგრად გამოგცდიან“.

გივი მასწავლებელი განსაკუთრებით ვერ იტანდა პროტექტორებს, რომლებიც მოაკითხავდნენ სახლში და ეუბნებოდნენ: „იცით, პატივცემულო, ძალიან ნიჭიერია, არაჩვეულებრივად მომზადებული, გთხოვთ, ცოდნა არ დაუკარგონ“.

„კარგით, ქალბატონო, შევეცდებით მაქსიმალურად ბევრი კკითხოთ, რომ მისი ცოდნა მთლიანად გამოვამეღავნოთ.“

ასეთი დიალოგი იმდენჯერ მეორდებოდა, რომ როცა ვინმე, თუნდაც ახლო ნათესავი მოვიდოდა ოჯახში მის „სანახავად“, გივი მასწავლებელი თვითონ დაასწრებდა: რა გვარია ის შენი აბიტურიენტი, თავი რომ უსკდება ნიჭით, არაჩვეულებრივად რომაა მომზადებული და ცოდნა რომ არ უნდა დავუკარგოთ?“.

ასეთი აბიტურიენტის გვარებს გივი მასწავლებელი მართლა იწერდა და წარუდგენდა საგამოცდო კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, ამომწურავად გამოჰკითხავდა ყველა საკითხს, რომ „ცოდნა არ დაეკარგათ“. ამის შემდეგ მისაღები გამოცდების წინ თვით უახლოესი ნათესავებიც კი ვეღარ ბედავდნენ გივი მასწავლებელთან საუბრებელად მისვლას: „ძალიან ნიჭიერია და ცოდნა არ დაუკარგოთო.“

ცოდნა მართლა არავის ეკარგებოდა კონსერვატორიაში. მისაღები გამოცდები ისე იყო ორგანიზებული, რომ არაჩვეულებრივი ობიექტურობით ფას-

დებოდა ყველა აბიტურიენტის ცოდნა. თვითონ არაჩვეულებრივად მოწესრიგებული და საკუთარი თავისადმი არაადამიანურად მომთხოვნი, სხვისგანაც წესრიგს, საქმისადმი ერთგულებასა და სიყვარულს მოითხოვდა. სიზარმაცეს არავის აპატიებდა, არც პედაგოგებსა და არც სტუდენტებს. ბეჯინ სტუდენტებს ყველანაირ პირობას უქმნიდა სწავლისათვის.

ერთხელ გივი მასწავლებელთან მოვიდა ერთი ჯარისკაცი, გვარად კრავჩენკო და სთხოვა კონსერვატორიაში მეცადინეობაზე ნება დაერთო. ვალერი კრავჩენკო უსატრონო ბავშვთა სახლიდან იყო. გვარიც კი სხვისი ჰქონდა, რადგან არავინ იცოდა, ვინ იყვნენ მისი მშობლები. მას საავალდებულო სამხედრო სამსახური მოეხადა თბილისში და ახლა კონსერვატორიისათვის ემზადებოდა. ვალერი სამხედრო ფორმით დადიოდა, რადგან სხვა ტანსაცმელი არ გაჰქონდა.

გივი მასწავლებელმა სპეციალური საშვი გაუკეთა და კონსერვატორიაში მეცადინეობის უფლება დართო. სასულე ინსტრუმენტების ფონდიდან „ფაგოტი“ გამოუყო დროებით და სტუდიაში შეასახლა. ვალერი კონსერვატორიაში უთენია მიდიოდა, ხოლო ღამით პროორეტორზე გვიან გამოდიოდა. გივი მასწავლებელს ეს მხედველობიდან არ გამორჩენია და როცა ვალერიმ ბრწყინვალედ ჩაბარა მისაღები გამოცდები კონსერვატორიაში, ძვირფასი კოსტიუმი უყიდა. სამაგიეროდ ამ ყმაწვილმა არაჩვეულებრივი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. მუყაითი, კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე ვალერი მალე კონსერვატორიაში ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა.

ლორთქიფანიძეების ოჯახში ისე ჰყავდათ მიღებული, როგორც საკუთარი ოჯახის წევრი. ასმევდნენ, აჭმევდნენ და ფულსაც აძლევდნენ ხშირად. როცა ვალერიმ მესამე კურსი დახურა ბრწყინვალედ, გივი მასწავლებელმა მას ძვირადღირებული უცხოური მარკის „ფაგოტი“ უყიდა.

ვალერიმ წარმატებით დამთავრა თბილისის კონსერვატორია და მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურაში ჩაირიცხა. გივი მასწავლებელი აქაც არ აკლებდა მამობრივ მზრუნველობას. როცა ვალერიმ ცოლი შეირთო, მისი „მამობილი“ მოსკოვში ჩავიდა საჩუქრებით და პატარა ქორწილიც გადაუხადა.

სამწუხაროდ, ვალერის უკურნებელი სენი შეეყარა და მალე გარდაიცვალა. გივი მასწავლებელმა და მისმა ოჯახმა ძლიერ განიცადეს მისი დაღუპვა.

მეორე კურსზე რომ გადავედი, გივი მასწავლებელმა წითელი „მოსკვიჩი“ იყიდა. ეს დიდი ამბავი იყო ჩვენთვის. რადგან ვიცოდით, წაგვიყვანდა ექსკურსიებზე ისტორიულ ადგილებში. ექსკურსიაზე მიჰყავდა ის, ვისაც კარგი აკადემიური მაჩვენებლები ჰქონდა. ლექციების შემდეგ კაბინეტში გვიბარებდა.

— გამარჯობათ, გივი მასწ... — ჩვეულებისამებრ ვეტყოდით და ახლოს მივიდოდით ხელის ჩამოსართმევად.

— გაგიმარჯოს, ბიჭო! — სათვალის ზემოდან გადმოგვხედავდა და ორ თითს გამოგვიშვერდა.

— კი მაგრამ, რა არის ორი თითი, ბოლოს და ბოლოს, ხელი როდის უნდა ჩამოგვართვათ?

— კონსერვატორიას რომ დაამთავრებთ და კაცები გახდებით.

— გივი მასწ... ექსკურსიაზე არ წავალთ?

— აბა აქეთ მოდით, ბიძიკო, ვნახოთ, როგორია თქვენი აკადემიური მოსწრება. შენ და შენ (თითით გვაჩვენებდა) კვირას ჩემი მანქანით წამოხვალთ. კიდევ გივი მუნჯიშვილი წამოიყვანეთ, ის ყველაზე ბეჯითია. დანარჩენი, ბიძიკო, ფეხით წამობრძანდებით, ჩვენ ყაზბეგში მივდივართ.

ანჯორო ერქომაიშვილი

მოთხრობა გივი მასწავლებელზე

საქ. სსრ კ. ბირკლის
ს.ს. სახ. რესპუბ.
ბ-ლიოთეკა

გივი მასწავლებელთან ექსკურსიაზე წასვლას არაფერი სჯობდა. რამდენადაც მკაცრი იყო სამსახურში, იმდენად თავმდაბალი და თბილი იყო სამსახურის გარეთ. უყვარდა ხუმრობა და ჩვენი გამოჯავრება. იყო სოციალურად ენამოსწრებული. იგი არა მარტო მუსიკალურ საგნებს გვასწავლიდა, იყო მრავალმხრივ განვითარებული კაცი და ამასვე მოითხოვდა ჩვენგანაც. კარგად იცოდა ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, გვიყვებოდა საქართველოსა და მისი ძველების შესახებ. ხშირად გაკვეთილზე მუსიკას თავს მიანებებდა და რამეს შეგვკითხებოდა ისტორიიდან, ლიტერატურიდან.

როცა ტურისტად მიემგზავრებოდა საზღვარგარეთ, თვეებს განმავლობაში ამოვლებდა მასალებს იმ ქვეყნების შესახებ, აკეთებდა კონსპექტებს, კითხულობდა ლიტერატურას და საკმაოდ დიდი ინფორმაცია უგროვდებოდა.

მოგვიანებით, როცა მეც დავიწყე საზღვარგარეთ მოგზაურობა, ამასვე მაიძულებდა, ხანდახან თვითონვე მეხმარებოდა მასალების შეგროვებასა და კონსპექტების გაკეთებაში. წასვლის წინ კარგად გამომცდიდა და მეტყოდა: „რომელ ქვეყანაშიც მიდიხარ, ბიძიკო, მარტო იმ ქვეყნის ქუდი არ უნდა დაიხურო, ისტორიაც უნდა იცოდე, ამ ქვეყნის ღირსშესანიშნაობებსაც უნდა იცნობდე და ხალხის ზნე-ჩვეულებებსაც.“

გივი მასწავლებელი მეგობრობასაც გვასწავლიდა, თავის მოწაფეებს ერთმანეთს გვაყვარებდა და გვადუღაბებდა, გვიყარგავდა შურის გრძნობას, ეჯავრებოდა კარიერისტები და ჩვენც დღენიადაგ ამასვე ჩაგვჩიჩინებდა, ვყოფილიყავით უბრალონი სამსახურშიც და ცხოვრებაშიც.

შენიშვნები მიიღე, ბიძიკო, თუნდაც პატარა ბავშვისაგან, რა იცი, იქნება ჭკვიანურ რამეს გირჩევს. იმაზე დიდი უბედურება არაფერია, კაცმა თვითონ რომ არ იცის და სხვისიც არ ესმის. მოსმენით ყველას უნდა მოუსმინო, მერე აწონ-დაწონო ნათქვამი, მაგრამ თუ არ მოგეწონა, ორი ყური [illegible] გაქვს, რომ ერთში შეუშვა და მეორედან გაუშვაო, — გვეტყოდა.

რაც არ უნდა გაკეთოთო, ნუ გაყოყოჩდებით, იცოდეთ, რომ თქვენზე მეტი სხვებმაც იციან და სხვებს გაუკეთებიათ, საერთოდ, მცოდნის მცოდნე ისევე არ დაილევა, როგორც მჯობნის მჯობნისა. უბრალოებით უფრო მეტ სახელს მოიხვეჭ, ვიდრე ყოყოჩობით. უბრალო თანამდებობითაც კი შეიძლება უფრო მეტი სარგებლობა მოუტანო შენს ხალხს, ნუ წაგძლევთ სიხარბე მაღალი თანამდებობისაკენ. თუმცა კაცის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ყველა სიმაღლისაკენ მისწრაფვის, ამიტომ მაღალი თანამდებობები ყოველთვის დაკავებულია. აბა, რომელმე დაწესებულებაში თუ გინახავთ წარწერა: „გვესაჭიროება დირექტორი, დაწვრილებითი ცნობებისათვის მიაკითხეთ კანცელარიას“. მთავარი თანამდებობა კი არაა, არამედ კაცობა და საქმე. ცხოვრების გზა ისე უნდა გალიო, რომ შენი გაკეთებული კეთილი საქმე დატოვო. მდიდრული საფლავით კაცის ნამოღვაწარი არ განისაზღვრება, ზოგი კვდება და მისი მარტო სახელი და გვარი რჩება საფლავის ქვაზე, საქმე კი არა. აკიღოთ მაგალითად, მოკარტი: მას საფლავის ქვაც არ ეღირსა, მისი საფლავი დღემდე არ იციან სად არის, მაგრამ მილიონობით ხალხის გულში ჰპოვა ადგილსამყოფელი, რადგან მისი საქმე ღმერთამდე ამაღლდა.

საერთოდ, თუ რამე ნიჭი გაგაჩნია, ის უნდა განავითაროთ და მაქსიმალურად გამოიყენო, თუ შენ თვითონ არ ჩაკლავ და არ მიატოვებ შენს ნიჭს, ბოროტად არ გამოიყენებ მას სხვა მიმართულებით, იცოდე სხვა ვერასოდეს ვერ ჩაახშობს მას, რადგან ნიჭი ღვთის ნაბოძებია და ზეცისაკენ მისწრაფვის. იცოდე, ნიჭი არსად დაიკარგება, იგი სადღაც აუცილებლად ამოხეთქავს, აუცილებლად იჩენს თავს, ხომ შეგიმჩნევიათ, პატარა ბალახის ღერო სქელ ასფალტის

ფენას გაარღვევს და ზევით ისწრაფვის, ნიჭს რაღა ჩაახშობს!

როგორც არ უნდა გიჭირდეს, არასოდეს სიხარბენ არ წაგძლიოს, ყოველთვის შენს თავს უნდა მოერიო, ღონიერი ის კი არ არის, ვინც სხვას მოერევა, უფრო ღონიერი ისაა, ვინც საკუთარ თავს მოერევა. თუ რამე სიკეთეს დათესავ, შენ კი არ უნდა თქვა ამის შესახებ, არამედ სხვამ. სიკეთე ისე არ დაიმალება, როგორც ლამაზი სხეული სამოსში. აბა, რა გამოვიდა, თუ ყველამ, აჭაოდა, ლამაზი სხეული მაქვსო, შიშველი იარა ქუჩაში, ისე როგორც კონსერვატორიაში დადიან ზოგიერთები, მაშინ მშვენიერებასაც ფასი დაეკარგება.

გივი მასწავლებელი ვერ იტანდა მოდას აყოლილი ახალგაზრდების უშნო ჩაცმულობას. „რა არის, გოგო, ეს, ეგ-საავით რომ გამომეცხადე დღეს სამსახურში. ხომ ხედავ, ბიჭებს თვალები წამოცვენაზე აქვთ, მაგამ კიღევ გამოშტერება უნდათ?, სანამ ტანსაცმელს არ გამოიცვლი, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს“. კონსერვატორიის გოგონებს თოფივით ეშინოდათ გივი მასწავლებლის და ყოველთვის ცდილობდნენ რიგიანად ჩაცმულები მისულიყვნენ ლექციებზე.

მესამე კურსზე რომ გადავედი, მთელი ზაფხული ბაბუასაგან სიმღერებს ვიწერდი და სექტემბერში საკმაოდ მოზრდილი კრებული მივუტანე გივი მასწავლებელს. მას ძალიან გაეხარდა, გულდასმით გადათვალიერა, მომცა სათანადო შენიშვნები და მითხრა, რომ კრებული დასაბეჭდად უნდა მომეშზადებინა. მაგრამ ახალი კანონით, მე მალე გამომიძახეს სამხედრო კომისარიატში და გენო მუჯირთან ერთად გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

მართალი გითხრათ, ძალიან განვიცდიდი ამ ამბავს. ჯერ ერთი, სწავლა მივატოვე მესამე კურსზე და მეორეც, ბაბუას ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, მისგან სიმღერები უნდა ჩაეწერა.

განიცდიდა გივი მასწავლებელიც, მაგრამ ამას არ გვაგრძნობინებდა, მე და გენო ხშირად ვიღებდით მისგან წერილებს:

„ჩემო ძვირფასო სალდათებო!

თქვენი წერილი დღეს მივიღე, ისე რომ თქვენი ახალი ცხოვრების კურსში ვარ...

თქვენი უფროსებთან ძმადგაფიცა მაინცადამაინც არ მეჭაშნიკა. სად გაგონილა სტარშინასა და სალდათის ძმა-ბიჭობა, ან კიდევ, უფროსებთან პურმარილობა?.. მე უკვე იმის შიშში ვარ, რომ ასეთ კადნიერებას დაჩვეულები, სამი წლის შემდეგ მთლად გაორებულები არ გამომეცხადოთ გაკვეთილზე და მხარზე ხელის დაკვრით მომესალმოთ: „ზდრასტი, გივკა, ვონცეს ახერჯან.“

გავიგე, ფიცი მიგიღიათ, ეს ძალიან სასიამოვნოა, გახსოვდეთ, რომ გივი მასწავლებელს ფიცის გატეხა ხშირად უპატიებია, თავდაცვის მინისტრი კი ფიცის მოდალატეებს შეაჩენებს და კუდით ქვას ასროლინებს. ასე, რომ სჯობია თავიდანვე მიიღეთ ყველაფერი, რაც მოვალეობამ გიწყალობათ მთელი თავისი მშვენიერებით, თორემ თქვენს „ბარიაშობას“ ერთ დღეს ბოლო მოეღება და თქვენი „სამხედრო პოეზია“, „მწარე პროზად“ გადაგექცევათ.

კონსერვატორიაში და საერთოდ თბილისში „ბულის გასაგმირავი“ ამბავი ჯერ-ჯერობით არაფერი მომხდარა. ყველაფერი ძველებურად მიედინება, თქვენ ისევ მყავხართ ჟურნალში ჩაწერილი და ყოველ გაკვეთილზე დაბეჯითებით გიწერთ „არ“-ებს.

კონსერვატორიის გოგოებს რომ უგზავნით მოკითხვას, გადავცემ, ჰაეროვან კოცნას კი ვერა. აბა როგორ შეიძლება თმაგაწეწილ, პირდაუბანელ გოგოებს დაეკარო ჰიგიენის მოყვარული ადამიანი?..

ასე რომ, როცა ჩამოხვალთ, თვითონ დაერიეთ მათ. ახლა ხუმრობა იქით

იყოს, — მწერდა მე. — შენი კრებული მთლიანად გადავწერე და ახლა სიტყვიერი ტექსტები უნდა ამოვწერო, ასე რომ როცა ჩამოხვალ, კრებულს გამოსაცემად გამზადებულს დაგახვედრებ.“

გივი მასწავლებელს წარმოუდგენლად შრომატევადი სამუშაო შეესრულებინა.

სამხედრო სამსახური დავამთავრეთ. კონსერვატორიაში სწავლა გავაგრძელეთ და, როგორც იქნა, ისიც დავამთავრეთ. გივი მასწავლებლის ყურადღება შემდეგშიც არ მოგვკლებია. იგი ძლიერ განიცდიდა თითოეული მოწაფის ბედს.

მისი მოწაფეების პირველი თაობა უკვე დაიზარდა. ბევრი მათგანნი დაოჯახდა, მიუხედავად ამისა, გივი მასწავლებელს მათთან კონტაქტი არ გაუწყვეტია. იგი ხშირად იღებდა რაიონებიდან წერილებს:

„თქვენ მართალი იყავით, გივი მასწ... სკოლაში მუშაობის პრაქტიკა სულ სხვა რამეს თხოულობს, გთხოვთ გამომგზავნოთ საჭირო ნოტები და მომცეთ სათანადო რჩევა-დარიგება, წლები გადის. თქვენ ისეთივე ჰუმანური, ამავე დროს მკაცრი და მომთხოვნი დარჩით ჩემს მეხსიერებაში.

ნოდარ დონაძე

მახარაძის რ-ნი, სოფ. თხინვალი.“

„თქვენს კარგად ყოფნაში ეჭვი არ მეპარება, რადგან ავადმყოფი არასოდეს მინახიხართ და ნურც მომავალში გამხდარიყავით...

კარგი იქნებოდა, თუ შემირჩევდით პროგრამას ფორტეპიანოსათვის და საჭირო ნოტებსაც გამომიგზავნიდით. გადავწყვიტე, წელს მაგრად ვიმეცადინო და კონსერვატორიაში ჩავბარო. კონსულტაციებზე ხშირად ჩამოვალ. ეროთიორი დღით რთველზეც მინდა მოგიტანოთ. მაინტერესებს ანზორმა და სულიკომ თუ ჩაბარეს.

თემურ ქევხიშვილი

ყვარლის რ-ნი, სოფ. ახალსოფელი.“

„გიგზავნით რამდენიმე ახალ წიგნს, შეიძლება წაკითხული არ გქონდეთ. მოტანა ვერ გავბედე და მაპატიეთ.“

ვახტანგ კუხიანიძე, თბილისი.

მიუხედავად საოცარი მოუცლელობისა, გივი მასწავლებელი ყოველთვის პოულობდა იმის დროსა და საშუალებას, რომ თითოეულ მათგანს დახმარებოდა, დაუზარებლად პასუხობდა წერილებზე, იყო ყველას პატრონი, დამპატრებელი და დამსახლებელი, ნამდვილი მახვში, რომელთანაც ირჩეოდა ყველა პრობლემატური საკითხი, როგორც სამსახურებრივი, ასევე ოჯახური, ყველა საჭირო რჩევა-დარიგებას ვიღებდით მისგან. მისი გაზრდილები უკვე გამოვიდნენ ხელოვნების ასპარეზზე: თამაზ ჯაფარიძე, გივი მუნჯიშვილი, ავთანდილ მამაცაშვილი, მამუკა დოლიძე, თემურ ქევხიშვილი, ვახტანგ კუხიანიძე, ზაურ ხუჯაძე, ბადრი თოიძე, თამაზ ანდღულაძე, გენო მუჯირი, გურამ ნამჩევაძე, გივი ბახტაძე, სულიკო ავეანტაძე, მურმან ბერულავა, ვლადიმერ სამეკეთაშვილი, როლანდ ხატიაშვილი, გურამ იაშვილი, ვალიკო ნანობაშვილი, მიშა მაზმიშვილი, ლია ლომმაშვილი, ლია ყიფიანი, დალი კვაჭანტირაძე, ნანა ნინუა, მზია ხატიაშვილი და კიდევ, ვინ მოსთვლის, რამდენი გოგო-ბიჭი, მისი გაზრდილები, წარმატებით ხელმძღვანელობენ მხატვრულ კოლექტივებს და ეწევიან ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას.

ბოლო წლებში გივი მასწავლებელმა კონსერვატორიაში ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „მოტტი“, რომელიც დიდი წარმატებით გამოდიოდა საზოგადოების წინაშე, დაწერილი ჰქონდა „კვარტეტი“, რომელიც პრემიით აღინიშნა და რამდენიმე მშვენიერი რომანსი, მაგრამ კონსერვატორიის სტუდენტებსა და პედაგოგებს მათი შესრულების უფლებას არ აძლევდა — „უხერხულიაო.“

როცა ანსამბლი „რუსთავი“ ჩამოყალიბდა, გივი მასწავლებელი ჩვენი დიდი გულშემატკივარი მსმენელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი გვირჩევდა ძველი, მივიწყებული სიმღერები აღგვედგინა. ამით ჩვენს წინაპრებს გააცოცხლებთ, აღარ დაიკარგება სიმღერები და მათი შემსრულებელთა გკარები და თქვენც დიდ წარმატებას მოგიტანთო, გვეტყოდა.

ანსამბლ „რუსთავს“ ავტოავარია მოუვიდა. ჩვენ საკმაოდ მძიმედ დაშავებულები ვიწექით საავადმყოფოში, გი ვი მასწავლებელი არ მოგვშორებია, სამსახურის შემდეგ მოდიოდა და ხშირად მთელი ღამე რჩებოდა ჩვენთან. მოჰქონდა საჭირო მედიკამენტები და ზუსტად ასრულებდა ექიმების მითითებებს. კატეგორიულად აკრძალა ჩვენთან მნახველების მიღება. ამაზე მკაცრი კონტროლი და მორიგეობა დააწესა. ხანდახან მოვიდოდა, ამბავს იკითხავდა და წავიდოდა ისე, რომ არც კი შეგვატყობინებდა, ან მოკითხვას შემოგვთვლიდა. ჩვენს ოჯახურ და სამსახურის საქმეებს თვითონ აგვარებდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ფეხზე არ დაგვაყენა.

70-იან წლებში მე შევუდექი ძველი გრამფირფიტების შეგროვებას და გადაწყვიტე მათი აღდგენა. გივი მასწავლებელმა მომიწონა აზრი და ჩემთან ერთად შეუდგა ძველი ფირფიტების მოძიებას. საქმეში ირაკლი ბიძიაც ჩაერთო. მათ მოძებნეს თბილისში მცხოვრები ძველი ნაცნობები, ვისაც კი თავის დროზე „გრამოფონი“ ჰქონდა სახლში და საკმაოდ კარგი კოლექციაც შეგროვეს. მე ფირფიტები მოსკოვში წავიღე სარესტავრაციოდ. გივი მასწავლებელს ძალიან აინტერესებდა შედეგები და თითქმის ყოველდღე მირეკავდა სასტუმროში. „მე დაგირეკავ, ბიჭო. შენზე მეტი ფული მაქვს. მე პროფესიონალი ვარ და შენ კიდევ დამახურებული არტისტიო,“ — მეტყოდა. გრამფირფიტები იმდენად იყო დაზიანებული რომ ბევრი მათგანის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა, საჭირო იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა არქივებში ამ ფირფიტების პირველწყარო მატრიცების მოძიება. გივი მასწავლებელმა საქმეში ჩართო ყველა თავისი ნაცნობი. პირველ რიგში ჩვენი ... წვალებლის ყოფილი დირექტორი ამჯერად თბილისის ცენტრალური არქივის ხელოვნების განყოფილების დირექტორი ბატონი ვახტანგ გურგენიძე; გარდა ამისა, მისი ფრონტელი მეგობრებიც კი დამეხმარნენ, რიგის, ლენინგრადის და მოსკოვის არქივებში მუშაობის დროს.

მე მეტად რთულ სამუშაოს მოვკიდე ხელი, რომელიც რამდენიმე წელს უნდა გაგრძელებულიყო, მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებსა და ფირმა „მელოდიაში“ დიდი ხნით მიხდებოდა მუშაობა.

ერთხელ, როცა თბილისში ჩამოვედი, ირაკლი ბიძია ავად დამხვდა. მას თურმე წლების განმავლობაში აწუხებდა უკურნებელი სენი, მაგრამ თავისიანებს არ უმხელდა, სანამ ხმა სრულად არ დაკარგა. ბოლო დღემდე მუშაობდა, ერთხელაც არ დაუკვნესია, ოჯახის წევრები არ შევაწუხოო. როცა სანახავად მივდიოდით, ჩვეული ღიმილით შემხვდებოდა და ჩახლეჩილი ხმით მკითხავდა: „რავა ხარ, ძამია, არ მიდიხართ გურულები იაპონიის ასაღებად? (ერთ ძველ ანეგდოტს შემახსენებდა).

ბოლო დღეს, ლაპარაკი რომ არ შეეძლო, ერთი ძველისძველი ლექსი დამიწერა და გადმომცა, სიმღერისათვის გამოგადგებაო.

ირაკლი ბიძია ვაჟკაცურად შეხვდა სიკვდილს. შეხვდა ისე, როგორც შეეფერებოდა გიორგი ნიკოლაძის მოწაფეს, ირაკლი ლორთქიფანიძეს.

გივი მასწავლებელმა ძლიერ განიცადა მამის დაკარგვა, მაგრამ ამას არავის აგრძნობინებდა, იგი სასოწარკვეთილი არავის უნახავს, მისი ცხოვრების რიტმი ძველებურად გრძელდებოდა, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად, თავაუფებლივ მუშაობდა მე-8 და მე-10 საუკუნეებში შემონახული ქართული საგალობლების გაშიფვრაზე, სადაც პროფ. ელენე მეტრეველისა და შალვა ასლანიშვილის აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით, დიდ წარმატებებსაც მიაღწია. მაგრამ სამუშაოს დამთავრება აღარ დასცალდა. რა კიოდით, რომ წლების განმავლობაში მძიმე ავადმყოფად ითვლებოდა. უწინა ფრონტზე გატარებულმა მძიმე წლებმა, ჭრილობებმა, შიმშილმა, ნერვიულობამ და თავი იჩინა ავადმყოფობამ. როცა მოსკოვში გაემგზავრა საავადმყოფოში დასაწოლად გამოკვლევაზე, სახლში დაიბარა მივლინებაში მივდიავარო.

მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, არაფერი არ იმომაჩნდაო, თქვა, რაღაც წამლებს კი იღებდა ხანდახან, — ეს ისეო, — იტყოდა. თორმე ღვიძლის ცირიოზი ჰქონდა.

მოსკოვში, ერთ-ერთი ჩემი ჩასვლის დროს, მუშაობა მომიხდა ფირმა „მელოდიაში“, სადაც საქართველოში პირველი გრამფირფიტების მატრიცებს აღვადგენდით. გივი მასწავლებელი თითქმის ყოველდღე მირეკავდა ტელეფონით და შედეგებს მეკითხებოდა, იგი დიდად გახარებული იყო და ცდილობდა ყველანაირად შეეწყო ხელი ჩემთვის. ერთ დღეს მითხრა, ვინაიდან დიდი ხანია მოსკოვში ხარ და ბევრი სამუშაო გაქვს, შენი დღიური არ გეყოფაო, ამიტომ ცოტაოდენი ფული გამომიგზავნა „სეზონად“, როცა დიდი კაცი გახდები, მაშინ გადამიხადეო. მუშაობა დაძაბულად მიდიოდა. აღსდგა დედას ლევანას, ს. კაკლაძის, ს. ჩავლეიშვილის და სხვათა ხმები. როცა ამის შესახებ გივი მასწავლებელს შევატყობინე, გახარებულმა მითხრა: „ხუთი ღმერთს, ოთხები მე და შენ, აი, ვანო სარაჯიშვილის ფირფიტას თუ აღადგენ, ოთხს პლიუსით დაგიწერ, მეტი რაღა გინდა, ჩემზე წინ გაყენებ.“

ვანო სარაჯიშვილის ფირფიტა აღვადგინე და გახარებულმა დავურეკე გივი მასწავლებელს სახლში. პასუხობდა კოს ტირილი შემომესმა „გიგა, ... ლებელი აღარ არი!..“

ხშირად იტყვიან: დასაფლავების დროს გამორჩნდება, ვინ როგორი კაცი იყოო ამაში დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ ეროსი მანჯგალაძის, რევაზ ლადიძის და სხვათა დაკრძალვას.

ექვთიმე თაყაიშვილის კუბოს, თორმე ორმოცდარვა კაცი მიაცილებდა, თუმცა მაშინ სხვა დრო იყო.

მიცვალებულის პატივისცემა, მარტო ხალხის რაოდენობით არ განისაზღვრება. არ მწამს კაცი, რომელიც მარტო მოვალეობის მოხდის მიზნით წავა დაკრძალვაზე. გივი ლორთქიფანიძე ყველამ ალალი ცრემლით დაიტირა.

მისი ჭირისუფლები იყვნენ მისი მოწაფეები. მისი ჭირისუფალი იყო ხალხი, რომელიც ყველაფრის საზომია, მე ისეთების თვალებზე ვნახე ცრემლი, რომლებსაც მეგონა, საერთოდ ქვის გული ედოთ. არავის არავისათვის არაფერი უთხოვია. ხალხმა გულით სცა უკანასკნელი პატივი ამ კაცს, რომლის დატოვებული კვალი შეიძლება რამდენიმე თაობას გაჰყვეს სამაგალითოდ, კაცს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება დაბადებიდან 59 წელი თავის ერის სამსახურს, მისი ახალგაზრდობის აღზრდას მოახმარა.

ახლა, როცა გივი ლორთქიფანიძის მოწაფეები ვხვდებით ერთმანეთს, ისევე, როგორც მის სიცოცხლეში ვიცოდით ხოლმე, ერთმანეთს ვეკითხებით:

— გივი მასწავლებელთან იყავი?

— ვიყავი, ვიყავი და ბევრი ყვავილი დამხვდა საფლავზე.

როცა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გაივლი, გივი ლორთქიფანიძის საფლავზე ყოველთვის ნახავთ ცოცხალ ყვავილებს, მისი მად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერი მოწაფეებისაგან, ამის წინათ ხსოვნის დღეზე ვიყავით. ბევრი მისი მოწაფე შეგროვდა, ზოგიერთი მათგანი არ დამინახავს, იქნებ ყველამ ვერ მოახერხა მოსვლა, იქნებ არ სცალიათ? არა, ყველამ უნდა გამონახოს დრო, რომ პატივი სცეს მასწავლებელს, კაცს, რომელმაც ცხოვრების გზაზე დააყენა და საზოგადოებაში ადგილი მისცა, ადგილი, რომელიც ყველას არ ეკუთვნის, გივი მასწავლებელი თვითონ იყო ყურადღებიანი, თორემ სხვისაგან არასოდეს სამაგიეროს არ მოითხოვდა. ვინც თავის მასწავლებელს არ დააფასებს და არ მოიგონებს, იმას მისი მოწაფეებიც აღარ მოიგონებენ.

გივი ლორთქიფანიძის მოწაფეებს ჩვევად გვაქვს, თუ რაიმე სასიკეთოს გავაკეთებთ, მივდივართ ძის საფლავზე და ანგარიშს ვაბარებთ:

— გამარჯობათ, გივი მასწ...

— გაგიმარჯოს, ბიჭო! — თვალწინ წარმოგვიდგება მისი კეთილი, ღიმილიანი სახე.

— დღეს ჩვენი მოსწავლეები მოვიყვანეთ, რომ გავაცნოთ, ვინ იყო ჩვენი მასწავლებელი.

— გადაეცით მაგათ, რომ ხუთი ღმერთს ეკუთვნის, ‘ოთხები — მე და თქვენ, ხოლო სამები და ორები თქვენს მოსწავლეებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დალილა ბედიანიძე

●

მე მზისა ვარ. მზეს ვახლავარ
ვით მდევარი — ირემს.
ეს მზე ჩავა.
ხვალ ამოვა მზე ახალი.
მე მზისა ვარ,
მზეზე მონადირე.

მაღალია მზე და არა — ამაყი.
ერთნაირად — ყველა მისი მდომი.
ეს მზე ჩავა და მოკვდება ამაღამ
მზის ნადირი — ლომი.

ახალი მზე სასწაულის მაცნეა.
ახალი მზე ემგვანება ირემს.
მზე ჩავა და მზე ამოვა სხვა ციდან.
მე დავრჩები მზეზე მონადირე.

●

ჩვენ ვაჩით ზღაპრიდან გამოპარული,
გზადაბნეული დიდი ბავშვები
და სანამ ჩვენი მეზღაპრე მოვა,
ისევ ერთმანეთს ვეთამაშებით.

ჩვენ ერი ზღაპარში გვინდა მოხვედრა
და გვინდა, ვთხოვოთ რამე ახალი
და სანამ მოვა, ვინც კი შეგვხედავს,
გაოცებული დგას და ხარხარებს.

მეზღაპრე მოვა, ჩვენ გეჯერა, მოვა
და გამოჩნდება ჩვენი საშველი.
ჩვენ ვართ ზღაპრიდან გამოპარული,
გზადაბნეული დიდი ბავშვები.

●

ჩემი ხელები ცნობენ შენს ხელებს,
ჩემი თვალები ცნობენ შენს თვალებს.
იცოდე, თუკი არ შემიყვარე,
სხვა შემიყვარებს, სხვა შემიყვარებს.

და თეთრი კაბა სხვისთვის იელვებს,
და თეთრი სული სხვისთვის იალებს.
სულ სხვა მომიტანს, ალბათ, იელებს,
სხვა შემიყვარებს, სხვა შემიყვარებს.

მაგრამ მე მაინც შენ მიყვარები,
მაგრამ მე მაინც მომაგონდები...
ო, ეგ თვალები... ო. ეგ თვალები
და დღე, შენს გამო სავსე გოდებით.

●

მე თქვენ მიყვარდით. აღარ მიყვარხართ
და უკვე აღარ შემიყვარდებით.
მე აღარ ძალმიძს თქვენი დანახვა,
თუმც — გიყურებენ ჩემი თვალები.

რაც იყო, იყო ისეთი კარგი,
არ ეკადრება იმ გრძნობას სიტყვა.
არა, არ ვნანობ, რომ თქვენ მიყვარდით,
ვნანობ, რომ ახლა არავინ მიყვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო ჰგავდა ნაკრძალს,
თოფივით მომხვდა თვალი.
და ცაზე მთვარე გაწვა
მოლოდინისგან მთვრალი.

კარგი ნადირი მუდამ
კარგ მონადირეს ელის,
რათა დაიჭრას გულთან,
როგორც ნაკრძალში — შველი.

მე ამირჩია მთვარემ,
მთვარის ნიშანი მშვენის.
მე მთვარემ დამჭრა, მთვარემ
როგორც ნაკრძალში — შველი.

●

შემოგხედავ თვალებში და დავხუჭავ
თვალებს
და ჩემს თვალებში
სამუდამოდ დარჩებიან შენი თვალები.

შემოგხედავ თვალებში და
სადაც წამიყვან, თან გამოგყვები,
აღარასოდეს არაფერი
გამახსენდება.

შემოგხედავ და ბედნიერი
დავხუჭავ თვალებს,
რომ ჩემს თვალებში
სხვამ ვეღარავინ ვერ ჩაიხედოს.

მე ხომ თვალს მხოლოდ იმისთვის
ვახელ,
რომ დავინახო შენი თვალები.
მე ხომ იმისთვის დავიბადე,
რომ შენ გიყურო.
შენი თვალები, როგორც ორი
ნატვრისთვალი
ჩემს თვალებში ციმციმებენ,
შენ მიყურებ და მაინც შენს გარდა
არაფერი მინდა, ვინატრო.

არ შემიძლია, თვალი მოგაცილო.
არ შემიძლია, არ შემოგხედო.

შემოგხედავ თვალებში და დავხუჭავ
თვალებს
და ჩემს თვალებში
სამუდამოდ დარჩებიან შენი თვალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუზუნებენ მავთულები,
თითქოს ქარი გიტარაზე
ნაღვლიანად უკრავს.
მე მოვკვდები სევდით, ვნებით,
მაგრამ აღარ დავბრუნდები უკან.

ზუზუნებენ შეცდომები
და სიტყვები იფანტება ქარში.

თითქოს ქარი მეუბნება —
დარჩი! დარჩი! დარჩი!...

მაგრამ... მე ვერ გაპატიებთ,
არც არასდროს მოვიხედავ უკან.
ზუზუნებენ მავთულები,
თითქოს ქარი გიტარაზე ნაღვლიანად
უკრავს.

●

მე მოლოდინი მარგუნა ღმერთმა.
შენ გაამართლებ ამ ჩემს მოლოდინს.
დაგელოდები და მოხვალ ჩემთან,
დაგელოდები მუდამ, ბოლომდის.

შემომეფანტა შენს გამო სხვები,
სხვებს რას დაგიდევ, ოღონდ მყოლოდ!

სხვები წავლენ და მე აქ დაგხვდები,
დაგელოდები მუდამ, ბოლომდის!

სანამ არ მოხვალ, მე არ მოვკვდები
და მე გავუძლებ ყველა მოლოდინს.
და როცა მოხვალ, მე გამოგყვები,
მე გამოგყვები ყველგან, ბოლომდის!

●

მე საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი,
ჩემში ლექსია ჩემზე ძლიერი...
როგორც ოდესღაც იყო მეგუთნე
გუთნის ერთგული და ბედნიერი.

ვინ რას ყიდულობს და ვინ რას ყიდის,
ვის გრძელი გზა აქვს, ვის — გრძელი
ხელი...

სხვა ყველაფერი მოდის და — მიდის,
ის მაინც მღერის, ის მაინც მღერის.

მარილი ვჭამე ათასი ფუთი
ლექსთან ერთად და...
ვარ ბედნიერი.
მე საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი,
ჩემში ლექსია ჩემზე ძლიერი.

პოეტის გული

როდესაც მოდის ტყვია,
ზოგს შეეხება შური,
მაგრამ პირველი ხვდება
ტყვიას პოეტის გული.

თუ სიყვარული მოდის
ველური, სატანური,
მაინც პირველი ხვდება
ისევ პოეტის გული.

რამდენ სიცოცხლეს იტევს
და რამდენ სიკვდილს იტევს
პოეტის ერთი სიტყვა,
პოეტის ერთი გული.

მაგრამ ცოტაა ნაღდი.
ნამდვილი უნდა იყო.
ნამდვილი უნდა გქონდეს
ხმაც, საქციელიც, სიტყვაც

და მაშინ — ჰკითხე ექიმს,
ვეღარ იქნები კარგად.
განიკურნება ყველა
პოეტის გულის გარდა.

და როცა მოდის ტყვია
და როცა მოდის შური,
მაინც შეხვდება ღია
ისევ პოეტის გული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინა ხმალაძე

ბევრი რამ იცის ბებერმა ცხენმა

რატომ გგონიათ,
გიჩენის დღიდან
მუდამ ვიღაცას მივდევდი კვალში,
ოღონდ კი გეტყვით,
არაფრად ღირდა
არც სტვენა.
არც ის ხანგრძლივი ტაში
და არც მარუსა,
სადაც ყამდაყამ
ქანცის გაცლამდის ვებრძოდი
სირცხვილს,
ბევრი რამ იცის ბებერმა რაშმა
განუკითხავად მოქნეულ წიხლის.
ბევრი რამ,
რაც თქვენ, კაცთა მოდგმას
არ გეწიფებათ გულად და ხელად,
პატრონის ხოგი ასწავლა როზგმა,
ზოგი, —
სივრცისკენ გაწვდილმა ყელმა.
შეჩერდით ყველა!
წინ წასულ ცხენებს
დავიწყებისკენ უჭირავთ გეზი
და აბორგებულ სისხლსა და გენებს
უდაბნოსავით ფიტავენ მზეში.
შეჩერდით ყველა!
ღმერთი და რჯული,
ახლა მათშია და მათით ცოცხლობს,
სჯობს, დაცემამდის დალიონ სული
ვიდრე შედგნენ და
წარსული ცოხნონ.
შეჩერდით!..
თუმცა ეს იყო ძველად,
ახლა ხსოვნაა და სიმწრის ოფლი,
ბევრი რამ იცის ბებერმა ცხენმა,
კაცის და სოფლის!

ღალატი

სიცოცხლე მთელი,
სიცოცხლე მთელი.
ველოდი ყველა სურვილის კვდომას
და ახლა,
როცა დუმილი მდევნის,
როცა ამდენი, ამდენი დრო მაქვს,
არ ვიცი,
საით წავიღო ჩუმი,
გარინდებული სხეულის სილბო,
ირევა ხალხი ათასი ჯურის,
მეც იქ მივდივარ და შიში მიპყრობს,
რომ ალარ შემრჩა ცოდნა და ენება,
კვამლივით უხმოდ მივალ და ვქრება,
ახლა მე უნდა მასწავლონ სხვებმა
ფერი ქალწულის დაშლილი თმების,
ახლა მე უნდა ვიკითხო ყველგან
მიზეზი ყოფნის, კვდომის თუ რწმენის
მე ვეღარ ვიტყვი,
რომ წვიმა მე მგავს:
ტირის და მაინც სავსეა ცრემლით.
გაძარცვული ვარ ურისკოდ, ნაღდად,
ვით ყანა ერთი საბრალო ობლის.
მე რა ვიცოდი,
რომ თავის ღალატს
ვერ შეედრება ღალატი სოფლის,
რომ უნდა კარგად გაეცნო საგნებს
სანამ გაარჩევ მტყუანს და მართალს
და სანამ ქარი წაგართმევს სათქმელს,
შენ თავად უნდა
გაფრინდე ქართან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარინა არაყიშვილი

როგორ ვეძებდით სიზმარში მამას

მოთხრობა

...დერეფანი გრძელია. განათებული. დერეფნის ბოლოს ცისფერი სინათლე მოჩანს. მივყვები დაუსრულებელ გზას. მივდივარ, მივდივარ, მაგრამ ბოლო არ უჩანს მოკრიწყლულ დერეფანს. წინ მივიწევ, მინდა ცისფერ წერტილამდე მივაღწიო, მაგრამ ამაოდ, ფეხები მეკვეთება. დერეფნის თეთრ კედლებს ვათვალიერებ. სითეთრე და სიმაღლე მაშინებს. მცივა. ძალას ვიკრებ და გზას განვაგრძობ. დიდხანს მივდივარ. ცისფერი წერტილი დიდდება და ახლოვდება. უკან მინდა მოვიხედო. ერთხანს ვჩერდები, თითქოს მხრები მიმძიმდება, სუნთქვაც მიჭირს. შიშს ვძლიე, თუ ცნობისმოყვარეობამ გამათამამა, არ ვიცი, შემოვტრიალდი. ვეებერთელა კედელი აღმართულიყო ჩემს წინ. შავი, შეუვალი. ერთი ციდა კარი ება. ისიც ჩარაზული. კარზე გაკრული ხელით ნაწერი სამი სიტყვა ამოვიკითხე: „თუ დაბრუნდი, დაიღუპები...“ ბრძანებასავით ჩამესმა ეს სიტყვები, რადგან უკან დასახვევი გზა მოჭრილი მქონდა, ისღა დამრჩენოდა, წინ წავსულიყავი. ფეხები არ მემორჩილებოდნენ.

გვიან მივხვდი, რომ ერთ ადგილზე გაყინული, ქვაფენილს ვტკეპნიდი. წინ თურმე ნაბიჯიც არ გადამიდგამს. ჩემმა უსუსურობამ გული გამისია. თავს ძალა დავატანე და მოვწყდი ადგილს. თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი.

დერეფანიც დამთავრდა...

კარიბჭესთან თეთრწვერა მოხუცი შევნიშნე. ქვაზე ჩამომჯდარიყო. დიდი, წყლიანი თვალები შემომანათა და მკითხა:

— გოგონი, საით მიგეჩქარება?

— მამაჩემს ვეძებ და გზა დამებნა, — ვუპასუხე დაუფიქრებლად, — საავადმყოფოდან დაურეკეს, მშობიარე ქალი მოუყვანიათ და მის გარეშე ვერ იწყებენ ოპერაციას... მე კი გზა ამერია... მიშველეთ რამე... მომაძებნინეთ მამაჩემი... გემუდარებით!

მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და კარი შეაღო. გავდეო თუ არა ზღურბლს, საოცრად გავმსუბუქდი. ასე მეგონა, ბუმბულივით მიწას მოვწყდები, ცაში ავფარფატდები და გავფრინდები-მეთქი, მაგრამ მოხუცმა მკლავში წამავლო ხელი და შემაჩერა. გონს მოვეგე. სივრცეს გავხედე და განვცვიფრდი... ცის კიდესაც ვხედავდი, ყაყაჩოებითა და გვირილებით გადაპენტილ ველსაც, მაგრამ მამაჩემი საღღაც გაუჩინარებულიყო, თვალი ვერ მოვკარი. მოხუცისკენ მოვიხედე. თავი მაღლა აეწია და ერთ მაღალ მარტოხეს შესცქეროდა. მეც მის მზერას მივყევი და ხის კენწეროზე წამოსკუპული სახეგმიარული კაცი დავინახე. შევატყვე, ძალით იცინოდა. ჯიბიდან მონეტებს იღებდა და ჩიტებს უმიზნებდა. ჩიტებისაკენ გასროლილი მონეტები ოქროსფერ სხივებს გამოსცემდნენ და დაშუშხული ჩიტები პანტაპუნტით ცვიოდნენ მოგვირისტებულ დედამიწაზე. დავნაღვლიანდი. მოხუცის ხმა დამეწია:

— რაღას უდგახარ, მოჰკიდე მამაშენს ხელი და წაიყვანე, თორემ დაიღუპება საწყალი ქალი...

მე გახევებული ვიდექი და არ მინდოდა, ძალიან არ მინდოდა, რომ ეს კაცი მამაჩემი ყოფილიყო...

მოხუცი კი თავისას არ იშლიდა, კვლავ ავიხედე და ნაცნობი სახე შევიცანი; მაგრამ სრულიად გარდასახული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცვლილი, შეშლილი. გავიფიქრე, ჭკუიდან გადასულა სპბრალო, თორემ ასეთ საშინელებას როგორ ჩაიდენს საღ ჭკუაზე მყოფი-მეთქი, მაგრამ არც ჩემმა შეცოდებამ უშველა რამე. კაცი კვლავ განაგრძობდა მონეტების სროლას და თან გულიანადაც ხარხარებდა.

— მამა! — დავუძახე. — მე ვარ, ნუთუ ვერ მიცანი... შენს ძებნაში მთელი ქვეყანა მოვიარე და შენ არც კი გინდა შემამჩნიო... ახლავე ჩამოდი, საავადმყოფოში მშობიარე გელოდება. უშენოდ დაიღუპება! გემუდარები, ჩამოდი, რას ხარხარებ, რას ხედავ სასაცილოს? ჩამოდი-მეთქი, ჩამოდი, ნუთუ არ გესმის!

მონეტების სროლას თავი ანება. სხვათა შორის ჩამომხედა და დანახვისთანავე ჩამომძახა:

— შვილო, ამოდი, ამოდი. ამაზე კარგ ადგილს მთელს ქვეყანაზე ვერსად იპოვი, ამოდი! აბა, სად გეჩქარება. რა თქვი, მშობიარეო, ყველაფერს ეშველება, სხვა ექიმს იპოვნინ. მე, მე ვერ დავთმობ აქაურობას, ვერა... ვე-რა...

...სიზმრიდან დაბრუნებულს პალატის სარკმელში შემოსული აკაციის ტოტები მომხედა თვალში. არა, ეს სიმწვანე არ იყო ლამაზი სიმწვანე, ეს იყო გამაბრუებელი ფერი, არც მაძღარი და არც გახუნებული, რომელსაც თან სდგდა უსაზღვრო რაოდენობის ლიმონისფერი რგოლები.

ნამდვილ ბურანში ვიმყოფებოდი. თითქოს, სულ სხვა სამყაროში მოვხვდი, მეორედ დავიბადე. რადგან ჩემი ყოფა იმ წუთს, სულ არ ჰგავდა ადრინდელს. ალბათ, იგივე მდგომარეობაშია ახალშობილი, როცა მთელი სიძლიერით ტირის, მაგრამ მისი ტირილი ყველას ახარებს. მეც მომინდა ტირილი, თითქოს ეს უკანასკნელი გამათავისუფლებდა იმ შებოჭილობისაგან, რომელიც განძრევის საშუალებასაც კი არ მაძლევდა, მაგრამ მხოლოდ გმინვა აღმოჩნდა.

სარკმელში წვიმისაგან გაწუწული კეპი შეენიშნე. ჯერ ვერ გავიხსენე, სად მენახა ეს კეპი. აზროვნება დავძაბე, ... გამახსენდა, რომ მამაჩემი ხმარობდა ასეთ კეპს. მერე მისი დაღვრემილი სახე დავინახე. სული დამიცარიელდა.

რაც დრო გადიოდა, ცნობიერება მიბრუნდებოდა. ჭრილობის ყრუ ტკივილმაც თავი შემახსენა. წამოდგომა ვცადე, მაგრამ განძრევაც ვერ შეეძელი და მომაგონდა, რომ საოპერაციოდან ახალი შემოყვანილი ვიყავი. უცებ გაიელვეს საოპერაციო მაგიდის თასმებმა, კოხტად ჩაწყობილმა მძიმე ინსტრუმენტებმა, უშველებელი პროოექტორის მოზღვავებულმა სინთლემ თვალი მომჭრა. ბევრი ვიბორგე, მაგრამ ძალა მალე გამომელია და ღონემიხდილმა დუმილს მივეცი თავი, თითქოს დავმშვიდდი. გადაეწყვიტე შენზე მეფიქრა...

...ვინ იცის, ახლა სადა ხარ. მაგრამ ვგრძნობ, რომ გესმის ჩემი ფიქრები, ჩემი გულისთქმა. მხოლოდ შენ ერთის ძალგიძს ჩემი ტკივილის გაცნობიერება. იმიტომ, რომ სწორედ შენით დაიწყო ჩემი ჭეშმარიტი ცხოვრება... თავიდანვე დამებედა, სხვისი ტკივილის მოწმე გავმხდარიყავი. ასე მეგონა, ექიმი გავხდებოდი თუ არა, ყველა სენს დავიმორჩილებდი. ძნელი ყოფილა... საკუთარ ტკივილსაც ვერ კიყურებ. მოგონებით მინდა მოვიშუშო ჭრილობა. ვითომ მიშველის?.. მეეჭვება... მაგრამ რას ვიზამ... ისევ შენ უნდა მიშველო...

სულ ის დღე მაგონდება, პირველად რომ გნახე. მაშინ სასწრაფო დახმარების ექიმად ვმუშაობდი. შენმა ტკივილმა შეგვაახვედრა ერთმანეთს. რამდენჯერ მიფიქრია, იმ ღამეს ცუდად რომ არ გამხდარიყავი, ხომ არ შეგხვდებოდი. ყოველნაირად გამოგარჩია ბუნებამ. ტკივილის ხელით მოგიტანა სიყვარული...

დაგინახე და ჩამწყდა გული. გაურკვეველი ფიქრებით მევსებოდა გონება. იმდენად მომეწონე, რომ თავს ვეღარ ვიკავებდი. შენ კი ჩემმა გამოჩენამ გუნება შეგიცვალა. ცდილობდი, გაგექარწყლებინა ჩემი მოსვლის მიზეზი. იცინოდი, ოხუნჯობდი. დედაშენის თვალე-

ბი მახსოვს, მდუმარე და სევდიანი. შველას მთხოვდა. მე გულდასმით გავსინჯე. ხელი მითრთოდა. მიხაროდა, რომ საშუალება მომეცა შეგხებოდი. ჩემი თითები კი არ გსინჯავდნენ, გეფერებოდნენ. ხელიც არ დავიბანე, მინდოდა შენი სხეულის სითბო დიდხანს შერჩენოდა ჩემს ხელს. ვიგრძენი, რომ შენც იგივე განცდით დაიმუხტე. როგორ ცდილობდი, რაც შეიძლება მეტხანს დაგეყოვნებინე. ბოლოს ცუდად ყოფნა მოიმიზეზე. მთელი ღამე არ გამომშვი. სასთუმალთან გეჯექი. ყოველი წამი მახსოვს, ყველა სიტყვა, შენს მიერ წარმოთქმული. გამთენიისას დაგშორდი! ვიცოდი, მომნატრებდი. გული მიგრძნობდა. სულ შენზე ვფიქრობდი, გელოდი...

მეორე დილით დედის საფლავზე გავედი. მომენატრა დედა, მაგრამ დიდხანს ვერ გავჩერდი, გული სახლისაკენ მიმიწევდა. დავბრუნდი თუ არა, სულ სარკის წინ ვტრიალებდი. არასოდეს მომხდომებია აგრერიგად გალამაზება, როგორც იმ დღეს. ვუმზერდი ჩემს თავს და საოცარი სიხარულით მევლებოდა გული. ტელეფონის ყოველ ზარზე გული მიქანდებოდა. მაგრამ არ დარეკე. პირდაპირ სახლში მოხვედი... ხელში უზარმაზარი თაიგული გეჭირა.

— ეს თქვენ, ქალბატონო თეკლე! — მითხარი და თაიგული გამომიწოდე, — თქვენი მონა-მორჩილი, თქვენით განკურნებული და თქვენზე უგონოდ შეყვარებული — გიგა ბარამიძე! — თავი დამიკარი, მომიახლოვდი და ხელზე მეამბორე.

— თეკლე, გჯერა ერთი ნახვით შეყვარების? — შეპარვით მკითხე.

— მჯერა... ახლა მჯერა, — ამოვიღელფლე და თვალები დავხუჭე. მთელი სხეული მითრთოდა. ჩემი ხელი გულზე მიიდე და მიმიზიდე. ძალიან, ძალიან დიდხანს ვიდექით ასე.

— მაინც როგორ მომნახე?

— ეს ჩემი საიდუმლოა. მთავარი ისაა, რომ გიპოვე. დღეიდან ვეღარ დამისხლტები, სულ ჩემთან იქნები, აღარსად გაგიშვებ! გაიგე?

— ჰო, გავიგე! — გითხარი ცრემლები ჩამომცვიდა.

— თეკლე, რა გატირებს, რა მოგდის?

— არ ვიცი, გიგა...

— რა დროს ცრემლებია... დღეს ჩვენს ქუჩაზე დღესასწაულია! გაგაცინ, თეკლე... დღესასწაული... მოდი შენ კონკია იყავი. მე კი — უფლისწული ვიქნები. შენ დაიმალე, მე კი — გიპოვნი.

შენ დაიხარე. ფეხიდან ქოში გამაძრე და ფანჯრიდან გადაისროლე. გიყურებდი და აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი. მერე, გარეთ გავარდი. ათი სართული ფეხით ჩაირბინე. გულმოდგინედ ეძებდი ბუჩქებში გაუჩინარებულ ქოშს. სარკმლიდან გიყურებდი, როგორ ცოცავდი ბალახში. როცა მიაგენი, გულზე მიიხუტე ქოში და ამომძახე, ახლა ვერსად წამიხვალო. ფეხაკრეფით შემოხვედი ოთახში. ძებნა დამიწყე, ყოველი კუთხე-კუნჭული გულდასმით გადასინჯე. ვითომ ვერ ძხედავდი. ბოლოს ხელში ამიტაცე და მაგიდაზე წამომასკუპე.

— ამ ქოშის პატრონი გახდება ჩემი ქალბატონი... ჩემი სიტყვა კანონია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება!.. — თქვი და ქოში ჩამაცვი. თვალები დაგიკოცნე.

დაღამდა. დრო შეუმჩნევლად გადიოდა.

— თეკლე, რატომ ხარ ასეთი ლამაზი?

— იმიტომ რომ გიყვარვარ...

— ღმერთო, რა ჭკვიანი გოგო ხარ. ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე ლამაზი... იცი, შენნაირი ლამაზი და მომხიბლავი ქალი არასოდეს შემხვედრია. სიზმარში მგონია თავი. მოიცადე, მართლა სიზმარში ხომ არა ვარ? — თქვი და მომეხვიე, თითქოს ჩემს რეალურ არსებობას ამოწმებდი.

— გიგა, მეშინია... არ ვიცი რისი... ასე მგონია, ერთი წუთითაც რომ დაგშორდე, ვეღარასოდეს გნახავ... სისულელეა, არა?..

— სრული ჭეშმარიტებაა... ესე იგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ უნდა მიმატოვო. იცოდე, რომ მიმატოვო, მოვკვდები... ერთი წუთიც საკმარისია... გაიგე?..

— გავიგე... მაგრამ ხვალ რომ...

— მოდი, ხვალინდელ დღეზე ნუ ვილაპარაკებთ. ხვალამდე ბევრი რამ შეიძლება მოხდეს...

შიშმა გადაგვრბინა სახეზე. ვიგრძენი, როგორ დაგიმძიმდა გული. რაღაც გინდოდა გეთქვა, აგეხსნა, მაგრამ ვერ ბედავდი. არ გინდოდა დაგეჩრდილა სიხარულით აღსავსე წუთები. წუთები, რომლებიც ასე ძნელად, ასე იშვიათად დგება ცხოვრებაში. ხან ძალიან ადრე, ხანაც ძალზე გვიან...

საოცრებებით იყო სავსე ის ღამე.

ლოგინი გავშალე. ორი ბალიში ერთმანეთს მივაყუჯე. ვუყურებდი საკუთარ სასთუმალს და არარაობად მეჩვენა დღემდე განვლილი ჩემი ცხოვრება. კაბის საკინძე შევიხსენი. უკანა მხრიდან მომეპარე. მკლავები მომხვიე და მაკოცე.

— ვინ გასწავლა კოცნა? — მკითხე და თვალებში ჩამხედე. ვერ გიპასუხე და გაგიღიმე. — მცივა...

— ნუ გეშინია, ჩემთან არასოდეს შეგცივდება... არ ვიცი რას ვჩადი, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია... ვიცი, არა მაქვს უფლება... არა მაქვს, არა... გესმის... მე მინდა რომ შენ ბედნიერი იყო, თეკლე! ყველაზე ბედნიერი ამ ქვეყანაზე.

— მოდი ნუღარაფერს მეტყვი...

სინათლე ჩავაქრე. ბნელმა მოიცვა ოთახი. მხოლოდ შენი სუნთქვა მესმოდა. სულ, სულ ახლოს. ხელში ამიყვანე, მე კი ხელები მოგხვიე და გავუჩინარდი შენს მკლავებში.

ღმერთო, ნუთუ იმ ღამეს ჩვენთვის მოიცალე და სულ თვალს გვადევნებდი...

— თეკლე... თეკლე!.. — შემომესმა უცებ მკაცრი ხმა. გამოვერკვიე. შენს ხმას არ ჰგავდა.

— გიგა, შენ დამიძახე? — კკითხე შეცბუნებულმა.

მაშინვე ფანჯარას მივვარდით. გადავიხედეთ, მაგრამ არავინ ჩანდა. ანდა მეთე სართულზე ასე მკაფიოდ როგორ ამოაღწევდა ჩემს სახელად დაღვრილი ბგერები. არავინ იყო. შენც შეგეშინდა. თითქოს განგებამ დაგვიფრთხო მყუდროება. გვიან შევიცანი მამაჩემის ხმა. ჟრუანტელმა დამიარა. შენ ხელი გამიშვი და განზე გადექი.

— მამაჩემის ხმა იყო... მამაჩემის... ღმერთო ჩემო... რა საოცარი ღამეა... მეშინია... შეიძლება გული გამიკდეს...

— ვეღარ ვმალავდი სასოწარკვეთას.

— თეკლე, ალბათ, ასეა საჭირო... უნდა წავიდე... ეს გაფრთხილება იყო. ვიცი, ვიცი, ასეა საჭირო. შენ მოგვიანებით მიხვდები ყველაფერს...

— არ წახვიდე, თორემ მოვკვდები, ანდა ჭკუიდან შევიშლები, ნუთუ დამტოვებ?..

— ნუ გეშინია, შენთან ვიქნები... ოღონდ... რომ იცოდე, როგორ მიჭირს ყველაფრის ახსნა...

— ვიცი, რაც უნდა მითხრა.. შენ ავადა ხარ... გგონია, არა გაქვს უფლება ჩემს ცხოვრებაში შემოხვიდე. მესმის, ყველაფერი მშვენივრად მესმის... მაგრამ არ მინდა გავიგო, არ მინდა ყველაფერი ავწონ-დაწონო... მაშინ ხომ ყველაფერს აზრი დაეკარგება... ნუთუ არ გესმის...

— მოდი, დავიძინოთ, — თქვი და ლოგინზე დაეშვი. ჩაგეძინა.

მე კი გვერდით გეჯექი და გაოგნებული გიყურებდი მთელი ღამე. მინდოდა მოგფერებოდი, ხელი მაინც შემეხო შენთვის, მაგრამ ვერ ვბედავდი. შიშმა გამბედაობა შემომაცალა და გახევებული ვიჯექი.

ნანთა. არ მიყვარს განთიადი. ასე მგონია, განთიადმა შთანთქა, მოგონებების ნამსხვრევებად აქცია ის საოცარი ღამე. ავტირდი. მეც არ ვიცი, რას ვგლოვობდი. საოცარია ადამიანის ბუნება... თითქოს, ჩუმად, ჩემგან დამოუკიდებლად ჩამძახოდა ვიღაც, იტირეო... სწორედ ამ დროს გაგეღვიძა. თვალები მოისრისე და როცა დამინახე, გაგეღიმა.

— შენ რა, კიდევ იცრემლები... ნუ ჩქარობ. ცოტა ცრემლი მომავლისთვისაც შემოინახე. და თუ არ იშლი შენსას, მოდი, ერთად ვიტიროთ. თუმცა რატომ? როცა შეიძლება ვიცინოთ... გინდა, ერთ სასაცილო ანეგდოტს მოგიყვები...

— არა.. არ მინდა.. სჯობია ვისაუზმოთ...

—სიამოვნებით. ოღონდ შენ დაწექი და მე თავად მოგართმევ საუზმეს, ჩემო პატარა ქალბატონო, მითხარი და სამზარეულოსკენ გაემართე. ყავა და ნამცხვარი მოიტანე. თვითონ მაჭმევდი... თან პატარა ბავშვივით მაფრთხილებდი, აბა ვინ უფრო დიდზე გააღებს პირსო, ღმერთო, რატომ იყავი ისეთი თბილი, ისეთი კარგი...

...იმ საოცარი ღამის შემდეგ, შიშმა ჩაიბუდა ჩემს არსებაში. შიშმა კი არა, რაღაც გაურკვეველმა, ვეებერთელა ძალამ. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ მამაჩემთან უჩინარი ძაფებით ვიყავი დაკავშირებული. ღმერთო ჩემო, რა დიდი საიდუმლოებითაა მოცული ადამიანი.

მამა მომენატრა. მინდოდა საჩქაროდ მენახა, მომეყოლა ყველაფერი, რაც თავს გადამხდა იმ ღამეს. გამეხარდა, სახლში რომ დამხვდა. იწვა, შეუძლოდ იყო.

— თეკლე, რა კარგია, რომ მოხვედი, წუხელ ძალიან ცუდად გავხდი. თავად არ ვიცი, რა დამემართა. მთელი ღამე სიზმარში გხედავდი. თითქოს რაღაც გიჭირდა, სულ გეძახდი... შენ კი გამირბოდი... — მითხრა და გადამეხვია.

ავტირდი. ბოლო ხანს შემომეჩვია ეს წყეული ცრემლები. ასე მეგონა, მთელს სამყაროს ვგლოვობდი. თითქოს ყველას ცოდვა ჩემი ცრემლებით უნდა გამომეგლოვა. თვით ეშმაკი შემმარცოდა სხეულში და მაძალებდა ყველაფერზე და ყველაზე ერთბაშად მეფიქრა, მეზრუნა, გამოსავალი მეძებნა და მივშველებოდი...

ვუყურებდი მამას და გული სევდით მევსებოდა. მისი ყველაფერი მომწონდა. სულ ვცდილობდი, მიმებაძა მისთვის. მთელი ცხოვრება ამ პატარა კაბინეტში გაატარა, წიგნებითა და სურათებით გამოჭედილ პატარა ბუნაგში. სხვა არაფერი უნდოდა. იქნებ უნდოდა კიდეც... ოპერაციები, ექსპერიმენტები... კი, რითი სულდგმულობდა. დანარჩენი კი მისთვის მეორეხარისხოვანი იყო. ნუთუ მეც, მეორე ადგილზე ვყავდი, თავისი საქმის მოქმა. ნუთუ არსებობს შვილზე უფრო დიდი და მაღალი ცნება... ალბათ, არსებობს...

— მამა... ძალიან მომენატრე... — ჭიღარა თმაზე მივეფერე. — მინდა რაღაც აგიხსნა და ვერ ვახერხებ, სიტყვებს ვერ ვპოულობ. გული გამისკდება, ყველაფერი რომ არ გითხრა...

— რა დაგემართა, თეკლე, თვალები ცრემლებით გაქვს სავსე. ხომ არაფერი შეგემთხვა?

— შემემთხვა, ჰო, შემემთხვა, ოღონდ ვერ გამიგია, რა... ასე მგონია, ჩემივე ტყავიდან გამოვძვერი და შემოძარცული დავდივარ, — ვთქვი და ცრემლები მოვიწმინდე. — მამა... წუხელ ღამით, შენი ძახილი შემომესმა...

— მერე... გიშველა ჩემმა ძახილმა?

— არ ვიცი, იმ წუთიდან თავი დავკარგე...

— მარტო იყავი?

— არა... შეეხვდი თუ არა, შემიყვარდა. არაფერზე არ მინდოდა მეფიქრა... და უცებ... შენი ძახილი...

— მე კი მეგონა, გიჭირდა...

— ის ავად არის, ავად. ნეტავ არაფერი გამეგებოდეს, არ ვიცოდე, რაც ელოდება... არ ვიცი, როგორ მოვიქცე...

— რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს... — მითხრა და გულში ჩამიკრა. — განგების ნება-სურვილს წინ ვერ დაუდგები. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება...

...დრო გადიოდა. შენი ჯანმრთელობა კი დღითიდღე უარესდებოდა. გადაწყვიტე საავადმყოფოში გადასულიყავი სამუშაოდ, გვერდიდან რომ არ მოგცილებოდი. შენი პალატის ექიმად დანიშნეს. მთელი საავადმყოფო ფეხზე

იდგა, ყველა ცდილობდა დაგხმარებოდა, თავს გვკლებოდნენ, ყველას უყვარხი, განა შეიძლებოდა შენი არ შეყვარება. გოგონები შურის თვალით მიყურებდნენ, ყველასგან გამორჩეული რომ გაგიდი.

ბედნიერების საზომი წამები ყოფილა, მარადისობაში გადასული... გარდასულ დღეთა მოგონებები მასულდგმულებს. შენთან გატარებული ყოველი წამი ბედნიერებად დაეღვარა ჩემს სულს. ის ოცდათხი საათი, ბოლო დღე-ღამე ჩვენი ერთად ყოფნის, მოსვენებას არ მაძლევს. ნეტავ, როგორ დაიტია ერთმა დღეღამემ ასეთი დიდი ბედნიერება და ასევე განუზომლად დიდი უბედურება? საოცარია...

...სასოწარკვეთილმა ისევ მამაჩემს მივაშურე. იმის მეტი არავინ მყავდა ამ ქვეყანაზე. ის თუ არა, აბა ვინ გაიგებდა ჩემს მწუხარებას...

დამინახა და ყველაფერს მიხვდა, ყოველნაირად ცდილობდა დავემშვიდებინე.

— ადამიანს აღარ ჰგავხარ... დაწყნარდი... ყველაფერი მიამბე, იქნებ გულზე მოგეშვას... — მითხრა და გვერდით დამიჯდა. ხელებს მიკოცნიდა. პატარა ბავშვივით მეფერებოდა.

— მამა, მე ყველაზე უბედური ვარ ქვეყანაზე, - ყველაზე უბედური... მიშველე, თორემ გასკდა გული... სიცოცხლე აღარფრად მიღირს...

— შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, მთელი ცხოვრება წინ გაქვს. ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ თვალს გაუსწორებ ცხოვრებას... შენ ბედნიერი ქალი ხარ... სიყვარულით სავსე... ყველაფერი წარმავალია... მხოლოდ სიყვარულია უკვდავი...

— მამა, მე შვილი მეყოლება... — ვთქვი და მხოლოდ მაშინ გავიცნობიერე ჩემივე სიტყვები, — ვგრძნობ, მთელი არსებით ვგრძნობ... სხვანაირად არც შეიძლება...

გუშინ ღამით მორიგე ვიყავი. მთელი დღე აფორიაქებული დავდიოდი. ადგილს ვერ ვპოულობდი. გიგას სისხლი გადაუსხეს. საღამოს თითქოს მოიმატა. თვალები ძვლებურად უბრწყინავდა. მთელი დღე ოხუნჯობდა. სიხარულით ცას ეწევე. ავადმყოფებს სასწრაფოდ ჩამოვუარე და პალატაში ფეხაკიკეფით შევიპარე. გიგას ეძინა. მაგიდაზე ამები დავუხვევე და ის იყო გამობრუნება დავაპირე, გიგამ ხელი წამავლო და მძინარე ხმით შემეკითხა:

— თეკლე, ჩემთან დარჩი... სიმარტოვის მეშინია...

— ნუ გეშინია, გიგა, არ წავალ... სულ შენთან დავრჩები, ოღონდ ერთხელ კიდევ ჩამოვუვლი ავადმყოფებს, ხომ იცი, მორიგე ვარ.

— არ წახვიდე, როცა მარტო მტოვებ, ასე მგონია, სიკვდილს ვუახლოვდები...

—ჰო, კარგი, კარგი, არ წავალ...

იქვე, საწოლზე ჩამოვჯექი. საბანი გავუსწორე და გავუღიმე.

— ოხ, შე მშიშარა... მე შენი იმედი მაქვს, შენ კი სულ წუწუნებ, არ გრცხვენია? — თვალები მოვჭუტე და თმაზე ხელი გადავუსვი.

— თეკლე, რატომ ხარ ასეთი ლამაზი?

— იმიტომ რომ გიყვარვარ!..

— დავიჯერო, ქვეყანა დაიქცევა, კარი რომ ჩაკეტო? — მოულოდნელად წარმოსთქვა გიგამ და დიდი თვალები შემომანათა.

— შენ რა, ხომ არ გადაირიე, გინდა სამსახურიდან გამაგდონ? — თავი მოვიკატუნე.

— რას გაიგებენ, ახლა შუაღამეა. ყველას ძინავს. თუ გინდა, მე ჩავკეტავ, ახლავე ავდგები, — გიგა წამოიწია. შევაჩერე.

— დიდი დაუდეგარ ვ. ნმე ხარ, რას არ მოიგონებ, კარგი, კარგი, არ გაინძრე, მე თავად...

შენელებული მოძრაობით კარი გადავრაზე და გავშეშდი. არ მინდოდა ხვალინდელ დღეზე მეფიქრა. თვალწინ

მარინა არაკიშვილი
როგორ ვეძებდით სიზმარში მამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგას უცოდველი თვალები დამიდგა, მისი სიცოცხლეგამოცლილი თეთრი სახე და ლურჯ სისხლძარღვებად ქცეული ჯრძელი ხელები.

— თეკლე, მოდი ჩემთან, სულ ახლოს მოდი, ნუ გეშინია, ხელი მომეცი, — გიგამ ჩემი ხელი ლოყაზე მიიდო და თვალები დახუჭა. წარმოიდგინე, მომწონს კიდევაც ჩემი ხვედრი. ბედს არ ვემდური. ალბათ, ასე მიწერია ბედის წიგნში...

ვუსმენდი გიგას და საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. ბევრი უიმედო ავადმყოფი მინახავს, მაგრამ ასეთი უშიშარი და მაღალსულოვანი — არსად. ვუყურებდი და მინდოდა მეკივლა, მეტირა, მეშველა, მაგრამ ისე მოსდებოდა მაჯლაჯუნა მის სხეულს, რომ ამაო იყო ყველაფერი. მაგიდაზე დახვავებულ ამბების გროვას ხელი გავკარი და იატაკზე გადავყარე. სული დამიმძიმდა. იმდენად დამიმძიმდა, რომ თავს ვეღარ მოვერიე, სინთლე ჩავაქრე და გიგას მივუახლოვდი. ხელები უთრთოდა. ვგრძნობდი, როგორ უბრწყინებოდა სითბო მის გაყინულ ხელებს. მინდოდა რამე მეთქვა. დამეშშვიდებინა, ძალა ჩამედგა, მაგრამ სიტყვები ზედმეტი იყო.

ის შშვიდად იწვა და მელოდა. მე უნდა მეხსნა იგი უმწეობისაგან, რომელსაც მისი ამაყი სული ვერასოდეს შეეგუებოდა; მე უნდა დამემტკიცებინა მისთვის, რომ იგი სიცოცხლით იყო აღსავსე, ჯერ კიდევ შესწევდა უნარი დამტკბარიყო სიცოცხლით. მთელი არსებით ვგრძნობდი, რომ ეს ღამე მარცლაც ბოლო იქნებოდა ჩვენთვის, ორივესათვის. დრო თავისას ითხოვდა და უნდა ავჩქარებულიყავი, რათა ყველაფერი მომესწრო, მომესწრო მისი დაბრუნება სიცოცხლეში...

— გიგამ მძლავრად ჩამიკრა გულში. კვლავ დაუბრუნდა მის მკლავებს ძალა...

...გონს რომ მოვეგე, შუაღამე გადასულიყო. გიგას არ ეძინა. სარკმელს მიშტერებოდა გაყინული თვალებით. ნეტავ, რაზე ფიქრობდა. სინათლე ავანთე, არ განძრეულა. შიშმა შემიპყრო. ხელი ვტაცე და შევანჯღრიე. სახე გაფერმკრთალებოდა, ხელებიც ცივი მომეჩვენა.

— გიგა, გიგა, რა მოგდის!.. — განწირული ხმით წამოვიყვირე, — გიგა, ხმა გამეცი.

— რა მოგივიდა, შეშლილი გაქვს სახე... — თავი შემოაბრუნა და თითქოს ვერ მიხვდა ჩემი ყვირილის მიზეზს, შშვიდი ხმით მითხრა.

— ღმერთო ჩემო, მე კი...

— თეკლე, შენ ჭკვინი გოგო ხარ და ყველაფერს უნდა შეეგუო...

— რას უნდა შეეგუო... რას მეუბნები... სულ არ გეცოდები, გიგა. — ძლივს დავამთავრე სათქმელი და ტირილი ამივარდა. თავს ვერ ვიკავებდი, უჩვეულო, კოშმარულ სიზმარში მეგონა თავი. ტირილი მრისხანებაში გადამეზარდა და შეკუბე:

— არ გიყვარვარ... არა, სულ არ გეცოდები!

—სულელო, შენ უკვე გადაიტანე ჩემი სიკვდილი.

— გიგა, რას ამბობ, რა სულ სიკვდილზე მელაპარაკები, რა მოგდის. ნუთუ ვერ ხვდები, რომ უშენოდ...

— შენ დიდხანს უნდა იცოცხლო. ძალიან დიდხანს... გაიგე?

— ვერ გავიგე და არც მინდა გავიგო...

— ყური მიგდე, თეკლე, შენ პატარა გოგო არა ხარ. ჩემი გადამკიდე, კიდევ ბევრ სიმწარეს იგემებ. ღმერთია მოწამე. არ მსურს შენი წამება. მაგრამ, ალბათ, შენი ხვედრიც ეს ყოფილა. მთავარია, რომ ერთად ვართ. წინ კიდევ მთელი ღამეა... ნუ გამახსენებ ხვალინდელ დღეს... გემუდარები. მინდა ბევრი გელაპარაკო, ყველაფერი გითხრა. მინდა მოგიყვე ჩემს ცხოვრებაზე, ჩემს ფიქრებზე, მინდა ყველაფერი ერთ სიტყვაში ჩავატიო... რა ცოტა დრო გვაქვს!.. მინდა ყველაფერი მოვასწრო. შენ ყველაფერი უნდა იცოდე!

გიგას სახე დაუნაღვლიანდა. თვალის უპეები ჩაუშავდა.

— მამაჩემი, მამაჩემი ხომ არ გამო-

ჩენილა... თეკლე, თვალი ხომ არ მოგიკრავს მამაჩემისთვის... თუმცა შენ მას არ იცნობ, საიდან მიხვდებოდი, რომც მოსულიყო... გვიან მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება ველოდი... ახლაც ველოდები, მოვა, ვიცი რომ მოვა... თუ ცოცხალია, უნდა მოვიდეს. მაგრამ ვგრძნობ, რომ დაადგენდება... მას ყოველთვის სადღაც ეჩქარებოდა... ახლა რატომ არ ჩქარობს... ბავშვობიდან ბევრი რამ მაკლდა... პირველად შენ გეუბნები. მამაჩემი მაკლდა. მისი სითბო მაკლდა, სახლს მისი სუნი აკლდა, დედაჩემს — მისი ძალა და მხარი.

სულ სხვა მამები ავსებდნენ მის ადგილს. გულდაწყვეტილი ვიყავი, მშურდა ჩემი ძმაკაცების. ერთხელ სიზმარში ვნახე. უკვე დიდი ვიყავი. ვითომ ავიზაკები თავს დასხმიდნენ და ულმობლად სცემდნენ. მიწაზე დაენარცხებინათ და წრიალებს ურტყამდნენ. მყისვე იქ გავჩნდი, ამირანის ძალა მომეცა. ყველანი მიწას დავანარცხე, ფეხზე წამოვაყენე და დასისხლიანებული, ზურგით დიდხანს ვატარე. მსგავსი კმაყოფილება არასოდეს განმიცდია. გამეღვიძა თუ არა, მისი სამსახურისკენ გავწიე. იქ დამხვდა. საჩქაროდ მოვუყევი სიზმარი. მან კი ცივად გადმომხედა და მითხრა, დედაშენის ფიქრები გადმოგცემია, ორივე იმაზე ფიქრობთ, ჯვარზე გამაკრთ როგორმეო. ვიდექი დამცირებული და შეურაცხყოფილი. ენა არ მემორჩილებოდა, ვერ მოვახერხე ამეხსნა, რომ მე მისი სისხლი ვარ, რომ მე მისი შვილი ვარ და მეტი არაფერი. მაგრამ ვერ ვუთხარი. ისე დავშორდით, რომ ვერ ვუთხარი. დატუქსული ბავშვივით თავჩაქინდრული ვიდექი. ის კი ეკითხე, რატომ ჩვენთან არ მოდიხარმეთქი. მან კი მიპასუხა: არ მცალია, დაკავებული ვარ. თანაც მოაყოლა, პატარა ხომ აღარა ხარ, რომ მოვიდე და გეფეროო. მერე ჯიბეზე გიკრავ ხელი, თუმნიანების დასტა ამოიღო, გამომიწოდა და მითხრა: ეიცი, ამისთვის გამოგაგზავნა დედაშენმაო. ფულის დასტა გამოვართვი და მივაყარე. სიშმაგეს თუ დაინახავდა იგი ჩემს თვალებში, მეტს ვერაფერს. თავქუდმოგლეჯილი გამოვვარდი. მისი სახელი ისევ ნებაც კი მაცოფებდა... მიეედი თუ არა სახლში, მისი სურათები მოვაგროვე და დავწვი. ვუყურებდი. როგორ იფერფლებოდა მისი სახე... ერთხელ, ორჯერ... სამჯერ... ათჯერ... და შვებას ვგრძნობდი.

დრო გავიდა. ერთხელ ძმაკაცის სასამართლოზე ვიყავით ბიუმში. ჩხუბისთვის ასამართლებდნენ. დაბოღმილი ვიყავი. დღის ბოლოს, ჩვეულებისამებრ, პატიმრები სასამართლოს შენობიდან გამოჰყავთ და საპატიმროს მანქანით ციხეში აბრუნებენენ. პატიმართა პატრონება მანქანის ირგვლივ იკრიბებიან, ზოგი ტირის, ზოგიც რჩევას ადევნებს, ზოგ პატიმარს კი — ლანძღვა-გინებას აგებენენ. და კიდევ რა ვიცი, რას... ჩვენ სიგარეტები გვინდოდა გადაგვეცა. მილიციელს ნებართვა ვთხოვე. ღვთისნიერი აღმოჩნდა, მიმიშვა მანქანასთან; ხელში სიგარეტის კოლოფები მეჭირა და გვერდით მჯდომ პატიმარს მეკანიკურად გადავეცი, ისე რომ არც შემიხედავს. გარეთან მივაძახე, გამაგრდით-მეთქი; უცებ გული შემეკუმშა და უცნობი პატიმრის მზერა სახეზე შემეყინა. შემოტრიალდი და დავაკვირდი. გაუნძრევლად იჯდა. მომშტერებოდა. ცივმა ოფლმა გამოჟონა საფეთქლებთან. მამაჩემი იყო... მამაჩემი... გესმის; მამაჩემი პატიმართა მანქანაში, თავგადაპარსული, სახემორყეყეული... ფერდაკარგული... ვერაფერი ვუთხარი. ენა ჩამივარდა, ისიც ღუმდა. ბიუმები გაკვირვებულები მიყურებდნენ. ვერაფერი გაიგეს. მთელი კვირა აღრენილი დავდიოდი. ერთხანს გადავწყვიტე, მივსულიყავი და მენახა. მეცოდებოდა, როცა წარმოვიდგენდი, რომ ის, მამაჩემი, პატიმარი იყო, დამცირებული და შეურაცხყოფილი, ჩარაზულ საკანში გამომწყვდეული. გული მისივდებოდა. მაგრამ მაინც ვერ ვაპატიე, გესმის, ვერ ვაპატიე. როცა მარტო ვრჩები, მინდა გავუტყდე თავს, რომ მიყვარს, უსაზღვროდ მიყვარს... და უიმისობა არ შემიძლია. ალბათ, მილიონჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს წარმოდგენილი, სადღაც, მიყრუებულ კაფეში ვსხედვართ მე და მამაჩემი, ვსაუბრობთ, ერთმანეთს კაცურად ვებაასებით, ვსვამთ, ვიცინით...არ ვაბატე... არც მან მაბატია. იქნებ მე, უმცროსს უნდა მეპატიებინა... მაგრამ არა და არა... არ შემეძლო აქამდე. იქნებ ახლაც არ შემიძლია... მაგრამ მინდა, ძალიან მინდა თვალი შევავლო... დავინახო. ეს არის ჩემი შეცდომა... ვიცი, ჩემი ბრალია... უნდა მომეძებნა სიტყვები, ჯადოსნური სიტყვები და ამეხსნა მისთვის ყველაფერი პატარა ბავშვივით. მაგრამ ვერ შევძელი. მეგონა თვითონ დადგებოდა ის დღე, როცა გაირკვეოდა ყველაფერი, მამაჩემი თავად მიხვდებოდა ჩემს გულისტკივილს, მაგრამ არ დადგა ის სანატრელი დღე. ახლა უკვე გვიანია. ჩვენს შორის დიდი სიშორეა. ალბათ, ვეღარ დავეწევით ერთმანეთს. თუკლე, ვინ გიყვარს ყველაზე მეტად? გამოტყდი!

— მამა, გიგა, მამა... — ვუპასუხე და ავტირდი.

— ვიცი, ვიცი და იმიტომაც კკითხე. თვალებზე ვეტყობა. შენ როგორ გგონია, მოვა?

— მოვა, გიგა, აბა რას იზამს, უნდა იგრძნოს და უნდა მოვიდეს.

გიგამ ცივად ჩაიღიმა. მის ღიმილში უიმედობა გამოსჭვიოდა. საბანი შევუსწორე. ვაკოცე და პალატიდან გამოვედი.

...სული მეხუთებოდა, ავფორიაქდი, გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მეპოვნა გიგას მამა. უკვე გათენებულიყო. სასწრაფოდ ჩავიცვი და ქუჩაში გამოვედი. დიდხანს ვიბორიალე, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი მოვიფიქრე. სახლისაკენ გავწიე, ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ, იქნებ ტელეფონების წიგნში აღმოვაჩინო-მეთქი, გიგას მამის მისამართი. მაგრამ, საუბედუროდ, ამ გზით ვერ მივაკვლიე. მისი ნათესავიც კი არ შემხვედრია.

გადავწყვიტე გიგას დედასთან მივსულიყავი. იქნებ მან იცოდეს ყოფილი მეუღლის ადგილსამყოფელი და მეშველოს-მეთქი, მაგრამ წარმოვიდგინე, რა დაემართებოდა ჩემს დანახვაზე. ... იქ მისვლა მხოლოდ გიგას სიკვდილს თუ ამცნობდა. შემებრალა. სხვა გზა უნდა მეძებნა და თანაც დაუყოვნებლივ.

გიგა გამახსენდა. გული შემოქანდა. ისე უცებ მივაბოვე, ალბათ იფიქრა, მყისვე დაბრუნდებაო. მელის და თან ნერვიულობს, მაგრამ სანამ მამას არ მოვუძებნი, არ დავბრუნდები...

საგონებელში ჩავვარდი. რა არ ვიღონე, სად არ ვიყავი. მეგობარმა ქალმა მიხსნა. დამიდგინა გიგას მამის მისამართი.

სულმოუთქმელად ავირბინე კიბე და ზარი დავრეკე. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, ცნობისმოყვარეობით სული მელეოდა. კარი მოგვიანებით გაადეს. ბნელ დერეფანში ქალი იდგა. გაკვირვებით შემომხედა და კკითხა:

— ვინ გნებავთ?

— მე, მე ბატონი გივი მინდოდა, ქალბატონო!.. თუ შეიძლება სთხოვეთ, სასწრაფო საქმე მაქვს!

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე გიგას მკურნალი ექიმი ვარ...

გივი სახლში არ გახლავთ... მე, მისი მეუღლე ვარ. რა, ავარიაში მოყვა?.. ასეა, როცა გაუჭირდებათ, მაშინ ახსენდებთ მამები... ამდენ ხანს სად იყო?.. ახლა გახდა ყურადღებიანი შვილი?.. მე, სამწუხაროდ, ვერაფრით დაგეხმარებით... — მითხრა და კარი ცხვირწინ მომიკეტა.

ჭკუიდან შეშლას აღარაფერი მაკლდა, კვლავ დავრეკე ზარი, მაგრამ კარს არ აღებდა ეს ღვთისპირიდან გადავარდნილი. ძალა არ მეყო, თორემ კარს შევანგრევდი... შემძულდა გიგას მამა, აი, რატომ გამხდარა ასეთი უხეში, უგულო. თურმე ასეთი ქალებიც არსებობენ, არსებობ ნ და არა მარტო არსებობენ, მამაკაცები გადაგვარებამდე მიჰყავთ. მუშტები დავუშინე კარებს, მაგრამ ამაოდ. მერე მეზობლის კარს მივადექი. დავაკაკუნე. მამაკაცმა გააღო კარი. შეცბა, ასეთ მდგომარეობაში რომ დამინახა. ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი:

— ბატონ გივის შვილი მძიმედ ჰყავს ავად, გთხოვთ დამეხმაროთ და გადასცეთ: დაუყოვნებლივ ინახულოს გიგა საავადმყოფოში. მეოთხე სართული, მეცამეტე პალატა... გემუდარებით... სასწრაფოდ მოვიდეს...

— კარგით, გენაცვალე, აუცილებლად გადავცემ, — დამაიმედა მეზობელმა.

საავადმყოფოსაკენ გავემართე, თითქოს დიდი ტვირთი მომეხსნა, გიგა მომენატრა, თეირი ხალათის ჩაცმაც დამავიწყდა, ლაბადით შევვარდი პალატაში.

პალატა ცარიელი დამხვდა. ლოგინიც აელაგებინათ. თავზარი დამეცა. სარდინატოროში შევიხედე. გოგოები დაღვრემილები ისხდნენ, თვალს ვერ მისწორებდნენ.

— სად არის გიგა, სად წაიყვანეს? — დავიყვირე.

— თეკლე, გიგა აღარ არის...

თავზარდაცემული კიბეზე დავეშვი. ყოველ შემხვედრ მამაკაცს ვაჩერებდი და ვეკითხებოდი, გიგას მამა ხომ არ ხართ-მეთქი. განცვიფრებულები მიყურებდნენ და უარის ნიშნად თავს აქნევდნენ. როგორც იქნა, ჩავაღწიე მორგამდე. ყველა კარი შევაღე. არავინ იყო. მდუმარებას მოეცვა იქაურობა. გრძელი, ჩამუქებული საკაცეები, სუდარაგადაფარებულები ჩამწკრივებულიყვნენ მიცვალებულთა მოლოდინში. ჟრუანტელმა დამიარა. ცრემლები მივლისით მცვიოდა. ბოლო კაბინეტს მივუახლოვდი. კარი შევაღე და თვალთ დამიბნელდა. ვიღაც მამაკაცმა მომკიდა ხელი. თვალები გავახილე და ვკითხე.

— თქვენ -გიგას მამა ხართ, ჰო, თქვენ გიგას მამა ხართ! თქვენ მას ძალიან ჰგავხართ! მითხარით, გემუდარებით, რომ თქვენ გიგას მამა ხართ!

— არა, გენაცვალე, აი, იქ დგას გიგას მამა, — მითხრა და ხელი ფანჯრისაკენ გაიშვირა.

ჩია ტანის კაცი შევნიშნე. ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და ოფლს წამდაუწუმ იწმენდდა. გამომხედა.

თითქოს დავმშვიდდი. თანდათან ვეცნობიერებდი ჩემს მწუხარებას. ... გიგა დამიდგა თვალწინ. მაგიდას შევხედე. ორი ოპერატორი დასტრიალებდა თავს გიგას სხეულს. ის კი იწვა, თითქოს ეძინა. თმები შუბლზე ჩამოსწეწოდა გამოშიგნულს, უსულოს, უსიცოცხლოს. დედის კივილი მიწიოდა ყურებში. შემოვტრიალდი, მამამისს შევხედე. გაქვავებულიყო. მაშინ მივხვდი, რამდენი ცხოველური ყოფილა ადამიანში. მამა უყურებს თავის შვილს, ყელამდე გაკვეთილს, უკვე არამიწიერს და ცოცხალია. დუმს. თვალებსაც არ ხრის, არ იმალება, არ ინანებს თავის დანაშაულს, ფეხებს არ უკოცნის სისხლძარღვებად ქცეულ შვილს. ნუთუ ამ ამაზრზენ ოთახში მოიყვანა განგებამ იგი, რომ დაესაჯა... ასე მოუზღო სამაგიერო...

...სული შემეხუთა. დერეფანში გამოვედი. არ ვიცოდი, სად წავსულიყავი. გულმა შენკენ გამომიწია და მოვედი. შენ ყველაფერი იცი, მამა... მომეხმარე, რომ გავუძლო ყველაფერ ამას... რა მწარეა, რომ იცოდე... რა მწარე... როგორ მინდა, რომ სიზმარში ვიყო, უსასრულო სიზმარში და არასოდეს გამოვიღვიძო...

...შენ ჯერ პატარა ხარ, უსუსური და უმანკო, ჩემო პატარა ბიჭო. დიდი დრო გაივლის, სანამ ჩემს გულში ჩაიხედავ, ჩემს ფიქრებს შეიტყობ. იქნებ სჯობს, არც გაგრძნობინო, არც მოგითხრო, არც გაგაგებინო. ცხოვრება გრძელია, ისედაც ბევრ ტკივილს იგემებ წუთისოფლისაგან... გულში ჩავიმარხავ ყველაფერს. თავად ვიტვირთებ ყოველივეს, ოღონდ აგაშორო ტკივილი. შენ, მამის სიშორეც გეყოფა ტკივილად. მამის ბედი დაგყვა, ჩემო პატარა გიგა... მთელი ცხოვრება მამას უნდა ელოდო, უნდა ეძებო. ყველა უცხო მამაკაცი მამაშენს შეადარო... ვიცი, ჩემო ბიჭო, ბევრჯერ დაგწყდება პატარა გული, ბევრჯერ მომიახლოვდება აცრემლებული, ვერაფერს მეტყვი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

ავტოპორტრეტი. 1986.

ერთ მშვენიერ დღეს ის შეადნა საწერ
მაგიდას.

გაილია სტრიქონებში...
მტკრად დაცვივდა ფურცლებს შორის,
გაითქვიფა უსახელო ქარის ზუზუნში...

ხოლო მისი ხმა
შემოდგომის ხმელ ფოთოლთა
წყნარ შარიშურს არ შერევია —
ის შეუერთდა პროსპექტების
კაკაფონიას,
დარბაზების ტაშს აედევნა,
ჩაიკარგა ის ცხოვრების ფსკერის
ქვითინში...

ხოლო მისი ფიქრი
მთებისაკენ არ წასულა,
რომ იქ დამდგარ ნისლს შერეოდა,
არამედ ყალთამ ქუჩებს გაუყვა,
აგუნდავდა ტალახთან ერთად,
ტერფიც შეეხო.
საბურავმაც გადაუარა...

ხოლო მისი გული,
ღმერთო ჩემო,
ხოლო მისი სიყვარული,
ღმერთო ჩემო,
მთლად უკვალოდ გაუჩინარდნენ...
და რაღა დარჩა: მხოლოდ ფიტული...
მხოლოდ ლანდი...
და ის ჯერაც მაგიდასთან ზის
და ნოსტალგიით შეპყრობილი
ლექსებსა წერს
მთლად უკვალოდ გამქრალ გულზე
და იხსენებს...
და თანდათან ხსოვნაც გაურბის
მთლად უკვალოდ —
და მტკრად ცვივა ფურცლებს შორის,
იკარგება უსახელო ქარის ზუზუნში...

●

ის სიტყვა ჩემი მეზობელია,
თანაგრძნობის შუქს რომ გამოსცემს...

ბევრჯერ მიგრძვნია
მისი თბილი
ხელის შეხება
უდეთოდ დაცემულს უცხო ბილიკზე,
ღვარის ნათრევს და ტალახში
პირქვედამხობილს,
და სიკვდილთან შერიგებულს
და ცრემლგამშრალს
და ყველასგან მიტოვებულს
ამქვეყანაზე.

●

უნდა მეთქვა,
როგორ მიყვარსო...
მაგრამ ვხედავ: ვიღაც უხილავი,
რომ ამ სიტყვებს ერეკება ჩემი
ლექსიდან...

ო, როგორ ქრება ყველაფერი
თვალს და ხელს შორის!
ცვდება,
ბერდება,
მიწას ერევა...

ეხლა ძალზე მშურს
იმ ბიჭუნასი —
სკოლის კედელზე
ფერადი ცარცით
ისარგაყრილ გულს რომ ხატავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრები

ჩემს მაგიდასთან მოდის ჩანჩქერი —
ქათქათა ქაფის ფურცლებს მიტოვებს...

ჩემს მაგიდასთან მოდის ნაპრალი —
ლუსკუმი ქვების დუმილს მიტოვებს...

ჩემს მაგიდასთან მოდის წყვდიადი —
სიზმრის ჩხრიალა კენჭებს მიტოვებს...
ჩემს მაგიდასთან მოდის ქალაქი —
ის მარტოობის ეკლებს მიტოვებს...

ჩემს მაგიდასთან მოდის სიკვდილი —
ყორნის ფრთით ნაწერ ბარათს
მიტოვებს...

●

სახელგატეხილი ღამე.
როგორც კოსმიური ცირკის გუმბათი...

კლოუნი გავიდა.
კლოუნი შემოდის.
სპექტაკლი გრძელდება...

ხოლო მე და შენ
(მაყურებელს რომ ვთამაშობთ
და ანტრაქტს რომ ველოდებით
მოუთმენლები...)
მოდი, ავდგეთ და გავიდეთ...

ამ გუმბათის ქვეშ
ჩვენთვისაც ხომ არის თუნდაც მცირე
კუნჭული,
თუნდაც ღამის ერთი ნაოჭი,
ერთი ყლუპი,
სადაც, ალბათ, უთუოდ შევძლებთ,
რომ დავიწყების ქარებს მივცეთ
ყველაფერი,
რაც ჩვენს იმედს წინ ეღობება...

მთების ნოსტალგია

მთებში გულები დარჩათ არწივებს.

ხოლო თვითონ ბარის მინდვრებს
მიაშურეს
ფრთადახრილებმა.

რკინაბეტონის გალიებში
სხედან ეხლა
და შორს —
მთებში
დატოვებულ გულებს ტირიან.

კვამლად შემოდის
ჩემს სიზმრებში მათი ქვითინი.

ერთი სიტყვა

ამ სიტყვებში
რომელიღაც მზის ნამტვრევია.
რომელიღაც ზღვის შხეფია,
მარილიანი.

ხოლო ზოგი: ფოთოლია ნეკერჩხალისა,
ხოლო ზოგი: ნისლის ნამცეცი...

ზოგიც მტვერია: ის იბნევა სტრიქონებს
შორის.
ზოგიც ფიფქია: ის თოვლიან ზამთრებს
გვაგონებს...

ხოლო ზოგი დედის ცრემლია.
ზოგიც: ხავსი დავიწყებისა...

ხოლო ის ერთი: შენი გულის
ანარეკლია —
ის ჩემს გზაზე დგას,
ის მოლოდინს გამოასხივებს,
თმაგაშლილი,
ძირსმაცქერალი...

და ჩემს დღეებს
ეს მერამდენედ
ანგრევს მისი შემოფეთება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილსა ვხატავ

მარტო კვნესით ვერ დახატავ...
შენ გეჭირდება
მწუხარების ცეცხლში გამომწვარი
სიტყვები.
რისხვის კლანჭით დაბრჭყალული
სიტყვები.
მოლოდინის ხავსით დაფარული
სიტყვები.
გლოვის წყალში დაბანილი სიტყვები...

ტკივილის თვალ-წარბის დასახატავად.
ათრთოლებული მხრების დასახატავად...
შენი ცრემლის
ცხელი შხეფის დასახატავად...

ღამე მთაში

ყვავილებს აფენს ცაზე ტყემალი.
ირმის ნახტომი: ცის ხერხემალი...
ზღვა: ანგელოსის გადაცურვილი...

აქ ყოველი ქვა რამეს მაგონებს.
აქ გრძელი ღამე გადავაგორე...
აქ შევურეე სისხლი მთა-გორებს...
აქ სივრცეების მკლავდა წყურვილი!

მიზეზი და შედეგი

ტყე როცა კვდება:
ჩრდილი კვდება,
მდინარე კვდება...

ჩიტი რომ კვდება:
სივრცე კვდება,
გალობა კვდება...

კაცი რომ კვდება:
ზეცა კვდება,
სიმღერა კვდება...

ლექსი საქართველოს მდინარეებზე

საქართველოს მდინარეები.
მიხვეულ-მოხვეული სტრიქონები,
ლექსში რომ არ ეტევა.
ნაპირებზე რომ გადმოდის,
როგორც გაზაფხულის წყალდიდობისას.

და მიაქვს ფურცელი,
რომელზეც უნდა დაგეწერა ლექსი
საქართველოს მდინარეებზე...
და მიაქვს კალამი...

და მიაქვს მაგიდა...

და შენც ალაბეედზე
რომელიღაც ჭორომს ჩაფრენილი
ძლივს უმკლავდები...
და ცდილობ როგორმე გამოუსხლტე
ნაპირისაკენ,
სადაც შეიძლება, რომ რიყის ქვაზე
ჩამოჯდე

შიმელების ჩრდილში
და გააგრძელო ლექსის წერა
საქართველოს მდინარეებზე...

ისინი მიხვეულ-მოხვეული
ვეებერთელა სტრიქონებივით
ლაგდებიან ფურცელზე,
ძლივს ეტევიან გიგანტური წიგნის
ყდებში —
საქართველოს მდინარეები.

და სულ იმის ცდაში ხარ,
როგორმე ერთიმეორეს რომ შეარიგო,
როგორმე მშვიდად რომ იარონ
თავისი მარადიული ზღვებისაკენ...
და დაინდონ
ბოსტანთია,
მდინარისპირს ობლად მოსული,
ცივ კოწოლებს რომ ეთამაშება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ამ უცნაურ და თან შიმზიდველ
სამყაროში ვარ დიდი ხანია;
ვრუდუნებ ჩემთვის, — დე, გზა
მიცდიდეს,
დღეს გზაზე გასვლა არც მიხარია.

ჩემი სიცოცხლის ჩუმი მცველია
ამ მყუდრო სახლის შუქი მეტყველი;
აქ უნდა ვიყო, არსად მელიან,
წინ მიძევს სივრცე განსაჭვრეტელი.

მარჯვნივ და მარცხნივ კედლებს
აკრული
მთელი სიმაღლე და კიდისკიდე
უპირავთ წიგნებს, — ვით
გაზაფხულის
ცას სილაჟვარდე და მზის სიწმინდე.

ესაუბრება პოეტს პოეტი,
ფილოსოფოსი ბრძენსა და მოძღვარს.
ყუჩს უხილავი განმარტოებით,
სივრცეს უღიმის ქალწული მორცხვად.

ფიზიკოსები დამსხდარან მძიმედ.
მიკროსამყაროს ჩაჰკირკიტებენ
და ჰორიზონტზე ჩაწოლილ იმედს
მაინც ამოჰყავს ნედლი კვირტები.

ერთი ვინმე კი ხვალინდელ დღიდან,
შორი, მიუვალ სიღრმეთა მხედი, —
მიმზერს და მ ეზერს, მიღიმის მშვიდად,
ხვალის უძირო ხათელში შედის.

კაცს და ნივთს შორის მთავრდება დავა
და მოზეიმე პლანეტა იძენს
სახეს და ფორმას, — სიმწიფეს
მთავარს
დაჰხარის ყოფნის მარტივი სიბრძნე.

უცოდველობის მზისკენ მიდიან
გზები, რომლებიც კაცს შეჰხარიან.
ნელი-ნელ სტოვებს უფსკრულს მინდია,
მწვერვალებს უვლის დიდი ხანია.

ქვემოხალელებს

ხსოვნას შემორჩა, გზებით მოფენილს,
ბევრი ადგილი შუქთა მჩინარი
და მაინც სხვაა თქვენი სოფელი
რიჟრაჟეული მზით მოცინარი.

თქვენეულ ხმას და თქმას ვეკრძალები,
მზერის სიმები სინათლეს იმცვრევს:
თქვენი ბავშვების ვარსკვლავთვალებით
განათებული ზეცაა სივრცე.

მოდის ხილვათა თეთრ ინაგებად
ირმის ნახტომის გზა მოციალე.
სიტყვა ხატ-სახით დაიბანგება
და პოეზიის სითბო ტრიალებს.

ლექსებში ელავს თქვენი აისი,
მზის ყვავილები ლექსებს ელიან.
ცისკარს აღვიძებს გული ხალისით,
კაცი ნათობს და სხივი წრფელია.

ამოირწევა ფერების ზღვიდან
და თქვენსკენ გასწევს ფიქრი ფრთიანი,
ქართლში მიელავს ბილიკი წმინდა,
არ ენაცვლება ფრენას ფრტიალი.

გადმოდის მზერა კეთილმყოფელი
მარად და მარად რომ ვეკრძალები;
თვალწინ კიაფობს თქვენი სოფელი
თქვენი ბავშვების
ვარსკვლავთვალებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოლიას

ამ უსაშველო ღრეჩოს დროს
აღფრთოვანებავ ფრენის,
ბუნების მადლმა შეგინდოს
ეს თავნებობა შენი.

ტყუილი უთქვამს წინაპარს, —
ზღვაში ჩაშლილთა სული
შენ რომ გიწოდა, — შინაგან
სათქმელს არ ამხელს თქმული.

შენა ხარ დარდი, — დამცველი
ბოლო წუთების გამო.
უკანასკნელი სათქმელი
უთქმელი სამუდამოდ.

ხარ შეუცნობი ნათელი,
სიკვდილისწინა ხედვა,
უკანასკნელი სათქმელის
გამოუთქმელი სევდა.

ბნელ-ნათლის მიღმა დარჩენავ,
აღფრთოვანებავ ფრენის, —
შეგინდოს შენმა გამჩენმა
ეს თავნებობა შენი.

ჭაკვინჯის ციხე

მზემ მიანათა დილის სხივები
სუროიან და ხავსიან კედლებს.
ჩამოიმარცვლნენ ნამის მძივები
ნიავის ფრთების შეხების შემდეგ.

დგას ძველდაშლილი მოწმე წარსულის,
ჭანისწყლის ჭალებს უხმოდ
გაჰყურებს, —
ყამთა დენაში ფერგადასული,
მავედრებელი და მომარხულე.

ფიქრი მიცოცავს შეუმჩნეველი
და აწერია სივრცეს ეულად:
„ჯერ არ ყოფილა ქვეყნად მძლეველი,
რომელიც თვითონ არ დაძლეულა“.

ყანა

1

შრიალებს ყანა.
მიითოხნის გლეხი სვრელს ჩუმად.
გულგასკდომამდე გალობს შაშვი
მურყნარების ჩრდილს შეფარებული.

2

შუადღისაკენ მიიწევს ყამი.
შრიალებს ყანა.
მილაპლაპებს თოხი სვრელს შორის.
მზედაღვრილი იცინის რკინა.

3

შრიალებს ყანა.
დროის იჯრა და სივრცის ხემსი,
საგნობრივის და სულიერის
ზღვარზე გაშლილი
შრიალებს ყანა.

4

ისმის ფუსფუსი,
ფუსფუსი ისმის
მარად ძველი და მარად ახალი,
შენი მარჯვენის სადიდებელი, —
შენი, რომელსაც სვრელის ბოლოში
შემთბარი წყალით გიცდის დოქი
სულგანაბული.

5

ღამით, როდესაც ამოვა მთავარე
და უციმციმებს ღვაფის თვალები
სიმინდს გარინდულს ზრდის
მოლოდინში, —
ქათქათა სივრცეს ექსოვება
იდუმალი ნათელი მზერა
და იწყება მადლის გალობა
შენს მომყუდროვე აივანზე
მიწათმოქმედო.
შემოქმედო პირველშობილო...

გური ფეტელავა

სიცოცხლემისჯილი

რომანი

პატიების მხვეწნელმა კინტირიამ თავი როგორც კი სამშვიდობოს დაიგელა, დაგროვილი ბოღმა ცრემლებთან ერთად აფრქვია და აფრქვია.

— შე ულაყო, შენა! — სლოკინ-სლოკინით ტიროდა დასჯილი — ო, ო, ვთქვა ამხანაგებთან ტანს რისთვის არ იბან? დიდი ამბავი შენი ბამბით გატენილი მკერდი!

ამ სიტყვებისთვის ჯანდუ თუბალიას ოჯახს ლამის ოდაბადედან აყრა მოუხდა, — შეურაცხყოფილმა ასულმა იოდით მოიწამლა თავი, მაგრამ ხანტურის ყოფიერებაც სრულიად ახალი კალაპოტით წარემართა. ქალიშვილი აქამდე სულზე უტკბეს დაქალებსაც კი ჩამოსცილდა. დაკენტდა. გაკერპდა. მეცადინეობას და ფიზიკურ ვარჯიშს უმატა. უნიჭო მასწავლებლების მიმართ აუტანელი შეიქმნა. გაკვეთილებს თვითნებურად სტოვებდა. არც კომკავშირის კრებას დაგიდევდათ რამედ, არც — სახელდახელო ღონისძიებას. სპორტდარბაზში ყმაწვილებთან ერთად დარბოდა. თამაშობდა ფრენბურთს, ფეხბურთს. ეუფლებოდა ძიუდოს ილეთებს. ზურგს უკან „ჯარაგუნას“, „ულაყის“, „ეშმაკის მათრახის“ და კიდევ ასი ამისთანა სახელი დაიგდო. ესეც იყო, საშუალო სკოლა ჯინსის შარვალ-ხალათით ისე დაამთავრა, არც სამიჯნურო წერილი მოსცლია ვინმესგან და რაც მთავარია, თუ ღამღამობით წაკითხულ რომანებს არ ჩავაგდებდით სათვალაში, მისი სული არც ყოვლისმომცველ სიყვარულს აუთროლია.

არდაშელის სახელმწიფო მომსახურების მანქანას ეს წლები ჯანდუ თუბალია მართავდა. ხნოვანებითაც, გამოცდილებითაც და მორჩილებითაც მძღოლი თავმჯდომარის მდგომარეობას ფრიად ესადაგებოდა.

კინტირიას მამა კვირაში სამჯერ რეპეტიტორებს წამოასხამდა. მანდილოსნები საათობით ამეცადინებდნენ ხანტურს. მშობელი ასულს მგლით დაშინებულ მეცხვარესავით უფრთხილდებოდა. უზომოდ ტვირთავდა, რათა შვილში ქალის გამოღვიძების პროცესი ყოველნაირად შეენელებინა, მაგრამ აგერ უეჭველი საშიშროება გამომტყვრალიყო — ყვაბან ჰალიძონიას სასჯელი მოეხადა.

ძნელი სათქმელია, არდაშელი ხანტურს ამწუთიერ თავისუფლებას შექმნილი ვითარების გამო ანიჭებდა თუ ფარ-ხმალს თავად ყმაწვილის უანგარიშო სიწრფელე და სახიერება აყრევინებდა. როგორც კოჩიას ძმა ვარაუდობდა, ამაღამინდელი ზეიმის ხერხემლად გიორგი ხანთარიძეს აქცევდა. გააღმერთებდა. ღვინოში გამოცდიდა. თანაც მეგობრონის მხსნელი უშიშარიც თუ აღმოჩნდებოდა, შვილივით უპატრონებდა. დაბოლოს, მოსისხლე მტრადმოკიდებული ძმისშვილის ქადილისამებრ თუ სასწავლებლად წარგზავნილ გოგონას წარსაწყმედად მიუქსევდა ამხანაგებს ყვაბანი, ჩემი შროშანი რაღა ან ველურის ხალხმა გათელოსო, გაიფიქრა და გულიც

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3.

ყურძნის ღაწურული მტევანივით გაუხდა, თუმცა თითზე კბენა უკვე გვიანი იყო — ამორძალის სამფლობელოში მამრს ფეხი დაედგა.

— ლამაზი თითები გაქვს — უთხრა ხანტურმა ხანთარიძეს, როცა მესურათემ კულული შეუსწორა და ცერით მიწეული ნიკაპი მკვეთრი განათების არეს მოარიდა.

ბუტუტი ფოტოაპარატს ისეთი გატაცებით აჩხაკუნებდა, გეგონებოდათ ქალიშვილის გარემომცველი ნივთების, მუსიკის ტკბილ-მწარე ჰანგების, მისი სულისა და სხეულის ერთდროული მოხელთება სწადიაო. მორჩენილ ფირს ("შავ კიბერტში გაახვევდა", წითელი ფანქრით გამეღვენებისთვის საჭირო მონაკვეთების წააწერდა. კამერას ახლით დამუხტავდა და ოთახიდან ოთახში ხეტიალობდნენ.

ყველაფრის ზემოდან შემფასებელი, ამაყი, ცივი, ირონიული ღიმილით მოყურადე ხანთარიძე, უნაზეს არსებას აპარატის ჭუჭრუტანიდან თრთოლვით აკვირდებოდა, სუნთქვა ეკვრდა, მაჯისცემა უხშირდებოდა, მაგრამ ყინნთარიასეული შეგონებაც გაახსენდა და — სიყვარული მწერლების მოგონილია — თქვა მოულოდნელად — იცი, შენ, ამ ქალმა — კედელზე სიგრძივ გაატარა საჩვენებელი თითი და მზერა — სანამ ჯულიეტას როლს მოერგებოდა, ჯერ რეჟისორის ხელები გამოიარა. სულ შემოქმედის ფანტაზიის ნაყოფია ნესტანი და ტარიელი, გრეთჰენი და ფაუსტი, ოფელია და ჰამლეტი, იზოლდა და ტრისტანი. მათ შესაქმნელად ცხოვრება ძალზე ძუნწი მენატორეა. მითხარი, ვინ იყო ელენე, მთელი ტროა რომ შეიწირა?! ან აბა, ესენი შექსპირს თუნდაც ათ წელიწადს ეცოცხლებინა, როგორ გგონია, დაიხოცებოდნენ ვითომ?! იცოდა ჭკვიანმა ინგლისელმა სიყვარულის ზღვარი. სადაც წუთისოფელი, შური და ტალახი იწყებოდა, წერტილიც იქ დაუსვა. სიყვარული სამარის კარამდე უნდა მიჰყვეს ადამიანს, რაც მისჯილის სიკვდილის პოზიციიდან აბსურდია. თუნდაც კლეოპატრა ავიღოთ, იყო დრო და ერთგულებას ცეზარს ეფიცებოდა, გასწორია სენატმა მბრძანებელი თუ არა ანტონიუსს გაუმიჯნურდა. არ დასცალდა სხვებთან ყოფნა, რადგან ყველგან ერთი და იგივე დახვდა, დაიღალა, ხო, დაიღალა. ქალ-ვაჟის სიყვარული იმ ყვავილს ჰგავს, რომელიც მოწყვეტილია და ჯერ კიდევ ლარნაკიდან კეკლუცობს. მარადიულს მხოლოდ დედა-შვილური განცდა შეიძლება მიუახლოვდეს — აქ აზრის გასამტკიცებლად ხანთარიძემ იმდენი შთამბეჭდავი მაგალითი მოიშველია ზოოლოგიიდან, ისე მისხალ-მისხალ გააცოცხლა ჭრელი, ძუ კატის თავდადება, ვერ გაარკვევედით ხანტურს რისთვის გადმოუგორდა კურცხალი თვალებიდან, ცხოველთა საზოგადოებაში არყოფნის გამო თუ ადამიანთა ჯოგში ტრიალისთვის.

— იქნებ რაიმე ნათელი ფერის კაბა ჩაგეცვათ — ურჩია მოგვიანებით ფოტოგრაფმა ქალიშვილს...

კიბეზე დაეშვნენ.

საფეხურებზე ჩამომავალ წყვილს არდაშელ ჰალიძონიან შეჰღიმა. მეუღლის საქორწილო კაბამ ააფორიაქა. წამით გაირინდა, თითქოს შორს ჩასილულ ყმაწვილკაცობის დღეებს აყურადებსო. ასულს კულულებს უსწორებდა, თან ხსოვნიდან მილანდარის ციმციმს იხვეჭდა.

ციბრუტივით დატრიალდნენ კისერმოღრეცილი ძიკვი და გალანდული პუტა. გადაიკისკისებდა ქალი, დაიღრიჯებოდა კაცი, უკუსვლით გაუჩინარდებოდნენ.

ამასობაში წინკარიდან გვირილების მოზრდილი თაიგულით უმცროსი ჰალიძონია, თუთურია, შემოიჭრა. ერთხანს გასახტებული ღვიძობლის ხატს ჰგავდა კარის ჩარჩოში. ლოყებზე გიშრისფერი თმები მისწებებოდა. კოჭებამდე სცემდა ჩითის კაბა და სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულისას კენარი ტანი ენაკვთებოდა.

თაიგულის ნახევარი უსახსოვრა თუთურიამ დას. აკოცა ერთხელ, მეორედ. მორჩილად დაუხარა თავი კაცებს. მერე სამზარეულოსკენ წასწრაფდა შველივით შემკრთალი...

ახალგაზრდების ცქერით დამდნარ ძიკვას და პუტას სახლის პატრონმა თვალები დაუბრიალა. შებღვერამ დაძმა ერთმანეთში აბლანდა. არდაშელი მსახურებს ისეთი ზიზღნარევი წყრომით უმზერდა, შეაფურთხებს სადაცაო, იფიქრებდით.

გაწყრომაღა დაადაცურებდა პუტას და ძიკვას. თავაზიან მოპყრობას გაიოცებდნენ, გამოლენჩდებოდნენ, ამიტომაც მათი შრომისუნარიანობა, როგორც ჭიგოს ვაზი, გამუდმებულ ბრძანებას საჭიროებდა.

მასპინძლის გაჯავრებას ძიკვამ უადგილოდ გარღვეული პირი მიაგება, ნოჩოს ძმ, როდესაც მზერა წყვილზე გადაიტანა, გააჟრჟოლა. მოსალოდნელმა საფრთხემ შეაკრთო, მაგრამ მალე გაურკვეველ მომავალს თვალი მოარიდა და ოდნავი პაუზის შემდეგ იფეთქა სიხარულით სავსემ.

როცა სასურველი სტუმარი ჰყავდა თავმჯდომარეს, ხანტურის დაბადების დღეს გამოიგონებდა, ასე რომ, უფროსი ჰალიძონნე იანვარშიც დაბადებული, ივლის-ივნისშიც, აგვისტოშიც და, შექმნილი ვითარების შესაბამისად, ზედიზედ სამჯერ დეკემბერში.

— ცხრამეტის შესრულდა ჩემი მტრედი — ეუბნებოდა არდაშელი სუფრაზე მიპატიჟებულ ხანთარიძეს. სათვალავის არევის გამო „იუბილარს“ მთელი შვიდი თვით აბერებდა. საკოცნელად მიშვერილი ლოყის მიმართულებით ქალიშვილის ამაყი მოძრაობა ხელით შეაჩერა. ყურთან „ახალთახალი მანქანის“ გასალებების ასხმული ეჟვანივით აუწკარუნა. „ვოლგის“ გასაჩუქრებით თავი მოიწონა სტუმრის წინაშე.

ამ სცენას ბუტუტიმ ორჯერადი ირონიული ღიმილი, სკამის საზურგეს ქედმაღლური მიწოლა და თითებსშორის ჩანგლის ტრიალი მიუძღვნა.

წამოფაკლული ქალწული დროდადრო პირისპირ მოკალთებული ყმაწვილისკენ თვალს მალულად გააპარებდა. არდაშელი ასულის ანაზდეული გარდასახვის ძირითად მიზეზად ფოტოგრაფის აუტანელ ირონიას მიიჩნევდა, რომელსაც უსათუოდ ოდაბადელთა მომწამვლელი ჭორები კვებავდა, ამიტომაც გახას ნაშიერის გონებამ გამოსავალი სწრაფად მოიაზრა. თუ ახლავე, ამწუთასვე ჩვენი ოჯახის ამბებით მოშხამულ გიორგის რამე არ ვუწამლე, დახვეწილი მანერის ბიჭმა, ვინ იცის, ხანტურს იქნებ დამცინავი ღიმილი არც აკმაროს? მერე, მერე რას შვრები?! ქარაგმებით დამცირებულმა ვაითუ ადრინდელზე უარესი უბედურება აიხიროსო, გაიფიქრა და მყისვე მოსჭრა:

— გიორგი, ხომ დიდი უსამართლობაა ერთი დაბადების დღე წელიწადში?! განა ყოველ წამს რაღაც არ გვემატება, რაღაცით არ ვმდიდრდებით?! აი, ეს ვერ მოუნელებიათ ოდაბადელებს. შური კლავთ, შური! საზეიმო ვახშამს ხანტურის დაბადების დღეს იმიტომ ვარქმევ, მეტი ლაზათი ჰქონდეს სუფრას. როგორ, დავინანო ანგელოზი ბავშვისთვის ორიოდე ლხინი?! გეტყოდნენ, ალბათ, ხანტურის დღეობის საბაბით შარშანდელი იანვრის თვეში განათლების განყოფილების მუშაკებს გაუმასპინძლდნენ, თებერვალში — აღმასკომის კოლეტივს და მარტში — რაიკომის აპარატსო. სუფრას თუ ვნო, ნაბიჭვარი ჭიჭე კვეკვეს და ბაგი ანთარხეს ფულებით ხომ არა?! დიდი ქვეშქვეშანი არიან ერთიცა და მეორეც. გგონია სიტყვას შემარჩენენ?! სუფრას ჩვენისთანებისგან წართმეული ფულებით შლიო, ისეთი დამაჯერებლობით დაიბეთქვებენ, გეგონება წყალი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუდიოდეს. იდეის მონაა ორთავე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველს „სახარება“ აქვს ამოღლიავებული და მეორეს — „კაპიტალი“. შვილს ზედმეტად ელოლიავებიო, წარამარა წამომაყვედრიან ხალხში. იქნება შენ მაინც მითხრა, გიორგი, როგორ მოვიქცე?! ბავშვი რომელ მშობელს გაუწირავს, მე რომ გავწირორ?! შვილებო, ასეთებს ერიდეთ! უფროსი მთ არ იციან და უმცროსი. ქორწილებს ისინი გმობენ და ქელეხებს. მათით სნეულდება დედაენა და სამშობლო.

მოჰყვა და მოჰყვა. ხან გასაბჭოების წლებში ბიძეების დამჭერი ბნელი და ყრუ ხალხი ასამარა, ზოგჯერ — მათნაირების აშენებული ქვეყანა.

— თუ ყველაფერი აქვს ჩემს მტრედს, რიყეზე ნაპოვნით და ციდან ჩამოცვენილით კი არა, პაპისპაპიდან მოყოლებული, ბაბუა, მამა, მე, წვეთწვეთობით ვაკოწიწებდით. აბა, მდი და უფუღოდ გააზავენე პუტაია წიაქვილში, ან დაიჩეხონე შუშა ძიკვიაის. მოხმარების შნო და ლაზათი არ მიუცია განგებას მათთვის, ოორემ ფულად ფული ჩემზე მეტი აქვთ.

ხანთარიძის თვალებში ამოკითხულ გაკვირვებას სუფრისთავმა მისამართი მიუჩინა. ვაჟის გაოცება ჭორების გაქარწყლებით ახსნა. ბარემ ახლა კოჩიას ცოდვასაც ჩამოიცილებდა და ცილისწამებისგან სავსებით განიწმინდებოდა.

— ჩვენი საგვარეულოს სისპეტაკე საქვეყნოდ არის ცნობილი — დაიწყო შორიდან — მაგრამ ხომ გსმენია, ციხე შიგნიდან ტყდებაო. ასე მოხდა ამჯერადაც. ზნეობის ეს საუკუნოვანი ტაძარი ჯერ მამიდის უღირსმა საქციელმა შეაბარბაცა, წარმოგიდგენია, მოღალატეს, თანაც სიფილისიანს გაჰყვა ცოლად. მერე და აგერ, ყელზე დანისგამომსმელი ეჭვების ტყვე, კოჩია. მართლაც რა მენდომებოდა მილანდარისთანა მეუღლის პატრონს ცირიბიასგან?! რითი უნდა მოვეხიბლე ქუჩის-ქალს?! დასამალი რაა, სახელგატეხილი რძალი მესირცხვილებოდა. ხეიბარი ბაბა მომიჯადოვა. ყანა ათობნინნი, შეიძინებინა, დასცილდებოდნენ ერთმანეთს თუ არა, რომელიმე ოდაბადელს გვიმოთვანში მიუწვებოდა გათახსირებული. ჩემი არყოფნის დროს რა ან იღონეს თურმე მშობლებმა, კიდეც შეეევდრნენ, კიდეც შეემუქრნენ, მაგრამ არაფერმა გაჭრა, ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა. თავიდან შეეწყვნენ თითქოს, მაგრამ ეჭვიან კაცს მეძავი კი არა პატიოსანი წაუვა ხელიდან. სმას და აყალმაყალს მოუხშირა უბედურმა. ამხანაგებს განგება მოიპატიჟებდა შინ. ჰმ, ცირიბიას ღალატში გამოჭერას ცდილობდა. ღვინოში არაყს ჩაუმატებდნენ და... იქნებ მამის ქონება კეთილსინდისიერად არ გავუყავი, იმ უჯიროს, იმას?! მაგრამ რად გინდა, ახურებულ დედაკაცს არაფერი ეყო. შვილებიც დაღუპეს. ერთ ნაციხარს ახალი გმირობისთვის წაუკაპიწებია მკლავი. მეორესგან „ქრისტეს“ განახლებას ლამობენ სატანჯოში კოჩია და ტუჩმოჭმული ბიძამისი ქინი ანთარია. იმ დღეს ფეხი მომტყდომოდა არ ჯობდა?! ხომ ვიცოდი, რანაირი ეჭვიანის პატრონიც ვიყავი. დანაკლისის დასაფარავი ფული მაღაზიის ნაცვლად შინ რომ მივართვი, რა მრჯიდა?! ან დასაწვავ ოდაში რად ავყევი „სათაყვანებელ რძალს?“ როგორც კი გაშლილ სუფრასთან პირისპირ მჯდომარენი გვიხილა, თავში სისხლი აუვარდა. მოღალატე და ბნელსისხლიანი მიწოდა ერთგულს. აკვნიდან პირმშო ამოგლიჯა და ქალური წყეევლით ბორნისკენ წაღრიალდა. გონს მოდი, უბედურო, მე რომ მწირავ, კარგი, მაგრამ ძმა მაინც შეიბრალე! დანაკლისის დასაფარავად ორმოცდაათი ათასი მანეთი მოგიტანა, შენ კი როგორ უხდი სამაგიეროს?! ან ჩემი მახარია სად მიგყავს?! ხომ არ გგონია შენგან გამიჩნდა?! შენ მაგისი თავი ვინ მოგცაო, უკიჟინებდა სახალხოდ. მოკლედ, რძალთან საქმის დაჭერაც დამბრალდა და კოჩია-მახარეს გადაკარგვაც. ღმერთი თუ გწამთ, მი-

თხარით, სად ჩავიჭერი, სად შევრცხვი, ღვიძლ ძმას სად ვუღალატე?! — ჩაამთავრა და თითქოს სხეული კიბის ბოლო საფეხურზე აიტანანო, შვებით ამოისუნთქა — ჭიქე კვეკვესთანა გველენა ხალხმა და ბაგი ანთარხესნაირმა იდეის მონებმაა ჰაერი რომ მოწამლეს. აბა, სხვა ვინ გადამიმტერებდა ყვაბანს?! რახან თვითონ ბილწნი არიან, ყველა წარწყმედილი ჰგონიათ. აცდუნა არდაშელმა დედაშენი და რა ქნას აწი საბრალომ, საყვარლობსო, ეჩიჩინებოდნენ გამუდმებით. საბუთად ჩემს გულკეთილობას მოიშველიებდნენ. აბა, რატომ მიიღო ჯერ დამლაგებლად, მერე — მდივნადო, გესლავდნენ. — კანტორის ფანჯრის მინების ჩალეწვით დაიწყო. ხუსენებდა ცუდმოჭრილ ყამეჩებსა და ძროხებს, მოპარულ ჭიშკარს, პირუტყვის გაჩანაგებულ მანდარინს, აჩეხილ ვენახს, სოფლის ცენტრში ბნელსისხლიანის ძახილით შემოპაექრებას. ბოლოს მხრებში ჩამძვრალი სუფრას ხელისგულებით დაეყრდნო — განა შევარჩენდი თავგასულს მილანდარის გაუბედურებას. ღალატს ძმისშვილს კი არა, სულზე უსაყვარლეს ხანტურსაც არ ვაპატიებ. არ გვედგომებოდა ერთ სოფელში. ასეა დღესაც. ან მე, ან — ის. ეჰ, ჩვენს ზემს ეკადრება წუწუნი?! გვანახე, შვილი, რანაირად დაგშვენდა უბედურის საქორწილო კაბა?!

ქალწული მამის სურვილს აჰყვა.

აბრეშუმის რძისფერი ქსოვილი ორმაგი სარჩულით, მოსხლეტილი სხეულის თვალშისაცემ ნაკვთებს საგანგებოდ ასაიდუმლოებდა. იდაყვიდან მოყოლებული მაჯებამდე ფუჩეჩდებოდა სახელოები. ნაოქმრავალი კალთები ჯავარს იცვლიდა კლდიდან გადმოშვებული ჩანჩქერივით, ათინათდებოდა, თრთოდა, ამხელდა მუხლების სისუსტეს.

— ჩემი წმინდანი მამა! — დაიჩურჩულა ხანტურმა და მშობლის ქუთუთოებსაც მოწყდა საგულდაგულოდ შეგროვილი ნიანგის ცრემლები.

ამასობაში პატრონის მარჯვენა ყურს კისერმოღრეცილი ძიკვა წრეულად ბრეხით მიუშიშინადდა და ჭიშკართან ბიჭები დგანან გვიტ ანთარიას თენგიზის მეთაურობითო, ჩაუკაკლა.

არდაშელმა იცოდა, ოდაბადელები ამ თავსხმაში სასიკეთოდ არ მოაკითხავდნენ. მართალია, შინაპატიმრობაში მყოფის ჭერს, ამადამ და საერთოდ, რაც მეტი მტერ-მოყვარე ეწვეოდა, ყვაბანის მუქარაც მით უფრო დაჩლუნგდებოდა, დაკარგავდა ძალას, მაგრამ ახლა გაკერპება აჯობებდა.

ძიკვა ამდგრეულ ღელეში მოცოდვილ ღორჯოსავით აპლაკუნებდა პირს. უფროსს „არდა ბატონოთი“ მიმართავდა და მეტს ვერაფერს ამატებდა.

როცა სახელს შეუმოკლებდნენ, ნოჩოს ძის რისხვა ცას წვდებოდა. ამჯერადაც მტკავალზე ლაშებგახეული ძიკვა გაღუნულ კისერს იქით ცერს იშვერდა. არდაშელმა ცდუნებას ვერ გაუძლო, იობივით შემოფრენილ ნიკაპს მხარი აკარა და ბუტუტისსაკვირველად დაგრეხილიც მაშინათვე გამოიცოცხლდა.

— სოფელი წყალს მიაქვს — თქვა მან, ეს როგორც მის მდგომარეობაში მყოფს მოუხერხდებოდა — თუ მართლაც ჩვენი ძმაკაცი არისო, პრანწიპრანწნი მოეშვას და მოგვეხმაროსო, შემოუთვალეს. თოკიც და ფარნებიც წამოიმძღვარიოსო, დამაბარეს.

გამეხებულმა არდაშელმა წელშიმოხრილს ფერთხა და ფერთხა. გაქრა შე მრუდო, შენაო, ბრდღვინავდა და დაბრეცილიც მარმარილოს ბუხრისკენ იშვიათი უკუსვლით მიიპარებოდა.

ქეიფის ეშხში შესული თამადა არაფერს დაიშურებდა, ოღონდ გიორგი ახლა დარჩენილიყო. გარიყულისთვის სოფლის ჯინაზე თანაგვრძნო. ხალხის გასაჭირი, საზრუნავი ფეხებზე დაეკიდებინა, მაგრამ მაგიდის კიდეს მაჯებით დაყრდნობილის განზრახვას მამაშვილი კი არა, გალახულიც მშვენივრად ჩაწვდა. ესეც არაფერი. არდაშე-

ლი ერთბაშად დატყვევებული ხანტურის ეერმა მოინელა. სად არის მისი სიამაყეო, ფიქრობდა გახას შვილიშვილი. წასასვლელად აჩახმახებულის გასაგონად უამინდობაც, უდროობაც ამისთვის დაიმოწმა. შენც რამე ურჩიეო, თვალებით გაესაუბრა ასულს, მაგრამ ხანთარიძე წამოიმართა და კაცს რატომღაც ისევ ძიკვას დაბეჟვა მოუნდა. აპილპილებულმა, როგორც კი ბუხარს მიხედა, მსახურის ელასა და მიწაკას ხელებით დაწურულის მსგავსი კისერიც ბაკანში შემალული კუს თავივით გაუჩინარდა, ღუმლის კუთხეს ღვედკეცივით აეკრა. მერე მასპინძლის სახის მდებარეობის შესაბამისად ქედდადრეკილმაც ნელინელ გამოეჭყიტა.

— მაშ წაუსვლელობა არ იქნება, ხომ? — მოლმობიერდა სუფრისთავი — კეთილი! თავადიშვილი ბრძანდები, არავინ გიჭერს. ეს კლიტე გარაჟისაა, ესეც — მანქანის. გამომართვი, კაცო, გამომართვი. საჭირო ნივთებსაც იქვე იპოვი. მანამდე მე შუქს ჩავრთავ — მოსკრა და გასალებების ასხმელთ მიაწოდა. ბუტუტიმ გამოართვა. ფოტოაპარატი და ფირები ჩანთაში ჩააბრუნა. მერე ტანსაცმლის გამოსაცვლელად აბაზანაში მიიმალა და ხანტურიც მაშინათვე ქუსლების აჩქარებული რაკა-რუკით კიბეებისკენ წასწრაფდა.

არდაშელს თითქოს ამისი ეშინოდაო, თავი ჩაქინდრა, სირცხვილმა ყურის ბიბილოები აუწითლა. ცარიელ ჭიქას აწვალებდა. ვეება დარბაზს მალიმალ შემოჭრილი ელვა აგანიერებდა. ფანჯრის მინებს და ბროლის უშველებელ ჭაღს ქუხილი აზანზარებდა.

გარაჟი ერქვა ორსართულიანი შენობის სიმაღლის ქვითკირის ნაგებობას, თორემ ავტოსარემონტო საამქროდაც ივარგებდა. რა არ იყო აქ: კაუჩუბზე ჩამოძონძილი მოსასმელი ბადეები, სასროლი, ბარჯები, გასაბერი თუ ექვსადგილიანი, ცისფრად შეღებილი მოტორიანი ნავი, წითელტარიანი ალუმინის ნიჩბებით, ელექტროხრახნიანი ხილის შესაწამლი აპარატი, ბოქსი; ქედელზე ეკიდა ბრეზენტის საწვიმრები, სპეცტანსაცმელები, ხელთათმანები, შალითებიანი ჩოგბურთის ჩოგნები. კუთხეში ეყუდა ავტოგენის, აკვალანგის ბალონები, სათადარიგო საბურავები, რესორები, ამორტიზატორები; თაროზე ეწყო სხვადასხვა ნაწილები, ხრახნები, ქანჩები, კლიტეები. სიღრმეში მრჩანდა ელექტროდაზგა. გარაჟის შუაგულში რძისფერი „ვოლგის“ წინ ხაკისფერი „ვილისი“ ეყენა.

ხანთარიძემ მეშახტის ფანრები შეამოწმა. კაპიშონიანი საწვიმარი მოიხურა. შუქის წყარო აბრეშუმის უხმარ თოკთან ერთად ამოიიღლიავა და ხბოსტოლა ნაგაზების გაადფირებულ ყეფაში ჭიშკრისკენ გაეშურა.

სტუმრის წასვლით ნაწყენი არდაშელი განთავლულ ხეივანს უმზერდა. უყურე შენ, ერთიანად არ აყრილანო, გიფიქრა და დაუცადა, ვიდრე ფანრების მოთამაშე შუქს ბერბეცი სიბნელე შეიმუდრავებდა. ქალიშვილის მოფერება მოუნდა. როგორც ადრე სჩვეოდა, ისე, დაიწყნარებდა, დაუყვავებდა, გაამხიარულებდა და გიორგის გარეშეც მშვენივრად მოულხენდნენ.

ოდაბადეში მძვინვარე წყალდიდობა და ელვა-ქუხილი შვილის მდგომარეობამ მოლად გადაავიწყა მილანდარ მუშუქიას. ვარცხნიდა თუთურია მშობელს და თან ოცნებაში ბონდო ანთარიასთან ერთად მირბოდა გვადიას ღელეს პირას. იქ, წყლის სიკამკამეში და ტირიფების ლივლივში აკოცა ამასწინათ შეყვარებულმა და მუდარაზე, სამუდამოდ წაჰყოლოდა შინ, დედას რა ვუყოო, ესღა შეჰქვითინა მეგობარს. სკოლის მერხიდან შეზრდილი წამით გაუყუჩდა, მაგრამ ისევ შეუჩნდა.

— ვერ ხედავ, როგორ ჩამოვდნი?! თავგზა აბნევეკა. მოსვენება დაკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გე. გამოვჩნდები თუ არა ბორანთან, ოდაბადელები მაშინათვე ფხუკუნს დაიწყებენ. წარამარა მაწითლებენ. ამხანაგებს ვერიდები. ვერ ვუძლებ კითხვებით სავსე მათ თვალებს, რომლებშიც ცისავით ნათლად იკითხება ჩემი გაუბედაობით გამოწვეული უმოქმედობა. დიახ, სიტყვით არა, მაგრამ ქარაგმულად მეუბნებიან, შეგირცხვეს ნამუსი ბონდო ანთარია, ბერბიჭამ უნდა წაგართვას შეყვარებულიო. დღითი დღე შიში მიორკეცდება. ისე, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, როგორ ფიქრობ, არდაშელს ხანტურის კეთილდღეობისთვის გაუჭირდება ვითომ შენი გაწირვა?! შენ სულ ყოყმანებ, ხან რას იმიზეზებ, ხან — რას. ნუ გეშინია, დალოგინებულ დედაშენს მოვუხერხებთ რამეს. დედა ვის გაუწირავს, ჩვენ რომ გავწიროთ?! ან თან წავიყვანთ, ან თქვენსას გადმოვბარგდები. ყველაფერს ეშველება, ოღონდ ტანჯვა მაკმარე! ჭიპე კვეკვემ ხმა გაავრცელა სოფელში, თითქოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არდაშელი ბერბიჭა მინისტრს უთმობდეს შენს თავს. ღამისაა ჯავრისგან გული გასკდეს! — ბევრი უარა გარშემო, მაგრამ საიმედო ვერაფერი დაიცდენინა. მაშინ ვაჟმა სატრფოს ყოყმანის საფუძვლიანი, ხელჩასაჭიდი საბუთი მოსთხოვა გადაჭრით. თავი ხომ არ ვეეჭვებაო, ვერ აკადრა მოლად, თუმცა აშკარად აგრძნობინა, თუკი ამაღამვე ცოლად არ წაპყვებოდა, სიცოცხლეს მოისწრაფებდა.

არდაშელის მეუღლეს სარკისა ეშინოდა, მაგრამ თუთურიას თვალებში ჩახატული სახე ამშვიდებდა. მხოლოდ იგი უმსუბუქებდა მუხანათური წუთისოფლის ტრიალს. ქალიშვილმა გადაავიწყა ყველა — ახლობელიც და შორებელიც, მოღალატე ქმარიც, ობლის ხელგამმართველი დედამთილ-მამამთილიც და თვით თვალუყურეა ხანტურიც კი. ფხიზლად დარაჯობდა თუთურია მილანდარს. სიბნელიდან წამოდინებულ ავსულებს არ აკარებდა, მაგრამ საკმარისი იყო წამით მარტო დავტოვებინა, მაშინათვე შემოეგეოდნენ და უმწეო მსხვერპლიც ხმას ვერ ვერ ამოიღებ. ნამ ჩვენებებს, უმოწყალო ხარხარს, ფოთლების წრიულ რიალს თუ გადაბასრული მაჯებიდან სისხლის ჩქაფანს, თუთურია მიუსწრებდა, აჩრდილებს გაფანტავდა. დაუყვავებდა კედელსმიწყდარს, რომელსაც სახეზეაფარებული საბნიდან თვალის მეათედი ძლივს მოუჩანდა. ნელსაცხებლით დაზელდა. საფეთქლებს დაუსრესდა. ფეხებს დაუთბუნებდა. წოლისგან დაბეგვილ სხეულს, მოდუნებულ სახსრებს, მოშვებულ ძარღვებს ახალი სიცოცხლით ავსებდა. იცრიცებოდა, იქსაქსებოდა ხელების აბლაბუდა. საწოლზე ფრჩხილების საზარელი მოფხაჭუნება უკუიქცეოდა და გამონთობა-აცაიაგებაში მოფუთფუთე საგნებიც წუნარდებოდნენ.

მილანდარს ისინი სხვა სამყაროდან როდი შემოეკრნენ. დროთა ვითარებაში ცნობიერებას შემორჩენილი სახეები გადასხვაფერდნენ, ხორცი შემოეძარცვათ, აჩონჩხდნენ, ყურები მოუდიდროვდათ, თმა გაებურძგლათ, ტუჩები გაუსისხლიანდათ და თანდათან იმდენად გაუცხოვდნენ, სნეული უკვე ვერავის ცნობდა. საზარელნი კი მოძვრებოდნენ, მოცოცავდნენ, ეტმასნებოდნენ, რისთვის დაგვივწყეო, რატომ მოგვიძულეო, ამ შეკითხვებით ავიწროვებდნენ. გასუდრული კედლის გაყოლებით ჩამწკრივდებოდნენ დანის მლესველები, ხერხის მოშარიშურენი, ნაჯახის მოჩახაჩუხენი, მაგრამ თუთურია მოვიდოდა, თიხის ქოთნებს გვირილებით აავსებდა, ჩონგურს მოიმარჯვებდა, ყველ კარდუხიას სიმღერებს დაიკვნესებდა და მოჩივნებანნი ოთახიდან გაიძურწებოდნენ. როგორ ტკბებოდა სიხარულისა და სინათლის მომხშირებელი ის ჰანგი?! არ იცოდა თუთურიამ, რომელი ცეცხლი წაეკიდებინა, რომელ წყალში ჩავარდნილიყო, ვის-

ფოთის დაეწინდა თავი, ბონდოსთვის თუ მილანდარიოსთვის. ვერ გადაეწყვიტა რომელს მიჰყოლოდა, აღმაფრენას თუ შვილის ტვირთს?! შუაზე როგორ გახლეჩილიყო, ან სანახევრო მსხვერპლს იკმარებდნენ ისინი?! ჯერ მის მშვენიერებაში გვირილების ქაფმოდებული ტალღა ბობოქრობდა, ნაფოტივით რომ მიითამაშებდა ბონდო ანთარიას ერთად-ერთ კოცნას.

ასულმა მშობელს დავარცხნილ-დაბეჭილი თმა მკერდზე გადმოუგდო. ლოგიწში ჩაეწვინა. საბანი შემოუკეცა. ყოველი კუთხისკენ დადევნებული დედის მზერა ფარგლავდა თუთურიას მიმოსვლას, მის ლტოლვას სიმინდებისკენ, შეყვარებულის ხელებისკენ. დავმშვიდობებოდი მაინც, მერე რაღაცას მოვიფიქრებდიო, ასკვნიდა, თუმცა ამ მერეს გულის მოსაოხებლად უფრო ებღაუჭებოდა, თორემ მომავალში ისეთი რას იღონებდა, რომელსაც ახლა ვერ გადაწყვეტდა?! ასე ტკბილმწარე ორჭოფობაში ავადყოფს ბალიში აუმაღლა. ხელსახოცი ამოუფინა, დააპურა. მერე დედისეულ შალს დასწვდა, მაგრამ მშობლის სასოწარკვეთილმა გამოხედვამ, მალემობრუნების ნიშნად, იქვე გადაკიდებინა. თუთურია ჰალიძინნე მავთულბადის ღობეს მარეკებით დამფრთხალი ველეკით მიაწყდა. თავსხმაში მომლოდინე ბონდო ანთარიამ საყვედურებით აავსო მიჯნური:

— სად ხარ აქამდე, ნუთუ ჩემი სიკვდილი გწადია — უსაყვედურა „დედასშწირულს“, როგორც კი სული მოითქვა — შენს თავს ვფიცავ, თუ.ოტისოდენას გატყუებდე, ამ მეწყერს მიწის გული ჩავეტანე! ენგურში დახრჩობისგან ბაბუაჩემის გადამრჩენი ხანთარიძე ეს-ესაა ჭიჭე კვეკვემ წაკვეზა, ამაღამ დაბადების დღეს იხდისო ხანტური, აცდუნა და თქვენსას გამოაგზავნა ფულის მოსაქუჩებლად. შენ ყვანანის მუქარას ხომ არ ეხუმრები?! გული შიშისგან მიკანკალებს ვიდრე იქ მეგულები. არ ვიცი, რას უცდი, რას?! თუ შენს მოცემულ პირობაში ბეწვისოდენა სანმართლიერია, ყველაფერს აბეწვთასავე უყოყმანოდ მიატოვებ, არადა, ახლოა ენგური!

გამოროდებულ სიმინდის ყანაში მორბოდა თუთურია ჰალიძინხე. აპა, გაენმზადა სივრცეებში საფრენად. აპა, გასრულდა მისი ყოყმანი და ორჭოფობა. ქალიშვილის განწყობილებაში ახლა გაძნელდებოდა ფონის პოვნა, აპობოქრებული ენგურის გრაგნილები მოესინჯა, მილანდარ მუშუქიას რომ უყვარდა, ისეთი. ემშვიდობებოდა ქალწული ხაბოებთან აქორქოსებულ ხეებს, ტალავერზე აცოცებულ ვენახებს, რომლებიც მამამისმა ხუთიოდე წლის წინ თხმელებისგან ჩამოაზლეტვინა, მურყანები ძირში მოაჭრევინა და სკოლის მშენებლობიდან ფეშქაშებული რკინა-ბეტონით, გედე ჭანიას და კიდევ რამდენიმე ხელმარჯვე ოდაბადელს თვალისდახამხამებაში აამართვინა. ეთხოვებოდა შეკრეჭილ და ყოჩივით ამართულ დაფნის ბუჩქებს, სტოვებდა ქარითმოტაცებულ ეკალიატების ხეივანს; გაურბოდა ჰუტას და ძიკვის საცხოვრისს, სადაც ახალი საჯინიბოსა და თავლების ჩაკოხტავებამდე შუბლკიოფა კამეჩები იცოხნებოდნენ. დიახ! კარგად დაამახსოვრდა ყოველივე თუთურიას. მოახლე ქალი პირუტყვს ჯერ ზაქს მოაგერისინებდა, მერე ცურს მოპპანდა და როცა მუხლებშიმოქცეულ ვედროში რძეს ჩამოწველიდა, ტოლჩით ცუგრუმელასაც უწილადებდა: უარყოფდა ნაბოლარა ასული ქარშიმოღუღუნე ოდის კედლებს, ქონგურებს — ბეღურებისა და შოშიების ფიგურებით, ადრეულ გაზაფხულამდე მერცხლების თვალმოუხუჭველად მობლოდინე ბუდეებს; ხელს ჭკრავდა სამტრედეებს, წვიმის მოძალებით აკოიხებულ ყავრის სახურავს, რომელსაც რა ხანია თქვი ბატანდა, მაგრამ არავინ განაახლებდა; ზურგს აქცევდა აწკმუტუნებულ, ბომბორა ძაღლებს, გაქალაქებულ დაიას და მამას, კუბოსავით და-

ყუდებულ მათ სასახლეს, სადაც ძილგამკრთალ თუთურიას ერთი ღამეც არ გაუთენებია, გაკრიალებულ ბინებს სატახტო ქალაქში თუ რაიონულ ცენტრში, მანქანებს, ჩასაცმელ-დასახურს, ბროლსა და ნოხს, მარმარილოს, ოქროვერცხლს, საცურაო აუზს, კორტს, ყველაფერს. რატომღაც ამწუთას აგონდებოდა თითოეული წვრილმანი, გულსატკენი თუ სასიხარულო. განა თუთურიას თანდასწრებით არ მოჰხვია ხელი ერთხელ არდაშელმა უფროს ქალიშვილს და აქ რასაც ხედავ, სულ შენია, ჩემმ მტედოო, ხანტურს არ მიაკუთვნა უსირცხვილოდ თვალწინმდებარე. მაშინაც დედის შეჭირვებულმა მკერდმა, მისმა ჩამქრალმა თვალებმა უშველეს, რათა დის ბედნიერებას არ დახარბებოდა. ღალატობდა მუშუქიების ასულს, რომლის თმიდან ათი ზამთარი ანათებდა უკუთილშობილესი ფერით, სწირავდა კოინდარით დაწყებული სემარამიდის ბაღით დამთავრებულ ეზოკარს და აფორიაქებული ესალმებოდა გამეხებულ ცას, ზღვის გრუხუნს, ქაროშლის ღრიალს.

თუთურიამ გუბეში ტალახიანი ფეხები ამოავლო. სასტუმრო ოთახში შეჭრილი დედის საქორწილო კაბის დანახვამ დააბნია. ხანტურს მზესავით დაჰნათოდა მშობლის წარსული. შემდეგ ნაბოლარას ხსოვნიდან აღსდგა ბკეგადაკრული დღეები. თითქოს განთიადი ლივლივებდა ენგურში, ისე შვენოდა მისი შუქი მილანდარს. ის ხატი ვერაფერმა ამონიკარტა, უბედურების წელს იყო — ქალიშვილები დედის ოხრიალაია[1] დალალებს წყვილი სავარცხლით მისხდომოდნენ. მერე ქალი დაბზრიალდა. ჯვარისწერას ვერღირსებული საქორწილო კაბის ჩაგვირისტებული ალეთები ქოლგასავით გაიშალა. სპილოსძვლის გამორანდული ფეხები მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაებეჭდა. დედის სამოსელი მალე ხანტურმაც მოიწადინა. ქალღმერთი ჩახუტებულ შვილს ანანებდა, მოესწრებიო, უყავებდა, ტირილს უმატებდა და უმატებდა. ასლოკინებული ბავშვი გახდილი კაბის მოხელთებამ დაწყნარა. მილანდარის ჩამომსხვრეული მკლავები აღმაფრენის დასასრულს ეძებდა. ქალწულებრივი აღმაფრენა გამოცლოდა. ცხადში მობრუნებული პატარებს ეხვეოდა და აკანკალებული ხმით მღეროდა.

დედის საქორწილო კაბამ თუ ამასწინათ ბონდოს მიერ მოხსენიებული ხანთარიძის გაშინაურებულმა იერმა, შეყვარებულის ძნელადდასაჯერებელი სიტყვები თუთურიას ბოლოს და ბოლოს არწმუნებინა. რა მიხვედრილობა უნდა, ამისთანა მშვენიერ ყმაწვილს როგორ გაუშვებდა ხელიდან ხანტური და არდაშელი, მერედა, ხრონცი მინისტრისთვის ვინ რჩება, თუ არა მეო, დასაკვნა და სნეულის კიბილს ქურაკიასებური ორი ნახტომით მიუსწრო. თუთურიას გადაწყვეტილება კედელთან მიკრუნჩხულმა ავადმყოფმაც ვერ გადაფიქრებინა. თიხის ქოთნებს ყვავილებს უცვლიდა.

— სულ ეს არის, შემოგეკლე — თქვა ნაბოლარა ჰალიძოხნემ და კინაღამ მუხლები მოეკვეთა — ვერ ხედავ, გადარეულა შენი გოგო?! რატომ ტირი თოლიგე?! სად არის შენი მათბობელა ხელები?! ორიოდე კვირას რაძეხაირად უჩემოდ გაუძელი! — უთხრა და თავჩაქინდრული წინ გაუჩერდა. დედა აჰყვა შვილის ვედრებას. ფეხშიშველანი იდგნენ პრისსპრ. თუთურია ორი მტკავლით სჭარბობდა გაუბედურებულს.

— შენს ბონდოსთან, არა?! — ჰკითხა ქვითინით ქალმა და მთელი ძალით წაებღაუჭა — პატარა მეგონე და რამხელა მყოლიხარ?! ვხედავ გეჩქარება, მაგრამ გასაშვებად რომ არ მეთმობი?! წელიწადში ერთხელ მაინც მომინახულე, აქ იქნება თუ იქ — მიხვდა ქალწული მშობელმა ყელი საოთკენაც გადაიგდო. ხვევნა-ალერსით ვერგამძღარი დედას ასული მოულოდნელად ხე-

[1] სრიალა თმა (მეგ.).

ლიდან დაუსხლტა, თვალთმებული დაქროდა ყვავილნარებს შორის. სიჩქარეში მკერდზე მიკრული გვირილები გზადაგზა ეპნეოდა.

— მიხვალ, შვილო?! — მიაკვნესა დაძრულს. დედის ხმამ კი მიუსწრო ქალიშვილს, მაგრამ თამამად წაანჯა. ცოტა დაყოვნებაც და დედაშვილობის მაგნტტურ არეს ვერაფრისდიდებით გადალახავდა. ქვითინით გავარდა სიმინდებში. ბონდო ანთარიას ხელებმა მავთულბადის ღობეს გადააფრინეს. მირბოდნენ აყვავებულ მინდორზე, როგორც შეწყვალებული ნისლა და ტრედანა მიქრიან ხოლმე მდინარისპირას. ხანდისხან შეყოვნდებოდნენ კიდეც. ეს მაშინ, როცა ერთმანეთის თვალებიდან მარადიულობის ნექტარს შესვამდნენ, ან როდესაც გვირილების გაცცხლებულ ღერებს ცისკენ აისვრიდნენ ხოლმე. მოთქრიალე წვიმას უკან ჩამოჰქონდა ისინი და წვიმდა გვირილების წვიმით.

●

კახა, ზურაბი და მურმანი წელამდე წყალში დატოპავდნენ. მეორე სართულის აივნისკენ მიარბენინებდნენ აჭყვეტინებულ გოჯებს და აზმუვლებულ ხბოებს. მღვრიე დინებაში შევარდნილებმა საქმისას დაიკარგები ხოლმეო, უსაყვედურეს ნაბოლარას, მაგრამ ბონდომ უადგილო შენიშვნებს გულგრილად ჩაუარა. დიასახლისი დითა, დითას შეცხადებინა აქვესკნელებდა „უკანმოუბრუნებელ ენგურს“. მაგიდაზე ყრიდა ქვეშაგებს, ფარდაგებს, ნოხებს, თეთრეულს. ჭურჭელს შეეშვი, ძღაბოო, უწყრებოდა უანმორჩილ ძმისწულს, ანტიის თუბალიას. თუთურიას შემომატება წისამ გვიან შენიშნა. დედაკაცი ვერაფრით მიხვდა არდაშელის ასული საიდან გაჩნდა მათ ჭერქვეშ ან ანთარიების ტვირთს რა მოსაზრებით შეეპიდა.

მებორნე მამის ამასწინდელი საფრთხით, მერედა უეცარი წყალდიდობით უარესად აფორიაქებულ ბონდო ანთარიას ჭიშკართან მიტოტიკებულმა ღვინის ბოთლებმა თავი მწარედ გააქნევინა. ბოლოდროინდელი გასაფლების განუხრელი ზრდას უტყუარი საფუძველი დაეძებნა.

ერთხანობას უყურა ბიჭებს. მათი მონდომება ესიამოვნა, შვილებს მხნეობა მოუწონა, შემდეგ ყელში რაღაც მშრალი, სიტყვის წარმთქვევი წყრომა მოაწვა, მაგრამ ახლა, ამ მეწყერში, ვაჟების დატუქსვა არ ივარგებდა. „ვამბობდი თუ არა, მოუარეთ მაგ ჯეგირს, თორემ დაგვაქცევს ენგური-თქო“, გაჯავრების ნაცვლად მემკვიდრეები დაამიდა.

— ხომ გახსოვთ, ვისი გვარისანიც ხართ?! ჰოდა, ჩვენს ჯილაგს სიმამაცე განსაკუთრებით გაჭირვებისას მოსდგამს-თქვა და სველ თმაზე ბონდოს მიესიყვარულა.

ძმების ამაგის მისაკუთრება მამილას წამითაც არ უფიქრია. არც უფროსებს სწყენიათ ნაბოლარასთვის მიკერძოებული სამაგათო აღერსი. ისე ვერ წაისადილებდნენ გვიტის ჯეელები, მამას მათთვის უცოლობა არ წამოეყვედრებინა. განსაკუთრებით შემთვრალი მწარობდა.

— ბარემ გულგახსნილად თქვით, გვარის მასახელებელი რამე თუ გგჟირთ, კაცობის უღელი თუ დაგიმჩატდათ?! — ჰკითხავდა შვილებს და არწივის ნისკარტისებური ცხვირთან შეჭაღარავებულ წარბებს შეყრიდა. საუბრისას მსმენელის ამოჩემება უყვარდა. რანაირი მშეირიც უნდა ყოფილიყო, ათიოდე ლუკმას იმყოფინებდა. მერე მოციცქნულ კერძს იდაყვით მისწვევდა. უშაქრო, მუქ ჩაის შეუმზადებდა წისა თუბალზე, რომელსაც ზურგი და მკერდი ზამთარ-ზაფხულ სქელი თავშალით შეეხვია. ამასობაში ცოლის ძმისწული მოთითბრული ტაშტით თბილ წყალს შემოიტანდა. სამფეხა ჯორკოთი ბიძის დაძარღვულ წვივებს მიუჯდებოდა, დაბანდა, შეუმშრალებ-

და, ქათმის ფრთით ამავე ფრინველის ქონისგან, ტინი ანთარიას ტუკეპტით დამზადებულ „ოცდაათი სახეობის სენის მომრჩენელ წამალს“ წაუსვამდა. მიტკლის სუფთა ნაჭრით შეუხვევდა. ჯთბილ წინდას ჩააცმევდა. ათიოდე წუთში ჭოფის ძე სახვალინო გეგმებს აკოკოლავებდა. ჭირივით ეჯავრებოდა წუკარტა და ჯანჯალი. „ტყურაშ დროს ტყურა, ღურაშ დროს — ღურა“[1] ამ სიბრძნეს ყვევ კარდუზიას ხშირად ესესხებოდა. უმეტესად წარაბაკანთა ღობეძრომიაალა ამწარებდა. ადრე მეკაბშე, დღეს ხილის დამაზადებელი პუნქტის გამგე გვატი, გაქველმოქმედდა. ქორწილში იყო თუ ქელეხში, ჯერ შემწეთა სიას წაიკითხავდა. ფულს იმდენს ჩაწერდა, ათეულში მაინც რომ მოხვედრილიყო. როცა ვინმე უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხებოდა, ან საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვევდნენ, ცხადია, პოროპასაც დაესწრებოდა, შემდეგ „ერთი თვის საუზმე-სადილისთვის გროშებს“ სტუდენტსაც და წვევამდელსაც მალულად აჩუქებდა, თან ახალგაზრდული თავქარიანობით არ მოცდეთ, მშობლიური სოფელი ასახელეთო, დაარიგებდა. მისი ნათლულების სიმრავლეს იქნება ნაწილობრივ ესეც განაპირობებდა. მოკლედ, შვილებს, მათ მეგობრებს, საერთოდ მოზარდ თაობას, დღენიადაგ სიდინჯეს, დროის წუწურაქულ მომჭირნეობას, ხალხისთვის სასარგებლო საქმეების კეთებას ჩააგონებდა: გვატ ანთარიას სიუხვე, თანადგომა, და გატანა ყველას პირზე ეკერა. ძველი ცოდვები შარშანწინდელი თოვლივით რა ხანია მიივწყეს.

მართალია, მისმა ბიჭებმა „ცოდნის მწვერვალებს უდალტეს“, მაგრამ ორ უფროს კაკეშვილს დედაქალაქში პოლიტეკნიკური ინსტიტუტი დაუსწრებლად დაამთავრებინა. ორთავეს სამსახურიც საოფიცინი გამოუძებნა — კახა ხიდს აშენებდა, მურმანი ავტობარკს დირექტორობდა. ზურაბი მის საქმეებს აგრძელებდა, ხილის დამზადებაში ხელის მოთბობის ურთულეს მეთოდებს ეუფლებოდა; თენგიზი ელექტრობინტიოოად მუშაობდა. მოსახლეობას ელექტრომრიცხველის უკეღმადტრიალებაში წაფავდა, აქვე გაფუჭებულ ტელევიზორებს ახლებდა, საკუთარი კონსტრუქციის ანტენებს აყენებდა, რომლითაც მოსკოვის პროგრამებთან ერთად, სომხეთ-აზერბაიჯანისა და თურქეთის გადაცემებსაც იხილავდით. ბოლო ორი თვე კი ხიდს ამონტაჟებდა; ბონდომ ეს-ესაა საშუალო სკოლა დაამთავრა, მაგრამ აქამდისაც ოჯახის ბურჯად ითვლებოდა. მამულს უვლიდა. თესდა. ფარცხავდა. მარგლავდა და ამოროდებდა. ახალი ნერგები გამოჰყავდა. მეიერის ჯიშის ლიმონებისთვის და საადრეო კიტრისთვის სათბური მოაწყო. ერთი სიტყვით, ყველა რაღაცას საქმიანობდა.

— წაჯედი ახლა დასაძინებლად — იტყოდა ხმამაღლა გვატ ანთარია — ეგგბ მძახლები დამესიზმროს — წაიქრქილებდა ბიჭების გასამწარებლად. ბონდოს ხუჭუჭა თმას მიუფერებდა — ოთხივე ამის ფრჩხილადაც არ ღირხართ — მოსჭრიდა უცებ — რა ეგშველებათ, ეგ რომ არ გყავდეთ?! თქვენ ლონდრეებო, თავზე ჭერი დაგიქცეოდათ, ჭერი! — ასე აბიაბრუებდა „უჯგროებს“. — ცოლს ვინ ოხერტიალი მოგაშავებთ უშრომლებს, — მწარობდა. ქონების ექვს ტოლ ნაწილად გაყოფთ იქადნებოდა, მაგრამ ფუძეს როგორც წესი, უმცროსს უმტკიცებდა. აბა, უდარდელების იმედით სიბერეში გვეررდეს ხომ არ დავიობებრ, იმუქრებოდა ხშირად, ამიტომაც ტელევიზორს მიჩოჩებული ძმები ანთარიები გულიანად გადაიხარხარებდნენ, რაც მამას მრავლისმეტყველად გადააქნევინებდა თავს. — იცინეთ, იცინეთ ნა ნახავთ ყველაფერს! — იტყოდა — ენგურმა წყალი რომ შეგიყენთ, რას ფიქრობთ ნეტავი?! — წამოიწყებდა მეათასედ — თქვენი გაკეთებული საქმე მანახა და

[1] ტყუილის დროს ტყუილი, სიკვდილის დროს სიკვდილი (მეგრ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მომკლა, სამარეში ჯავრი მაინც არ ჩამყვებოდა. ბონდოსთვის რომ მე-[illegible]ეა უკვე დიდი ხნის წინ დაკოჰწიავებული იქნებოდა, მაგრამ გაცლით უფროს ვირუკებს, ვნახოთ, აბა, რისი მაქნისებიეა ხარო! შეხედეთ, კაცო, რას შვრებიან თუბალიები, მუშუქიები, ჭანიები, აფშილები?! არ შეუდუღები ლითონის ფურცლები პაღვიან გედეს?! თავადიშვილები! ჯებირის გამაგრებასაც უკადრისობენ! თქვენის წყალობითაა სწორედ კარგი დღე რომ ადგას ჩვენს სახლ-კარს, ეართ საუცხოო პირობებში, საპირფარეშომდე მისვლა გვიჭირს,—და ძწყარალად გახედავდა „შვილების გაბლაგვების სთავეს“ — ცოლს. აქ კი ძმები ინთარიები აბუზღუნდებოდნენ. ბონდოს მომაბეზრებელ განდიდებას კაცი რამენაირად გაუძლებდა, მაგრამ სხვისი თანატოლების მოჭარბებული შეფასება გაანაწყენებდათ. წამონთებულები ერთდროულად შეუტევდნენ მამას. შინაგანად კმაყოფილი გვიტი ხელს ჩაიქნევდა და ზედა სართულზე ფლოსტების ტყაპუნით ავიდოდა. ახლაც მამის რჩეული ოჯახის უფროსს ფეხდაფეხ მიჰყვა. ჯოფიას შვილმა ოთახი ჭერიდან იატაკამდე ჩაათვალიერა, ესეც ჩემი რემონტიო, ჩაილაპარაკა სინანულით.

— ჭინჭებს გადაჰყევით და სტუმარიც შემოწუხეთ, არა? — გაჯავრდა ცოლისა და ანტისა თუბალხეს მისამართით — მომიკალით ხომ შიმშილით ჩემს სახლში შემთხვევით შემოფრენილი მერცხალი?! რას იფიქრებს სტუმარი?! — ამ გამოცალკევებული სიტყვით ოჯახის მეთაურმა ბონდოს არჩევანის სანდოობა ერთხელაც გადაამოწმა, თუმცა ნაბოლარა შვილის შეპასუხებამ, მჭახედ დაძახებულმა მამამ, პირველსავე მარცვალზე მოჭარბებულმა მახვილმა, მშობელს სულიერი მდგომარეობა აშკარად დაუსურათხატა, ქარაგმული პასუხი, ჩარევის შემთხვევაში, შინიდან გადახვეწას და ცხოვრების ჭაპანის წაუყვედრებლად ზიდვას გულისხმობდა. გვიტ ანთარიას იამა ბიჭის წარბშეუხრელობა. ცალი ხელით „მამასულძაღლი“ ჩაიხუტა, მეორით „ჰალიძონხეების მერცხალი“ საგვარეულო ყანწის მოტანა დაავალა, მის ძმისშვილს — უსაქმურების მოხმობა. აფორიაქებულ ცოლს ჩვენი ახალგაზრდობა გაიხსენეო, უთხრა და დასაწყნარებლად ჯიხვის რქისათვის გაგზავნილს ახლა ენახავ შენს ქალობასო, მიადევნა.

წისა თუბალხეს თუთურიასა და ბონდოს საზიარო გვირილების ამბავი რა ხანია ჩაეწვეთა. სულ რაღაცას მოელოდა, მაგრამ ამწუთას რატომღაც გული შეუქანდა. ამ სავსებას იქნებ წვეთი აკლდა, იქნებ მეტიც, თუმცა ჯერ კიდევ სხეულში გამჯდარი უცნაური თრთოლვა ვერაფრით დაეჯახნა. რამდენიც უნდა გარჯილიყო დიასახლისი, სარძლოს ვერც ტან-ფეხს დაუწუნებდა, ვერც მდგომარეობას და ქალწულობის უმანკოებას. ერთადერთი სახინჯო მძახლები გახლდნენ: მილანდარ მუშურიას სიბეჩავე, არდაშელის უზნეობა, მათ ოჯახებს შორის ჩამოვარდნილი ფარული შუღლი. მოკლედ, ქალიშვილის ჩასახუტებლად ვინ იცის, რამდენი რამ ბოჭავდა. არც დახანება ივარგებდა. მით უფრო მაშინ, როცა თანამეცხედრე ბედს სწრაფად შეუტრიგდა. ან რომც დაეშალა, ყურს ვინ ათხოვებდა დედაკაცს, რომელსაც, როგორც საქართველოს ბევრ კუთხეში, ისე სამეგრელოში და განსაკუთრებით ოდაბადიში, ყველაზე ნაკლები მოეკითხებოდა. შვილსაც მოიმდურებდა და რძალსაც. წისა თუბალხეს თვალწინ ქალ-ვაჟის ბავშვობის წლებმა დარახტული მერნებით ჩაუქროლეს. თურმე იმ განუყოფლობაში თანდათან ცხვებოდა ერთადქცევის სურვილი და ლიტრიანი ყანწით მობრუნებული დედა ბონდოს მეერდში ხმაპარვით აქვითინდა.

ამასობაში, მეწყერში ხელგამოღებული ძმებიც შემოლაგდნენ. რომელიღაცამ პაპისეული თოფი ზედიზედ სჭექა და წვიმიან ოდაბადეში ატორტმანდა ანთარიების ჭერ-იატაკი...

ენგურის ამნაირი ადიდება ოდაბადელებს არც კი ხსომებიათ. თუ ადრე მდინარეს დამბებითა და ჯებირებით უკუაქცევდნენ, მის დუდუნს ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით აყურადებდნენ, დროთა ვითარებაში ტალღების დაცხრომა-დაშრეტამ, ჭოფია ანთარიას ბორნის დარიყვისა არ იყოს, კუნძულების სულიც მოადუნა. კალაპოტს მაშინღა მიაკითხავდნენ, როცა რომელიმე ახალმოსახლე დაფუძნებას მოიწადინებდა. მიუჩოჩდნენ ენგურს. მის ნაპარპაშალზე სმინდის ყანები აადაღნეს, მაგრამ აგერ, თავაშვებული სტიქია სოფელში დაუკითხავად შემობრდღვინდა. ბევრს კერია გაუცივა. მრავალს კოუხ-წიწილი მოსტაცა, საკუჭნაო-სამზარეულოში ხელი მოუფათურა, პირუტყვი აუბდავლა, ბავშვები აუტირა. განსაკუთრებით კუნძულის ჩრდილოეთით მცხოვრებლებს, რომელთა მამულები ბუნებრივი საცავის უქონელი გახლდათ და ვინაიდან ყამთასლაში ხელოვნური სიმაგრეებიც მოიშალა, იქაურობა მდინარის მძვინვარებას მინებდა. უმეტესად, აი, ამ უბნელების ოდასახლების იატაკებიდან შლამიანი ნაკადი ამოუბუყბუყდა, თანაც ყველაფერს სინათლის გამორთვა, ქარიშხლის თავნებობა და ღვართქაფიც რომ დაერთო, დიდი და პატარა შიშმა აიტანა. ხომ არაფერი გიჭირთ, გამხნევდითო, ეხმიანებოდნენ ერთმანეთს მეზობელი მამაკაცები. სხვებს ანუგეშებდნენ, მაშინ, როცა უკვე შეცხადების პირას მისული ცოლებისა და ასხვლებული შვილების შემყურეთ, სულები თავად უკანკალებდათ, მაგრამ როგორც კი ხმა დაირხა, ჭოფიას გადამრჩენელის მეთაურობით ახალგაზრდობა დარაზმულა, ერთად შეყრილან ანთარიები, კარდუხიები, ჯანიები, აბშილავები, თუბალიები და ჩვენს დასახმარებლად მოიჩქარიანო, დაწყნარდნენ. სიგარეტი გააბოლეს. დაფაცურდნენ. დათმეს ჭერი, მუთაქა, ჭინჭი. ქვითკირის ორსართულანი სახლების მიმართულებით დაიძრნენ. უკვე საქონელს, სარჩო-საბადებელს თუ უძრავ-მოძრავ ქონებას არავინ ჩიოდა, რადგანაც ადამიანს სიცოცხლეს საფრთხე ჩამოშორდა, ვინაიდან მოხუციცა და ჩვილიც სამშვიდობოს გაიხიზნა.

მეწყერს მიარღვევდა ამხანაგებით გარემოცული ხანთარიძე. მის ცნობიერებაში აქამდე უცხო, ჭიდილით აღსავსე სამყარო იშვა. „ვისაც წინაალმდეგობის უნარი არ გააჩნია, განა რამეთი განსხვავდება გაწვრთნილი ცხოველისგანო,“ აფიქრებინებდა სატანჯოელის ძეს საზოგადოებასთან სულ ერთი დღის ურთიერთობით შეძენილი გამოცდილება.

მაშველი რაზმი კუნძულის უკიდურესი ჩრდილოეთით მტკაველ-მტკაველ მიიწევდა.

ჭიუე კვიკვე მკლავზე ებღაუჭებოდა ბუტუტის, თან საუბრის დრო და ხანის გამომძებნელი ყურში ჩასძახოდა ჯიმაყონერის ბიოგრაფიას:

— კუნტა თუბალიას გვირილებით გადაპენტილი ნამოსახლარი და გავერანებული თხილნარი მიჯნავს კეშეს ეზოკარს ოდაბადელებისგან. მისი ალთაბალთას გაქცეული თვალების ბლაგვი კუთხე ერთბაშად მოიცავს მსმენელების ცნობისმოყვარე აუდიტორიას, ჩემი დეიდების გაძვალტყავებულ ტრიფოლიატას ღობეს თუ სამხრეთით წაბერხემლებულ სასაფლოს. სამაღლოდ გაპარსავენ ხოლმე სოფლის დალაქები პახვალა ჭანია და ყვიყვა თუბალია. გადაპრიალებულ მერხის კიდეზე ჩამოჯდება ჯიმაყონერი. გაზეთით შეწებილ კედელს ზურგით მიეყრდნობა. როდისაროდის მისი რიგიც მოაწევს, მაგრამ ენგატლეკილი პარიკმახერები განგებ აყოვნებენ და ტყის ასულთან დამარტოხელების ამბავს სამხრობამდე აყოლინებენ გასაპარსად დილაუთენია მოსულს. საუბრისას თვალები უფართოვდება. ლამის ბუდეებიდან გადმოუცვივდეს. იმ სურათებს, იმ ხილვებს ისეთნაირი სიხარბით მიაშტერდება

ზოგჯერ, დამსწრე საზოგადოება მისდა უნებურად აჭორ‌ავდება. აქვე შიგადა-შიგ ეთანხმებიან კიდეც, გამამხნევებელ სიტყვებსაც შეაშველებენ, თუნდაც ასეთს: უყურე, შენ, ამ ცხენის თავის ამჭიხვინებელს, იმას?! ხო-ხო-ხო-ხო, ის დედისმკვლელი, ისა! ამას რას ისმენს ჩემი ყურებიო. წარბების აზიდვა და ზურგისკენ გადაზნექაც ახლავს ამ შეხმიანებებს. ამდაგვარი საქციელი შეკრებილთაგან განსაკუთრებით მაშინაა აუცილებელი, როცა მეხსიერებიდან ამოკრეფილი, გაკრეცილი სახეები და მათ ფონზე ოცნებაში შემოკურებული ფერია მაჯლაჯუნას გარინდავს. კემე მაკონიას ალიონზე სტუმრობს ხოლმე ტყაშ მაფა[1], როდესაც მუშტისსიმსხო ჯინკა ნახშირისფერ რაშებს ფაფარს უწნავს და შამბნარს ჯეგავს ჟინმოძალებული ოჩოკონი[2]. მგლების ყმუილი და ჭოტების შეცხადება მოყონავს იმ საუბრებიდან. მთხრობელს ტყის გრძნეული დედოფალი ყოველთვის განსხვავებული გამოდის. რადაც ისეთი, მისტიკური ჩვენება მაჯაზე გველშემოხვეული გამოეცხადება. ზოგჯერ ფეხშიშველი ალი გაყვითლებული ფოთლებისგან შეკერილი კაბით მოაკითხავს, ისე რომ სიარულისას სხეული დამბრმავებლად გამოუშუქდება. ხშირად მგლის ფაფარს ჩაფრენილი ფერია ლეღვის ნაფაკქვენივით დფატრული ძუძუებით და პილპილმოყრილი ტუჩებით დააცხრება. ჩემი სიტყვები არ გეგონოს, ჯიმაყონერისაა, მე უბრალოდ ვთარგმნი ახლა და ეგაა. ტყაშ მაფა ხახანტის ბიჭს აქა-იქ აბრეშუმის შარიშურით მოუცურდება. თუმც იგი განსაკუთრებით ასეთ დროსაა დიდებული სანახავი. ოქროსფერ დალალებს ვეება სავარცხელს უმარჯვებს და მხრებზე გვირილები ეპნევა. მოკლედ, ჩემო გიორგი, როცა დალაქები მასხრობით გულს იჯერებენ, როდესაც მუშტარი შეთხელდება და საპარიკმახეროს დაკეტვის ჟამიც მოაწევს, აქეთ-იქით ამოუდგებიან, მამაშენს გაუსაპნავად უყვარდა [illegible] ეაო, ეტყვის ერთი. მაგარზე მაგარი რომ იყო იმიტომ, კვერს უკრავს მეორე. ასე და ამგვარად, აცდუნებენ და კემეც გადმოკარკლული თვალებიდან ცრემლებს აღვარღვარებს. აქვე მალიმალ ტყაშ მაფას შეახსენებენ. ალის ხსენება თმას აუჯაგრავსო, ამტკიცებენ ის ოხრები. პახვალა ჭანნა და ჯოკო თუბალია ხანდახან ნიძლავდებიან კიდეც, აბა, რომელი დაასწრებს კუთვნილი ნახეკარი სახის გაპარსვას. ასეთ დროს კემეს გაკოხტავების ფული დამარცხებულმა უნდა გადაიხადოს და კლიენტი ყბებს მეესვე ჯოჯოხეთური ცეცხლი შემოენთება, მაგრამ ვაჟკაცურად უმკლავდება წყვილ სამართებელს, ფანქარსაც რომ ვერ წათლიან რეგიანად. მერე მთელი თვე ჯიმაყონერი სადალაქოს მოპირდაპირე მხარეს დაიარება. შენი გადარჩენილის ვაჟიშვილი, ნოკოს ეკედლება, რომელიც თავის წილ, რეზინის ჩექმებს ხან კრემწასმული ჯაგრისით გულმოდგინედ უპრიალებს, ხანაც ახალი მთვარისხელა ცხენის ნალებით დაუჭედავს. მოდი, კემე, მოგვიყევი ტყაშ მაფას ამბავი, გაკითხავს თუ არა ძველებურადო, ხითხითებენ დალაქები. რა ქნას საცოდავმა. არა, არ გამოჩენილაო, იცრუებს. თავს ჩაღუნავს ყველასთვის სამასხრო. ჯერაც არ გამონელებია ორი კვირის წინანდელი წამება. ჭაუას ხმაროობს. რომ დათანხმდეს, შეიპატიჟებენ, გაპარსავზე დაიყოლიებენ და ისევ განუახლდება ჯვარცმა. მერე გადის დრო. კემეს ადრინდელი ტკივილები უშუშდება, თანაც ნოკო ანთაროია ლურსმნებით ფეხდასისხლული სადალაქოში შემოიკლის. ჩექმებს ახდევინებენ. ყასიდად არცხეკენენ მებორნის ძეს. დაბრიყვებულის ფეხსაცმლის ქუსლებს ფფთიანი ნალებისგან ათავისუფლებენ, თუმცა გაპარსვაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ტყაშ მაფას იმიზეზებს. ასეთი ვურჩენივარო, ირწმუნება. მაინც აცდუნებენ. საპნის ქაფს

1 ალი, ტყის მეფე (მეგრ.).
2 ოჩოპინტრე, ვაცკაცი (მეგრ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაუსვამენ. ერთი ბლაგვი და მეორე აფხიანებული სამართებლით აქეთ-იქით ამოოდგებიან და უბედურის ტკბილ-მწარე დღეებიც წვერსაპარსი დანების პირზე აიკლაკნება. ბამბაზიის პერანგი აცვია, მუდამ ამოჩაჩული. ყამრი მიწასავით დამსკდარი ხელები აქვს მზემოკიდებულს და ჩაჯიკვინებულს. წაველი ტყაშ მაფასთანო, ოტყვის და წარლახუნდება. მუხლამდე წვდება რეზინის ყელგადაკეცილი ჩექმები. ვიწრო, წამოზნექილ შუბლის ღარსა და აგრეხილ წარბებს მოკლედშეკრეჭილი, ნაადრევად გაჭაღარავებული თმა უერთვებს. სახელობი უფაროთხალებს სიარულისას. კი არ მიდის, მიბუყბუყებს ჩექმებში ფეხზშველად ჩამძვრალი, რაღა თქმა უნდა, ვიდრე ნოკო ანთარიას ნალები აწკარუნდებოდეს და საიდანაც შეხდავთ გზაზე მიმავალს, ზამბარებზე დგასო, იფიქრებთ. შავ დღეს გაჩენილი საქმიანობისას ერთობ დაუზარელია. ხუთი კაცის ღონე ბუღობს მის ჩია სხეულში. თავის შენახვა საიდან უნდა მოაფიქრდეს გამორთული ტელევიზორის წერტილისსელა მის ტვინს, ამიტომაც თახსირი ოდაბადილები ხშირად შემოიშველებენ თოხნაში თუ შეშის დაჩეხვაში. სოფელ-სოფელ წანაყრდება. ნასუფრალს არავინ იშურებს მისთვის. ზოგჯერ სასმელსაც დაადალვენ, თუ მაინცდამაინც გაჯიუტდა, მამა ენინ სადღეგრძელოთი შეუჩნდებიან და ჭიქა არყით მამალი ინდაურივით გაფზორილი მეშარე[1] ტყაშ მაფებისკენ გავარდება. დაფეთებულ ქალებს კაბის კალთებს უწევს, უბეში უძვრება. დედაკაცები დაუზოგავად ბრჭყალავენ და საერთო სიცილ-ხორხოცში ილეკა მისი სიცოცხლე. კემეს ალთაში ერთხელ ძველმანებსაც უსახსოვრებენ. რა ამბავია ამდენი ნიშნერიო, ლუღლუღებს პატივისცემით გულაჩუყებული. ნიშნერი მის ენაზე იგივე ასანირს ნიშნავს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთო, ოდაბადელები რაღაცნაირად ვუგებთ ბაბანა მაკრონიას-ვაეის ენამჩლექილ საუბარს. ჯიმაყონერის სამოსახლოს შუაგულში ჯარგვალი დაფუყულა, ერთადერთი ჯარგვალია მთელს სამეგრელოში, რომლის ისლის სახურავს მტკაველისსიმქე კვამლი აბურავს ზამთარ-ზაფხულ. ცეცხლი დიახაც უყვარს დაგვაჯულს. ამდენად, რაღა გასაკვირია თუ კემეს მამულში ფიჩხის გროვები ჩიხშიმდგომი მატარებლებივით გაჭიმულან. მათ გამარტებიდანვე ანწლი და ჭინჭარი დაესევა, უნასები და ჩალისფერი ვირთხები დაუმკვიდრდება. მოკვდება, მაგრამ საწვავ მარაგს ტოტს არ მოაკლებს. იქიდან ჩემი დეიდები იპარავენ ხოლმე, ან წვიმა და თოვლ-ქუაპი ალპობს. ის ბედოვლათი კი ახალს უმატებს, ულრანის ფსკერს გამოკრეფს. მხოლოდ ავი ტაროსი თუ შეიმწყვდევს ძელურში. სხვა დროს იმ ორად-ორი მსხლის ძირას აჩაღებს კოცონს. დანარჩენი ხეხილი რა ხანია პირუტყვებმა მოინელეს. ზოგიც მოჭრა და ცეცხლს შეუნთო. მსხლებსაც იგივე ბედი ეწეოდათ ჩემი მეცადინეობა რომ არა. დედაშენი მარხია იქ-მეთქი, ვეხუმრე ერთხელ და აკვანშიდამბლეულსაც მეტი რაღა უნდოდა. იმ დღიდან მოყოლებული ცეცხლით დარაჯობს ხახანტი მაკრონიას საფლავს, ავსულებისგან იცავს, საქონელს არ აკარებს. ვთქვათ და გამოჩნდა რომელიმე — მავედრებელი ხმით რქაზე მორიდებით წაეტანება. ნუ მიწუხებ დედაჩიასო[2], ეხვეწება, თან ზურგს უფხანს. ასეთი შეუსმენარისთვის თივაც ყოველთვის შემოუნახავს. დაუყრის და ნაღვლიანად ესაუბრება, ოღონდ ხეებს ნუ გაეკარები და არც შემდეგში გაზარალებო, მიაყავს ფერებ-ფერებით. ხან ბაჩაჩია[3] ბუსკას უწოდებს, ზოგჯერ — ჩერჩელა[4] ჩელას. ჩემი დიდი მასწავლებლის სიმღერიდან ახსოვს ეს სიტყ-

---

1 მგზავარი (მეგრ.)

2 დედიკოს. (მეგრ.)

3 თვინიერი (მეგრ.)

4 ზოზინა (მეგრ.)

ვები. განა ადრე გიშლიდი, მაგრამ დედის სამახსოვრო მწარე ყოფილა შეკაცოო, დაუყვაკებს. ჯიმაყონერს იმ მსხლების ჭამას არაფერი ურჩევნია. თანასოფლელებს, განსაკუთრებით კუნტა თუბალიას ნამოსახლარზე საბურთაოდ მოსული ბავშვებს უმასპინძლდება ხოლმე, მაგრამ ჯერ რამე თუ წაიხემსეო, ჭკითხავს. ვთქვათ და ახალგაზრდამ წასაუზმება ვერ მოასწრო, მსხალს კი მისცემს, თუმცა ჭკუის დარიგებასაც მოჰყვება. ჯერ საჭმელით მუეცელი გამაძღრიანეთ, მსხალი მერე დააყოლეთო. უმწიფარის ჩამოგდებას ხომ არავის აპატებს. ჩამოჯდება თხრილის კიდეზე და ონავრების თვალთვალით ღნება. უძილობაც აწამებს კემე მაკონინას. თეთრად ტეხავს ღამეებს იმ მსხლის ხეების სიახლოვეს დანთებულ კოცონთან. ძელკამზე წამოწოლილს ნახევარი საათით თვალის მილულვაც ჰყოფნის. ალიონზე გადასწევს თუ არა ბინდის ფარდა, ცისკარი, როგორც ყველ კარდუხის ჩონგური ხატავდა, ხუჭუჭა ტყეებისკენ წაყუტყუტდება. რა ეშველება ამ ჩალიანსო, ებრალებათ მეზობლებს. საკუთარ თავთან დარჩენილს კი ვერაფრით გაუგია თუ მის ვიწრო მხრებს რისთვის მიადევნებენ დედაქართულში მოსულელოს ბადალ სიტყვას. ეზრდება ღიღას ფრთები. კემეს ჯარგვალის გარდა ყველგან ჩაადწევს იგი, უღრანის ფსკერშიც და კუპრისმაგვარ ღელეშიც. გაქუცული ქარით შეკონავს ფიჩხს. აბა, წალდს და ნაჯახს შემოჭკრავს სულიერს?! მწყრალად გახედავს ტყეებით დასახლებულ სოფელს. ყანგისფერი ნაფოტებით უბეს ამოივსებს. კვირის სამყოფს ზიდავს კორძიანი ქედით. დაყრის ფიჩხს მსხლების სიახლოვეს და კვლავ უსიერს მიუბრუნდება. ოვნების სასახლედ იქცევა. მერე გაუოცდება რუსთან შეტოკებულ ოქროღიღას. მის პეშვისხელა, ბალნით ამოტენილ ყურის ნიჟარებს შაშვის წაკვნესებაც ეშველება. თვალებგანათებული, მუხლებამდე ხელებდაბრეული გაირინდება და როდესაც გამოფრენილ ფიჩხს ტყის თავზე ბრდღვიალებს უცვ. კვლავ შეკონავს ფიჩხს, წამოხტუტტრდება და შებინდებამდე რამდენიმე საათით ადრე კოცონს გაათამამებს. ზომაზე გრძელ ტოტებს წვეტიან მუხლებზე გადაამსხვრევს. ნაკვერჩხლებზე ათამაშებულ ცეცხლის ენებს შესცინებს. დროდადრო სამხრეთსაც შეუშინდება. მერე იქიდან ალისფერთმინინ ტყაშ მაფა წამოკიკისიდება. გაოგნებულს ენების მორევში ჩაითრევს და როცა ჯიმაყონერი გამოერკვევა, მინაგულულ კოცონთან ყრია ფოთლები, შემჭყნარი გვირილები. დღეს კვირა ემატება, და კვირას — თვე. ზაფხულს შემოდგომა ცვლის, შემოდგომას — ზამთარი. მალე ჭრაჭუნა ყინვები გამეფდება ოდაბადეში. აქედან მოყოლებული კემე მაკონინას კოცონი პატრონობს ყველას, უსახლკარო გიეები, ფეფიკი და ხოთო ჭენოხია იქნებიან ესენი თავიანთი მაწანწალა ძაღლებითურთ, თუ გარეულ იხვებზე მონადირენი. შემოუსხდებიან სოფლის ბიჭები ცეცხლს. დასველებულ წინდებს გაიშრობენ. წანაყრდებიან. არაყს მიაყოლებენ. თითო ჭიქას მასპინძელსაც უწილადებენ და მის სტუმრებსაც. კემეს თვინიერებას სასმელი უცნაურად აბარბანჯებს. მერე იწყება სეირი. დაბდური ხან ვედრებით, ხანაც ძაღლური ყმუილით უღრანიდან გამოსვლას ეხვეწება ტყაშ მაფას. არის ერთი ღრენა, წკავწკავი და გნიასი. მონადირე ბიჭების ფეხებში ძვრებიან ყურჩამოყრილი სეტერები. მოგვიანებით კოცონის გაჯიუტებულ პატრონს რომელიმე მკლავს გამოსდებს, ცეცხლთან მოაბრუნებს და ძელსკამზე ჩამოჯდება თუ არა კემე, მისი მეგობრებიც მაშინათვე წყნარდებიან. გადაციცებით უსმენენ. თავებს აკანტიურებენ. თვალები უფაროთოდებათ. წარბებს აზიდავენ. მოსაუბრის მიმიკას მისდა უნებურად ბაძავენ. ყოჩაღ, კემე, მაგრად დაუდექ, მაგრადო, აქეზებენ ახალგაზრდები. ზურგზე მუშტებს უბაგუნებენ. ხარხა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებენ. ისე კი, მაჯლაჯუნას მოყოლილი ზოგიერთი [illegible] ეფიქრებეს. ღმერთმა უწყის, იმ ხელიდან გავარდნილი ცრირბიას თავი და ნაბოლ, მოაჯადოვებს ამისთანა კუროს, აბა, არა?! როცა ეჭვი გაუზიარებენ ხანდისხან, ეს რა ესმის ჩემს ყურებსო, დაიბღავლებს დაგვალული და მსხლის ხეს უბღალ გაუქანებს. თითქოს კოჩიას ჰალიძონიას ნაცოლარის ზნეობას მსგავსი რამ არ ეკადრებოდეს, თუმცა, ჰაა, ხუთი თვე იწურება მას შემდეგ, რაც ოდაბადილებს ყველა ეჭვი გავუქარწყლე. დამიჯერა გათვალულმა და როდესაც ჯარგვალიაში შეტყუებულ კვატალა მოსოხიას ნასწავლისამებრ კაბა შემოაფლითა, გაოცებამ კემეს მოკლედშეკრეჭილი თმა აუზიარობა. კი, მაგრამ შენ ხომ კვატალა ხარო, შეჰბედა მოგვიანებით. ჰო, კვატალაც და ტყაშ მაფაცო, უთხრა ჩემგანვე დარიგებულმა ქალმა. ხახანტის ძემ უაზროდ მოიქქა კეფა. საჭირო სიტყვებს ეძებდა. დაბნეულობა ამუნჯებდა. აქვე მათ შორის არსებული აშკარა სხვაობაც აღაშფოთებდა. რამდენადაც ახსოვდა, ტყაშ მაფა უფრო მსხვილი იყო, ცეცხლისფერთმიანიც, ეს კი — გაწლიკული. როცა პირველს ხატავდა ლოყებს გამობუშტავდა. კვატალას რიგი რომ დადგებოდა, სასაცილოდ იმჭლევებდა. ეგ არაფერი, შენთან სიარულმა გამახდენაო, ნელინელ თამამდებოდა მოსოხია. კი, მაგრამ ის რომ არ კოჭლობდაო, კვლავ გაოცებით ეკითხებოდა ჩემი ჯიმაყონერი. კვატალაც გამოსავალს მალე პოულობდა, შენთან სიარულისას ვიღრძე ფეხიო, არწმუნებდა. მოკლედ, მეხუთე თვე იწურება, რაც ოჩოკოჩის მამულს ღობე შემოესალტა, რაც აქეთურების საქონელს მხარი აექცა, ჩემი დეიდების ტრიფოლიატას ღობეს ეხახუნებიან, მეხუთე თვე იწურება, რაც ხახანტი მაკრონიას ვაჟის პეშვისახელა ყურის ნიკარებში ბალანი შეთხელდა. ბამბაზის ბანუნებული პერანგი დათმო. წვერიც მოპარსული აქვს და ალთა-ბალთას გასხლტომილი თვალებიც ბუდეებს დაუბრუნდა; მეხუთე თვე იწურება, რაც ულრანებს [illegible] ძირას დანთებულმა ცეცხლმა ჯარგვალიაში გადაინაცვლა. გადატრუსულ, ნაბდისგაშლა მიწას მოლი მოეკიდა, ხოლო უხვმზიან ალგას ბოსტანი გაჩნდა. ძელსკამზე დასხდებიან ხოლმე კვატალა მოსოხია და კემე. ქალი გამობერილ მუცელზე ხელს მიადებინებს ქმარს. შვილის გაფაჩუნებით ანეტარებს. მერე ჯიმაყონერი ცირიბია შკვითინხეს ზორბა სვეტებზე წამოჭიმულ ოდას ალმაცერად გახედავს ოცნებაში, გეგონებათ, თითქოს იმ ძველ ტყაშ მაფას მოელისო, რომელიც საოცრად განსხვავდება ამ ახლისგან. ბოლოს შვილის გაჩენის გაჯანჯლებით უკმაყოფილო, რატომ არ შობ ამდენ ხანსო, ყრუდ უსაყვედურებს მეუღლეს თავჩაღუნული, რაც გულიანად გადაკისკისებს კვატალას, რა სულსწრაფი ხარ შე უბედურო, წაუთაქებს სიყვარულით. გადაითვლის თითებზე, ერთხელ, მეორედ, მესამედ. აკლებს ამატებს, დასასრულ, თვენახევარში გეყოლებაო, ეტყვის დასანუგეშებლად, თანაც კვნესით წამოიმართებს. ქვებს დასწვდება. დეიდების წამოდენილ საქონელს სამგლეებოს ძახილით დაუშენს, რომელი პირუტყვებიც მაკრონიების ჩაგრაგნილ ღობეებს ხუთი თვეა საცოდავად შეეღვინან. კემეს მაინც რაღაც აწუხებს. ცირიბიასაც ასეთი ამღვრეულობის ჟამს შეუგლის ხოლმე. ხან შეშას უჩეხავს, ხან სიმინდს უფშვნის, ზოგჯერ წისქვილშიც გაეგზავნება. თვითონაც ვერ გაურკვევია თუ რისთვის აკითხავს შკვითინხეს, ან კვატალაზე მოეჭორილ სისაძაგლეს რისთვის წაუყრუებს თავდახრილი. აბა, შენ ახრებული[1] ხომ არ გგონია ჩემი ჯიმაყონერი?! — დაამთავრა როგორც იქნა.

ჯარგვალიაში შემოჭრილი წყლით დაშინებული და ისლის სახურავზე ამძვრალი ცოლ-ქმარი ანთებული ფან-

---

1 არც ისე ხელწამოსაკრავი, მთლად ჩვეულებრივი კი არა (მეგრ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების ვამოჩენამ სასოწარკვეთით აღ-
მუელა. როცა დარწმუნდნენ, შუქი აშ-
კარად მათი სამოსახლოსკენ მიცოცა-
მენდა, ხელების ქნევას და ყვირილს
უმატეს.

ნაკადი უფრო და უფრო ღრმავდე-
ბოდა. უკვე ფეხზე დგომა შეუძლებელი
იყო. ხანთარიძემ რაზმი შუაზე გაჰყო.
თოკის ერთი ბოლო გზისპირზე დარჩე-
ნილების მეთაურს — ჭიჭე კვეკვეს ჩა-
ბარა, მეორე — თვითონ ჩაბღუჯა და
თენგიზ ანთარიასთან, გურამ თუბა-
ლიასთან, ენვერ და აბესალომ კარდუ-
ხიებთან ერთად სინათლის ოქროსფერი
ბილიკით ძელურის მიმართულებით გას-
ცურეს.

დამდოვრებული წყალი ჯარგვალს
სარტყლებამდე წვდებოდა.

ანაგძაგებულ ცოლ-ქმარს დაუყვავეს,
დაანუგეშეს, ქვასავით დამძიმებულებს
აქეთ-იქით ამოუდგნენ, გამოსტოპეს მე-
გობრებისკენ, რომლებიც თავდაუზოგა-
ვად ექაჩებოდნენ კანაფს. უკვე სამშვი-
დობოს იყვნენ გულის შეყრამდეგ-ბასუ-
ლი" კემე და კვატალა, ამიტომაც სიხა-
რულისგან აზლუქუნებულები წარა-
მარა იკოცნებოდნენ მარჯვნივ და მარ-
ცხნივ, განსაკუთრებით მას მერე, რაც
ფეხქვეშ მიწა შეიგრძნეს, მაგრამ რაზ-
მი სამხრეთისკენ დაიძრა თუ არა, ჩემი
ფიჩხიო, საწვავის განიავებულ მა-
რაგს მიაკვნესა ძელურისკენ კისერმიქ-
ცეულმა კაცმა, ჩემი ბოსტანიო, მიაქ-
ვითინა ქალმა ნაჯაფარ ბალახ-ბულახს.
— ერთსაც ეშველება და მეორე-
საც — დაიმედეს ალერსიანი სიტყვე-
ბით — ტყეში ფიჩხის მეტი რაა?! ბოს-
ტანსაც ხელახლა გამართავთ, ოღონდ
ახლა დამშვიდდით — ამას ეხვეწე-
ბოდნენ და რამდენადაც კლებულობდა
წყლის დონე, რამდენადაც უახლოვდე-
ბოდნენ ცირიბია შკვითინხეს ოჩოფე-
ხებზე შეყენებულ ოდას, იმდენი სიმ-
ხნევე ემატებოდა გადარჩენილთა ხმებ-
საც...

რომანის ყაჟურნალო ვარიანტის დასასრული

ლაშა ნადარეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

შიშველ ფეხისგულებზე
მაკოცნინე, თბილისო!
ეგ ღრუბელი, ნეტავი,
ადრე გადაგეყარა...
ხედავ,
მტკვარიც გაგექცა —
აწი ჩორთით ივლისო,
აწი ჩორთით ივლისო
დაქცეული ქვეყანა.

წვიმა შემოგეპარა
აღა-მაჰმად-ხანივით,
წვიმა შემოგეპარა,
გაზაფხული კი არა...
მოდი,
მტირალ ქარაფზე
დაფრენილი აივნით,
შიშველ ფეხისგულებზე
მოგისინჯო იარა!

●

ამინდი ისევ ჯიუტად მარტობს.
მე, რა თქმა უნდა,
ტკივილიც მყოფნის.
მაინც არა ვარ მიწაზე მარტო,
მიწაზე — ვეფხის, მიწაზე — მოყმის...
მზის დასავალი სავსეა ღველფით.
აშვებულია ლაგამი აფრის.
აქ ცხოვრობს
ჩემი ლამაზი ღმერთი
და ყოველ დილით შემოაქვს თაფლი.

ციკლიდან: „მილიონი წელია...“

აი, სამყურა ჩემი მაისი —
მარადიული ცეცხლის აისი,
სადაც ბაღებში სემირამიდის
ყვავის ძვირფასი ედელვაისი.

აქ ჩაკირულა სული აიდის,
აქ ასვენია ტახტი ამიდის,
აქ ეფარება მხურვალე კალთას
შეულახავი ცა პირამიდის.

მზე გამოსულა ქუჩაში ფეხით,
მზე დაცემულა სამყაროს ფერხთით,
რა გაეწყობა — წაგიყვან ალთას —
ჩვენ ამ მიწაზე
წარღვნამდე შევხვდით!

●

საით მიფრინავ, ქარის წისქვილო,
მწუხარე მზერით საით მიფრინავ?!
თუმცა სექტემბრის ლურჯი ცის ტილო
უკვე ჩიტებით გადაიფინა,

იმ საუფლოშიც სევდა ქირქილებს
და სანამ ქვეყნად შენი ღერძია,
ნუ გაფრინდები, რადგან წისქვილებს
დონ-კიხოტები ყველგან ებრძვიან!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაწყვეტი დაუწერელი წერილიდან

ეს მოგზებაც ნისლებთან წავა,
აიშლებიან გზაზე ფერები...
თუმცა სავსეა ტყუილით ყავა, —
გაცრეცილ ფინჯანს მოეფერები!

სხვამ უერთგულოს უდაბნოს ქარებს,—
და თუ ცრემლები შეგრჩა დილამდი...
— მეც დამკარგვია ღრუბლებში მთვარე!
— მეც დამკარგვია მზე და ვივალდი!

თაფლოგბისთვე

თოვს
უცნაურად
შორი
შემო-
დგომების
ჰორი.
გრძელი
დღეების
რიგი.
ცა.
მაგნოლია.
გრიგი.

უსათაურო ლექსი

...და ნისლიანი დღეების მიღმა
გამოიდარებს თვალები ლურჯი...
უკანასკნელი ზამთარიც მიხმა,
გადაიღალა ქარების ფუნჯი.

მოდილიანი ვარსკვლავებს ყიდის,
ეყრება გამზრის ეკლები ვარდის...
გ ა ი ღ ე თ მ ზ ე რ ა! —
ნაცნობი ხიდის რიკულებიდან
ა პ რ ი ლ ი ბ ა რ დ ნ ი ს.

●

მეც მყავდა ცხენები,
ცხენები — ტროელი..
ამიტომ დანდობას
ტყუილად მოელი!

ვიყავი ლუი
და ვიყავი მარატი...
ვიცოდი სიმართლე,
ვიცოდი ღალატი.

ვფიქრობდი მუცელზე.
ვფიქრობდი მამულზე.
ვფიქრობდი სიძვაზე.
ვფიქრობდი ამურზე.

ვიარე, ვეხეტე. —
ქვეყანას რა შერჩა...
პარიზთან ნიავმა
ღრუბლები აჩეჩა.

ეპილოგი

ხის კენწეროზე დაფრინდა მთვარე,
ყეფენ ძაღლები უბოროტესი,
თუმც სალამური ლერწმისგან ვთალე,
დავიკარგები მხოლოდ ფორტეში...

მატარებელი მიდის და მიდის,
მიაქვს მთები და მიაქვს კორდები,
არ დაიჯერო, ძვირფასო, მითის,
არ დაიჯერო ეს აკორდები!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკვიემი ბავშვებისათვის

ათასი წლისაც არ დაბერდები.
გალაკტიონი

ფრაგმენტი

* * *

დასაბამიერი სიტყვები „იქმენინ ნათელი“, რაღაც
სასწაულით განხორციელდნენ და საოცრების იდუმალი უბიდან
ვარსკვლავების მოციმციმე თვალებით გამოიხედა სამყარომ...

დაიწყო და აღარ შეწყვეტილა დღე-ღამის ულამაზესი
მონაცვლეობა — თითქოს საწიერის თვალშეუდგამი, მეტად
უცნაური არსება ლაჟვარდების ვეება ფილტვებით სუნთქავს და
მის ყოველ ამოსუნთქვას ცის უძირობიდან განთიადის ბადით
მზის „ოქროს თევზი“ ამოჰყავს, რათა ნანატრი სინათლით
პირთამდის აივსოს საგანგებოდ გამზადებული ჭურჭელი.

...ერთ ცისმარე დილას, ცის ლურჯ თაღებქვეშ მზის
მომაჯადოებელი ღიმილით განათებულ და მინდვრის ფერადი
ყვავილებით ზღაპრულად მოქარგულ ხალიჩაზე სიხარულის
უეცარმა მოზღვავებამ გამოაღვიძა თავისი თავით დასაჩუქრებული,
უსაზღვროდ ბედნიერი ბავშვი.

ახლად გახელილი თვალების სრულიად მოულოდნელ სარკმელში
სულჩადგმული საოცრებებით დასახლებული ქვეყანა გადაიშალა,
რომელიც მთლიანად ეკუთვნოდა და ემორჩილებოდა უცოდველობის
სამოთხეში უზრუნველად მოხეტიალე გულუბრყვილობას.

არაფერი არღვევდა კეთილსა და ბოროტს შორის,
მათი შეცნობის აკრძალვით დამყარებულ წონასწორობას...
არაფერი აღრვევდა სითბოს, სინათლისა და სიცოცხლის
განუზომელი წყალობისათვის მადლიერების ბაჯაღლო ოქროთი
გავლებულ ზღვარს, სანამ თავისი ანარეკლის შემოწმება
არ გადაწყვიტა და ჭუჭყიან გუბეში არ ამოჰყო თავი, ღვინით
ბოძებული სიბრძნით თვით ღმერთის წინაღმდეგ ამხედრებულმა გველმა...

იიმღვრა წყალი... გაქრა გამოსახულება...
გამქრალნდა აკრძალვის უღრმესი აზრი, მაგრამ შეცდომა
ვეღარსად წაუვიდა საბედისწერო შედეგს... გველი კი, აბა,
რის გველი იქნებოდა, თუ თვით მკერდითა და მუცლით მიწაზე
გაკრული გველურად არ მოიქცეოდა და უმანკო მტრედის ციდან
მოსაწყვეტად თავისი სიბრძნის შხამს არ მოიშველიებდა...

ასეც მოხდა: — თუ გსურს, უფალი იყო მისი, ვისიც მხოლოდ
ნეკნი ხარ, ხორცი აგმეო — ლუციფერის ღიმილით გონება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუნათა, ქვეყნად თავისი წიწილების გაჩენის ოდინდელი
სურვილით აღგზნებულმა გველმა წუთისოფლის მომავალ დედას...

გაიხა აკრძალულს აფარებული ფარდა... გაიხა და სისხლით
მოთხვრილი ნაწილი საშინელი ტკივილით გამოეყო მთელს...

სულიერებიდან ხორცით გამოტყუებულმა კაცმა იცნა რა ცოლი,
ცოდვას ნაზიარები სიშიშვლე დაიფარა, ცხოვრება დაარქვა და,
მის ყოველდღიურ ორომტრიალში ჩაძირულმა, თანდათანობით
გადაავიწყა კეთილშობილების ზეციური მეგობრები, მათთან
ურთიერთობის ენით აუწერელი სიხარული.

* * *

ჰოი, მტვერისა და არარაობისაგან ნაძერწო — უუშორესი
ვარსკვლავების იქით გაფრენაზე ოცნებავ...
ვინ იცის, რა დრო გავიდა ტანჯვით შობასა და ქანცგამცლელ
ჯაფაში, ვიდრე კაცზე გამწყრალ ღმერთს კვლავ სათნოეყო იგი.

დღეს კი ათასწლობით ნამღერი, ნატირალი თუ ნაღაღადები
ისევ მტკიცებას საჭიროებს:

სიყვარულია ის სიტყვა, წარმოთქმისთანავე საქმედ რომ იქცა
და უგრძნობელი თიხიდან სიცოცხლის საოცრებაში გამოგვიყვანა.

სიყვარულია ჭეშმარიტება, ვისადმი ორგულებმაც
სამოთხედ და ჯოჯოხეთად გაყო მთელი.

სიყვარულია ის მაღალი ნება, კაცთა გამოსასყიდლად შეწირული
შვილის დედობა რომ უბოძა მშვენიერ ქალწულს.

სიყვარულია ის, ვისი უკეთილშობილესობაც, უსიყვარულოდ
დარჩენილთა ხვედრით შეძრწუნებული გვემუდარება, თვალით
ნანახი და ყურით მოსმენილი გულში ნათელეყოთ... რათა
თავი დავაღწიოთ ჟამთა ყოვლისწამლეკავ მდინარებას და
წარუვალობის ნაპირებს დავუბრუნდეთ.

სიყვარულია სინათლე, რომელიც ერთნაირად მოეფინება
კეთილსა და ბოროტს... (კეთილს, რათა აღემატოს
ყველა სიმაღლეს. ბოროტს, რათა ვერ გაიმართლოს თავი
გამოსავლის უქონლობით).

სიყვარულია ის „ხუთი პური“, ათასებმა რომ იმყოფინეს
და მორჩენილი გოდრებით შეაგროვეს...

სიყვარულია ის ერთადერთი იმედი, რომელიც არასოდეს
გაუცრუვდება მისადმი მსასოებელს.

სიყვარულია ერთადერთი მიზანი, ერთადერთი გზა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიყვარულია ჟამთა უწინარეს შობილი, სინამდვილეში
ერთადერთი სიმართლე... ვისი ბრწყინვალებაც თავად
დამდაბლდა მიწამდე, რათა ჩვენსავე უგულობაში მკვდრები,
თავის ყოვლისმომცველ სიკეთეში აღვედგინეთ.

გიყვარდეს ისიც, ვისაც სძულხარ და არ ენანები დასაღუპად,
აი, შავი გრძნეულებით მოჯადოებული წრიდან გამავალი
საიდუმლო გვირაბი, რომელიც უკვდავების წყაროსთან ამოდის.

და თუ ირღვევა მის მცნებათაგან თუნდაც უმცირესი,
უსიყვარულოდ ვიღუპებით, როგორც უჰაეროდ...

მერე? — ვიქონიებდით იმედს, რომ ოდესღაც ნანახი სიზმარივით
განმეორდება ყველაფერი და ხელახლა შევუდგებით ერთხელ უკვე
ცუდად განვლილ გზას, მაგრამ რა ვუყოთ, აუნაზღაურებელი
დანაკარგის არსებობას?.. რა ვუყოთ თვალებდათხრილი
წყვდიადების საშინელებას?.. ცრემლისა და გლოვის საფუძველს?..

* * *

მადლიერების ჩვენსავე გრძნობაში იმალება მამობრივი
მზრუნველობა, რომელსაც თავ-თავის დროს გამოჰყავს
საჭირო თანავარსკვლავედი, რათა დედა-ცხოვრებამ
დაუბრკოლებლად მიაღწიოს სრულქმნილების სამშვიდობოს.

ეჰა, ქვეშის თვალუწვდენელ უდაბნოში ჩაკარგულო მარცვალო!
ამოდ ჩაშტერებიხარ უგულო მიკროსკოპის უსიცოცხლო თვალით
უძირო მოლეკულის ფსკერს, რადგან ყოველი უმნიშვნელო ნამცეცის
ირგვლივ მხოლოდ სიყვარულისთვის გასაგები მიზეზით ბრუნავს
ციური სფეროების ლაჟვარდოვანი ბორბალი.

და თუ სიცოცხლის სასწაულით აღტაცებულს, ეჭვის ჭრილობიდან
არ გეპარება სულის უტკბილესი წვენი — სინამდვილეა
ყველაფერი, რასაც რწმენითა და სიყვარულით გასწვდები.

ვის გულუბრყვილობასაც სჯერა, რომ ციდან ჩამოშვებულ შუქის
თოკზე გამობმული იპოვა დედამ, მისთვის ცნობილია ბრძენთათვის
დაფარული...

დაიჯერე დაუჯერებელი და დარწმუნდები, რომ დათვლილია ცაში
ვარსკვლავი. ზღვაში კენჭი, თავზე თმა, გულში ჩქამი...

* * *

პარადოქსია, მაგრამ საკუთარი თავის გადასარჩენად ბრძოლა
თვითმკვლელობაა... ჭეშმარიტი სიცოცხლე კი, კაცთათვის
უყოყმანო თავგანწირვაში იბადება, — აი, სხვადასხვა ხის
სხვადასხვა ნაყოფი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო, ვინც ყველაფრის დასასრულს სიკვდილში ხედავს, იგი ვერ ხედავს, სიკეთისა და ბოროტების საფუძველთა შორის სხვაობას... გამოდის, რომ ყაყაჩოს დათესავ, მზესუმზირას თუ პურს, სულერთია — მაინც ეკალს მოიმკი. გასცემ თუ წაართმევ, უძმობ თუ უმტრობ, სულერთია — მაინც სიკვდილით დაისჯები.

აღარ ყოფილა განსხვავება ცასა და მიწას, შავსა და თეთრს, ბნელსა და ნათელს შორის. სიცრუე ყოფილა ადამიანსა და ფარვანას შორის გადაშლილი უსაზღვრო ოკეანე...

არ დაიჯერო! არ დაიჯერო, თითქოს გაუნათლებლობის გამო ისხდნენ წმინდა მამები კლდეებში ამოჭრილ მღვიმეებს, ცად აღმართულ სვეტებს, ზღაპრებსა თუ ლეგენდებში...

ქვემოთ ისევ ჭიანჭველებივით დაფუსფუსებენ და სიკეთის წარუვალობაში დარწმუნებულთა გულუბრყვილობაზე ეღიმებათ არაბუნებრივი ფიქრებით მოწამლულ ადამიანებს, რომლებიც წამიერი სიხარულისთვის ზრუნვით ითხრიან გარეგნულად ბრწყინვალე საფლავებს.

მათთაგან სისხლითა და ხორცით უახლოესნი დაგმოძღვრავენ: შენ ყველაზე უკეთესი უნდა იყო, ყველას უნდა აჯობო, არავის დაუთმო პირველობა... მაგრამ თავ-თავიანთი პიროვნების ბნელ ციხეებში გამომწყვდეულნი ვერ ხედავენ და ვერც შენ გაუწყებენ, რომ ყველა შენს მიერ უკან ჩამოტოვებული თვითონ შენა ხარ... შენივე მთლიანობის ნაწილები არიან...

მე ვარ პირველი და უკანასკნელი — ამბობს უზენაესი. ხოლო, ვინც თავის წარმოდგენაში პირველია, იგი სინამდვილეში ბოლოა და პირიქით...

პირველობისათვის ბრძოლა, სხვათა დამარცხებას გულისხმობს, სინამდვილეში კი, საკუთარ თავთან ბრძოლის გარდა, საეჭვოა ყოველგვარი ბრძოლის შედეგი, რადგან ჭეშმარიტი გამარჯვება პირადულის დამარცხებაში მდგომარეობს.
ცეცხლის მახვილით, სწორედ პირადულისგანაა დაცული მარადიული ცხოვრების ხის, მიწიერი ცნობიერების ჩრდილში მოქცეული ნაყოფი... რომელსაც ადამიანის გულში ეყრება საფუძველი და ურომლისოდაც ცარიელი კასრია კაცი... ერთხელაც სიძველისაგან გატყდება იგი და გამეღვანდება გულში დამალული ორპირობის მთელი სიბილწე...

რაც შეეხება მომავალს, იგი ამქვეყნიურ საქმეთა ჯამია და ქამის გასრულებით იწყება...

* * *

უსიერი ტყის გაუვალი სიღრმეებისაკენ მიფრინავს სურვილების ფრთებმოხატული პეპელა და თუ შეგიტყუა... შებინდებისას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გონსმოსული უკან რომ მოიხედავ, აღარსად იქნება პირველმიზეზი...
უდაბნოში მარტო დარჩენილი კაცის ილუზიით შეშფოთებული,
გარესამყაროს მოჩვენებითობას დაეყრდნობი და საკუთარი
საფუძველის გამოთხრას შეუდგები...
დასაბამიდან ღვთის შიშით ცნობილი — სიკეთესთან
თანაარსებობას მოწყვეტის შიში, მატერიალური სიღარიბის,
ფიზიკური შეურაცხყოფისა და სასჯელის შიშებად დაკნინდება.
დამახინჯდება და დაეცემა.
სიყვარულსა და სიკეთეში შეპარული ეჭვის მიერ ჭეშმარიტების
შესამოწმებლად დაქირავებული სკოლები, ფორმის, ფერისა და
ხმის უკიდეგანო ბუნებიდან უზუსტესი გამოთვლებით გამოიყვანენ
გამოუსწორებელ შეცდომებს...
სახნისს გააუმჯობესებენ და თოფი გამოუვათ...
ყვავილებს დათესავენ და ტყვიებს მოიმკიან...
თანაც მხოლოდ სხეულს არ დაგვჯერდებიან, სულსაც წაეპოტინებიან
ჩვენივე რუდუნებით შექმნილი მანქანები, რომლებიც დიდი
მონდომებით ეცდებიან დაგვარწმუნონ, რომ ადამიანიც ასეთივე
მანქანაა... რომ „უკვდავების წყაროს“ ადამისდროინდელი
ამბავი, ბავშვების გასართობად შეთხზული ზღაპარია... რომ
ცივილიზებული ადამიანის ერთადერთი საზრუნავი კომფორტია...

...არ გასცვალო! არ გასცვალო ცის თვალშეუდგამი სიმაღლე
საკუთარი სახლის კედლებით შემოკავებულ სიცარიელეში, რომლის
ნივთებით ავსებაზე ზრუნვას ვერ აუხვალ. ნივთებთან ურთიერთობის
აზრი კი, მათზე უარის თქმაში მდგომარეობს...

* * *

ტკივილსა და მწარე სინანულის ცრემლებში იღვიძებს სინამდვილე...
განვლილი ცხოვრების გამო სინანულის ცრემლებში, რომლებიც ციურ
ნათელს აირეკლავენ და უკეთურების ჭაობში ძლივსღა მფეთქავ გულს
ხელახლა აღავსებენ კეთილშობილების მაცოცხლებელი შუქით.

ისევე, როგორც ხატი ღმერთი არ არის,
სამკაული არ არის მშვენიერება,
ფული არ არის ქონება,
გარეგნობა არ არის ადამიანი...
გარეთ მხოლოდ გაზაფხულობით, შიგნით კი, ზამთარ-ზაფხულ ჰყვავის
ყველაფერი, და თუ 1, 10, 1000 წლის იქითაც შევინარჩუნეთ ბავშვობა,
ჩვენი ასაკი აღარ გამოიხატება ოლეოგრაფიულად, სრული დროის ტოლია
და მთლიანად რწმენის მასშტაბებზეა დამოკიდებული...
ჰოდა, რად გინდა დროებითი თვალსაჩინოება თუ იგი, უჩინარი და
მარადიული, სულიერი სახლის ძარცვით და ლპობით მოიპოვება...

სიცოცხლე ქათქათა ფურცელია, რომელზეც სისხლში ნაწობი კალმით
წერს ცხოვრება თავის სევდითა და ტკივილით ძირისძირამდის
გაჟღენთილ ამბავს...
შენ კი ჭურჭელი ხარ, რომელიც მაცოცხლებელი წყლით უნდა აივსოს
და მწყურვალთა დახეთქილ ბაგეებში შენივე ნებით ჩაიცალოს...
აი, სიგიჟისა და სიბრძნის მწვერვალი, რომლის დასაპყრობადაც
იბადება ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით თედორაძე

დავითმა წარვლო ჭოროხი

როცა სული მთხოვს
ტყეს და მდინარეს,
როცა ქალაქში ვერ ვძლებ,
მოვინახულებ პირმომცინარე
ჩემს უძვირფასეს ერგეს.
. . . . . .

დავითმა წარვლო ჭოროხი,
თურქს დაეცა და თბილისს,
მიბრუნდა გამარჯვებული,
როგორც ვარსკვლავი ღილის...

აქ, ჩემს სოფელში,
ღმერთის ტოლს
მეფე ბრძენს აუვლია,
ჭოროხი რიდით დამშრალა,
სხვა წყლებსაც დაუკლია,
ტყეს მოდებული ხანძარი
შებერვით ჩაუქრია...

მომკალ თეთრი ღამეებით

მობრძანდები, მირონივით აკმეე სურნელს მკათათვის,
სუნთქვასავით მსუბუქი ხარ, გრძნობას გული ვერ იტევს,
თვალებში მზე ჩაგდგომია, სხეულს გიწვავს ბადაგი,
მომკალ თეთრი ღამეებით, აწ ფიქრს გამოვერიდე.
გულმა როგორ გაგიმეტოს, როგორ დაგთმოს სხვათათვის.
არაფერი არ ყოფილა ცქერა ცის და მიწის,
სული სულთან თუ არ მივა, გული თუ არ იწვის.
თუ არ გადაისარკება ოცნებათა რკალი,
უცაბედად მოვარდნილი სიყვარულის ქარით.
თითქოს მიწას გაღღვიძა დიდთოვლობის მერე,
თითქოს ზვავი გაირღვა და დაიქუხა ღელემ,
სისხლი ამითამაშდება ყელს რომ მოიღერებ.
ვიტყვი, სულს მოეფონება საგალობლის დარად,
ძევახ, გახსენ მიჯნურთათვის ბროლის კოშკის კარი!
ავთვალთაგან სიყვარულის ფარი (დაგიფარავს,
სამოთხის გზას ვინ გასწავლის, არ გეცვლოს მხარი.
ოხრად რჩება სიყრმე ჩემი, ავდარიც და დარიც,
ძევახ, გახსენ მიჯნურთათვის ბროლის კოშკის კარი!

●

მინდა ძმად გავეფიცო მედროშეს და კალატოზს,
არც არავის ვაბრიყვებ და არც არვის ვლალატობ.

ვისაც ხედავ წაერთვა ან ვინც დარჩა უგულოდ,
ჩემი ქვეყნის დიდებას როგორ უნდა უყუროს.

ეუხმობ ბნელში მჯდომარეს — თვალი მიჭრას აისმა,
ცხვარში, ზვარში, ყანაში უნდა ნახო კაი ყმა.

ფუძის კეთილ ანგელოზს (თუ არ მიეძინება,
თუ კი სოფელს უყვარხარ, ხალხმა თუ კი ინება,

დაფნის გვირგვინს დაგადგამს პოეტსაც და მეხრესაც,
რომ სიკვდილშიც იცოცხლო აგიტაცებს მეცხრე ცა.

ნოდარ კობერიძე

თეთრი ღიმილი

რომანი

უკეთ იგრძნო თუ არა თავი, წამს კარდიოგრამა მოითხოვა. ყურადღებით წაიკითხა (ბოლოს და ბოლოს, ტყუილად ხომ არ მიიღო ამ თექვსმეტი წლის წინ ექიმის დიპლომი); როცა დარწმუნდა, არ ატყუებდნენ და ინფარქტი „ნალდად" არ იყო, შვებით ამოისუნთქა. სად ჰქონდა ახლა ამისი დრო! გადარჩა! გადარჩა! ინფარქტი რომ დამართოდა, წასული იყო საქმე — იოტისოდენა შანსიც ეკარგებოდა, რომ „გამომძიკალიყო". ფილში გარდატეხის პროცესში იყო, არადა, ხომ მარტო თვითონ იცოდა, რამდენს ეწამა, სანამ სცენარს დაწერდა, მერე მის დამტკიცებაზე რამდენი იჯახირა. სცენარის არსი, კონტურები ჯერ კიდევ მაშინ მოხაზა, როცა საბოლოოდ გადაწყვიტა, რეჟისორობისთვის მოეკიდა ხელი. სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლისას სულ ამ ჩანაფიქრს უტრიალებდა, ხვეწდა პასაჟებს, ათასგვარ წინააღმდეგობას აწყდებოდა, იტანჯებოდა. თავს არ ზოგავდა, რათა სცენარი მოქნილი, საფულდაფულად გარანდული გამოსულიყო. მთავარი როლიც ვერავის ანდო — ეს ტვირთიც თავად უნდა ეზიდა, სხვანაირად არ გამოვიდოდა, სხვანაირად ვერ შეძლებდა ჩანაფიქრის განხორციელებას. ამ ფილმით აპირებდა ყოველივეს შეესებას. რომ გეკითხთ, რა უნდა შეევსო, არ გიპასუხებდათ. არა, არ გიპასუხებდათ კი არა, ვერ გაბედავდა, ეპასუხა, რადგანაც „ომის" გაჯზრება ისე თრგუნავდა, როგორც გრდემლზე დადებულ ფოლადს მკეთლის ურო. ყელწრფელად სწამდა, თუ ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებდა, ეს იგივე იქნებოდა, რაც ჯოობში ჩავარდნილი კაცისთვის მაშველი ბაწრის დანახვა. ინფარქტი კი ნამდვილად დაღუპავს უკაცდა — აბა, ახლა ფილმს ვინ დაკონსერვებდა, უიმისოდ გადაღებული თუნდაც ერთი უმნიშვნელო ეპიზოდი კი...

პალატაში ნიღაბაფარებული ქალი შემოვიდა. მკერდზე სამკაულივით ჩამოკიდებულმა ფონენდოსკოპმა მიაბეგერა, ექიმი იყო. შემოსულმა გაუღიმა, ტაბურეტზე ჩამოჯდა, შუბლზე ნაზად მიადო ხელი.

— გურამ, ახლა შენთვის სიმშვიდე რომ აუცილებელია, ეს ჩემგან არ გესწავლება; ეცადე, არ იფიქრო და, თუ მაინც ვერ შეძლებ, მაშინ იოცნებე—დღეს ხომ გაბაფფულის პირველი დღეა — ქამი ოცნებისა!

ხმა ეცნაურა გურამ სავანელს. ნიღაბაკრული სახეს ყურადღებით დააკვირდა. ნუშისებრი ჭრილიდან მწვანე თვალები თმილად უმზერდნენ. შორს, შორს, ცნობიერების ბნელ სარდაფში ცისკრის სხივივით ალაციცდა ნაცნობი სილუეტი, მაგრამ, ვინ იყო, ვერაფრით გაიაზრა. შუბლი შეიმუხნა, ქალის გუგებიდან გადმოსულ გაზაფხულს მეხსიერების მთელი დაძაბვით ჩაეშტერდა და გულთან რაღაც სასიამოვნო მოლამუნება შეიგრძნო.

ექიმმა ხელები კეფისკენ წაიღო. ნიღაბი შეიხსნა.

— არ შემცდარხარ, გურამ, მარიკა ვარ, — გამთბარი ღიმილით წაიჩურჩულა ლამაზმა ტუჩებმა.

გურამ სავანელს სახეზე დარდიანი ღიმილი გადაეკრა.

— შენა ხარ ჩემი მკურნალი ექიმი?

— არ ვიცი, ვნახოთ, — მარიკას ხმაში სევდა შეეპარა.

— მაშინ, სანამ ამ საგანგებო გადაწყვეტილებას მიიღებდე, მონიტორი მომმხსენი და წელადლილვეთი შუბლზე გადამისვი ხელი.

მარიკამ მონიტორი გამოთიშა, შუბლზე ჩამოყრილი სწორი თმა თითებით გადაუვარცხნა. გურამ სავანელი თვალები მილულა. წარსულის მკრთალი სხივები უკუნეთში ისე შემოჯარნენ, როგორც პროკეტორიდან წამისული ტიტრები ეკრანს...

●

„გურამ სავანელი დისპეტჩერთან!" — გამოაცხადა რეპროდუქტორმა.

ფონენდოსკოპი ხალათის ჯიბეში ჩაიდო, დისპეტჩერთან ჩავიდა.

—გურამ, ონკოლოგიურიდან გამოძახებას რომ ელოდი, დარეკეს.

გურამ სავანელმა თავი დაუქნია.

– კლარა, თუ გიყვარდე, ბრიგადას გამოუძახე.

„სავანელის ბრიგადა გამოძახებაზე!" — გაისმა დაღლილი ხმა.

ონკოლოგიური ცენტრის შესასვლელში ვიყავ ზანდუკელს ჰკიდა თვალი.

— როგორაა?

— ძველებურად.

თამაზ ზანდუკელი, ეს დევნილი კაცი, ფერდობზე შემორჩენილი მარტის თოვლივით ჩამომდნარიყო. ერთთვიან გაყვითლებულს ხელის თითები უსაშველოდ დაგრძელებოდა, ჭაღარაშერეული თმა უკან გადაევარცხნა, სახის ნაკვთები ალრეოდა. გურამ სავანელს ოდნავშესამჩნევად გაუღიმა, ნელა წამოჯდა საწოლზე.

— ბოლოს წინა აქტიც დასრულდა. ცოტაც და, ფარდა სამუდამოდ დაეშვება, — მის ხმაში ჩათუთქული დარდი გისმა. — მზია, ჩაკაში მომეხმარე!

გურამ სავანელმა ძლივგასაგონად ჩაილუღლუღა, გარეთ მოგიცდიათ, და ოთახიდან გავიდა.

მთებში ჩაძირული ქალაქი რომ გამოჩნდა, თამაზ ზანდუკელმა გურამის მხარს თითები ჩაუჭდო.

— მძღოლს თხოვე, ნელა ატაროს მანქანა — ხომ უნდა გამოვემშვიდობო ჩემს ქალაქს, — ისე თქვა, ამოსუნთქვას გული თან ამოაყოლა.

ბოლოს, როგორც იქნა, თამაზ ზანდუკელის სახლი გამოჩნდა.

— ზევით ვეღარ ამოვალ. ხვალ შემოგიღლიან, — გურამ სავანელი ქუნთრუშაშეყრილივით მძიმედ სუნთქავდა.

ვაჟამ თანაგრძნობით შეხედა, თავი მადლიერად დაუქნია, ძმას გადმოსვლაში შეეშველა.

გურამ სავანელმა ერთხანს გაშტერებით უყურა სადარბაზოს ღიად დარჩენილ კარს, შუბლი მოისრისა, მანქანიდან გადმოვიდა, ხალათი გაიხადა და ეკთხს მიაჩეჩა.

— ეთხარით, ცუდად გახდა-თქო ან სხვა რამე მოიგონეთ.

პასუხისთვის აღარ მოუცლია, ქუჩას მძიმედ დაუყვა.

მარიკას სახლი რომ დაინახა, მაშინღა გამოერკვა.

„დავურეკო თუ ავიდე?“ — ჭკითხა თავს. ერთხანს იწრიალა. ტაქსი დალანდა, ხელი აუწია.

— თუ ძმა ხარ, სამჯერ დასცხეგნალე, — თხოვა მძღოლს, — მარიკა, მარიკა! — აჰყვა მანქანის საყვირს.

აივანზე მარიკა გამოჩნდა.

— ჩამოდი, სასწრაფოდ მჭირდები. ძალიან მეჩქარება, — ირც მისალმებია, ისე ასძახა.

მძღოლმა მრავლისმეტყველად გაუღიმა, გურამ სავანელმა თვალი ჩაუკრა.

მარიკას ლაბადა მხარზე მოეგდო, მარცხენა ხელით სახელოს ეძებდა და ისე მორბოდა. გურამ სავანელმა ტაქსის კარი გაუღო. მარიკა უსიტყვოდ ჩაჯდა, ღელვამომძლავრებულს სუნთქვა გახშირებოდა.

— საით წავიდეთ? — იკითხა მძღოლმა.

— პირდაპირ. — დაუფიქრებლად გურამ სავანელმა.

— პირდაპირ სახლია, დავეკახებინ.

— შენ რა ეგზოფირის მელოასავით ძალაპარაკები, — ხმაში გაღიზიანება შეეტყო. — აბა, მიდი, ვიარით სამხრეთ-აღმოსავლეთით.

მძღოლმა ერთი კი მოხედა, ალბათ, იფიქრა, ამას ვის გადავეყარეო, და მანქანა ძმიმედ დაძრა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე მარიკას მავედრებელმა მზერამ დაარღვევინა.

— თამაზი გადავიყვანე სახლში.

მარიკამ ტუჩი მოიკვნიტა.

— ახლა სად მივდივართ?

— აბა, რა ვიცი. მიდი, ცოტა დავლიოთ. თუ ძმა ხარ, სადმე რესტორანთან შეგვიჩერე.

რესტორანში კაცისშვილი არ ჭაჯანებდა. მხოლოდ დარბაზის ბოლოში ჩართული ტელევიზორი აპრეველდა უნუგეშო სიწყნარეს. კონიაკი, ყავა და შოკოლადი მოატანინეს.

დიდხანს მონუსხულებივით დუმდნენ. გურამ სავანელმა სიგარეტი ჩაეკრო, მეორეს მოუკიდა. კონიაკი ჩამოასხა.

— გურამ, გურამ, როდემდე უნდა ვიყოთ ასე, რატომ არ გინდა, ხელი მოვაწერთო!

გურამ სავანელს სახე დაორთქლილ მინასავით დაებინდა. კარისკენ თვალი ისე გაატარა, თითქოს მესიის გამოჩენას ელოდა. გრძელი წამწამების დროშასავით დახარა.

— მოდი, ყველას გაუმარჯოს, ვინც წყალშია, ვინც ჰაერშია, ვინც გზაშია და ვისაც უჭირს.

მარიკამ გაიღიმა.

— საინტერესოა, ჩვენ რომლებს ვეკუთვნით?

— ამ წუთში — ჰაერში მყოფთ, ნახევარ საათში გზაში მყოფთ შევუერთდებით, მერე კი ვნახოთ... — კონიაკი დაისხა, დალია და წამოდგა. — წავიდეთ.

— სად?

— გზაში ავიხსნი. ცოტა ხანს აქ მომიცადე.

ადმინისტრატორის ოთახიდან ტელეფონზე დარეკა.

„დედო, შენა ხარ? გამარჯობა. ცოლი მომყავს, მანქანა უნდა მათხოვო“.

„შენ რამე გეფიქრსოს და... როდის მოხვალ?“

„ხუთ წუთში შენთან გავჩნდები“.

მიმტანი მოეძებნა, ფული გადაიხადა და დარბაზში შებრუნდა. მარიკას აღგზნებული თვალები მიანათა.

— წავიდეთ.

ხელი გადახვია.

ტაქსი გაიჩერა.

— რას ამბობს? — მარიკამ ლოყაზე აკოცა.

— მამაშენი ფეკუის წინაშე უნდა დავაყენო.

— გაგიჟდი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიტყვა არ გამაგონო. მერეც დამიწუნებს სიძეც?

— შენ ხომ არ შეიშალე?

ჩაიცინა.

— მოვედით.

მანქანიდან გადმოვიდა.

— მაშ, გადაწყვიტეთ. სწორადაც იქცევთ. გულით გილოცავთ! — დათო მენაბდე ღიმილით შეეგება.

მარიკა გაწითლდა.

— მანქანა რიგზეა? — გასაღები გამოართვა.

— კი. სად გეძებოთ?

— მე თვითონ დაგირეკავ.

მანქანაში ჩაჯდა.

— მარიკა, მოდი, დაჯექი.

მარიკა მანქანაში ჩაჯდა, კარი მიიკახუნა.

— სახლში მიმიყვანე, — უთხრა, როგორც კი მოუხვიეს.

გურამ სავანელმა გამარჯვებული მებრძოლივით გაიღიმა, გადაიწია, უნდოდა, მარიკასთვის ეკოცნა. უცბად საშინელი ეჭვანი გასდამა — თავის მობრუნება ვერ მოასწრო, სახე სისხლით მოეთხუპნა.

●

„არა, მაინც სად გადამეყარა ის მოტოციკლი... არ მალესინა მთელი სამი წელი ციხის კედლები!..“ თვალები გაახილა. მარიკა იდაყვით მუხლს დაყრდნობოდა, სახე ხელისგულზე ედო და თავისთვის ფიქრობდა.

— მარიკა, — ოდნავ გასაგონად დაუძახა.

— ჰო, გურამ, თხუთმეტი წელი გავდა იმ დღიდან. ახლა ორი ბავშვი მყავს და, როგორც იტყვიან, ბედს არ ვემდური.

„ხმა გაბზარვია, ალბათ, ბევრს ეწევა“, — გაუღიმა.

— გულწრფელად მახარებს შენი ბედნიერება. ერთი, თუ გიყვარდე, მალიში გამისწორე.

მარიკა დაიხარა. ნაცნობმა სუნმა გურამ სავანელი ახლად მოხდილი ქვევრიდან ამოვარდნილი ღვინის ოხშივარივით გააბრუა. ყელზე აკოცა.

მარიკას სახე შეეფაკაკა.

— არ გინდა, გურამ.

— არ გეწყინოს.

მარიკა სკამზე ჩამოჯდა.

— ამბობენ, კარგ ფილმს აკეთებსო.

— არ ვიცი, რა გამოვა, — ჩაფიქრდა, — თუმცა ჯერ რა დროს მაგაზე ლაპარაკია.

— მითხრეს, მთავარი როლიც მიგიჩაკუთრებია. სარტერესოა, ვის თამაშობ?

— იმ გურამ სავანელს, რომელიც არ შედგა.

მარიკა წამოდგა, ფანჯარა გადაღსწია, ქუჩას გაჰყურებდა.

— ბურამ, შენ, ალბათ, ერთი სამი კვირა მაინც მოგიწევს აქ ყოფნა, მე კი ხვალ ლენინგრადში შვებულებაში ვაპირებ გასვლას.

გურამ სავანელს მწარედ ჩაეღიმა.

— ხომ იცი, ამ ცხოვრების ეთიკის „დიდებული“ ლოგიკას დიდი ხანია ალარ ვეკამთები. მხიარულ დასვენებას გისურვებ.

მარიკას სიმწრის ღიმილი აეკრა სახეზე.

— გავალ, — უცბად მოეშვა. ხმაში ახლა უფრო მკვეთრად შეეტყო, რომ მართლა ბეგრს ეწვოდა. — საქმეები მაქვს, თუ რამე დაგჭირდეს, ღილაკს დააჭიერ თითი.

გურამ სავანელია თანხმობის ნიშნად თვალები მოხუჭა.

მარტო დარჩენილმა ტუმბოდან საათი აიღო, დახედა, ორი სრულდებილიყო. მოითენთა. ზეწარი გაისწორა, თვალები მილულა.

უცნაური სიზმარი ნახა:

უზარმაზარ მიედანზე, სადაც ერეტკოსის ქალ-ვაჟი უნდა დაეწყვთ, აღდგომის დილას მილეთის ხალხი შეკრებილიყო.

კაშკაშა, ამ დროისთვის საკმაოდ მცხუნვარე მზეზე ჯალათთა წითელი სამოსი ლაპლაპებდა. ინკვიზიტორები და წარჩინებულნი საპატიო ადგილას სავარძლებში მოკალთებულიყვნენ და დიდებული, მკაცრი იერი მიეღოთ.

ბრბოს ყიჟინა გისმა — სიკვდილმისჯილები გამოიყვანეს.

კაცს თავი ჩაეღუნა და საცოდავად მოლასლასებდა. ქალი კი, თითქოს მართლაც ეშმაკთან ყოფილიყო წილნაყარი, ჩაწითლებულ თვალებს დემნილი გახელებით აბრიალებდა. მისი მზერა რომელ კუთხესაც მისწვდა, წამს საიქიოს მდუმარება ჩამოვარდა.

ერეტიკოსნი გვერდიგვერდ მიაბეს.

ჯალგრცხილი აენთო. ცეცხლის ენები, საცაა, გაწყრეულთ მიაწვდებოდნა. ბრბომ, როგორც იქნა, თავი დაალწია ქალის თვალთაგან გადმოსული ჯადოს და იღრიალა:

„ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!“

მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! ქალმა, რაღაც სასწაულით, თავი აიხსნა, კაცისკენ შებრუნდა და იმ ქალური ენებით, რომელმაც ამქვეყნად პირველი ცოდვა წარმოშვა, კაცს ტუჩებში მისწვდა. ცეცხლის ენები თითქოს უფრო ძლიერ ცეცხლს დამორჩილდნენ, უკან დაიხიეს, ქედიც კი მოიხარეს! ირგვლივ ეამიანობის მიერ მიტოვებული ქალაქის მკვდრული სიხუმე ჩამოვარდა. ქალმა ორივე ხელი კისერზე შემოაჭდო კაცს და მკერდზე მიიხუტა. უცებ კაცმა არაადამიანური ხმით იღრიალა, აიწყვიტა, ქალს ხელი ჩკრა, შუა ცეცხლში გადაკიდა და ისკუბა.

როგორც კი გრილ ქვაფენილზე დაეცა, მიწაზე განერთხო და ალუღლუღდა:

„ვარ ცოდვილი, ვარ ცოდვილი. განიდევნა ეშმა ჩემგან და კვლავ ვიქეც მონად შენდა, მეუფეო. შემინდე და მოგაყვები მონა შენი“.

თავი წამოსწია. პირველი, რაც დაინახა, ჯვარი იყო. მისკენ გახოდა. ჯვარი ნელ-ნელა, ნარნარით გაფრინდა საყდრისკენ. კაცი მორჩილად მიჰყვა. უკან მუხლმოდრეკილი ბრბო აედევნა. მოღალატეს წამს ქალის განწირული, წივილში გადასული წყეული დაედევნა. არავის მოუხდავს. ნაერტეკოსალმა „ოსანა“ წამოიწყო.

ალტაინებული ბრბო აპყვა.

ნაერტეკოსალს ზურგზე ჯვარი აკიდია. ჯვრის სიმძიმემ ერთთავად მოკეცა, მაგრამ არც ერთი სიტყვა პროტესტისა, არც წუწუნი, არც გმინვა — მხოლოდ „ოსანა“. საყოფის კარიბჭე ბოლომდე გაიღო. დაბინდული თვალებიდან ოფლი მოიწმინდა. ხერხეკალი ისე ჩაეზნიქა, საცაა, წელში გაწყდებოდა. ახლა კი შეეშინდა, დაყვირება სცადა, მაგრამ გამშრალი ხახიდან ხრიალღა ამოუვიდა. როცა საშინელი ჯახანი გისმა, — ხერხეკალი გადაეშსხვრია ჯვარმა, — შეება იგრძნო, ბედნიერების ცრემლი გადმოყარა, მიხედა, ეს მოხდა სასიკეთოდ მისდა. ამქვეყნად მორჩილებისა და ლოცვის გარდა აღარაფერი ეკალებოდა, დანარჩენზე მის მაგივრად ჯვარი იზრუნებდა.

ცაზე რაღაცამ გაიელვა, რაღაც მშვენიერი აკიაფდა. . დანახვა მოინდომა, მაგრამ მათრახის ტარი ისე ჩასცხეს თავში, რომ...

გურამ სავანელმა თვალები დაამეტა. სარკმლიდან შემოჭრილი მზის სხივები რომ დალანდა, სხეზე ღიმილი აეკრა. შებლეზე ხელი მოისვა,— ცივი ოფლით დანამული.

— რა იყო, გურამ, რა გესიზმრა ამისთანა, რას წრიალებდი?

მეუღლის ხმა იცნო, ტაბურეტზე ჩამომჯდარი სილუეტიც გაარჩია.

— ჰო, რაღაც უცნაურობა მესიზმრა. შენ ვინ გაგაგებინა? — თქვა მოგვიანებით.

— ჯონდომ დამირეკა, პაციენთნში გახდა ცუდადო.

— სახლში თუ იცით?

— არ იცი დედაშენის ამბავი? უცაბედ რომ გაეგო, შეიძლება, ვერც გადაეტანა. მაღლობა ღმერთს, გადარჩა.

გურამ სავანელმა ახლადა შენიშნა ცოლის აფორიაქებული, ცრემლჩამდგარი თვალები. თბილად გაუღიმა.

— ნე სულელობ. ჩვენს ოჯროს ქორწილში აღარც გეხსომება ეს ამბავი. ოჰ, რას ვიქვიფებთ! — გაჩუმდა. — ნათი, ერთი, პირსახოცი მომაწოდე, ოფლში ვიწურები.

ნათიამ პირსახოცი აიღო — სახე და ყელკისერი შეუშშრალა.

— წადი ახლა სახლში. რომ დაიგვიანო, არ იცი, გადაირეკა დედაჩემი. ხომ ხედავ, მე არაფერი მიჭირს.

ნათიამ ამოოიხრა. თვალსმომდგარი ცრემლი შეიმშრალა.

— გურამ, შენ გგონია, ვერ ვხედავი, დამღამობით რისთვის დაძვრები სამზარეულოში? ჩვენს სახლში კაცი წამალს ვეღარ იპოვიდა.

— ჰო, ჰო, კარგი ახლა, — გურამ სავანელი დანაშაულზე წასწრებული პატარა ბიჭივით გაწითლდა.

პალატის კარი გაიღო. ეაყა ზანდუკელი შემოვიდა.

„დაიწყება ახლა პარადი“.

— როგორა ხარ, ლომო?

— ვარ რა, კენწვივით.

— მაშ როგორ! ლომს, თუნდაც ცალთვალას, ვინ გაუბედავს, უთხრას, ელამი ხარო.

— მაგ მიიმეწონას ის გირჩევნია, ნათია სახლში წიაყვანო.

— პიკასან, საცლებს და ცხეირსახოცებს მოვუტან, საკმელსაც მოვუმზადებ, თორემ შენი ფაკიზო ძმაკაცის ამბავი რომ ვიცი, ამათ საკმელ შეეჯახს?

— მაგაზე დაგზარდები?! შენ კი მოიწყინო, ბიჭებიც, სადაცაა, აქ გაჩნდებიან.

ნათია წამოდგა. კარადა გამოაღო, ქმრის ტანსაცმელი გამოიღო.

— ეგენი სად მიგაქვს, — შეშფოთდა.

— სახლში წავიღებ, აქ რად გინდა.

— არა, არა,— აყვირებას ცოტაღა უკლდა, მაგრამ ნათიას გოიკებული მზერა რომ დაეჭირა, ხმას დაუწია,— გთხოვ, არ გინდა. სანამ ეგ ტანსაცმელი მანდ ეკიდება, ფატალურად მჯერა, მალე გამოვმჯობინდები. რომ წაიღო, მაშინვე მოვკვდები.

ნათიამ გაიღიმა.

— რა კაცი ხარ, კარგი, დავტოვებ, წავიდეთ, ეაყა.

— აბა, ლომო, არ დაიდარდო, ჩვენ მალე დავბრუნდებით. ისე, თუ გინდა, ხელსაწყოებს მოვიტან და ბარემ მაგ დამპალ გლანდებსაც ამოგაჭრი — შენც დისკვენებ და ჩვენც დაგვასვენებ გაუთავებელი დეკლამაციებით.

— წადი, წადი, შენს საქმეს მიხედე. ახლა ჩემგან მოგინდა ხუთთუმნიანი?

ეაყა ზანდუკელმა ხელი ჩაიქნია.

— არ იქნება შენი საშველი.

მარტო რომ დარჩა, თავი უკეთ იგრძნო. მართალია, კიდურები და ხელის თითები ისევ შეშუპებული ჰქონდა, მაგრამ ამას მიჩვეული იყო. წამოიწია, ფანჯარაში გაიხედა. გარეთ ნამდვილი გაზაფხული იდგა!

„გაზაფხულზე მომენატრები“, — წაიღიღინა. უცაბედ სიზმარი გაახსენდა. ხელი ისე აიქნა, თითქოს აბეზარ ბუზს იგერიებსო, მაგრამ სიზმარმა იძალა. გული ობობას ქსელში გამბმული უმწეო მწერივით აუფრთხიალდა და, რომ არ ეყვინო, წამოიწია, წამოდგა, სეტრი გადაიკეკა.

„აქ რომ დავრჩე, ნაღდად გავგიჟდები“, — გაიფიქრა, შარვალი ამოიცვა, ბათინკებში ფეხი წაჰყო, ზონრები სწრაფად შეიკრა, კურტაკი შემოიცვა და ოდნავ მოდებული კარიდან ამ-

ლულად გაიკვრატა. დერეფანში ორი ავადმყოფი საუბრობდა. მოშორებით მორიგე ექთანი მისჯდომოდა მაგიდას და რაღაცას წერდა. კურტაკის საყელო აიწია, კარი ფრთხილად გამოიღო. „ღმერთო, გასასვლელი დროზე მაპოვნინე", — ჩაიდღეფნა და მტკიცე ნაბიჯით იქით გაეშართა, სადაც, მისი აზრით, კიბეზე გასასვლელი უნდა ყოფილიყო. გაუმართლა. გასვლისას მორიგე ექთნის მზერა დაიჭირა. არ დაიბნა, თავი თავაზიანად დაუკრა, იმანაც მხაგველად ჩათვალა, თავის დაკვირვივე დაეშვიდობა და ფრაზა განაგრძო.

მარტის ციმბა ნიავმა მთელ ტანში დაუარა. შეაჟრჟოლა.

კლაკნილა ბოლომდე შეიკრა. ტაქსი გააჩერა, კინოსტუდიაშია, მიუგდო მძღოლს. შუქნიშანთან მანქანაში რეზო ციმაკურიძეს და დიტო ჩაჩიბაიას მოჰკრა თვალი. კურტაკის საყელოთი სახე დაიფარა. რაღაც შეუცნობელმა მოსცენება დაუკარგა. ერთი სული ჭქონდა, როდის მივიდოდა სტუდიაში.

გადასაღებ პავილიონში რეპეტიცია მიმდინარეობდა. სახტად დარჩენილი სახეები მხიარულად, ლაღადაც კი შეთვალიერა. ორივე ხელი შემართა.

— სამძიმრები სხვა დროს იყოს, ახლა — საქმე! ჯონდო, — მეორე რეჟისორს მხარზე მოუთათუნა, — უთხარი, დილანდელი ეპიზოდისათვის მოემზადონ.

— ახლა შენთან ლაპარაკს აზრი არა აქვს. ნახევარ საათში ყველაფერი მზად იქნება.

— მე ავალ, გრიმს გავიკეთებ, თან ცოტა ხანს მარტო ვიქნები, მინდა, კარგად აეწონ-დაეწონონ ყველაფერი. გადადებას ზუსტად იმ მომენტიდან გავაგრძელებთ, სადაც ამ დილას შეეჩერდით.

ჯონდო მესმინა ნიფაზი დაარტყა, ოპერატორისაკენ წავიდა.

გურამმა გრიმი გაიკეთა. პავილიონში დაბრუნდა, კუთხეში ჩამოჯდა. მარცხენა ხელის თითები მუშტად შეკარა, მარჯვენას თითები გადაეკიდო, მზერა დაძაბა, თვალის ქუთუთოებში დახარა... ეკრანზე ტატრები ათამაშდნენ.

●

ორ დღეს აეროპორტში ბიდიაილი შემდეგ ელირსა გამოფრენა. სახლში დაკრძალვის წინა დღეს დაბრუნდა.

ის ღამე კუბოსთან გაატარა. მთელ ტანში ცივი შეუხარება გასცდომოდა და აცახცახებდა. საფენი სპირტში დასველა, გაწურა. მამის უსულო სხეულს თვალი შეავლო, საფენი შუბლზე დაადო. გაყინულ, ჩაშვებებულ, სისხლჩაქცეულ ტუჩებთან („ეტყობა, სული არ ეთმობოდა") ენიანკვეული შენიშნა. ამოეტის შეგრძნებამ შეძარა. ლოკოკინასავით მოიკეცება. რამდენ ხანს იყო ასე, მერე ვეღარ გიიხსენა. ოთახიდან შემოსულმა ხმაურმა გამოაფხიზლა. შინაურები იღვიძებდნენ. აქეთ-იქით კურდღელიანი მიმოიხეოდა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა სახლიდან.

ბაზრის სასაუზმეში ლოთები უკვე შეკრებილიყვნენ. მისმა გამოჩენამ ნამდვილი ოვაციები გამოიწვია: „გურამს გაუმარჯოს!" „სად დაიკარგე, ბიჭო!" „შემოგვიერთდი!" მებოფფეტემ ლიღინ-ლიღინით შეეფესო არყის ჭიქა, პურზე მეკვე კიტრის ნაჭერი დაუფთ.

— გურამ, ხო მშვიდობაა?

თამაზ გურგენიძის ხმა შეიღწო.

— მამა გარდაეცალა.

თამაზ გურგენიძე ერთბაშად მოეშვა, ხმა გაებზარა:

— მაპატიე, გურამ. ჩემი კაცობის რა ვთქვა, ამას გადაეყევი, — ხელი აარყის ბოთლისკენ გაიშვიერა, — ამქვეყნის ალარაფერი გამეგება. მაპატიე.

გურამ სავანელმა გაშეშებულ მებოფფეტეს, რომელმაც ალარ იცოდა, თანაგრძნობა როგორ გამოეხატა, ხელით ანიშნა, თამაზს დაუსხიო.

წლებში შესული, ლოთობისგან დაბეჩავებული კაცი მიუახლოვდათ.

— როგორა ხარ, გიგო?

— მე კარგად, ბატონო თეიმურაზ, მაგრამ მამა გარდაიცვალა.

— ვინა, გიორგი, კაცო, გიორგი? — შესძახა, სახე მოეღრუბლა. — ეეს, თქვენ რა გახსოვთ — ჩვენი, თთაწმინდის უბნის მშვენება იყო. მერე რა კაცურად იცხოვრა?! ჰმ, მე ცოცხალი უნდა ვიყო და... გიორგი, გიორგი... ნეტავი ქრისტე ვიყო, ქრისტე... — შებრუნდა, კუთხის მაგიდისკენ ლასლასით წავიდა.

ირგვლივ ოუტანელი სიჩუმე გამეფდა. გული ყელში მოებჯინა. თითქოს მოსაკლავად მოსდევენო, ჭუჭაში ისე გავარდა.

„გურამ, მოიცადე, მეც მოვდივარ", — შემოესმა თამაზ გურგენიძის ხმა.

წინკარში დედა შეეჩეხა.

— სად ხარ დაკარგული. ყველა შენ გეოხულობს. მოვდელმაც უკვე დაამთავრა წესის აგება.

ოთახში ფეხაკრეფით შევიდა.

„მობრძანდა", ჩასმა ვიღაცის გესლიანად ნათქვამი. „სად ბრძანდებოდა ნეტავ". „დასალევად იქნებოდა". „რა გიკვირთ, როდისმე აკეთებდა რამესს? ციხიდან დაბრუნებულმა ექვიმობა არ ისურვა, წელწყად-ნახევარია, მოსკოვში ბრძანდება". „მგონი, ყარაულად მეშპობს". „რეჟისორობა მოინდომა ყმაწვილმა. ერთი სპექტაკლი უკვე დადგა. რომელიც მამის სიკვდილით მთავრდება, ახლა მეორეს მოამზადებს. მას, ალბათ, დედის სიკვდილი ეჩქმეფა".

— რა გინდათ ჩემგან, რა გინდათ!

— გურამ, გაჩუმდი, რა გაყვირებს, სირცხვილია, — თამაზ გურგენიძის ხმა ჩაესმა.

შებღალ ხელი გადაისვა, მოეფლთის გამჭოლი მზერა დაიჭირა — თვალთ დაუბნელდა.

— გურამ, ვიწყებთ! — თავს ჯონდო მესხი წამოსდგომოდა.

შეხედა, თვალები ოდნავ მოკუტა. ეტყობოდა, რაღაცას იხსენებდა.

— დავიწყოთ.

მძიმედ წამოდგა. სახე ტაიფუნგადაფილ ნაპირს მიუგავდა. ის წარსული ამბავი სცენაზეც ზუსტად ისე ჭქონდა გააზრებული. ახლა მთავარი იყო, სათქმელი ეთქვა. მაშინდელივით გონი კი არ დაეკარგა, ის ეთქვა, რაც მთელი ეს წლები აწვალებდა, ღრღნიდა, სპობდა. ღილითაც ამ ეპიზოდის გადაღებისას გახდა ცუდად, ახლა მესამედ ეძლეოდა შანსი, იმ მომაკვდინებელი ხვაწყებისათვის ორლესული მოეკნია.

გადაღება დაიწყო.

ზუსტად გათამაშდა წარსული სცენა. მთელ ტანში ცრუნჩხვამ დაუარა.

„რა გინდათ ჩემგან, რა გინდათ!“ — ირონიალა.

„გაჩუმდი, ნუ ყვირი, სირცხვილია!“ — ჩაესმა ხმა.

გაავებული თვალებით შეხედა ამ ხმის პატრონს.

„არ. გავჩუმდები და ვერც გამაჩუმებთ, — მოეღლის დაკიბებული მზერა იგრძნო, თვალი თვალში დაუყარა. — მამაო! ამ ჯგუფის ცხოველებს სული არ გაანჩიან. მეტყვი ახლა, სახარებაში ასე და ისე წერიაო. სახარება დღეს ბრეზენტივეკუ მოძღვრებაა ინსოფის, როგორ უნდა იცხოვნო. წაიკითხე სახარება და თუ იქ ჩამოწიკწიკებული მცენებიდან შემდგომ არც ერთს არ შეასრულებ, ცხოვრებაც ვანადგებული გაქვს! — იგრძნო, კანკალმა ატანა. შეშინდა, კვლავ ცუდად არ გამხდარიყო. ძალა მოიკრიბა, — მე ვალიდოლს ვხმარობ, გული მაწუხებს. ამიხსენი, რატომ ეწირება ჩემი გული ჩემსავე სულს?! სული, სულიო, რომ გაიძახით, გონმა რაღა ფაიშვა, მარადიულად რომ უნდა იიმინოს სულის სიგიჟე? განა ყოველივეს არ აჯობებდა ცარიელი, მეიფე სხეული, რომელსაც მგლის მუხლი, მელიის ცბიერება, გველის სიბრძნე ეკნებოდა. მაშინ ხომ ყოველივე უფრო მარტივი გახდებოდა. გვიანაა ჩემთვის? სწორია! საძირკველი ადრევე უნდა ჩამეყარა. ახლა მე ერთი უმომავლო ბეღუტა ვარ, — ამოიოხრა.— ალბათ, მალე დაესმის ყოველივეს წურტილი. ლაღად მინდოდა მეცხოვრა. ამაღლებულს, შშვენიერს შევტოფოდი, მაგრამ ამაღლებულისადმი ტრფიალი ერთი ყოფილა, ცხოვრება — მეორე. ამათ რომ წამომდგარი დამინახონ, პრომეთეზე უარეს ძღიერი ჩამაგდებენ. თვით ღმერთებმა ვერ აიტანეს სუბორდინაციის დარღვევა და ესენი აიტანენ? — ადგილზე გახევებულ მეფდელს დამცინავი მზერა ესროლა და არაადამიანური ხმით განაგრძო: — ბოროტი იმას არასოდეს გააკეთებს, რაც შვებას მოგგვრის, ეგზისტენციალურ ინსტინქტიც ... [illegible] ... ლებას თანდაყოლილი ინსტინქტიც [illegible] შენი თვალები მეუბნება, კარგი, ყოველივე ამას რომ გრძნობ, ცხოვრება გესმაოთ. ეფიდეა, რად მინდა! ადარც კანმრთელობა შეძრა, და სული ხომ მიტოვებული ქარის წისქვილივით დამეხვარა. რამ გამაშვა? რამ ანა: ირმაზადიან, დაცინვამ, ბუდამ ხელის კვრამ. რა ვქნა? გავიძარე? წამს ისე დამაცარეინან, როგორც სანთელს ღამფრები. ღამფრებმა სძლიეს ბეღურებს, ვერ აპატიეს, არწმივივით ფრენა რომ იციან. ვერ აპატიეს, ვერა!“

ირგვლივ ყოველივე გაილურსა. მღვდელი მიეახლოვდა, პირჯვარი გადასწერა, შუბლზე აკოცა და მტკიცე ხმით უთხრა:

„და ნათელი იგი ბნელსა შიდა ჩანს და ბნელი ნელი იგი მას ვერ ეწია“.

შემზარავად გადაიხარხარა, თვალები მილულა, კედელს მიეყრდნო...

— მორჩა! გენიალურია! — ჯონდო მესხის ხმა ტაშმა დაფარა. — გურამ, შენს თავს აჯობე. ნაღდად არ მოველიდი.

გურამ სავანელს ფერი დაკარგვოდა. ხელების ნერვიეულ თრთოლას ვერაფერს უბერხებდა, მაგრამ ზიარებანაოქვამ მორწმენესავით შეეფდად, განწმენდილად გრძნობდა თავს. მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— გამოვდა რამე?

— მაგარია! სიმართლე გითხრა, ყოველთვის ეტვი მეპარებოდა ამ სცენაში, მაგრამ ვინ იმისთანა აქტიორიული ხელოვნება გამოავლინე...— თვალები ზევით აზიდა.

— მაშ, ხერხემალი ბოლომდე ჯერ არ გადამტეხია? — სიზმარი გაახსენდა. — ახლა წავალ, თორემ, ალბათ, მეძებენ.

— გაგიყვან.

— არა, ფეხით გავივლე; ამბალობთ! — ჯგუფს ჰაეროვანი ოკეანა გაუგზავნა. — ზეგ დილის ცხრა საათამდე ყველანი თავისუფლები ხართ.

გარეთ უკვე მწუხრი ჩამოწოლილიყო. სანაპიროსკენ წავიდა.

ქუჩაში ციოდა, მაგრამ ისე იყო აღგზნებული, ვერაფერს გრძნობდა. ღიდი ხანია, ასე მტკიცე ნაბიჯით არ ევლო. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ახლა წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ხიდზე შეჩერდა. მოაჯირს დაეყრდნო. მდორედ მიმავალ მტკვარზე, ღამის ფარნის შუქი პროექტორიდან წამოსული სხივივით რომ ლაპლაპებდა, ტიტრები ათამაშდნენ.

●

დღე სამძიმრის მიღებაში გაეპარა. სასაფლაოს ალაყაფში რომ შეეიდნენ, მოლიანობაში მაშინღა ალიქვა — მაძას სამუდამოდ ემშვიდობებოდა. ანაზღაც გაუელვა, დადგებოდა დრო და მასაც ასე სამუდამოდ დაეშშვიდობებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაფრენოლა. სურვილი მოეძალა, შეეჩერებინა პროცესია, მოეტაცა მამის უსულო, გაყინული სხეული და ჯერ კიდევ სითბოშეუხარჩუნებელ საწოლში ჩაეწვინა. მოეჩვენა თუ ამას გააკეთებდა, ალარავის დაეშვიდობებოდნენ სამუდამოდ. მამის გათოშილი სხეულიც, ალბათ, კვლავ გათენებებოდა და მარადიულად აქაოფნის სიმბოლოდ იქცეოდა. მაშინ კი... იმ ალაფის ამოქოლვაც შეიძლებოდა.

ტუჩი მოიკვნიტა. იგრძნო საკუთარ ფიქრთა უსულურობა, გულთან რაღაც ისე ეფწა, თითქოს მდეფარე დაასხესო. კუბოს გააყოლა თვალი; დასალუპავად განწირულ გემს მიამსგავსა, უფსკრულისკენ რაღაც მიზანდასახულად რომ მიექანება. ზარი მთელ ტანში გაუჯდა. მიმოიხედა. ახლა თავჩაენდრიული ახლობლები მიაამგავსა სასოწარკვეთილ მეზღვაურებს.

კუბო რომ დაასვენეს და ფხვიერი მიწა უფსკრულში ჩაიშალა, დაინახა, როგორ შეიჭრა გაავებული წყალი გემის ტრიუმებში. თავის ქალაშიც რაღაც აგუგუნდა — ეს გემის საყვირები გაკკიოდნენ უკანასკნელად. კუბო ზეცისკენ შემართეს, ასე რამდენიმე წამს ეკირათ, — გემი ნთელს სამუდამოდ ემშვიდობებოდა. სახურავი მოიტანეს. დაბამეული, როგორც ტალღებისგან დაირგანენელი, ღონემიხდილი მეზღვაური უკანასკნელად ცას, მიაცქერდა მამის სახეს, ნატრობდა, ეს ოხრადასაჩრენი დრო სამუდამოდ შეჩერებულიყო, მაგრამ... წამოიპარა უკანეთი მამის სახეს. წამიც, წამიც, წამიც და... მარადიულად გაეჩინარდა.

გემი ჩაიძირა.

— გურამ, წასვლის დრო, — თამაზ გურგენიძე წამოსდგომოდა თავს ჩამეხულულს. გამოერკვა. უაზროდ მიაჩერდა.

— რა მითხარი? თუმც, ჰო, გავიგე, — ამოისუნთქა. — წვიდეთ!

რესტორანში, მწუხრის სუფრაზე, ღვინოს მიეძალა. ხალხი აიმალა. თავად ადგილიდან არ იძვროდა.

— წვიდეთ სახლში, ნათესავები გველიან, — მხარზე ბიძის ხელი იგრძნო.

— ნათესავები? — ამოიხრიალა. — ვერ წვიდნენ სახლებში? ახლა გული უნდა შეაღონონ გაუთავებელი, სულელური თანაგრძნობით. არ გვინდა, ბატონო, დაგვასვენონ, დაგვტოვონ ძარტო ჩვენ ვარამთან.

წამოდგა, გასასულელსაკენ გაემართა. მალე ქუჩათა უსასრულობაში გაუჩინარდა.

●

„სახლში წასვლის დროა", — გაიფიქრა. გათოშილი ხელები მოისრესა, ჯიბეში ჩაიწყო.

კარზე გასაღების მორგება ვერ მოასწრო, რომ გაიღო. ზღუბლზე ნათია იდგა. ორივე ხელი შემართა.

— უსიტყვო კაპიტულაცია!

წინკარში ვაჟა ზანდუკელი და რეზო ციმაკურიძე შენიშნა, მოპრიგული ჩაჩიბიანი ჩაეცვა. რგა მთელი გასასელელი. ნათიამ ზურგი შეაქცია, ოთახში შეეიდა.

— მამიკო მოვიდა! — კოპა შემოეგება.

შვილს თავზე ხელი გადაუსვა, აყოცა. კუბტაკი კარადაში ჩამოკიდა. მეგობრებს დამნაშავედ გაუღიმა.

დედა სავარძელში იჯდა და ცრემლს იწმენდდა.

— ჰო, ვიცი, გული გაგიხეთქეთ, მაგრამ, დამიჯერეთ, იქ რომ დავრჩენილიყავი, დილამდე ნაღდად ვერ მივაღწევდი. შენი ცრემლებიც მაკლია, — მეზობრუნდა დედას. — გიიე, ქალო, უკვდავი ვარ! — ცოლს გადახედა, — ნათია, გენაცვალე, ბიჭებს ყანწი, მე კიდევ — კომპოტი! — ხმამაღალ გიიინა. სახეზე უნეკი მსახიობის ყალბი, არაფრის მეტყველი ნიღაბი აჰკეროდა.

— სად ბრძანდებოდი? — კუბტად გადმოხედა რეზო ციმაკურიძემ.

— კინოსტუდიაში, ამხანაგო უფროსო, და მოვრჩეთ ახლა ამაზე ლაპარაკს, მგელიანთ მშია.

— შენ თუ დაუფშტინე, თქვი! — ვაჟა ზანდუკელმა თითი შუბლთან დაიტრიალა, — იქნებ გგონია, ფეზებს რომ გააკიმკიმებ, შენს ოჯახს მე მიგხედავ.

გურამ სავანელს თვალებში ღრუბლები ჩაუდგა.

— კარგი, გეყოფთ, დავიღალე, წვალ, წამოვწვები.

— ხვალ მაინც არ ადგე, — დიტო ჩაჩიბიანი ტორტიანი ასანთს აწვალებდა.

— ღილიან გადაუდებელი საქმე მაქვს, საღამოთი კი, თუ შემომიგლეთ, სასიამოვნო სიურპრაზს მოგიწყობთ.

მეგობრები წამოიშალნენ.

— მაინც რას ამბობ ასეთს, იქნებ წინასწარ შეგვამზადო, — რეზო ციმაკურიძემ პალტო ჩაიცვა.

— სწორედ შენთვის არაა საჭირო მაგის ცოდნა, — სახე ღიმილმა გაუნათა.

რეზომ კარი გამოაღო, ღიფტი გამოიძახა. დიტო ჩაჩიბიანიმ თვალი ჩაუკრა, ვაჟა ზანდუკელმა მრავალმნიშვნელოვნად დაუსტვინა.

სპორტული პიჯაბა ჩაიცვა. სამუშაო მაგიდის უჯრიდან სკენარი ამოიღო, ძველ დღიურს მოაკერა თვალი. რომელიღაც წლის **პირველი მარტი** მოძებნა, გადაშალა: „გაზაფხულის პირველი დღეა. ღილიდან უაზროდ დაებორიალეს, თუმც წინ ხომ კიდევ ოთხი საათია. **ორი მარტი:** ასეთი უაზრო დღეებისგან, ღმერთო, დამიფარე. ამ ორი საათის წინ უკიდურესობაზე ვფიქრობდი. ამე გაგრძელება აღარ შეიძლება. დროა, საბოლოოდ... **სამი მარტი: მთელი დღეა** „ქარი უსტვენს", ირგვლივ „იგვიმეუწედომელი" მოწყენილობაა, ეს დღე წინა დღის სრული ალიკვალი იყო. წავიმუშავებ-მეთქი, მაგრამ არაფე-

რი გამოვიდა. **ოთხი მარტი** (ნაწერი იმდენად ბატიფეხური იყო, ძლივს გაარჩია): მოქმეთახოთა ხომ ვარ, ჰოდა, ყოჩაღ მე! კარგად გამოვთვერი. **ხუთი მარტი:** უბრალოდ ჩვეულებრივი, დაყარგული დღე იყო. ფეხბურთს ვუყურე, წავაგეთ. მგონი ლიბერესია მეწყება. რატომ? არ ვიცი. ვიცი, ვიცი! არადა, ახლა ეგ მინდა მე? **ექვსი მარტი:** ჩემს ნათელ გუფგერობაში კიდევ კარგად ვარ. ისე მოვიძებაც (საოცარია, რითი?!), დეპრესიისაც ალარ განვიცდი. **შვიდი მარტი:** არაფერიც არ გამიკეთებია, საღამოთი დავთვერი, ეგ იყო და ეგ. **რვა მარტი:** არც დღეს. **ცხრა მარტი:** არც..."

ჩანაწერი აქ წყდებოდა. უცებ საოცარი უძლურება იგრძნო. „მაშინ უკანასკნელი ნაღვარდალი ქრებოდა". — გაუღეგა. მაგიდიდან სიგარეტი აიღო, ასანთს ვერ მიაკვლია, ოთახიდან გასვლა დაეზარა.

„გულის სისტოლაძირეთა დაავადებით სიკვდილი პირველ სასტატო ადგილზეა სხვა ავადმყოფობათა შორის". — სიიდანღაც ამოუტივტივდა, ვინ იცის, როდის წაკითხული საგაზეთო ციტატა. ფანჯარა რეჩხი უყო. ვალიდოლი მოიძია, მაგრამ უჩუმრად შემოპარულ შაშს მინც ვერა სძლია.

— ნათია! — დაიძახა.

ნათიას წაეწისგან დანისლულ თვალებში ნაღველი ჩასდგომოდა.

— დამიძახე?

— რატომ არ შემოდიხარ?

ნათია გათბობის სეკციას მიეყრდნო, მოსასხამი გისსწორა.

— რა ვიცი, იქნებ არ უნდა-მეთქი ჩვენი ნახვა.

— ნუ სულელობ, — თმაზე აკოცა. — კობა რას აკეთებს?

— დაიღალა შენს ლოდინში ბავშვი.

— არა უშავს. ცვირას ფეხბურთზე წავიყვან.

— გურამ, მოხდა რაგე?

— რა უნდა მომხდარიყო. უბრალოდ, ცოტა ავირიე, ცოტა შეეშინდი, ცოტაც დავდარდინადი. ჰო, მართლა, — თვალებში ანცი ღიმილი ჩაუსახლდა, — გინდა, გითხრა, პირველად როდის დავდარდინალი? პირველ კლასში, ერთ ზამთრის დილას, როცა ძალიან მეძინებოდა, ფაცხაფუცხით ამაყენეს, ჩამაცვეს და სკოლისკენ გამაქანეს. გზაზე ჩავფიქრდი, უცებად გამოვთვალე, სულ ცოტა, ცხრა წელიწადს გამძინებენ არ მიწერია-მეთქი. ამ ფაქტმა ისეთი კაეშანი მომგვარა, თუ არ მოკვდებოდი, არ მეგონა. ის კი არა, ავადაც გავხდი და შემდეგი სამი დღე ლოგინში ვიყოტრიალე.

ნათიას რაღაც გაუსაძლისი სევდა ჩასდგომოდა თვალებში.

— რაც გიცნობ, სულ ერთი აზრი მაწვალებს, რატომ გაქვს ასეთი დაღლილი გამოხედვა, როგორ არ ვეცადე, პასუხი ვერ ვიპოვე.

— მე უკვე დაღლილი დავიბადე. აბა, დაფიქრდი. ბაბუაჩემის მამა ავანტურისტი იყო, ბებიაჩემი — რევოლუციონერი, მამა — ალპინისტი, დედის გენეზისიც თითქმის იგივე სურათია; ჰოდა, მთელი ჩვენი გენების ენერგიის ხვედრითი წონა ჩემს წინაპრებზე დაიხარჯა, მე კი უმცირესი ნაწილი შემხვდა. კიდევ კარგი, შენ შემხვედი ასეთი, თორემ, ალბათ, კობას მელანქოლია მოუღებდა ბოლოს.

— სულ როგორ უნდა ხუმრობდე! ისე, ნუ გეშინია, მეც მომაკვიეთ თქვენს ოჯახზე. ამდენი ხანია, ერთად ვართ და, ასე მგონია, ხელრინანად მაინც არ გიცნობ. არის შენში რაღაც იდუმალი, ამიტომაც გამოგყვები იმ დღეს, მაგ დემონური იდუმალეთან დამიმორჩილე საბოლოოდ. ეეჰ, რაგეს ვლაპარაკობ. მგონი, ვბერდები. გავალ, საწოლს გავასწორებ, — ცრემლი გადაყლაპა.

გურამ სავანელს გულზე რაღაც მაჯალჯუნასავით შემოაწვა. ტახტზე გადაწვა, თვალები ჭერს მიაპყრო... ტიტრები ათამაშდნენ.

●

გაქცევა, — ეს იყო პირველი, რაც თავში მოუვიდა ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფს. სად, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, აქ დარჩენა თვითმკვლელობას უდრიდა. საათს შეხედა. ხუთი სრულდებოდა. სამზარეულოში ფეხაკრეფით გავიდა, ოთახიდან დედის ამოოხვრა მოესმა. მოიშუბამა. პირველი დილა თენდებოდა მამის დაკრძალვიდან.

მაცივარი გამოაღო. თარრები ქელეხიდან მორჩენილ ხორაგს ვერ იტევდნენ. კონიაკი შენიშნა. გამოიღო, გახსნა. ჩაის ჭიქა პირამდე ავსო, სულმოუთქმელად გადაკრა. წყალი მიაყოლა, ბოთლს საცობი დაახურა, პალტოს ჯიბეში ჩაიდო.

ქუჩაში გამოსული არც დაფიქრებულა, პირდაპირ აეროპორტისკენ გასწია. ჯიბე მოისინჯა, მეგობრების შეგრძოვილი ფული ამოიღო, უფულისაუფრად გადათვალა. ათას მანეთამდეა იყო. ტაქსი გაიჩერა.

ცნობათა ბიუროში გიგო, უახლოეს რეისზე ბილეთები მხოლოდ ქუთაისში იყო. მორიგე სალაროსთან მივიდა, ბილეთი აიღო. რა ჯანდაბა უნდოდა ქუთაისში, ამა, საიდან იცოდა. თვითმფრინავის გასვლამდე მთელი საათ-ნახევარი რჩებოდა.

აფორიაქდა. უაზროდ დაიწყო დარბაზში ბორიალი. უცებად თავისი სახელი გაიგონა. შეჩერდა; მელოის ჯერქში გამოწყობილი ქალიშვილი მიუახლოვდა.

— ვერ მიცანით?

დააკვირდა, ნაკვთები აშკარად ეცნობოდა, მაგრამ ვერაფერით ვერ გაიხსენა, საიდან იცნობდა ამ ცისფერთვალება ქალიშვილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ნათია ვარ, რომან ბაბუხადიის ქალიშვილი, თქვენი მწვრთნელის. მამას თითქმის ყველა შეარტყაზე დაეკვედი. არ გახსოვთ, ბაკურიანში ციგიდან რომ გადმოგაგდეთ და ფეხი მოიტეხეთ?

გურამ სავანელს სახეზე რაღაც ნათელი აუთამაშდა.

— მაგას რა დამავიწყებს. შენ უნდა გიმადლოდე, ფეხბურთს რომ ისე დავანებე თავი, უკმარისობისა და სირცხვილის შეგრძნება არ ვამომყოლია. ის კი არა, ხალხი ტრაბახით შეეიკალა, სერიოზული ტრავმა რომ არა, ვინ იცის, რა ფეხბურთელი დადგებოდი-მეთქი. არადა, სად მქონდა მაგის ნიჭი...

— რატომ, რატომ, მე როგორც მახსოვს, შესანიშნავი გარემარბი იყავი.

— უფრო სწრაფად, თეატრალური გარემარბი. თუმცა რაღა დროს ფმაზე კამათი. სიით გაგიწეევი?

— ჯერ კიევში, იქიდან — უნგრეთში. უამინდობის გამო გავიხეტგეთ. შენ სით?

გურამ სავანელს სახე მოეკუფრა.

— არ ვიცი, მგონი, ქუთაისში უნდა მივდიოდე. კაფე კიოლი, ყავა ხომ არ დაგველია?

— სიამოვნებით, მაგრამ ნუთუ მართლა არ ფეი, სით მიფრინავ?

— არა აქეს მაგას არსებითი მნიშვნელობა.

ყავა აიღო, დაბლოდან სუფთა ჭიქა მოიტანა, უბეში შემალული კონიაკი ამოიღო და დოისხა.

— გეტყობა, წუხელ მაგრად ეწვიმია, — ნათიამ მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

— გუშინ მამა დავასაფლავე, — გურამ სავანელს ხმა გაებზარა. კონიაკი დაისხა, ცარიელი ბოთლი გვერდზე მიდგა.

ნათიას სახე თანაგრძნობად იქცა.

— მაპატიე. არ გამიგია.

— არა უშავს, აბა, კეთილ მგზავრობას გისურვებ, — ყავა მიაყოლა.

ერთხანს ჩუმად იდგნენ. გურამ სავანელმა სიგარეტს მოუკიდა.

— ეეჰ, ეტყობა, სკობია, სახლში დავბრუნდე, — უფრო თავს უთხრა, ჯიბიდან თვითმფრინავის ბილეთი ამოიღო, დაჭმუჭნა, კალთაში მოისროლა. — აბა, კარგად მენახე, ნათია.

წაბარტყმანდა. სკამის სახელურს მოეჭიდა. თავი ნერვიულად გაიქნია. მძიმედ გავიდა.

ის იყო, ტაქსში უნდა ჩამჯდარიყო, ნათია დალანდა. დიდი ჩანთა მხარზე მოეკიდო და მორბოდა.

— გურამ, მამას გიფიცებ, უარს ნუ მეტყვი — სახლამდე მიგაცილებ.

გურამ სავანელი აშკარად დაიბნა.

— მერე თვითმფრინავი?

— ჯერ მაინც არ გაფრინდება.

ნათიამ კარი გამოაღო. გურამ სავანელმა მაჯაში ხელი ჩააკვდო, შემოაბრუნა, ტუჩის კუთხეში აკოცა. ნათია გადაფითრდა, ფრთოლოში გადასული კანკალის დასაფარავად მანქანაში სწრაფად ჩაჯდა.

— საბერთალოს სასაფლაოზე! — მძღოლმა ფეხი ავიდა. — საბერთალოს სასაფლაოზე! — გაღიზიანება ვერ დაფარა; მანქანა ძმიმედ დაიძრა.

გურამ სავანელს მოუსვენრობის მახრჩობელა გრძნობა დაეუფლა. ერთ სურვილს შეეპყრო — რაც შეიძლება, მალე მისულიყვნენ. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ნათია კუთხეში მიმჯდარიყო და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, დაბნეული მძღოლი სარკეში შეაცქერდა ხოლმე თვალს საეჭვო წყვილს.

როგორც კი საბერთალოს აღმართი აათავა მანქანამ, გურამ სავანელმა ასმანეთიანი ამოიღო, მძღოლს გაუწოდა.

— აი, ამ ბილიკთან გააჩერე და, თუ ძმა ხარ, მოგვიცადე.

მძღოლმა ფული გამოართვა, ერთხანს უყურა.

— კარგი, მოგიცდით...

— მალე დავბრუნდებით.

ნათია ზვარაკივით გაპკეკა. ირგვლივ გამეფებულმა მდუმარებამ საბოლოოდ დათრგუნა. გურამ სავანელს მარცხენა ხელი მკლავში ჩაავლო და მთელი ძალით მოუჭირა.

აღმართზე კარგა ხანს იარეს, შემდეგ პატარა ტაფობზე დაეშვნენ. კლდის ნაპირას ახლად ამოვსებულ საფლავთან შეჩერდნენ. საფლავზე მიმბნეული მიხაკები კოცონებივით გიზგიზებდნენ. ცოდა. ყინვაში სიხუმეს მაგიური ძალა მისცემოდა.

გურამ სავანელმა საფლავზე დაიჩოქა, მიწა მუჭში მოსრისა, წყქცეული ღვინის ბოთლი აიღო, შეაჯღრია, ღვინო ხელისგულზე გადმოისხა, მოსცა. სამი წოთელი მიხაკი აიღო. მარმარილოს ქანდაკებასავით გაშეშებულ ნათიას მიუახლოვდა, ხელი კისერზე შემოხვია.

— ჩვენ ბიჭი გვეყოლება.

ეს სიტყვები სასაფლაოს მდუმარებაში დემონის ბანკარგულებასავით გაისმა. მაჯა აუწია, ძალაგამოცლილ თითებში მიხაკები ჩაუდო, თვალები დუკოცნა.

მოელი გზა ისე ჰყავდა მკლავებში მოქცეული, თითქოს ეშინოდა, არ დაკარგოდა.

ზარი გამმეულად დარეკა.

— დედა, განგების ნება ასეთი ყოფილა, რომ მამას ამ დღეკრულ დღეს შემოსულოდა რძალი.

ნათიას სახე ჩამოლვენილ სანლოად ქცეოდა.

●

საათმა რვა დარეკა. გურამ სავანელმა თვალი გაახილა. დერეფნიდან კობას ხმა მოესმა. წამოდგა, სეტერი გადაიცვა. შეშეკეპილ თითებზე დაიხედა, რამდენჯერმე მოკუმმა და გაშალა. ნათია შემოვიდა.

— მიდიხარ სადმე?

— ჰო, საქმეზე.

— არ ითქმება?

— რომ მოვალ, მერე გეტყვი.

— ფული დატოვე, ბაზარში ვარ წასასვლელი.

— უჯრაში დეს და აიღე, — აბაზანაში შევიდა. — ცოტა მეც დამიტოვე, თორემ ქესტადა ვარ, — გამოსძახა.

ციხის შესასვლელთან უკვე უცდიდა ზაურ ჯანბერიძე.

— ეგაა, ბიჭო, შენი პუნქტუალობა?

— ტაქსი არ იყო. ვნახავ დღეს?

— თუ დაკითხვაზე ამოიყვანეს, რაღაცას მოვახერხებთ.

— ცხოვრებაში რა არ მიკეთებია, აი, თარჯიმანი კი პიროველადაა ვარ.

— თუ არ გინდა, მიბრძანდი. პასპორტი წამოიღე?

— გეკადრება? პირველად ხომ არ შევდივარ ამ დაწესებულებაში. თუმცა მაშინ უფრო გულთბილად მიმიღეს — პასპორტი არ მოუთხოვიათ.

— იცოდე, არავითარი თვითშემოქმედება! — პასპორტი გამოართვა.

— კარგი, შენ ეს ამიხსენი, ვის სჯირდება ჩემი თარჯიმნობა.

— ერთი არმავირელი ბარიგაა, აქაურებს ნარკოტიკებით ამარაგებდა. დღეს დაბრისპირება მაქვს, თარჯიმანი კი, ყოველ შემთხვევისთვის, საჭიროა.

— მადლობა დახმარებისათვის — პირად საქმეში შეტანით! — მხიარულად გაიცინა, ხელი ჩაიქნია.

საშვები აიღეს. პატარა დერეფანი გაიარეს, რკინის კართან, უზარმაზარი საკვერეტელით ცალთვალა ციკლოპს რომ მიაგავდა, ზარი დარეკეს. ზარის ზმუილზე გურამ სავანელს უსიამოდ გაიკრჭოლა. მორიგემ საბუთები ჩამოართვა, შეამოწმა, სარეგისტრაციო ჟურნალში გაატარა. კარი გაიღო. ერთი ციდა ოთახში შეეიდნენ. მორიგემ საშვები დაუბრუნა. ახლა მეორე გასასვლელში აზმეილდა ზარი. კვლავ შემოწმება. „კიდევ კარგი, მორჩა ეს ზმეილობანა, თორემ ნაღდად სისხლი ჩამეკეიდა“. დერეფანს გაჰყვნენ. პირველივე ლუზუნგი იტყობინებოდა, აღებულ ვალდებულებებს გადაჰპარებით შევასრულებთო. სარკასტულად ჩაეცინა. კიბეს მძიმედ აუყვნენ. გრძელი დერეფანი გაიარეს. კარს მიადგნენ და დაბაზახუნეს.

„ისევ გრიშაა კართან?“ — ჩურჩულით ჰკითხა.

„იქნებ გამოენურეგოდი“.

„კაი, კაი, ნუ შემჭამე. გრიშა თუმნიანის მეტს ვერაფერს ცნობს“.

მართლაც გრიშა იყო. „დაბერებულა,“ — გაიფიქრა.

თვალი შეავლო ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ ლუკ რკინის კარებს, პატარა გისოსებიანი სარკმლები მკერდზე ნაჭარგივით რომ ... ოერტვიფრათ. გული აუჩქროლდა.

ზაურ ჯანბერიძემ ერთ-ერთ კარ[illegible] მოაღო, გურამი წინ გაუშვა.

— შენ აქ მომიცადე, ვნახავ, ამოიყვანეს თუ არა.

გურამ სავანელი დაჯედილ სკამზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა.

ზაური მალე დაბრუნდა.

— ჩვენგან მარცხნივ, მესამე ოთახში, გამომძიებელს სიყვარულს ეფიცება.

— შენი ტრფობით დამწეარნი როდისღა მოვლენ?

— ამოიყვანენ. არ დაგვიწყდეს, — არავითარი თვითმოქმედება.

— შტერი ხომ არ გგონივარ, რას მეჩიჩინნები.

ოთახში ორმოცდაათს მიღწეული, სუფთად გაპარსული, თავმოტლეკილი კაცი და, ასე, ოციოდე წლის ბიჭი შემოიყვანეს.

— ზაურ, მე გავალ, სიგარეტს მოვწევ.

ზაურ ჯანბერიძე რაღაც ქაღალდებს ჩაკერკეტებდა, თავი ანგარიშმოუცემლად დაუქნია.

გურამ სავანელმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ჩაფიქრდა. კოლოფი სწრაფად შეინახა, ოთახი გამოთვალა, კარი მორიგებით შეაღო.

თითქმის ექვსი თვის უნახავი მეგობარი რომ დაინახა, უზარმაზარი დაძაბვით მოპოვებული სიმშვიდე მეღუზასავით შემოადნა.

— უკაცრავად, სიგარტები ხომ არ გექნებათ? — ხმამ მაინც ვერ დფარა გულის ძგერით გამოწვეული საარტილერიო კანონადა.

— კი, ბატონო, ინებეთ, — დათო მენაბდემ სიგარეტი გაუწოდა.

გურამ სავანელმა ძლივს ამოაძრო კოლოფიდან ღერი.

— ალბათ, ხელი შეგიმალეთ. მაპატიეთ.

— როგორ გეკადრებათ, — ღიმილი ბუნდოვნად გაარჩია მეგობრის სახეზე.

კარი მიიხურა, ღრმა ნაფაზი დაარტყა. დერეფნის ბოლომდე ნელი ნაბიჯით მივიდა. სიგარეტის კვამლს თვალი გააყოლა... კვამლში ტიტრები ათამაშდნენ.

●

როგორც კი მატარებლიდან გადმოვიდა, ფარდულში ლუდი იყიდა. სულმოუთქმელად გამოცალა, „ესეც ასე“, კმაყოფილებით სავსე ხმით ჩაიღაპარაკა. ჯგუფად მდგარ მძღოლებს მიუახლოვდა.

— ბაზრამდე რომელი წამიყვანთ?

— თუმანს მომცემ?

— ვითომ ხუთი მანეთი არ გეყოფა?

— არ მეყოფა...

— მაშინ წავიდეთ და გზაში მოვრიგდებით. ჰო, ჰო, ნუ ყოყმანობ, ბოლოს და ბოლოს, სტუმარი ვარ და პატიჟი უნდა მცე, — ხელ-

კაკი გამოსდო. — აბა, ფეხს ნუ ითრევ, წადედით.

მძღოლმა კეთილად გაიღიმა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

— თუ ძმა ხარ, სანაპიროთი გადი. წელიწადია, ზღვაზე არ ვყოფილვარ, მომენატრა, თვალს შევავლებ. რაც უნდა იყოს, ბავშვობაში გემის კაპიტნობაზე ვოცნებობდი.

— მაგაზე ყველა ოცნებობდა, — მძღოლს სევდანარევი ღიმილი ეყარა სახეზე.

— არა, თქვენი ოცნება სხვაა. აქაურმა კაცმა, აბა, სხვა რაზე უნდა ოცნებოს, მაგრამ ჩვენთან, დედაქალაქში, სადაც მოზრდილი აბანონისხელა წყალსაცავი გვაქვს და ზღვას ვეძახით, ჩვენს ოცნებას უფრო სხვა, რომანტიკული ელფერი დაჰკრავს, — მძღოლმა შეათვალიერა. — ჰო, მაგრად დავთვერი წუტელ. როსტოვში ვიყავი ერთი ქალის სანახავად, — ეეჰ, რუსუდან ყანჩაველო, რუსუდან ყანჩაველო! — იმას კი მეორე როსტოვში უცხორია. მაგარია, არა! — გიიცინა, — გიკვირს, ალბათ, რამდენს ლაპარაკობსო. ჯერ სადა ხარ, დღე ხომ აზალა დაიწყო, თანაც, არ დაგვიწყდეს, უფულოდ დარჩენილი კაცის ხელობა ლაქლაქია. მოგესალმება, ზღვაო, მარად შენზე დანატრებული შვილი, — ფანჯარა ჩამოსწია, ზღვას ხელი აუწია. — თქვენ არც კი იცით, რა ბედნიერები ხართ, აქ რომ ცხოვრობთ, — ერთხანს თვალი ვერ მოწყვიტა ზღვის სიდიადეს, — აბა, მოვედით კიდეც, შენ კი ორ ნაბიჯში თუმანნი გინდოდა. აი, იმ ოთხსართულიან სახლთან შემიჩერე.

მეორე სართულზე ღიღინ-ღიღინით ავიდა. ზარი გაბმულად დარეკა. „ახლა რომ სახლში არავინ დამხვდეს, სპირი მაშინ იქნება“. საკეტმა რომ გაიჩხაკუნა, ღიმილად იქცა.

— ვაა, გურამს გაუმარჯოს!

— ლევან! სიცოცხლე!

ერთმანეთი გადაკოცნეს. გურამ სავანელმა ჩანთა ტახტზე მოისროლა, სავარძელში გაიშლართა.

— დათო ტყეშია?

— არა, საქმეზეა გასული, საცაა გამოჩნდება. შენ ეს მითხარი, როგორა ხარ, ჩვენ კეკენ რომელმა ქარმა გადმოგაგდო.

— აზოვისაშ. ისე, ღიპზე ხელი მიარტყა. — გეტყოფთხო, თავს არ იკლავთ მუშაობით. ორივე ერთად, ალბათ, სამას კილოს დაარტყამთ. არ მოგწყენდათ ასე მარტოხელა მგლებივით წოწიალი, ოჯახური სუეტა არ გიზიდავთ, მამობის სურვილი მაინც არ გაქვთ?

— ჩემი შენ გითხარითო... ამ კვირის ბოლოს თბილისში ვაპირებთ წასვლას. შენც დარჩი და ერთად წავიდეთ.

— ეჰეი არ შეგეპაროთ, მე ახლა აქედან ჯოხითაც ვერ გამაგდებთ. მოვიდა, მგონი, კიდევ ერთი ბედოვლათი, სიგნალს აძლევს, — წამოდგა, ავიკაზე გავიდა, წითელ „ეიგულში“ დაჯდა. მენამდე რომ დაარაწდა, სახე გაუნათდა.

— დიდ ხელოვანს სიცოცხლე. როგორ ... და, გვეკადრე, — ამოსძახა.

— არ ამოხვალ?

— სარკეში ჩაიხედე და მიხვდები, რომ ჩემს ამოსვლას ისევ შენი ჩამოსვლა სჯობია.

— ეშეშარატებას თალდებ.

ოთახში ლევან ილურძეე გაჯგიმულიყო და ხელი ისე გაეშვირა, თითქოს რომაელ სარდალს ესალმებათ.

— დიდი თამადაგ, საქეიფოდ მიმავალნი გეპატიჟებთ შენ!

გურამ სავანელმა კეისარივით შემართა ხელი და მოეტბეულ კარში პომპეზური ნაბიჯით გავიდა.

— რას მიირთმეკთ, უფროსო, — დათო მენაბდემ თავი მდაბლად დაუკრა და ზღვისპირა ბარში შეუძღვა.

— მხოლოდ კონიაკს და ისიც — „საიუბილეოს“.

— ოჰ, შენც ახლა ერთბაშად სამვარსკვლავიანში არ გამოარჩიო.

— მოდი, მაზიანი.

— რაზე?

— თქვენ ყველანაირი კონიაკი სირჩებში ჩამოასხით, მათ შორის, რა თქმა უნდა, „საიუბილეოც“, და თვალი ამიკარით. სათითაოდ გავსინჯავ, თუ ამოვიცანი, თბილისამდე ზურნა-დუდუკი არ მომაკლოთ.

— თუ წაადგე?

— სანამ აქ ვიქნები, თავს არ წაგაკეპიმთ ლაპარაკით.

— მოდის!

თვალები ცხვირსახოცით აუხვიეს.

— ლევან, შენ გენდობი, დააკვირდი, თორემ ეგ ისეთი არამზადაა, ყველა ჭიქაში ერთ მოხლეს ჩამისხამს.

— ნუ გეშინია, არ გაგაყიდი, — ლევან ილურძეემ თავზე ხელი გადაუსვა.

„ახლა რომ შეეცდე, ხომ შემჭამეს ცოცხლად!“ — გაიფიქრა და ლოდინად იქცა.

— მზად ხარ? — დათო მენაბდის ხმა ჩაესმა.

— მომაწოდეთ.

პირველი ჭიქა მოსვა.

— ეს არ არის. მეორე.

მეორე სირჩა ნახეკვარზე მოსვა, გაყუჩდა. ჭიქა კვლავ მიეტანა ტუჩებთან. უცბად მთელ ტანში გამარჯვების სასიამოვნო ერუანტელმა დაუარა. მიხვდა, გამოიცნო. ცხვირსახოცი დაუდევრად მოიძრო, სირჩა ბოლომდე გამოცალა.

— აწი ეგ ნაგავ თქვენ გაინაწილეთო, მე კი, გენაცვალე, — მაგიდასთან გაშეშებულ, ცნობისმოყვარეობად ქცეულ მომტანს მიმართა. — მხოლოდ აი, ეს კონიაკი მასვეთ, — დათო მენაბდეს ხელი გაუწოდა. მეგობარმა დამარცხების ნიშნად ხელი დაუტყაპ. — მაშ, ვიწყებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო, — დათო მენაბდე ალაალად იღიმოდა.

„საზეიმო“ სუფრიდან პირღაპირ ტყეში ამოყვეს თავი — გურამ სავანელი ატყდა, ბუნება მომენატრაო.

მთის ძირში უკვე მოეთოვა.

— აქ ვინ მოგაყვებათ სამუშაოდ?

— მთის გადაღმა სვანების სოფლებია. ძირითადად იქიდან მოდიან ჩვენთან. თუ ძმა ხარ, — „ეუხლი“ მძღოლს მიუბრუნდა დათო მენაბდე, — ნახე, ზემოთ გზა ხომ არ ჩაიხერგა.

— რამდენს უდგიან?

— გაანჩინა. ზოგს ათასსაც ვაძლევენ.

— მერე, მაგდენს გამოწერის უფლება გაქვთ? დათო მენაბდე კუნძზე ჩამოჯდა.

— აბა, სამას მანეთს ბაღში, შვენებლობაზეც იღებს. მაგ უფლად აქ ვინ გაგიჩერდება. აგერ, ჯერ სეკტემბრის ბოლოა და უკვე ჩამოთოვა. ჰოდა, ცოტ-ცოტას ვარდვევთ.

— თქვენ რამდენი გაქვთ ხელფასი?

— შენ რა გამომძიებელივით მელაპარაკები? ას ორმოცდაათი.

●

რომელიღაც ოთახიდან ღრიალი მოისმა. მცველები თავქუდმოგლეჯით გაიქცნენ იქით და ახალგაზრდა კაცი გამოიყვანეს. „გამიშვით, მოველ, მაგის დედა ვატირე! — ყვირილს უმატა. — ეგ ცინგლიანი სადღაც დამპალ ინსტიტუტში სწავლობდა, ხალხში გამოვიყვანე, ქუჩრდები გავაცანი, ფული ვაშოვინე და ახლა ძიების დროს რაცხა პატარა შემეშალა და ბოზს არ მეძახის?! გამიშვით ხელი!“ — კიდევ ერთხელ გაიკაზა ყასიდად და უცებ გარდაიქმნა, დამშვიდდა. ზემდეგს, ღლამის იყო, ღიღინით გაპყვა.

გურამ სავანელმა, სიცილი რომ დაეფარა, ჩაახველა. ჩმაურზე ბმოსული ზაურ ჯანბერიძეს დათო მენაბდის გამომძიებელზე ანიშნა. ზაური კოლეგას მიუახლოვდა, ხელკეტი გამოსცა, ერთხანს ესაუბრა. გამომძიებელი გასასვლელში გაუჩინარდა. ზაურ ჯანბერიძე გურამთან მივიდა:

— ავუხსენი სიტუაცია. ნახევარი საათით დაგტოვთ, კარი ღიაა.

— მაინც რა უთხარი?

— თანაკლასელები ვართ-მეთქი.

— კარგი.

— შედი, ნუღარ აყოვნებ, მერე მეც შემოვალ.

გურამ სავანელი ჩქარი ნაბიჯით შეავიდა.

— ნუ დამამტვრიე ძვლები, შე ტორები გასწი, — ღამის იყვირა მეგობრის მკლავებში მოქცეულმა.

— წეღან რომ დაგინახე, თვალს არ დავუჯერე. ზაურმა კი მითხრა გუშინ, გიმზადებო, -მაგრამ ამას ნაღდად არ მოველოდი.

— რას შერები, როგორა ხარ?

— რა ვიცი. ზონიდან რომ მომიბრუნეს, ეს ნაღვლ გავგიჟდი, — ისე მეგონა, ხელმეორედ დამიჭირეს.

— რა ჯანდაბად დაგაშლეგინეთ საქმე?

— მე ვინ მკითხავდა, ზოგს ჩასახლებაშიც კი უშვებდნენ და ისინიც აქ მოაბრძანეს. არადა, მეც მალე უნდა შემეხსნა. ეს ამბავი დიდხანს რომ გაგრძელდეს, არ ვიცი, რას ვიზამ.

— მაინც რა გვინდა, რატომ ატყდა ასეთი ამბავი?

— დირექტორმა აიყოლია ხალხი. იმდენი წერეს მოსკოვში, უდანშაულო ხალხი ტყეულად ჩაგვყარესო, რომ საქმე დაშალეს. ახლა მგონი გვირაბის ბოლოც გამოჩნდა. იმ თვეში, ალბათ, ხელმეორედ გაგვასამართლებენ.

— გაქვთ რამის იმედი?

— შენ ბაღში ხომ არ გგონიავ. მეშვიდე წელია ორმოცდახუთი კაცი სასჯელს ვიხდით და ახლა ვინ გვეტყვის, ბოდიში, ბატონო, შეეცდით, მთელი ეს ხანი აქ ტყეულად გაყურყუტეთო. გარეთ რა ამბავია, როგორა ხართ, ფილმს როდის ამთავრებ?

— რა ვიცი, აბა. ბიჭები კარგად არიან. ყველას ძალიან გვენატრები.

— „ბელოდებთო, უშენოდ სულ არ გვინდა თამაში“, არა? ისე, მადლობელი ვარ თქვენი. რასაც თქვენ ჩემთვის აკეთებთ, არაფრადაც უნდა ვიყო, რომ ვერ დაგინახო.

— ისე, რაც შენ აქეთ გადმოგიყვანეს, ვიდეოს სიამოვნება მომაკლდა.

— აღარაა ზონაში, კეისარამ გააყიდინა. ფული დაგეკარგა.

— კეისარას ორი წელი კიდევ დარჩა, არა?

— ჰო. ერთი ცირკი მოგიყვე, ხო ვიცი, გიყვარს ეგეთი ამბები. სწორედ ჩემი წამოსვლის წინ მოხდა. ერთმა ნაგავმა თორმეტი ათასი მანეთი წაიგო, არადა, არაფრის გადამხდელი არ იყო. ამ დროს დედა და ან ჩამოუვიდნენ სანახავად. პაემანზე ორნი გაპყვნენ. ჰოდა, მიეიდა ერთი მათგანი ძეიფფასი შვილის დედოკოსთან და ეუბნება: დიდი ბოდიში, ქალბატონო, თქვენს შვილს ჩემთან რეა ათასი მანეთი აქვს წაგებული, ჩაბარების ყველა ვადა გაუვიდა და ახლა რა ექნათო...

— მერე? — გურამ სავანელი ირონიიად იქცა.

— ვიღაცამ კეისარას მიუტანა ამბავი, მიეარდა და დაიფრინა ორივე.

— ჰმ, რას არ გიიგებს კაცი. მართლა, — ჯიბიდან ფული ამოიღო, თითქმის ძალით ჩასჩარა, — ისე, თუმნინინი გაამზადე, შენთან რომ შემოვდიოდი, მგონი, გრიშამ დამინახა.

— ეგ ადვილი საქმეა. შენ ჩემებს უთხარი, თავი დაანებონ იმ ადვოკატს, არაფრის მაქნისი არ არის, ნუ ატენიან ფულს და, საერთოდ, მოეშვან ყველაფერს და, თუ შეუძლიათ, ის მა-

ინც გამიკეთონ, ჩასახლებაში დროზე გადამიყვანონ.

— აქედან ხელის შემშლელი ხომ არაფერია?

— არა, კაცო, აქ ჩემს საქმეს მე მიგხედავ.

— ბევრი ჯდება?

— მაგას დავეხმარ?

კარში ზაურ ჯანბერიძე გამოჩნდა.

— რაკა ხარ, ძმაკაო, — ხელი ჩამოართვა. — რა ტყუილად ატეხეთ ვაი-შუშელებელი, ყოფილიყავით თქვენთვის სეფთა ჰაერზე. გაკლდათ რამე? მაგრამ, ხომ იცი, თაგემა რა გამოთხარა? გურამ, წამოდი ახლა და ოქმზე ხელი მომიწერე.

მარტო რომ დარჩნენ, დუმილი ჩამოვარდა, განშორების სევდით დამძიმებული დუმილი. ბოლოს ისევ დათო მენაბდე წამოდგა.

— აბა, კარგად. ბიუეი დამიკოცნე. შენ რაღაც ფერდაკარგული მეჩვენები.

— არაფერია, — გადაკოცნა. — გულმა შემახსენა თავი და... — შეყოვნდა, სიტყვას ტკეპნიდა, — ერთი რამ მინდა გითხრა. მოკლედ, აზრია, თხოვნაა ხომ უფროვილია... მოკლედ... — სიტყვა გაუწყდა, ამ „მოკლედ“-ს ჩაეკიდა, — მიხვდები, რასაც გეუბნები. რაღაც ჩვენებას ხელს თუ მოაწერ, ყველაფერი ისე მოხდება, პირდაპირ ჩასახლებაში ამოყოფ თავს.

დათო მენაბდე გადაფიცირდა.

— ძმობას გაფიცავ, ასეთი რამ მეორედ არ მითხრა. აბა, მოდი, გაკოცო და კარგად იყავი.

ციხის კარი რომ მიიხურეს, აშკარად სუსტად იგრძნო თავი. თავბრუ ეხეოოდა, წაბალ, დაეწვებიო, გაიფიქრა.

სახლში არავინ დახვდა. ის-ის იყო, სვიტერი გადაიძრო, ზარმა დარეკა. ერთი ხანობა იფიქრა, კარს არ გავაღებო, მაგრამ გადაიფიქრა, სპორტული პიჯამა შემოიცვა და კარი გააღო. ზეუერბლოსან სახლმმართველი და ორი მაღიღლოსანი იდგნენ.

— შეიძლება? — სახლმმართველმა ყასიდად გაუღიმა.

— კი, ბატონო, მარა ჩვენ ბინის ქირა გადახდილი გვაქვს.

— ვიცით, ვიცით, — სახლმმართველი საკმოდ უცერემონიოდ გაემართა სასტუმრო ოთახისკენ, — მაგრამ ჩვენ ახლა სულ სხვა საკითხზე გაწუხებთ, — სკამზე ჩამოჯდა. — ქეთო, ღამარა, დასხედით. — გურამ საგანელმა სასწრაფოდ სკამი შესთავაზა ქალებს. — რაშია, იცით, საქმე? მოგეხსენებათ, რა ფართო კამპანიაა გაშლილი დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ. ჩვენი სახლმმართველობაც ატარებს, ასე ვთქვათ, მოსახლეობის მორალურ-ზნეობრივ ატესტაციას. ჩვენი ღონისძიების მიზანია, დავადგინოთ, — რისთვისაც დაკრაზმეთ მობინადრეთა [illegible] — ჩვენდამი რწმუნებულ უბანზე დამ[illegible] როგორ იცავს ბინაში ცხოვრების შინაგანაწესს, ხომ არა გვაყავს მეკუთხარიები, ვინმე ფარულად ხომ არ აკეთებს რემონტს ანდა სადმე ბუნაგი ხომ არა აქვთ მოწყობილი.

— მერე, როგორ მიმდინარეობს „ატესტაცია?“ — გურამ სავანელი საკაზმად იქცა.

— თქვენ ხუმრობთ და ჩვენ ტაქე გამოვაცალეთ ზოგიერთი მობინადრის ცხოვრების მავნე წესი. ამის თაობაზე ეცნობება აღმასკომს და დაისმება კიდევაც მათი ჩვენთან ცხოვრების საკითხი. შეიძლება თქვენი ბინა დავთვალიეროთ? ერთი შეკითხვაც მაქვს: რატომ ხართ ამ დროს სახლში? ჯერ ხომ სამუშაო საათები არ დამთავრებულა, თანაც ასეთ ფორმაში... — მოღიღილ პიჯამაზე ანიშნა. — ლამარა, ქეთო, შეუდექით საქმეს.

— ერთი წუთით, თქვენ რა, დამცინით?

სახლმმართველმა განრისხებული მზერა ესროლა.

— მაშინ, იცი რა, შე შატაბატა მაიმენო, — გურამ საგანელმა ვეღარ გაიგო, კანკალი სიმრაზისგან აუვარდა თუ აღშფოთებისგან. — აქედან გამასწორო!

— თქვენ თავს ნუ იგდებთ!

— ჩქარა-მეთქი! . სანამ ტუალეტიდან ცოცხი არ გამომიტანია!

სახლმმართველი მძიმედ წამოდგა, ქალები აჩქარებული ნაბიჯით მიჰყვნენ.

„მაგასაც ენახავთ, ვინ ვის გაგდებს“. — გამოსძახა სახლმმართველმა და კარი მიიჯახუნა.

გურამ საგანელმა ხელი თვალის ქუთუთობაზე მიიდო. „წრეკა მაქვს,“ — გაიფიქრა. სამზარეულოში წამლების ყუთი გახსნა, წყალი დაისხა. ზარის ხმა რომ გაიგო, სუნთქვა გაუხშირდა, კარი ღამის ყეფით გააღო. დიტო ჩაჩიბაია რომ დაინახა, შვებით ამოისუნთქა.

— ოჰ, შენა ხარ? — გაღიმება სცადა.

— ვის ელოდი?

— ჩემი სახლმმართველი მეგონა. მიკროატესტაციას ატარებს. წარმოგიდგენია? მისადმი რწმუნებულ უბანში მოსახლეობის მორალურ-ზნეობრივ დონეს ამოწმებს. ამწუთას მოვიშორე, მეგონა, მობრუნდა და კინაღამ გავგიჟდი.

— შენ ნუ გაგიჟდები და ყველაფერს მოევლება.

— რახან შენ მეუბნები მაგას, ნაღდად მო-

ნოდარ კობერიძე
თეთრი ღრუბელი

ევლება, — სახეზე ირონია გამოეხატა, — ჩემს ოთახში შედი, აშკეთს გამოვალ.

წამალი დალია. სეტრური გადაიცვა. სარკეში დიტო ჩაჩიბაიას ჰკიდა თვალი. რაღაცამ შეძრა. დიტო კედელთან განმარტოებულ სკამზე ჩამომჯდარიყო, მობეზეული, ძირს დაშვებული გრძელი ცხვირით მოწყენილი ყაყაჩის დამსგავსებოდა.

— რამ შეგაწუხა, ჩემპიონო. ლიპი წამოგზრდია.

დიტო გამოერკვა.

— სად იყავი მთელი დღე დაკარგული? დღეს როგორა ხარ?

— რა მიგიჩია. დათო მენაბდე ვნახე.

— მართლა? როგორ მოახერხე! როგორ არის?

— მოკითხვა დამბარა. შენ რაღაც გიგირს, ჩემპიონო.

— თუ ძმა ხარ, ეგრე ნუ მეძახი.

— რატომ? ათქიდში ხომ იყავი ჩემპიონი?

— მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, გურამ. მითხარი, თავი მოვიკლა?

— კიდევ რა მოგვიდეს? — „ცოლის მორიგი ღალატი გიგო თუ ახალ სამსახურში გაგიბარეს?“ — გაიფიქრა.

— მარინამ მითხრა...

— ვინ არის მარინა? — სიტყვა შეაწყვეტინა.

— ჩემი შვილი, კაცო. სახლში რომ მოდიხარ, იმისთანა სუნს აყენებ, მე და დედიკო სირცხვილით ვწევართო, ჩემმა ქალბატონმა კი ისეთი იქედნური ხითხითი მოაყოლა, კინაღამ გავცოფდი.

—მაინც რა სუნს აყენებ ამისთანას? — ვერაფერით მოეროდა ამ წყეულ ირონიას.

— მე ხომ ლაკის საამქროში ვმუშაობ, ჰოდა, იქაური სუნი არ მოსწონს.

— მერე, ვერ ახიე ყურებში?

— ბავშვი რა შუაშია. რაც ესმის, იმას იმეორებს. არადა, მაგ სუნმა მოუტანა ყველაფერი — ანტიკვარული ავეჯიდან ბრილიანტის საყურეებამდე. ახლა სახლეარგარეთ მიბრძანდება. ტანზე წესიერად არ მაცვია, ნახეკარზე კომბინატში მძინავს, მაგის გაუმაძღარ სტომაქს მაინც ვერაფერი მოვუხერხე.

— ახლა რას აპირებ? — სიგარეტს მოუკიდა.

— არ ვიცი. ნეტავ როცა ვეყრებოდი, კისერი მომეტეხა და არ შევრნგებოდი.

— ეს რომელ შერიგებაზე მელაპარაკები?— სახე სარკაზმმა დაუფაფა.

—ნეტავი ენა, რომ გიხეშრება. ახლა მე მკითხე... ლამის არის, თავი მოვიკლა.

—იცი, რა გითხრა. ჩემო ძმაო, პიროვნების ტრაგედია სიკვდილში კი არ არის, პიროვნების ტრაგედია მაშინ იწყება, როცა ირგვლივ მყოფთა პატივისცემას კარგავ. რამ დაგაჩაჩანაკა ასე, რაც ყველაზე ძვირფასი გკონდა, რა უყავი, სად დაკარგე?! აბა, გაიხსენე, ცხენიდან ოთხ ლამ ჩამოგწერა აქტიური სპორტიდან, შენ კი ერთ წელიწადში ჩემპიონი გახდი. დამკირებული ღირსების შეგრძნებამ დაგაძლევინა მაშინ ყოველივე, ახლა კი, ამ ათ წელიწადში რას დაემსგავსე? მშვენიერი სამსახური მიატოვე, კომბინატორობა დაიწყე. იქ რას აკეთებ სპორტსმენი კაცი, ვერ გიგიგია. ერთ დღეს რომ შენი ოჯახის ამბებზე ქვეყანას ლაპარაკებ, რაღაც დამამცირებელ თანაგრძნობას ეძებ, მეორე დღეს ბედნიერ იდიოტად გვეცხადები, მესამე დღეს კვლავ ძველ ფირფიტას ატრიალებ და ამის შემდეგ კიდევ ვინმეს ამტკუნებ? უნამუსო კაცი ვიყო, შენს ყოფას თუ სიკვდილი არ სჯობდეს! — სიგარეტი საფერფლეზე დააჭყლეტა, თავი ნერვიულად გაიქნია. — უნამუსო კაცი ვიყო, — ფანჯარასთან მივიდა, ჭვალითებიდან ციები ნიავი სისინებდა, შემობრუნდა, —აი, ის წყეული ენებიც ასე სისინებენ შენზე, — შტორები ჩამოუშვა, — რა მალაპარაკებს, თითქოს პირველად გხედავდე ასეთ მდგომარეობაში. თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, ჩემი გიჭირვება მყოფნის.

მაგიდის უჯრა გამოაღო, ნაწერები ამოყარა.

—იმდენი ძახა კატონმა, კართაგენი უნდა დაინგრესო, რომ, ბოლოს და ბოლოს, აღგავა პირისაგან მიწისა.

— ასე სჯობდა კართაგენისთვის და ისტორიისთვისაც.

დიტო ჩაჩიბაია უსიტყვოდ გავიდა კარში.

გურამ სავანელმა თვალი გააყოლა და ცხადად დაინახა: კოპმლეკსებს დაებეჩავებინა კაცი. გული ჩასწყდა. დაძახება დააპირა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. მოსვენება დაკარგა, ტელეფონს ბოლმიანი მზერა ესროლა — რა მეცვალებულივით დუმსო, გაავებით გაიფიქრა. მაგიდიდან სცენარი აიღო, საათს შეხედა. ექვსი სრულდებოდა. გუშინდელი სიზმარი გაახსენდა. „რას ვერჩოდი, განა მე კი ნიერტიკოსალივით დღენიადაგ მინორული „ოსანას“ გალობით არ შევდივარ საყდრის კარიბჭეში?“ — უთხრა თავს. უფრო აფორიაქდა. ფარდა გადასწია. ქუჩას გახედა. ტელეფონმა დარეკა.

„როგორა ხარ, ლომო?“

„ვარ რა, — ვაჟა ზანდუკელის ხმა შეიცნო. — ჯერ არ მოვმკვდარვარ“.

„პიროვნების ფსიქოლოგიური კრიზისი, — უცბად დაუსვა დიაგნოზი. — დათო გინახავს“.

„ჰო, ვნახე“.

„მერე, შე არამზადა, რას გაჩუმებულხარ. რეზოს და ზაზას ველოდები და პირდაპირ შენთან მოვდივართ“.

„ოღონდ დღეს არა. ისე ვარ დაღლილი, რომ არ დავიძინო, მოვკვდები. ხვალ მე თვითონ გნახავთ“.

„ალიეს მელანქოლია. მაშინ წავალთ, თითო კათხა ლუდს დავლევთ“.

„აბა, თქვენ იცით, გაიბრუეთ მაიმუნების კაკოთი ეგ გამოლაყბული თავები“.

„ფეიდერიო ფელინი, უკაცრავად; მიდი, დაიძინე და, ეცადე, არაფერზე ინერვიულო. აბა, ხვალამდე“.

ერთხანს უაზროდ იბორიალა ოთახში, ჯონდო მესხს დაურეკა, ფირები ხომ არ გაუმეღავნებიათო. შეთანხმდნენ, დილით ავტობუსის გაჩერებაზე შეხვედრდნენ ერთმანეთს. ტანთ გაიხადა, ლოგინში ჩაწვა.

სცენარში ის ეპიზოდი მოძებნა, ხვალ რომ უნდა გადაეღოთ.

„როდე დღეს მომადგა დაბარებულივით ის დალაცვილი“, — ჩაილაპარაკა, ერთხანს უაზროდ ფურცლა სცენარი, ჩაიცვა, უჯრიდან სუფთა ფურცელში ამოიღო, ხვალინდელი ეპიზოდის ახალი ვარიანტი მოხაზა, თავი ხელებში ჩარგო... ეკრანზე ტიტრები ათამაშდნენ.

●

ლომბარდი რამდენიმე წუთში გაიღებოდა. რიგი დაიკავა. ჩანთა ფეხებშუა ამოიღო და მოიმძინება მოიკრიბა.

ვიღაცამ დაუძახა. თვირ „ვოლგაში“ რეზო ციმაკურიძეს ჯაიდა თვალი, უხერხულად გაეღიმა.

— აქ რას აკეთებ?

— არაფერს, ერთს ველოდები. — ღაწვები აეწვა.

რეზო ციმაკურიძე მანქანიდან გადმოვიდა.

— ფული გეჭიროდა?

— ფული ვის არ სჭირდება, — ხმაში ნაღველი გაერია.

— მე მოგცემ და სიტყვა არ გამაგონო! წადეთო! — პორტფელს ხელი დასტაცა, მანქანის კარი გამოალო, — დაჯექი!

მისაღებში შეჯგუფულ ხალხს თავაზიანად მიესალმა, მდიგანს სთხოვა, ერთი ათი წუთი არაფრეი შემოუშვაო, კარი მჭიდროდ მიხურა და სეიფი გამოალო.

— რამდენი გინდა?

გურამ სავანელს უხერხული ღიმილი აეკრა.

— თუ შეგიძლია, ათასი მანეთი მასესხე, დედის წყაგანა მინდა მოსკოეში. ცალი თვალით თითქმის სულ ვეღარაფერს ხედავს. იქ გავასინჯინებდი. ნათიამ და ბავშვმაც შემშველს.

— კი, ბატონო, — ათმანეთიანების შეკვრა გაუწოდა. — ასე რატომ დაიკარგე, ჩვენს ძმობას ეგ ეკადრება?

— რა ვიცი, აბა, —თვალებში მაღლიერი სხივი ჩადგამოდა, ფული ჯიბეში ჩაიტენა, — ზაზასთანაც ვერ მივედი, გული მაწუხებდა.

— რასაც შენ სვამ...

კარში დიტო ჩაჩიბაია გამოჩნდა.

— ძმებს სიკოცხლე! სად დაიკარგე, ბიჭო, შენ, — გურამ სავანელი გადაკოცნა, — რეზო, საღამომდე მანქანა უნდა მათხოვო.

— რომელ საათზე მომიყვან, ოღონდ ზუსტად მითხარი, არ მალოდინო.

— ექვსზე აქა ვარ.

— კარგი, საგზური თუ აიღე?

— დიდი მადლიერება. ჩემ ჩანგრეულ ფერდებს დასვენება არ აწყენს, ასე არაა, გურამ?

— დასვენება კარგია, — გურამ სავანელმა გაიღიმა.

— აბა, მეჩქარება. გურამ, წასვლამდე დაგირეკავ, — კარში გაუჩინარდა.

— „სპორტული მოქნილობა კიდევ არ დაუკარგავს“, — გაუღელვა, რაღაცის თქმა დაიპირა, მაგრამ რეზო ციმაკურიძე ტელეფონზე რეკავდა და გადაიფიქრა.

— „გულიკო ხარ? შენი დათა თუთაშშია გელაპარაკება. ამ წუთში შენი აბდალი იყო ჩემთან, მანქანა მთხოვა, ექვსამდე არ მოვა. ერთ საათში იქ გელოდები“.

გურამ სავანელი პირველად ვერც ჩაწვდა ტელეფონზე ნათქვამის არსს, მერე გაოცდა, გაიცინა, რეტი დაესხა. რეზო ციმაკურიძემ მეგობრის სახეცვლილება შამნნე შენიშნა, იხტიბარგატეხილმა უთხრა:

— აბა, გურამ, კეთილი მეზავრობა. რომ ჩამოხვალ, შეეხვედეთ ერთი.

— კო, — გამოერკვა. — გმადლობ, რეზო.— ხელი ჩამოართვა. — იმ თვეში დაგიბრუნებ.

გარეთ გავსოსულ გულზე რაღაც ისე შემოაწვა, კინალამ დაახრჩო. არაფრით არ შეეძლო, იმ „რაღაცისთვის“ სახელი დაერქმია. სასწრაფოდ ტაქსი გაიჩერა. მეექვსე სართულზე სიმბილით ავიდა. ნათიას კარის გაღება არ აეცალა.

— შაბათს მივფრინავთ. დედაჩემი სად არის? დედა! — პორტფელი მიაჩეჩა, ოთახში შევარდა, შვილი ჰაერში შეისროლა, — კობა, იცი, მოსკოვში რა გადასარევი ცირკია! — ჯიბიდან ფული ამოიღო.

— სადან! — ნათიას სახე გაუბრწყინდა.

— ეს მე ვიცი! — თავი ყოყლოჩინა მამალივით ასწია, — ამ დილით რომ ბუზღუნებდი, არ ვარგიხარო, სტუდიაში ვიყავი და ჩემი მოკლემეტრაჟიანი სცენარის ფული დამხვდა გამოწერილი. ეგრე კი არაა საქმე... — გაიფხორა. ნათიამ კისერზე შემოეკვლო.

— ბილეთებს როდის აიღებ?

— ამ წუთში. პასპორტები დაძებნე და წადიო. კობაც წამოიყვანე. ზოოპარკში გავატაროთ. ტელეფონი რომელ ოთახშია, თამაზს დავურეკავ, სალარონი ნაღნობი ჰყავს, — უცაბედ ეარხალითად გაწითლდა...

●

წინკარში ხმაური გაისმა.

— ნათია, შენა ხარ?

— მამა, დღეს ხუთიანი მივიღე.

— მოდი, გაკოცო, — შვილი მეხლეებზე დაისვა, ლოყაზე აკოცა.

ნათია შემოვიდა.

— დედაშენმა დარეკა, — კოსტიუმი გაიხსნა, — კრება მაქვს და დამიგვიანდებაო. როგორ არისო, შენზე მკითხა, მე კი მთელი დღე შენს ძმაკაცებთან ვრეკავ, რომ როგორმე შენი ისაველ-დასაველი გავიგო. მოვკვდი ნერვიულობით.

— კარგი ახლა, ნუ დაიწყებ.

— შენ მარტო ეგ იცი. შენი თავის მეტი არაფერი გახსოვს. პური მაინც მოგეტანა სახლში. გული რას გიშვრება?

— არის რა. სამსახურში როგორა გაქვს საქმე, ახლენ მეცნიერებაში გადატრიალებას? შენი კურსელი ლაური შემხვდა.

— რაო?

— როგორა ხართ, რატომ არ გამოიცლითო. სამი შვილი მყავსო. თქვენ კიდევ ერთს შეჩერებიხართო?

— მესამე შეეძინა? ყოჩაღ, ლაური!

„აი, შარი. რაში დამჭირდა ახლა ეს ტყუილი“, — ჩაეღიმა.

— მე კი თამაზ გურგენიძეს დამირეკა, შენი დანჯღრეული „ეიგული“ გაუკეთებია და წაიყვანოო, ეზოში დგასო.

— აუჰ, აგაშენა ღმერთმა, რა გამახარე! მიგრეიარ!

— ამ შუადამისას სად უნდა წახვიდე, დილამდე ვერ მოიცდი? ნუ გეშინია, არავინ მოგტაცებს შენს „რაშს“.

— რას ამბობ, მოკვდი აეტობუსით ჩაჭრაქით, ხომ ნახე, ფულიც გადამეღალა, — ქამარი შეიკრა. — კუტაკაი სად არის? წავედი.

— რაღა გიჭირს, დაიწყებ ძველებურად.

— მაშ, როგორ... მოდი, გაკოცო.

— თავი დამანებე. აეტანელი ხარ შენი საქციელით.

კუტაკაი შემოიცა. ქუჩაში წვრილად თოვდა. შეიკვეთა, მოიბუზა. მკერდის არეში ჩხვლეტა იგრძნო. „თავს თუ არ მივხედე, ინფარქტი განადგებული მაქვს“, — ჩაიდუდუნა და ავტობუსში ავიდა.

თამაზ გურგენიძე შალის მოსასხამში გახვეულიყო და ტელეფონზარს მისჩერებოდა.

— საინტერესოა რამე?

— ჩვენი დროის ნასრედნინ გამოდის.

— რაო, რა მინდაო. — პატარა სკამზე ჩამოჯდა.

— ისეთი არაფერი, მაგრამ ერთი რამ მოიცებს. ნამუსის ნატამალი როგორ არ შერჩა ამ ხალხს. დადგებიან მიკროფონთან და ისეთ რაღაცებს როშავენ, არც ერთი სიტყვა თავადვე რომ არ სწამთ. მერე გამოვლენ ხალხში და, ისის მაგიერად, იოტოსოდენა სირცხვილი მაინც იგრძნონ, სიმაყეთ კითხულობენ, ჩემი გამოსვლა როგორ მოგეწონათო.

— მაინც რას იტყუება ამისთანას?

— ეს ისეთს არაფერს, სხვებთან შედარებით იმფუზორიაა, მაგრამ ეგ არაა მთავარი. ხომ ჰყავთ ამ დალოცვილებს შვილები, ყოველივე ამის შემდეგ რა სინდისით თხოვენ, ბატონებ... ბი იყავითო. ადამიანის ცხოვრების ეკვივალენტი ხომ სინდისთან გფფილტრული საქმე ქნინს, რომლის უზარმაზარი არსი სიტყვაშია. წარმოდგენა არა მაქვს, მაგითი ეკვივალენტი რისი ტოლი იქნება.

— ნუ შეგაკვამე, ბატონო, შენი ექსპერსიული ნიჰილეზმით. რატომ გგონია, რომ მაგან შენზე უკეთ არ იცის, სად რა და როგორ უნდა თქვას?

— მასე კურდღელი მთელი დღე ბოსტანშია და აგრონომი ყოფილა.

გურამ სავანელმა ხმამაღლა გაიცინა.

— მანქანა რას შვრება?

— შეგიძლია ნიკი ლაუდა დასვა და მონაკოს პრიზზე გაუშვა.

გურამ სავანელმა ფარდა გადასწია. ქუჩა უკაცრიელი იყო. ფანჯრებიდან აქა-იქ ბეუტავდა სინათლე. გამალებით თოვდა.

— სახლში რას აკეთებ, გამოდი გარეთ.

— რა, არ გასვენებს გამჩენი? წავიდეთ.

გურამ სავანელმა თავისდა შეუცნობლად მანქანა მარიკას სახლს მიაყენა.

თამაზ გურგენიძემ ყურადღებით შეხედა.

— საავადმყოფოში, იცი, ვინ ვნახე?

— იმიტომ დამორიალება ასე? — თითი მარიკას ფანჯრებისკენ გაიშვირა, — სიყვარულმა ძველ ჭრილობასავით გაგახსენა თავე? თუ გახსოვს, რესტორნიდან რომ გამოვიპარეთ, მერე სასტუმრო „საქართველოსთან“ პალმის დიდი ფოთოლი მოვწყვიტეთ და ზარ-ზეიმით მიართვი შუადამისას.

— მაგას რა დამავიწყებს. მამამისმა დათვისახელი დოგი მომიქსია და კინაღამ დესერტად მიართვა ჩემი ტანჯული გულ-მკერდი.

— რა კისრისტეხით გამოვარდი სადარბაზოდან... სანაპიროსთან ძლივს დაგიწევ.

— როგორ არის, რას შვრება?

— ორი შვილი ჰყოლია. ბედნიერი ვარო.

— აქ ცხოვრობს ისევ?

— კოტა ადვილი კითხვები მომეცი.

— ისევ გიყვარს?

— ხომ გითხარი, კოტა ადვილი კითხვები მომეცი-მეთქი. რომ დავშორდით, დიდი ლექსი მივუძღვენი.

— შენი ამბავი რომ ვიცი, ზეპირად გეცოდინება.

გურამ სავანელს მოგონების სევდამ დაუბინდა სახე.

— გითხრა?

— მიდი, თან ვიაროთ, თორემ მამამისს ახლა ლომები ეყოლება და ნაღდად იყრის ძველ ჯავრს. ლისის ტბაზე ავიდეთ.

გურამ სავანელმა ნაფაზი დაარტყა. მანქანა მოაბრუნა, თეთრად გადაპენტილ ქუჩებს თვალი მოავლო, შუქზე მოცეკვავე ფიფქებს გაუღიმა, მძიმედ დაიწყო:

ნოემბერში, დეკემბერში, ყვითელ ფოთლებში
და იმ თეთრ თოვლში,
ქართა ქროლაში, გაყინული ცრემლებით,
თრთოლილთ
წუხელის მთვრალი, დღესაც მთვრალი
და ხვალაც მთვრალი
ჩაწითლებული ამ თვალებით გაოგნებული
დაგელოდები.
შენ შეიძლება არ მოხვიდე აღარასოდეს,
გზა აგერიოს ყვითელ ფოთლებში და იმ
თეთრ თოვლში.
გზაარეული ყიღაც მეგზურს დაეკითხები,
გზაარეული ყიღაც მეგზურს შეეკითხები,
მოგაკუღუნებენ მეგზურები, მოკრთამლილები,
შერით აღვსილნი ამ ჩემს ამბორს
შეგაძღულებენ.
დაბერებული მივპობდები კოშკის
კონგურთან
და ჩახლეჩილი, გათოშილი ხმით დაგიძახებ.
ნოემბერში, დეკემბერში, ყვითელ ფოთლებში
და იმ თეთრ თოვლში,
ქართა ქროლაში გაყინული ცრემლებით,
თრთოლილი,
წუხელის მთვრალი, დღესაც მთვრალი
და ხვალაც მთვრალი
ჩაწითლებული ამ თვალებით
მოგელოდები".

გურამ სავანელი განაჩენის მოლოდინში გაირინდა.

— თავი როგორ არ მოიკალი, ის მიკვირს.

— მაშაყირაგ? — გაბზარულ ხმაში აშკარა გულდაწყვეტა გამოსჭვიოდა.

— არა, მარილა კარგია. ისე, სანამ კაცს ლექსს წერა შეუძლია, რა უნიკო ლექსებიც უნდა წეროს, მაინც ჯაბუკია და, რადგან ჯაბუკია, კიდევ აქვს შანსი, იყოს ბედნიერი.

მანქანა აღმართს აუყვა.

— თამაზ, რა გაგიფიქრე ახლა, იცი? ალბათ, ეს ზამთარი ჩვენი სიჯაბუკის ბოლო აღმართია, აწი დაღმართი დაიწყება და ყოველივე ისე ადალახდება, როგორც ეს თოვლი ხვალ.

მოსახვევში მანქანა დაბუქსავდა.

— მოგბრუნდეთ. რაღაც გუნება გამიფუჭდა.

მანქანაში შემოჭრილი იდუმალი სუსხის დარღვევა არც უცდიათ. კარგად იცოდნენ, აზრი არ ჰქონდა. თამაზი უსიტყვოდ დაემშვიდობა.

გურამ სავანელი საწოლ ოთახში ფეხაკრეფით შევიდა, ტანთ სწრაფად გაიხადა, ნათიას შეეწყო.

— სუელ გათოშლხარ. სად ბრძანდებოდი ამდენ ხანს? დამაძინე, გადადი შენს საწოლში, — აბეზღუნდა ნათია.

— „ნათიაო, ნათიაო", — წაიღიღინა, თმაზე აკოცა.

— დამაძინე, კაცო, დამაძინე!

— ჰო, კარგი, მიედივარ, — ჩუმი სიცილით ჩაიდუდუნა, თავის საწოლში გადაინაცვლა, ... ბაწში გაეხვია და გაილესა.

დილით საათმა შვიდჯერ დარეკა თუ არა, წამოდგა. შეშფაბეულ თითებს უკმაყოფილოდ დახედა, ორმოცდაათჯერ გაშალა და მოკეცა. არ უსაუზმია. მანქანასთან ჩქარი ნაბიჯით ჩაგიდა.

ჯონდო მესხი უკვე ელოდა გაჩერებაზე.

— რატომ მიხდიდა, იცი, გადაღების დაწყებამდე მენახე. — მისალმებისთანავე საკმეზე გადავიდა. — სცენარში ზოგი ეპიზოდი შეეცვალა და შენი მხარდაჭერა მჭირდება. დღეევნდელი სცენა მაქვს მხედველობაში. ხომ გახსოვს, ჩვენი გმირი რომ გიიგებს, ფული ვინც ასესხა და ხელი მოუმართა, მათი საერთო მეგობარის ცოლთან დაძერება, შემდგომი მისი საქციელი - - სილის გაწვნა, ფულის უკან გადაყრა, — რაღაც პომპეზური მეჩვენება. აი, — უბიდან ორად გაკეცილი ფურცლები ამოიღო, გაუწოდა. — ახალი ვარიანტი გავაკეთე და, თუ რამე არ მოგეწონოს, მითხარი.

ჯონდო მესხმა ნაწერი გამოართვა, სწრაფად გადაიკითხა.

— მეთხოვე, რატომ გაკეთე ასეო, — ჩაფიქრდა. — მინდა ჩვენი ფილმის გმირი ქედუტხრელობითაც გამოირჩეოდეს და, ამავე დროს, ცხოვრების გაგებაც არ დაკარგოს, თორემ აშკარად ყალბი გამოვა.

ჯონდო მესხი ერთხანს ჩაფიქრდა.

— ძველი ვარიანტიც არ იყო ურიგო, ისე კი, მე მგონი, მარილა ასე სჯობია. მოკლედ, რომ გადავიღებთ, იქ უკეთ გამოჩნდება.

ჯგუფი შეკრებილი დახვდათ. ჭრიმი გაიკეთა, პავილიონში შებრუნდა.

— დანიელ, ისწავლე ახალი ტექსტი? — მიმართა პარტნიორს.

— მე მგონი...

— თენგო, ფირი მზადაა? — ოპერატორს მიუბრუნდა, ასპარაქში ჩაიხედა, — ბოლო დიდი პლანით გადაიღე. ადა, ჯონდო, დავიწყოთ!

პირველი ეპიზოდი ზუსტად ისე გათამაშდა, როგორც მრავალი წლის წინ მოხდა. მარტინი რომ დარჩნენ, სიტუაცია დაიძაბა. „რეზო" იხტიბარს არ იტეხს.

„ადა, კეთილ მგზავრობას გისურვებ".

„გურამს" გამომეტყველება მკაცრი უხდება, ნერვიულობისაგან თვალები უთამაშებს. ძმიმედ დაიწყო:

„იცი რა, ცხოვრებაში ბევრ რამეზე დამიხუჭავს თვალი, შემდგომ, მართალია, გული დაშწყვეტია, მინანია. კარგად იცი, რა ძალა აქვს ცხოვრების ჯაობს, შეუმჩნეველად ჩამითრია, პირში თავისი აყრილებული სითხე ჩამიგება, თითქოსდა სამეფამოდ დავდუქნდი. ჩემი სულიც. ალბათ, ნელ-ნელა ეშმაკთან წილნაყარი გახდა. — ფული ჯიბიდან ამოიღო, გულდაწყვეტილი ღიმილით შეავლო თვალი. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, ჩემი აზრით, ჩვენში შემომძძვრალი სატანის ძლევამ უდრის ყველგვარი ცდენების დაძლევა, რაც, სამწუხაროდ, რაც დრო გადის, სულ უფრო იზეიათად ხდება. ალბათ, დავიდოდა კიდევ გულგრილობის საშინელი სენიც იძდენად გამოყენა ფაილა და რბილში, მოძაკვდავს ბეიძლება ისე ჩავფარა ეჭეზამი, რომ მისი ამბავი ავტობუსის გაჩერებამდეც არ მიმყვეს. მაგრამ ყოველივე, რაც ახლა მოხდა, ეტყობა, მეტისმეტია. ასე ამბარად ჩემს სინდისთან არაოდეს დავმცირებულვარ".

„ვისაც სინდისი საბუთად მოჰყავს, აფერისტია".

„შეიძლება, — ერთხანს ჩაფიქრდა. — შეიძლება მართალიც იყო. რაღაც მოჯადოებული ლოგიკის რაკლში ვეძეკეკი. შენ სიკეთეს ეკეთებ, მეჩარაგენ, ხელს მიმართავ. დარწმუნებული ვარ, კაკეთად აკეთებ ყველაფერს, ბაგრან, ამავე დროს, არის მესამე, ვისთან ერთადაც გავიზარდეთ, რომელთანაც სიყვარულს, ჩვენ არაფერი გვაკავშირებს, შენ კი ელოტბა... მეც ყოველივეს იდუმალი თანამონაწილე გავხდი, ეს კი უკვე იმ ძალას აღემატება, რომელიც ყველაფრის შეგუებადობაში ძდგომარეობს. ამიტომ, არ გეწყინოს, ამას ვერ გამოგართვევ", — ფული მაგიდაზე დაგდო.

„რეზომ" ფულს დახედა. ღრმა საფაზი დარტყა. გაფთრებულ ღაწვებზე ნელი ჩამოისვა.

„ალა ვარ ისეთი წამხდარი, როგორიც ახლა ვიჩანები. მე ჭაობის ერთი პატარა მცხოვრები ვარ, ჩემი სიხარულით, დარდით, სიყვარულით, სიძულვილით, თუ გინდა, მზაკვრობით, და, ჩემი ჭაობის ჯანაწყენი რომ დაგარღვიო, აღელეულიბლად ან გავუბედურდები, ან დავიღუპები. მე ამბოხი არ ძალმიძს. რაც შეეხება კონკრეტულ სიტუაციას, ეს ჩემი პატარა ბედნიერებაა, რომელსაც დიდ სიყვარულში ბედნიერებაზე არაგვიანი შანსი არა აქვს. ამა, ეტუკი ხომ ვერ გამოიტანს საჯაკოთაზე ნაკურდალს. ბიგიდაკ გამოიტანოს, გაუგებენ? არა, — სიგარეტი ჩაეკონა, თავი დახარა, ჩაიცინა. — ვის სეთრდება ეს. ორივეს ბავშვები გვყავს, არც ერთს არაგვიანი სურვილი არა გვაქვს კომპლექსანი შვილები დაეზარცოთ".

გურამ სავანელს კამერა მიეუახლოვდა. სცენაზოის მიხედვით უნდა ეთქვა: „დროულად გამომეღვაწებული სიმსივნე ჯანმრთელობისთვის საშში აღარ არის", მაგრამ მიხედა, ახლა ამის თქმა სისუფლეე იქნებოდა. შუბლი მოისრესა, მარჯვენა მაღლა აღმართა:

— შეჩერდით! რაღაც არ გამოდის, — წამოდგა, გვერდზე გავიდა. ჯონდო მესხის მზერა მოძიებნა.

სკამზე გაშეშებული ჯონდო რაღაც წერტილს დაბნეული მიშტერებოდა.

— გამორთეთ შუქი, ერთ საათში ხელის ანა ზოდის რეპეტიციის დაგიწყებ. [illegible] ლა თავისუფალია, — მიმართა ასისტენტს. [illegible] ში აიღო, ჯონდოს გვერდით ჩაჯდა.

ჯგუფი ხმაურით დაიშალა. მარტო რომ დარჩენ, ჯონდო მესხის მხარს დაყავით დაყარდნა.

— მგონი გავიჭედეთ.

— თანაც როგორ! — ჯონდო მესხს დამშაბა ვესავით გაეღიმა.

— შენ როგორ მოიქცეოდი მსგავს სიტუაციაში?

— იცი რა, თავის ცხოვრებას ყველა ისე იწყობს, როგორც შეუძლია. მოკლედ ავთოდი ინ ფულს და, მორჩა, დანარჩენი ჩემი საქმე არ იყო.

— მეც ეგრე მოვიქეცი, — ძლივგასაგონად ჩაიჩურჩულა.

— რა თქვი?!

— არაფერი. მაგრამ ვისაც ჩვენ „ეკეკეთებთ", ის არც გურამ სავანელია და არც ჯონდო მესხი.

წამოდგა, გაიარ-გამოიარა. პავილიონში ფილმის დირიქტორი შემოვიდა.

— გურამ, რაიკომიდან დაურეკავთ, სასწრაფოდ ზაზა ხუციანიძესთან მოვიდეს.

— რა უნდა, არ უთქვამთ?

დირეკტორმა მხრები აიჩეჩა.

— ზაზა ისეე მეორე მდივანია? ხომ არ დაუწყიბაურებიათ?

— არა, თავის ადგილზეა. საოცარია, ასე ოფიციალურად, ვითომ რა მინდაო? წავალ, გავიგებ, რა მოხდა. თუ დამაგვიანდა, რეპეტიცია შენ დაიწყე.

ლურსმნიდან კურტკა ჩამოხსნა, ჩაფიქრებული გავიდა.

ზაზა ხუციანიძის კაბინეტის კარი აფორიაქებულმა შეაღო.

— გურამს გაუმარჯოს! მართლა ავადმყოფის ფერი გადევს. იმკურნალე, ძმაო, თორემ ეგრე არ იქნება, — ხელკავი გამოსო, კედელთან ჩაჩწყრიალებული სკამებთან მიიყვანა, თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— ეჰ, ჩემო ზაზა, ახლა გადაღება ისეთ ფაზაშია, რომ ჩემი დროებით მოწუვეტაც კი ყველაფერს წყალში ჩაყრის. დაგიბარებივარ, ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობით კია მშვიდობა, მაგრამ ამ დღეთა ალმასკომის თავმჯდომარის ძალაფლე შეეხება და შემოშრილა, თქვენი მეგობარი სახლმმართველობას მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებაში უშლის ხელსო. არ უნდა მოისვენო? პატარა ბიჭი ხომ ალარა ხარ.

— არ მითხრა ახლა, ჩვენც ხელს ვუშყობთ იმ შატაბუტას თავისი ავადმყოფური იდეების განხორციელებაშო. ხომ იცი, არაცნობიერის ძალაუფლებით გამოთრობა რეგვენს არნახულ სიამოვნებას ანიჭებს.

ზაზა ხუციანიძე აშკარად დაიბნა.

— წეღან, მართალი გითხრა, ვერ მოვასწარი, მეკითხა, რა ღონისძიებაზე იყო ლაპარაკი. ერთი, გადმოალაგე.

— არა, მარტო საკუთარი ინიციატივით რომ მოქმედებდეს, აშდენს ვერ გაბედავდა, გუშინ სალომის გამომეცხადა თანამებრძოლებით და მითხრა: ჩემდამი რწმუნებული უბანში მოსახლეობის ატესტაციას ვატარებ მათი ზნეობრივ-მორალური დონის გამოსარკვევად, რითაც, ერთგვარად, ხელს ვეწყობ მთავრობის ღონისძიებას, რომლის არსი დისციპლინის განმტკიცებაშია. ამისთვის დაურაზმავს უბნის ინტრიგან-უსაქმურთა მთელი ბანდა, დადიან კარდაკარ და ხალხს ნერვებს აწყვეტენ თავიანთი უტაქტო გამოხდომით.

ზაზა ხუციანიძე წამოდგა, სელექტორის ღილაკს თითი დააჭირა: „რუსეკო, ერთი, გოგლაძეს თხოვე, ჩემთან შემოვიდეს, თან სახლმმართველიც გამოიყოლოს, წეღან თვალი მოვკარი, მისაღებში უცდიდა“, გუთან სავანელს მიუბრუნდა:

— ჩვენთვის ეგ ამბავი ახალია. ეტყობა, ეტყობა კი არა, სწორად ვერ გაუგია ჩვენი ახლანდელი კურსის არსი, მაგრამ ისე, ჩვენთვის ვთქვათ, კაცი მუშაობს, ცდილობს. რა მოხდა, თუ ცოტა აუჩია.

— ცოტა კი არა, მაგრად აუჩია. მაგრამ მთავარი უბედურება იმაშია, მსგავსი მოღვაწენი ძალიან მომრავლდნენ. ავტოინსპექცია ქუჩაში უმიზეზოდ მანქანას აჩერებს და, საბუთებთან ერთად, ცნობას გთხოვს, სამსახურიდან გამოპარული ხომ არ ხარ. გამოპარულიც რომ არ იყო, კაცი ფიქრობს, არ გინდა ახლა სამსახურში უფროსების შეყრა, არიქა, ცნობა მომეცით, ავტოინსპექციამ საბუთები ჩამომართვაო. სხვა რომ არაფერი, თავმოყვარეობის ამბავია. ისეც ის გირჩევნია, გარკვეული თანხა ჩაუცერო ინსპექტორს — ტაქსაც უკვე ახსოგდნენ, — და ისიც კმაყოფილი დგაჩრქაა, შენც შენს გზას გაგრძელებ. ანდა ვის სჯირდება ეს ქაღალდმანანა, გგონია, ამით საქმეს რაღე ეშველება? ეარესი მოხდება. ადამიანთა უმრავლესობას თბილ ნაუუბში თვლემას ნუ დაურღვევ და ათასგვარ დათმობაზე წავა, თუ არა, უფრო შეინიღბება, უარესს გააკეთებს. არ სჯობია, ყველამ თავის საქმეს მიხედოს? გინდა სასტუმროების ამბავი აიღე: რის ვინ-ვაგლახით მიეწოთი, ერთ შშვენიერ დღეს კი გამოგეცხადება ადმინისტრატორი და ქუჩაში მიგაბრძანებს, ადგილი უცხოელებს უნდა დაუთმო. ჩემზე კარგად მოგეხსენება, ასეთი სიტუაცია რამდენ ადგილზეა. ხომ არ გეჩვენება, ცოტა კონსტიტუციის დარღვევასთან გვაქვს საქმე? ასე თუ გაგრძელდა, სად მივალთ! ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი იმიტომ იქმნება, რომ ადამიანს საზრუნავი მოაკლოს. ასეთ სიტუაციაში კი, რა გამოდის — ხალხი იძნეგა, ბედნიერ საძრომს ეძებს, გულში ბოღმა უჩნდება; კი, ბატონო, შეიძლება წარმატებები ვიქონიოთ, მაგრამ, მე მგონი, ასეთი ხერხით მიღწეული წარმატება, საბოლოო ჯამში, სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს.

— კარგი, კარგი, ნუ გარეკე შენებურად. განა ჩვენ ამალავთ, რომ გადაჯარბებულ ენთუზიაზმს ზოგჯერ ზიანიც მოაქვს?

— მაშ, მიზანი ამართლებს საშუალებას?

— არა, შენ ვერ გამიგე. ჩვენ არ ვღებულობთ ყველა საშუალებას, თუმცა ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ: „კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია!“

მდივანმა კარი შემოაღო:

— გოგოლაძე და სახლმმართველი მოვიდნენ.

— შემოვიდნენ! — ზაზა ხუციანიძე მაგიდის თავში დაჯდა.

კარი გაიღო. თავმჯდომარის მოადგილე და სახლმმართველი შემოვიდნენ. სახლმმართველმა ნიშნის მოგებით გადახედა გუთან სავანელს, რაიკომის მდივანს მოწიწებით მიესალმა.

— ლეარსაბ, — მიმართა ზაზა ხუციანიძემ თავმჯდომარის მოადგილეს. — აქ ბევრი რამ გაირკვა. ჩვენს მეგობარს ცოტა გადაუჭარბებია და, საერთოდ, ბოლო ხანებში ზოგიერთი ჩვენგანი რაღაც უცნაური სენით დაავადდა — საკუთარი ამბიციების, ძალის ჩვენება ერთგვარი პოლიტიკა გახდა. პატივმოყვარეობა კი ისეთი ავადმყოფობაა, რომელსაც შუქლია ერთ მომენტში უზარმაზარი სიკეთე ჩაგვადენინოს, მეორე წამს კი არნახული ბოროტება. ამ ავადმყოფობით დაავადებულნი ჩვენთან ერთად ვერ იელიან. ჩვენი იდეალებისათვის უცხოა თვითდამკვიდრების, ამბიციურობის, დიდაკაცობის, ძალაუფლებით ტკბობის პრინციპი. ისე არ გამიგოთ, თითქოს გურამს ყველაფერში ვამართლებდე, მაგრამ ჩვენც მეტისმეტი მოგვდის. ხალხი ჩვენ გვენდობა. მთ მოგვანდეს დიდი უფლებები და, დამერწმუნეთ, ამ უფლებების გამოყენება თოთო ბავშვის მოვლაზე რთულია.

გუთან სავანელი წამოდგა.

— მე დაგტოვებთ, მგონი, უკვე საჭირო აღარა ვარ.

ზაზა ხუციანიძემ თავი დაუქნია.

— კარგი, ოღონდ დაიხსომე, ბავშვი აღარა ხარ.

გურამ სავანელს გაეღიმა.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

სამდივნოში კედლის საათს შეავლო თვალი — სამი სრულდებოდა. თითქოს დენმა დაუარაო ტანში, დაიმუხტა, ერთბაშად მოეძალა მარიკას ნაბეგის სურვილი.

კარდიოლოგიის ცენტრთან მანქანიდან გადმოვიდა და მოსვენებადაკარგულმა აქეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქით დაიწყო ბორიალი. წამდაუწუმ საათს დასჩერებოდა. სამი შესრულდა. უფრო აფორიაქდა. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, შენობიდან გამოსულ ყველა ქალში მარიკა ელანდებოდა. აი, თეთრ ქურქში გამოწყობილ ქალში შეიენო კიდეც მარიკა. მანქანაში ჩაჯდა, გადაიწია, მარჯვენა კარი გამოაღო. მარიკას სიწითლემ აკკრა სახეზე.

მანქანა ერთხანს უაზროდ აუნია ქუჩებში; სიტყვას ტკეპნიდა, არ იცოდა, რითი აეხსნა თავისი მოულოდნელი გამოცხადება.

— გცალია? — ჯიქურ შეხედა მარიკამ.

— მეკითხები?

— მაშინ ბორჯომში წავიდეთ.

გურამ სავანელი დაიბნა — აშკარად არ მოელოდა ასეთ წინადადებას. სიგარეტს მოუკიდა, მაგნატოფონი ჩართო.

— ისე, ვაკბატონო, სად მიგიყვანს ის ცხოვრება რომელსაც შენ ეწევი?

— თუ იცი, ქუთაისში რას ეძახიან კაცს, რომელიც არ ეწევა, არ სვამს, ქალებში არ დადის?

— არ ვიცი.

— გამოუსვენებელ მკვდარს.

მარიკამ სიგარეტი ამოიღო.

— რატომ გამოხვედი ასე გვიან, სამზე არ გიმთავრდება სამსახური?

— მორიგე ვარ და იმიტომ.

— მერე?! — გაოცდა.

— რა მერე, დაგინახე, ბორიალობდი, ისიც ვიგრძენი, რომ ძალიან მომენატრე. მეგობარი დავტოვე ჩემს მაგიერად და აგერ, აქა ვარ. ნუ გადიქცევი ახლა იდიოტად, — შენიშნა, თვითკმაყოფილებამ მოიცვა გურამ სავანელი, — ჰო, იცინე, იცინე. ახლა კი ნაღდად ჰგავხარ იდიოტს, — ჩანთიდან მაგნიტოფონი ამოიღო, — ეს დაუკარი მე დავიძინებ და, იცოდე, ბორჯომამდე არ გამაღვიძო.

გურამ სავანელს მეელდია ეცნაურა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, კიდევ როდის და სად მოესმინა. როგორც კი გიტარას ნაზი, სევდაშერეული ხმა ამყვა: „ვერხვის ფოთოლთა თუთრი ლაშქარი აშრიალდება უშორეს ზღაპრად,“ აბურძგლა, აწრიალდა. გონებამ ის შორეული მგზავრობა ამოუტივტივა. მაშინაც გაზაფხული იდგა. ალავერდიდან ბრუნდებოდნენ. მარიკა კარგად ვერ გრძნობდა თავს და მანქანაში ღუმელი ჩართო. თხოვა, ცოტა ხანს შეეცვენოთო. თბილისში ჩამოსვლას ჩქარობდა და მარიკას თხოვნისათვის ყურადღება არ მიუქცევია. პირიქით, სიჩქარეს უმატა. მაშინ მარიკამ ღუმელი მთელი სიმძლავრით ჩაოთო, გურამ სავანელმა გამოურთო, მარკამ ისევ ჩართო, გურამ სავანელმა ისევ გამორთო და, ღმერთმა უწყის, ასე როდემდე გაგრძელდებოდა, მარიკა რომ თმაში არ ჩაფრენოდა. ძლივს მოასწრო მანქანის დამუხრუჭება. ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, რომელიც „დაკაწრული სახეებით“ და ნიტარი ალერსით დამთავრდა. ქალაქში შუაღამისას დაბრუნდნენ. მთელი გზა ამ სიმღერას უსმენდნენ.

მანქანა გვერდზე გადაიყენა, მარიკას თვალები მიელულა და რადაც სევდანარევი ნიტარებით იღიმოდა. გადაიხარა, თმაზე ხელი გადუსვა, მოიზიდა და, როგორც ლოთი ღვინოს, ისე დაიცხრა მარიკას ენებით აწრთობულ ტუჩებს.

დიდხანს თავდავიწყებით ეალერსებოდნენ ერთმანეთს.

დასასრული იქნება

მტრედი

შენ სიცოცხლის სილამაზევ,
მშვენიერო თეთრო მტრედო,
ნუგეშინისმცემლის ხატო,
სულის ლხენავ და იმედო.

სიხარულთან მყოფელი ხარ,
მარტოდ მყოფი არ ხარ ობლად,
თქვი, საიდან მოფრენილხარ
ჩემი სულის მახარობლად.

ხან კამარას შეჭკრავ ცაში,
ხან გოგმანით იარები...
ნათელი ხარ, ნათელფერობ
სინათლესთან ზიარებით.

ხევსურთა

ლომის მოწყენა მინახავს,
არწივის სევდა მიგრძვნია,
თუ გცნობთ იმედად ვინა ხართ,
ღალატი ვით შემიძლია?..
ჰეი, ჭიუხის ღვიძლებო,
თქვენი მახარებს ლაღობა,
თქვენოდენს ვით შევიძლებო...
გამახსენდება ბალღობა.
მოვკვდე სიცოცხლის წყაროზე,
გაუკვდავების ნატვრითა,
ოღონდ ქართვლის მზე ზეობდეს,
ჩვენი ჯილაგი და დვრიტა.
მტერმა ჩაიცვას შავები,
ახდენილ სიზმრის დარადა,
ეს რა გველშაპს შავებით, —
შავ-შავ სისხლი სდის ღვარადა.
მაღლით გვწყალობდეს ცის ძალი, —
თვალი — მზესავით მჩინარი...
თუ სიყვარული წინ გვიძღვის
ჩვენი მომრევი
ვინ არი?..

●

მიდის ზამთარი — მოხუცი მკაცრი,
დგას გაზაფხული მწვანე დროშითა,
გამოფხიზლებას მიეცა აზრი,
მიწას მზის სხივთა სითბო მოშივდა.

მოვა ყვავილი ათასი ფერის
თამარ დედოფლის ოქროს ქოშითა,
სიყვარული და სიცოცხლე მღერის...
ყღერს გაზაფხული მაღალ დროშითა.

●

მადლით ავსილო გომბორის მთებო,
(ფარვანასავით გული დაიწვა)
ჩემი მამულის ცაო და მიწავ,
თქვენი დიდება როგორ ითქმება
ულერსოდ და უსიყვარულოდ?

ოდეს დღეები უსიხარულო
სულს — ცოდვით აღვსილს —
მოეძალება —
მომენატრება სიწმინდე თქვენი,
სივრცეთა შორის ეგ მოკრძალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲘᲝ ᲛᲔᲡᲕᲘᲛᲔᲚᲡ

ღმერთმა მოგვმადლა ქართველთა
(გაყოფით ერის ჯაპანი)
ილია, ვაჟა, აკაკი,
შენ და სხვა დიდნი პაპანი,
აგენთოთ ჟამის წყვდიადში
მარადისობის ლამპარი.

ᲒᲐᲠᲔᲯᲘ

უტეხი სული, სიმხნე და სიბრძნე,
და კიდევ რაღაც, სხვა უფრო მეტი...
მათზე სამყაროს მიწვევა იგრძნეს,
გაბრწყინდნენ, როგორც სინათლის
სვეტნი.

გმირები რწმენის, სიმართლის მაღლის,
გაუღუნავი ბურჯები ერის.
მეჩუქურთმენი საუფლო სახლის,
ტკბილად მღერალნი ღვთაებრივ ენით...
ყაყაჩოდ ანთებს იმათ სისხლს,
დაღვრილს,
მამულის მიწა — მშობელი ჩვენი.

●

ჩემი ბალღობის სიხარული,
ლხინო ქართული,
მამულის სული, სიყვარული
ცამდე განთქმული,
ჩემო მიწაო, ჩემო ცაო
სულ სალოცავო,
შენ სიხარულის ჟრუანტელო
გასაოცარო.

ᲨᲔᲜ ᲖᲔᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲝ ᲜᲐᲗᲔᲚᲝ

დავით აღმაშენებელს

შენ — ზეციური საქართველოს დიდო
ნათელო,
თხემით ტერფამდე სხივმფრქვეველო
მშვიდო ქართველო,
შენ ზესთა მბრძოლო, მოელვარე მზის
მუზარადით, —
ცის სამკაულო, დედამიწის გმირო
ლომგულო...
ოდეს მახვილი, უხილავი, დაეც
ორგულებს,
შეზარე კვალად, გოლიათებრ ვითარ
ზარავდი,
მამულის მტერი დაანჩოქე შენს ცათა
ქვეშე,
იავარ ჰყავი გარეწარი და მოთარეშე...
შენ დაგვიფარე, ვით გვფარავდი,
აწ და მარადის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ნათელი

დღე იწურება შრომით დაღლილი,
წინა დღის ტყუპი და ორეული,
მიმასრიალებს თოვლზე მარხილი,
ვთვლემ, მის ჭრიალში ძილმორეული.
მინდა შევფიზიზლდე, მაგრამ ბუნანი
ზეზე არ მიშვებს არასდიდებით,
მთვარე ბუტია და მომდურავი
მომეფერება ყინვის თითებით.

სუნთქვაშეკრული გამოვფიზიზლდები
და შიშმორეულ ძრწოლა ამიტანს,
ეს მერამდენედ მამფულ ვპირდები,
არ მომეხუჭოს თვალი წამითაც.
ვისრეს სახეზე პირველ ფანტელებს,
ახალწლის წინა ღამით მოდენილს,
სულში მედგრება დიდი ნათელი,
თეთრი ქათქათა და უცოდველი!

დიდგორამდე

ჭიზვინებდა ბედაური
მიჰკიოდა ზარი,
ზარი ზართა მეთაური —
შესამჩნევი ბზარით.
შორს ისმოდა ჭიზვინი და
ზარის ბზარი „გვიხსნეს“
დავით მეფე

თოვლის გვირაბს
მოარღვევდა ლიხზე.
უბრწყინავდა მუზარადი,
ზეე ამოჰყვა თითქოს,
დუშმანი და მოძალადე
მომდგარიყო დიდგორს.

●

ჭანგით, ნისკარტით,
შხამით, გესლით,
ფიწლით ორთითით
ჭოი ყვავებო, უშავესნო,
ვის არ ჭკორტნიდით!

●

წყნარი ღიღინი მომინდა,
სიმღერა მისით მოდის,
გულის საოხად მომიტანს
ლექსი უძველეს მოტივს.
გადაიქროლებს ალალი,
ალალი არა, ქორი,
ჰარალე, ჰარი ჰარალე,
ჯეჯილს დანამავს თქორი.

ამ ნარზე გაჰქრა ნიბლია,
როდისმე იჯდა განაჭ!
მას მერე სულ რომ მიფრინავს,
თითქოს არც როდის მჯდარა.
გულზე რომ მაწვა ლოდივით
ის დარდი გაჰქრა უცბად,
ოი, როდინდელს, როდინდელს,
დედა ენის წიგნს ვფურცლავ.

ჰა ჩემი ტახტი

მე წავალ, როცა ღირსეულ შემცვლელს,
„ჰა ჩემი ტახტი“, თამამად გეტყვი,
რადგანაც ვიცი ოგივეს შესძლებ —
უკეთურ ვინმეს არ ეპყრას კვერთხი.

ჯანსაღი ხელით ვინც ჩაიბარებს,
განიკურნება, რომ სჭირდეს კეთრი...
ჰა ჩემი თოხი, ჰა ჩემი ბარი,
ორივე ბასრი ხმალივით მკვეთრი.

ქეთევან კვინტრაძე

დაბადება

პირველშობილი ფეროვნება ეღვრება ტყეებს,
ზეციურ ნებით.
მზის ოქროს წყალის ნებიერნი
ვბრუნდებით გზნებით.
ზეაწეული ნიკაპები
უთრთით სისხამზე მწვანე გორაკთა.
და ტოროლების ფრთების კვალი ირწევა ცაში,
როგორ მომრავლდა!
ეჰე, ჰე, ჰეი!
გამითენდა ლურჯი სიზმარი,
მარადიული კლება-ვსება
დიდთა მცირეთა...
როგორ ეცადა აღმოსავლის სათუთი თვალი,
რომ ჩვენ ერთმანეთს შევხვედროდით,
აუცილებლად.

●

ფეხშიშველა მივრბი ამხელა ქალი.
ტყეა, მიწურნენ კაბას ბარდები.
მიწაა ისევ წყნარი და გრილი,
ცაში მზე იწვის კვლავ გამალებით.
ისეთი კარგი ვარ იმათ შუა,
ახლა რომ მნახო, შეგიყვარდები.

შიშად მექნება

ხან არც მადარდებს
რომ არსებობს ფერიცვალება.
ცვალება ყოველ სახიერთა,
გარდაუვალი.
მე მოვალ, მიწავ, შენთან,
როგორც სიცოცხლის თესლი,
თესლი მიწიერ სიკეთეთა,
შმაგი თუბალი.
დავნაწილდები ნამცეც-ნამცეც
სულ შენთაგანში,
და მე ვიბრუნებ,
როგორც ბრუნავს კეკრში მარცვალი.
შიში მექნება,
რომ მერქმევა მიწა ქართული,
მიწა საღმერთო,
მოსატაცი და მოსაპარი.

ჰოი, გულო!

გული ამიხეტიალდა,
წამიძღვა და წავყევ თანა,
ხან ჩანჩქერში დატრიალდა,
ხან ხრამებში ჩამიტანა,
ხან მაფრინა ცის კიდურში,
ცა გაკვირდა — საიდანა?!..
მზე ჩაკეტეს ცხრაკლიტულში,
მან თავისი გაიტანა.
ცხრავე კლიტე მამსხვრევია,
მიწის ამბის მისატანად,
ჰოი, გულო!
მშვიდო ჩემო,
რა მჭონიხარ ამისთანა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐ

სულ ახლახანს სიხარულითა და სიამაყით შეჰყურებდა მთელი საქართველო თავის სახელოვან შვილს, ამაგდარ, ღვაწლმოსილ მეცნიერს! ვამაყობდით მისი მეცნიერული ღვაწლით, დამსახურებით, ვამაყობდით მისი ხანდაზმულობით!

აღარ გვყავს ბატონი პაპაკი შანიძე! მისი გულიც დაიღალა და გაილია ამდენი შრომით, ამდენი სიყვარულით!

ნათქვამია, „სიკვდილსა გლოვა უხდებაო...“ მგლოვიარეა დღეს ყველა, ვისაც კი ოდესმე ბატონი პაკაკის ლამპრის თუნდაც ოდნავი ნათელი მოჰფენია. და განა შეიძლება წარმოვიდგინოთ დღევანდელი განათლებული ქართველი ამ სინათლეს რომ არ ზიარებოდა.

„ენა დდაა ერისა“, მისი წმინდა წიაღიდან ამოდის ჩვენი ეროვნულობის მძლავრი ხის ყოველი ყლორტი. ბატონმა პაკაკიმ, ცხადია, სხვაზე მეტად უწყოდა ეს ჭეშმარიტება, ამიტომ დასტრიალებდა თავს ამდენი ხანი ჩვენი მეობის ამ ცოცხალ გულისგულს, სწავლობდა მისი ფესვების უღრმეს შრეებს, განმარტავდა, იკვლევდა, კანონზომიერებას ადგენდა, ყველასათვის საჩინოს ხდიდა მის ღვთაებრივ წესრიგს.

და ეს დიდი ტვირთი როგორი სიყვარულით, როგორი რუდუნებით, როგორ მსუბუქად და ძალდაუტანებლად მიჰქონდა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე!

ახლა, ამ გლოვის დღეებში, კიდევ ერთხელ ვავლებთ თვალს მის ნაღვაწს და კიდევ ერთხელ ვხედავთ თუ რა დიდია მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, რა ღრმაა მეცნიერის მიერ ქართველოლოგიის ყამირში გაბანილი კვალი, რა ვრცელია მისი სამოღვაწეო ასპარეზის ფარგლები, რა სეტაკად და ზნეობრივი სიწმინდითაა განვლილი ხანგრძლივი ცხოვრება, რა დამსახურებული და ალალია მოწიწებისა და სიყვარულის ის გრძნობა, რომლითაც მთელი საქართველო და მთელი ქვეყნიერება მიაცილებს განსვენებულის ცხედარს!

ამიერიდან, უკვე სამარადოდ შეუერთდება მისი სული იმ სათაყვანო წინაპართა აჩრდილებს, ვისი ხელნაწერების ფურცლებიც დაასრულა დიდი ცხოვრება, იმათ აჩრდილებს ვისი სიცოცხლეც ასევე საქართველოს საკურთხეველზე ენთო, შეუერთდება აჩრდილებს თავის სახელოვან თანამებრძოლთა, ახალი ქართული კულტურის წინსვლასა დ აღორძინებას რომ მიუძღვნეს მთელი სიცოცხლე!

კურთხეულია მიწა, რომელიც სამშობლოსათვის დამაშვრალთ ეყრება გულზე, რამეთუ მთავრდება სიცოცხლე და იწყება უკვდავება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

გმირი და დრო

„ჩვენი ლიტერატურა, ასახავდა რა ახალი სამყაროს დამადებას, ამასთანავე აქტიურად მონაწილეობდა მის ქმნადობაში, აყალიბებდა ამ სამყაროს ადამიანს — თავისი სამშობლოს პატრიოტს, ჭეშმარიტ ინტერნაციონალისტს. ამის წყალობით, მან სწორად აირჩია თავისი ადგილი, თავისი როლი საერთო სახალხო საქმეში. მაგრამ ეს არის კრიტერიუმიც, რომლითაც უდგებიან ხალხი და პარტია მწერლის, ხელოვანის მუშობას, რომლითაც უდგებიან თვით ლიტერატურა, საბჭოთა ხელოვნება საკუთარ ამოცანებს".

ამხ. მ. ხ. გორბაჩოვის პოლიტიკური მოხსენებიდან ხუკპ XXVII ყრილობას.

„ლიტერატურამ და ხელოვნებამ ჩვენს საზოგადოებაში არა მარტო რეალისტურად უნდა ასახონ ცხოვრება, არამედ ნებისმიერ, ყველაზე მწვავე საკითხებსაც კი გასცენ პასუხი, მხატვრული საშუალებებით დარაზმონ ადამიანები მომწიფებული პრობლემების გადასაჭრელად, ხელი მოკიდონ, — ნუ შეეშინდებით ამ სიტყვას, — ჩვენი სინამდვილის და მისი შემოქმედი გმირის კვლევას, ნერგონ სულის სიმტკიცე, ინიციატივა, მაღალი ჰუმანიზმი".

ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის მოხსენებიდან „ხუკპ XXVII ყრილობის შედეგები და ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1986 წლის 22 მარტს.

ეპოქა, გმირი, პრობლემები

თანამედროვეობის ხამსახური ყოველი ეპოქის ჭეშმარიტი ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშანია. სინამდვილესთან ორგანული, სისხლხორცეული კავშირი, თანამედროვე ცხოვრების, მისი მოვლენების არა მხოლოდ ასახვა, არამედ მხატვრული გაგაზრება და განდა ერთ-ერთი არსებითი, განმსაზღვრელი მხარეთაგანია მწერლობისა, ფორმალისოდაც მისი არსებობა წარმოუდგენელია. ყოველი დროის დიდი ლიტერატურა ყოველთვის თავს დასტრიალებდა ეპოქის საეჭვბოროტო პრობლემების გადაწყვეტის საქმეს. მწერლობის მხოლოდ ის ნიმუშები ანათებენ ძვირფასი თვლებივით ჯარდასული ეპოქებიდან რომლებშიც მთელი მხატვრული სინლიერით აისახა თანამედროვეობის სული და, პირიქით, ყოველგვარი ცდა ლიტერატურის ამ ძირითადი დანიშნულების იგნორირებისა მხოლოდ მარცხით დამთავრებულა და, უკეთეს შემთხვევაში, ისტორიის მკვდარ ფურცლად შემოუნახავს მომდევნო თაობებისათვის, როგორც მწარე გამოცდილების ნიმუში და ნიშანდობლივი გაკვეთილი.

დიახაც, მწერლობა ცხოვრების სარკეა.

და რამდენიც არ უნდა გვარწმუნონ ზოგ-ზოგებმა ეს ახე არ არისო (ანისი აშკარად თუ შეფარულად მჭადაგებლები კი ადრეც საკმაოდ იყვნენ და ეს ახლა დალეულან ამ ჭეკეესად, განსაკუთრებით დასავლეთში), მსოფლიოსა და ჩვენი ეროვნული კულტურაც მაინც ბეჯითად გვინერგავენ იმ ერთადერთ ჭეშმარიტ აზრს, რომ მწერლობას მხოლოდ ცხოვრება ჰკვებავს, რომ მწერლობას განუყოფელია რეალობისგან და მათი გათიშვა ოდენ ფუჭი კი არა, ვნების მომტანი ცდაცაა.

ბომბოსის ღმერთების საუფლო სავსებით რეალური სამყაროს ანარეკლი ყოფილა და ეს მთელი სიცხადით დაადასტურა უკანასკნელი ხანის არქეოლოგიურმა გათხრებმა, რამაც მსოფლიო განაცვიფრა.

რუსთაველის სიბრძნისა და სილამაზის წიგნი მხოლოდ პოეტისდროინდელი საქართველოს ვითარებითთა შთაგონებული და მისივ გამომხატველია.

სერვანტესის მწუხარე სახის რაინდისა და მისი კომიკურმა თანამგზავრის ფაფარაკებიანი თავგადასავლების ფონზე იმ ეპოქის მარტო ლამაზჩის მხარის კი არა, მთელი ესპანეთის ცხოვრება იხატება.

ახლა ბალზაკის, დიკენსის, ტოლსტოის, ბავ-ბავაძის, დოსტოევსკის და კიდევ სხვათა ამგვართა რომანებიც გავიხსენოთ. ამაზე უფრო დიდი წიგნები კაცობრობამან არ იცის, ხოლო მათი დარი ყველა სხვაც ისეც და ისეც იმ შეუფალი ჭეშმარიტების მატარებელია, რომ მწერლობა თავისი დროის ყოფისა და სულისკვეთების პირდაპირი ან ალეგორიული გამოსატულებაა.

ასე რომ, მწერლობის უმაღლესი დანიშნულებაა: იყოს მისი თანამედროვე ცხოვრების მსატვრული შემატიანე, გამოხატოს მისი თანამედროვე საზოგადოების სულისკვეთება, გაგვიხსნას მისი თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყარო და, ეს ყველფერი, მოიმოქმედოს დიდი სიმართლითა და მსატვრული შთამბეჭდაობით.

რადგან ლიტერატურისათვის ადამიანია ის ფოკუსი, რომელშიც თავს იყრის და ირეკლება ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებით, ამიტომაც, ლიტერატურის ყურადღების ცენტრში არ შეიძლება არ იდგეს თანამედროვე ადამიანი მთელი თავისი განცდებით, აზრებით, გრძნობებით, მიხეზრაფებებით, მიზანდასახულებით, მთელი თავისი რიგული და მრავალმხრივი დამოკიდებულებით ცხოვრებასთან, გარესამყაროსთან. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს რეალისტურ ლიტერატურაში, თუმცაღა მხოლოდ ამ უკანასკნელის სპეციფიკან როდი წარმოადგენს. გავიხსენოთ ქართული, და არა მარტო ქართული, საერთოდ, მსოფლიო რომანტიკული პოეზიის შედევრი, ბარათაშვილის „მერანი". განა ამ ზღაპრულ მერანს მინდობილი მხედარი, რომელიც თავგანწირვით გაუტანია შავბედეთი ყორანს, სტეფნეს მამა-პაპათა ბინადარ ლაგუნს, მოყვარეს, სატრფოს, ერთადერთი დაუოკებელი სურვილით — გაკაფოს მომავლის ჭაბა, არ არის განსაზიერება იმ ეპოქის თვალახელილი ადამიანის რეალური, ჯანსაღი, კეთილშობილური მისწრაფებისა? ეს ლექსი, უდავოდ, იმ დროის ცხოვრებისეული მარწუხებისაგან თავის დაღწევის სურვილით აღგზნებული ადამიანის გულის-ფეთქვა და იმ სინამდვილის უშუალო განცდის ბარეფინვალე პოეტური ხორცშესხმაა. სწორედ ამ კერძოდან მაღლდება იგი ზოგადსაკაცობრიო იდეალამდე, ბრძოლისა და მოკმედების აპოლონგიამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ დიდ რეზონანსსაც დაკარგავდა და ვერც თანამემამულეთა გულის სიმებს შერახევდა.

დროის სულისკვეთებით აღბეჭდილი გმირი, თანამედროვე ადამიანის მხატვრული სახე, დადებითი გმირი სინინიმური ლიტერატურული ცნებებია და მხოლოდ საუკეთესოს, პროგრესულის, ჰუმანურის გამომხატველი გმირების მისამართით გამოიყენება. ასე იყო ადრეც, ასეა ახლაც. ადამიანის ბოროტი სული, ქვეენა ზრახვები, უარყოფითი თვისებები თუ გრძნობები, ან კიდევ დროის, ეპოქის, საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებებიც შეიძლება გამოიხატოს ლიტერატურული გმირის ბიოგრაფიაში და ხასიათში, მაგრამ მათ მიმართ არავინ ხმარობს ამ მაღალ ეპითეტებს თუ ცნებებს, რომლებიც იმ ზემოთ სინონიმებად ჩამოვთვალე და ჩვენც უნდა გავიზიაროთ, სამუშაო ტერმინებად მივიღოთ ეს ტერმინოლური განსაზღვრა.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეპოქის სულის გამომხატველი დადებითი გმირები, თანამედროვეთა მსატვრული სახეების შექმნა ერთად-ერთი ძირითადი, დიდმნიშვნელოვანი პრობლემთაგანია მწერლობისათვის და, მაშასადამე, ასევეა ლიტერატურის თეორიისათვის და კრიტიკისათვის. მართალია, თვითონ ტერმინი „დადებითი გმირი" შედარებით ახალია, მაგრამ ამ ცნების გამომხატველ მხატვრულ სახეებს მუდამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ ლიტერატურის მრავალსუფლოვანი ინსტრიბის მანძილზე, განსაკუთრებით კი ჩვენს დროში, საბჭოთა ლიტერატურაში, რაკი იგი მოწოდებული მხატვრულად ახახოს ნათელი მიზნებით და იდეალებით შთაგონებული ხალხის დაძაბულ შრომითა და შემოქმედებითი პათოსით სავსე ცხოვრება.

დადებითი გმირის პრობლემების დიდი მნიშვნელობას ლიტერატურისათვის განსაზღვრება ამ უკანასკნელის საგნით, მხატვრული ფუნქციით და საზოგადოებრივი დანიშნულებით. თანამედროვეთა მხატვრული სახეების, ანუ დადებითი გმირების სასიცოცხლო მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, ლიტერატურის საგანი, ახავნის ობიექტი არის

ადამიანი მოიელი თავიის მრავალმხრივი დამოკიდებულებით და ურთიერთობით გარე სამყაროსთან, საზოგადოებასთან, მოიელი თავიის მოქმედებების, ინტერესების, გრძნობების ერთობლიანით და, მეორეც კიდევ, მშვენიერება, ფრომოხსოდაც არ არსებობს და წარმოდგენილიეა არსებობდეს ბეშმარტი ლიტერატურა, უშუალოდ დაკავშირებული ბემანისტური იდეალების გამოხატვასთან. ამ ორთავ მხარეზე, საკითხის დასაზუტებლად, ღირს უურადღების გამახვილება, ლიტერატურული ეესკუსების თუ თეორიეული წანამძღვრების მოხმობა.

ლიტერატურის უურადღების ცენტრში, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის იდგა და დგას ადამიანის, მასთან ერთად მთლიანად საზოგადოების ცხოვრება, მოელი მისი სრულფასოვანი და მრავალფეროვნებით. ადამიანის ინტერესების გაგებას, მისი ხულიერი სამყაროს გახსნას ემსახურებოდა და ემსახურება მწერლობა. სწორედ ეს რომ იყო ლიტერატურის არსებითი ხასიათის ნიშანი და უპირველესი მოწოდება, ადრეეე კარგად ეხმიდათ. თავიდანვე ცხადი იყო, რომ თუმცა ლიტერატურაში ცხოვრება მოელი მისი უსაზღვრო მრავალმხრივობით აისახება, მაინც მისთვის ადამიანია ის „ფოკუსი", რომელშიც ერთიანდება ყოველი მოვლენა თუ პრობლემა და რამდენადაც სუსტდება მწერლის უურადღება ამ „ფოკუსისადმი", იმდენად კარგავს ფასს და მნიშვნელობას, მხატვრული ზემოქმედების ძალას მისი ნაწარმოებები თუ მხილიანად შემოქმედება.

ბალზაკი ლიტერატურას „ადამიანის გულის ისტორიას" უწოდებდა. ჩერნიშევსკი აცხადებდა, რომ „ბუნების წამალვა უცხოა ბეშმარტი პოეტისათვის, რომელის მთავარი საგანია ადამიანი". ბელინსკის მიაჩნდა, რომ „ხელოვნებისათვის არ არის იმაზე მეტად კეთილშობილური და ამაღლებული საგანი, ვიდრე ადამიანია..." დაბოლოს, ბაკსიმ გორკიმ მოსაზრა უკიდურესად ლაკონური და ზუსტი, ამომწურავი განსაზღვრა ლიტერატურისა, როდესაც მას „ადამიანმეცოდნეობა" უწოდა. ამ მოსაზრების დასაფასებლად კიდევ ბევრი საკვლევნოდ ცნობილი მწერლის თუ მოაზროვნის გამოთქვამის მოშველიება შეიძლება, მაგრამ უპირველეს და უტყუარ საბუთს მაინც, თვით ლიტერატურა, მისი უხანგრძლივესი და უფფიდრესი ისტორია წარმოადგენს.

იმავე ისტორიას ისიც კარგად ახსოვს, ზოგჯერ როგორ იფიწყებდნენ ამ შეუფალ ბეშმარტებას, როგორ ეძიებდნენ ახალ საგანს მწერლობისათვის, მაგრამ ამგვარ ეესპერიმენტებს, რაგინდ დაბეჯითებითაც არ ეწარმოებინათ, არასოდეს არ მოუტანია ნაყოფი. ადამიანის ბედიღბალით დაინტერესების, მისი სულიერი სამყაროს გახსნის ამოცანის დავიწყება, ან უკანა პლანზე გადატანის ცდა არასოდეს დაკვირვებიენებული ბეშმარტი ხელოვნების ნამუშევარ ექმნით. არც შეიძლება დაკვირვებულ ეესკუსებიერ, სადაც თავდები ადამიანის სიმშვენიერებისათვის ბრძოლა, კიდევ კვდება ნამდვილი მწერლობა და ხელოვნება.

ბურუუაზიული ლიტერატურის სწორედ ამგვარ ცდებსა და ტენდენციებზე მიგანაზნევნდა ცნობილი ინგლისელი მწერალი რალფ ფოქსი, როდა „გმირის სიკვდილზე" წერდა და გულისტკივილით ანნშნავდა, რომ „ადამიანის პიროვნება გაქრა თანამედროვეობის ფიზიკელიდან, და მასთან ერთად გაქრა „გმირიც". გმირის ასეთი მკვლელობის პროცესი გარდუვალი გახდა მეცხრამეტე საუკუნის რომანის განვითარების გაზაზე... ედმონ დე გონკური უკვე მეტს ფიქრობდა, რომ დიეზრა რომანი თეატრზე, საავდმყოფოზე, მეძავეობაზე, ვიდრე ადამიანებზე. იგი გაკრძალეს ზოლამ თავისი რომანებით ომზე, ფულზე, პარიზის ბაზრებზე, ალკოჰოლიზმზე და ასე შემდეგ".

ისეთი წინაადმდეგობრივიობით სავსე, რთული შემოქმედიდ მიმართ, როგორიც ემილ ზოლა იყო, ამგვარი ერთმნიშვნელოანი დასკვნის გამოტანა მეტისმეტად სწორხაზოვანი და, ამდენად, არცთუ სულ მართებული ჩანს. ჩვენ თუ ზოლას რომანების მიმართ მწერლის წინააწრააკეიბეებული ფიზიოლოგიური ნატურალიზმის პრინციპებით კი არ ვიმსჯელებთ, არამედ მის რეალურ-ხასოგადოებრივ და სოციალურ ეფერადობას, მის მამხილებელ პათოსს დავაკვირდებით, ადვილი გახდება გახდება ის შინაგანი წინააღმდეგობა, რაც არსებობდა ზოლას ლიტერატურულ-თეორიულ მოსაზრებებსა და თვით მისსავ შემოქმედებით პრაქტიკას შორის. ისიც ცხადი იქნება, თუ რატომ დაიმკვიდრა ზოლამ ასეთი სახელი ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ, მიუხედავად ამ კერძო ხასიათის დაზუსტებისა, შეუძლებელია თავისი ძირითადი მნიშვნელობით არ გავიხიარით რალფ ფოქსის ეს ზოგადი მოსაზრება, არ ვალიარით, რომ მისი დაკვირვება ბურუუაზიული ლიტერატურის, კერძოდ რომანის განვითარებაზე თავისი ანსით სწორია და ხამართლიანი.

მეოცე საუკუნის ბურუუაზიულმა ლიტერატურამ შექმნა მთელი ეანრი ეგრეთწოდებული „ხაწარმოო რომანისა", რომლის ერთ-ერთი დამახასიათებელი და ნიშანდოლმეიი ნიშეიცავა ფრანგი მწერლის პიერ ამპის (ანრი ბურიოროსი) შემოქმედება. მისი რომანები მწერლის თანამედროვე ადამიანებს კი არ ეძლევნენ, არამედ იმ დროის წარმოების სხვადასხვა პროცესებიის ალწერას. ამიტომაც არის, რომ მისი რომანებიდან ჩვენ ნაკლებად გავიგებთ მწერლის თანამედროვე ადამიანების ცხოვრებას, მათ სულიერ სამყაროს, გრძნობებს, განცდებს, სამაგიეროდ დეტალურად გავეცნობით თეგზის დამუშავების, ფენის დაუენების პროცესებს, რკინიგზის თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხიფიფამერიო ხაწარმოების მუშაობახ. მრავლისმეტყველია თვით რომანების სათაურებიც: „ცოცხალი თევზი", „შამპანური", „ლეიდაგი", „სეფი".

ამის გამო, რომ პიერ ამპმა თავის შემოქმედებაში უდაოლტა მხატვრული ლიტერატურის არსხა და დანიშნულებახ, უგულებელყო მისი დაკვირვებინა და მხატვრული გააზრების საგანი — ადამიანის ცხოვრება, დღეს იგი ჩვენთვის ცნობილია არა სიტყვაკაშვილი მწერლობის ოსტატად, არამედ მცდარი პოზიციის მქონე ავტორად, ვისი შემოქმედებაც ლიტერატურის ახტორიას ცოცხალ ტრადიციად კი არა, მკვლარ ფურცლად შემოუნახავს. ახეთივე ბედი ეწია და ეწევა ყველას, ვინც დაივიწყებს იმ უბრალო, ისტორიის მიერ ნათლად დადასტურებულ ჭეშმარიტებას, რომ ლიტერატურის საგანი ადამიანია მთელი თავისი რიგული და მრავალფეროვანი ცხოვრებით, ზუნებით. ინტერესებით, რომ ლიტერატურის მთელი სიმშვენიერე, ეთიკა-ეტეტიკა ძალა ადამიანის სულიერი საშუალოს წვდომაში, გახსნაში და გამოხატვაში.

ხაბჭოთა ჰაზოგადოებრიობისათვის საერთოდ უცხოა წარმოების ფეტიშიზაცია, ადამიანის ინტერესების უგულებელყოფა. მისი ყურადღების ცენტრში ხერიგდ რომ ადამიანი დგას, მთელი თავისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებებით. ამდენად, ხაბჭოთა ლიტერატურახთვის არ შეიძლება დამახახიათებელი იყოს ის მახინჯი მოვლენა, რის გამოვლინებაზეც ზემოთ გვქონდა ხაუბარი. თუმცა, ეკრძო ხალხთის შეცდომებს ხაბჭოთა ლიტერატურაშიც შეიძლება ჰქონდეს და ჰქონდა კიდეც ადგილი. თავისი განვითარების მაძინლზე ბახაც მოუხდა ლიტერატურაში ადამიანის ერთგვარი იგნორირების დაძლევა. როდესაც დროდადრო ზოგიერთ მწერალს ზედმეტად გაიტაცებდა ხოლმე ეგრეთწოდებული „ხაწარმოო თემა".

ცხადია, ჩვენში ამგვარ ეკრძო ხახიათის შეცდომებს ხულ ხხვა ხაუფეგანი ჰქონდა და ჩვენ უნდა განვახხვაოთ, გამოვაწოთ იგი ბურჟუაზიული ლიტერატურის მეკრად და პრინციპულად ჩამოყალიბებული მიმდინარეობისაგან. თუ ბურჟუაზიულ ლიტერატურაში „ხაწარმოო რომანის" თეორია და პრაკტიკა ხავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო და არის და იგი ალსახობრივ მიზანს ემსახურება, განზრახ აცილებს ყურადღებას ხფერის ადამიანს და მისი ყოფის სირთულეებს, ხაბჭოთა ლიტერატურაში ამგვარი ცალკეული ცდები მხოლოდ გაუგებრობით იყო გამოწვეული. ჩვენში ზოგიერთმა მწერალმა მცდარად ახხნა ის ხაბარალიანი მოთხოვნა, რასაც ხაზოგადოება უუენებს ლიტერატურას, კერძოდ, რომ იგი ვალდებულია იყოს მხატვრული პრობაგანდისტი ყოველივე ახლისა და პროგრესულისა ცხოვრებაში. ეს მოთხოვნა კი ხულაც არ გულისხმობს ლიტერატურის საგნის იგნორირებას და ხაწარმოო პროცესებით გატაცებას.

ეკვმოუტანელია, რომ მხატვრულ ლიტერატურაში ცხოვრება მთელი თავისი სიიმდიდრით, მრავალფეროვნებით ირეკლება. ამდენად იგი მარილივე წარმოდგენს თუნდაც იმავ ხაწარმოო პროცესებში და ურთიერთობებში წარმოშობილ პროგრესულ ხიახლეთა პრობაგანდისტს (გავიხსენოთ ალექსანდრ გელმანის გამხმარებული ალეა „ალმანა", ან გურამ ფანჯიკიძის ცნობილი რომანი „მეშვიდე ცა"), მაგრამ მისთვის ადამიანია ის ერთადერთი და შეუცვლელი „ფოკუსი", რომელშიაც თავს იყრის ყველა ახახული მოვლენა (ამის ნიმუშებად ისევ გელმანის და ფანჯიკიძის შემოქმედების გახხენება შეიძლება).

ამის შეხედა ხამართლიანად შენიშნა თავის დროზე ილია ერეხბურგმა: „ამისათვის, რომ გაიგოს მეტალურგიული წარმოების სტადიები, ანდა თანამედროვე მშენებლობის მეთოდი, მეცხნველი უფრო ამ ხაქმის ხპეციალისტს მიმართავს, ვიდრე მწერალს, ვინც „შეგროვა მასალა", ან უბრალოდ რომ ეთქვათ, შეტ-ნაკლები კეთილსინდისიერებით ათვისა ის, რაც მას ხპეციალისტებმა განუმარტეს... ასის ერთი დარგი, რაშიც მწერალი ვალდებულია თავის თანამედროვეებზე და თანამოკალკეებზე უკეთ ერკვეოდეს, ეხსა ადამიანის შინაგანი ხამყარო".

ხწორედაც რომ ადამიანის შინაგანი ხამყარო მწერლის მხატვრული დაკვირვებისა და ანალიზის საგანი. ბუნებრივია, ამის გაგება და გახსნა შეუძლებელია იმ შეუვალი ეეშმარიტების გათვალისწინების გარეშე, რომ ადამიანი წარმოადგენს ხაზოგადოების წევრს და მთელი მისი განცდები, ხიხარული და ხვედა, ხახიათი და ფსიქეკა, ხაერთოდ, ბედ-იღბალი ძირითადად დამოკიდებული და შეპირობებული მისი ხაზოგადოებრივი მდგომარეკობით. ამიტომ, როდესაც მწერალი თავები გმირის ხახეს გვიხსნის, ღრმად და მრავალმხრივ გვაცნობს მას, გვიჩვენებს მის დამოკიდებულებას შრომასთან, მოკალეკეობრივ ბოგალოებასთან, ახლოგელ ადამიანებთან, იგი ღრმად იკრება და იქექება გმირის სულიერ ხამყაროში, გვაზიარებს მის ფიქრთა დინებას, განცდებს, მიზნებს, მისწრაფებებს.

ამის გამო, რომ ლიტერატურის საგნად ადამიანის ალიარება სრულებითაც არ ალარიბებს მას, არ გულისხმობს მისი ინტერესებს შემოფარგვლას ვიწრო ჩარჩოებით. პირიკით, ცხოვრება მთელი თავისი სისრულეთ ახახება მასში, რადგან ყველაფერი ბუნებასა და ხაზოგადოებაში დაკავშირებული ადამიანთან, შედეგ მისი ინტერესების ფფერობა, გვაკლებას ახელს მასზე და თვით განაცდის ადამიანის ზეგავლენას.

ლიტერატურის „ადამიანის გულის ისტორიად" ალიარების რიდი შეუშალა ხელი ბალზაკს ისე ფართოდ და ღრმად ეახახა თანამედროვე

ბერამ ბენერდეთელი
ბმირი და დრო

ცხოვრება, რომ, როგორც ენგელსი აღნიშნავდა, მისი შემოქმედებიდან ეკონომიკის თვალსაზრისითაც კი შეტი გაიგო, ვიდრე მწერლის, თანამედროვე ეკონომისტების თუ ისტორიკოსების შრომებიდან. ამით ენგელსს სულაც არ ფასეცილობია ბალზაკის შემოქმედების უდიდესი მხატვრული ღირსება. ამ გამონათქვამიდან ის მაფარი დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, თითქოს მხატვრული ნაწარმოები უნდა სწავლიდეს, ან არ ჩამოუკარდებოდეს მაინც ამა თუ იმ დარგის ხელოვნებისა ნაშრომებს. ენგელსის ეს ფრაზა მხოლოდ იმის ნათელყოფაა, რომ ადამიანის ხასიათის განსხვავებულ მეცნიერულ-რეალისტიკი ცხოვრების ღრმა ახსნას და რომ ბალზაკმა თავისი გენიალურობით ეს ბრწყინვალედ შეძლო.

ის გარემოება, რომ ლიტერატურის საგანი ადამიანია მთელი თავისი რთული შინაგანი სამყაროთი და გარე სამყაროსთან, ცხოვრებასთან მრავალმხრივი დამოკიდებულებით, საერთოდაც აღიარებულია, მით უფრო იზიარებს მან ხალხთა მწერლობა თუ კრიტიკა და ლიტერატურის მცოდნეობა. მაგრამ არცთუ იშვიათად ჭერაც გვხვდებიან სხვა მოსაზრების მიმდევრები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ლიტერატურის საგანი ადამიანი კი არ არის, არამედ ზოგადად ცხოვრებაა, ამდენად, ლიტერატურაა და მეცნიერება ერთი საერთო საგანი აქვს — რეალური სინამდვილე და ისინი მხოლოდ ახასიათ ფორმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ძნელი მოსახვედრი არ არის, თუ საიდან იღება სათავე ეს მცდარი დებულება, ლიტერატურა ხომ მართლაც ერცალდ, შეიძლება ითქვას, მთლიანად იტევს ცხოვრებას მთელი თავისი მრავალმხრივობით.

ახე მაგალითად, მკვლევარი ა. ფრეშეი წიგნში „მხატვრული სახის შესახებ" ცდილობს დაამტკიცოს, რომ ხელოვნებასა და ლიტერატურას სულაც არა აქვთ საკუთარი სპეციფიკური საგანი და მათ შორის განსხვავება თითქოს მხოლოდ ახასიათ საშუალებებსა და ფორმებში უნდა ვეძიოთ. მკვლევარების უმრავლესობის მარილებულ დასკვნა, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებას სპეციფიკური საგანი გააჩნია, იმ ზოგად-თეორიულ საფუძველსაც ემყარება, რომ თუკი ისინი მეცნიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ და მათ აქვთ თავისი სპეციფიკური ფორმა, მაშასადამე მათ უნდა ჰქონდეთ თავისი საკუთარი საგანიც. ფრეშეი უარყოფს ამას და (ალარფერს ვამბობ ამაზე, რომ იწყებს ლიტერატურის საგნისა და შინაარსის ერთმანეთში ალრევას) ცდილობს გაიმაგროს პოზიცია ციტატებით ვ. ი. ლენინის შრომებიდან, თუმცა არცთუ ზუსტად და მარილებულად იმოწმებს მათ.

ფრეშეი ცდილობს, მოიშველიოს ლენინის ცნობილი დებულება ამის შესახებ, რომ ხელოვნებიული სახელმწიფოს ფორმები მეტად მრავალფეროვანია, მაგრამ მათი არსი ერთია, — ყველა ეს სახელმწიფო საბოლოოს შედეგად აუცილებლად წარმოადგენს ბურჟუაზიულ დიქტატურას და, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა მოგვცემს პროლეტარული ფორმების სიუხვეს და მრავალფეროვნებას. მაგრამ, ამასთან ერთად, მათი არსი იქნება მხოლოდ ერთი — პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ მკვლევარი ამას არ უკვირდება, რომ ამ დებულებაში ლაპარაკია გარკვეული არსის გამოვლენის ფორმათა მრავალფეროვნებაზე და რომ ეს სულაც არ აძლევს მას უფლებას აქედან ასეთი უცნაური დასკვნა გამოიტანოს: „ამრიგად, ზოგად ფილოსოფიური თვალსაზრისით, არა გვაქვს საფუძველი ჩავთვალოთ, რომ გარკვეული შინაარსი აუცილებლად ერთადერთ შესაძლებელ ფორმაში განსახიერდება, რომ განსხვავებულ ფორმებს არ შეუძლიათ გამოხატონ ერთი და იგივე საგანი და რომ, მაშასადამე, რადგანაც ხელოვნება წარმოადგენს ცხოვრების ახასიათ მეცნიერებისაგან განსხვავებულ ფორმაა, ამიტომ მას თითქოსდა უნდა ჰქონდეს მეცნიერებისაგან განსხვავებული საგანი" (გვ. 9-10). მაგრამ ლენინი ხომ ნაზგამით აღნიშნავს, რომ განსხვავებული ფორმები არ ცვლიან ბურჟუაზიის თუ პროლეტარიატის დიქტატურების არსს. ხელოვნების პრობლემების გასარკვევად ლენინის ამ ფაილურად ზწრო ბოლშევიზმის მეკანიკურ და უზუსტო გამოყენებამ დრეშეი მიუყვა არასწორ დასკვნამდე. თითქოს მეცნიერება და ხელოვნება თავისი არსით ერთი და იგივეა.

ამგვარი თეორიული „ეოსტულატის" შემდეგ ფრეშეი უშუალოდ მიმართავს ხელოვნებასა და ლიტერატურას, ანუ მათ[ ] პრაქტიკულ ცდილობს ხარნმუნო გახადოს საკუთარი მოსაზრება და არგუმენტებად ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს იშველიებს, სადაც უშუალოდ ადამიანების, ხაზოგადოების ცხოვრება არ არის ახასიათი. მაგრამ მკვლევარი ანგარიშს არ უწევს ეხერ გარემოებას, რომ ამ შედარებით მცირერიცხოვან ლიტერატურულ, გნებავთ ხელოვნების ნაწარმოებებში, სადაც ბუნების ხუთაოენა გადმოცემული, მთავარ საგნად მაინც ადამიანი რჩება. ასეთი ნაწარმოებებიან ავტორების მიზანი განუნებელი, თავისთავადი ბუნების ჩვენება კი არ არის, არამედ ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულების გამსნა, ან ადამიანთა, ხაზოგადოების ხაგარბორბოტა ცხოვრებისეული პრობლემების ალეგორიული გამოხატვა (ამის გენიალურ ნიმუშად მარტო ვეფა ფშაველას შემოქმედება იკმარებდა).

ახე რომ, არ არის და არც შეიძლება იყოს ბეშმარიტი ლიტერატურული ნაწარმოები, სადაც არ იქნება უშუალო თუ გაშუალებული ხახე ეა ადამიანისა, რადგან მხოლოდ და მხოლოდ იგი წარმოადგენს ლიტერატურის სპეციფიკურ საგანს.

ზოგადი და ფართო განსაზღვრა, რომ ლიტერატურის საგანი მთლიანად ობიექტური რეალობაა, კაბალ არ გამოიწვევდა (ადამიანის

ცხოვრება მართლაც მოიცავს მთლიანად სამყაროს), ზოგიერთნი მას უნიერსალურად რომ არ მიიჩნევენდნენ და არ გამოდიოდნენ სპეციფიკური ხაზის დაზუსტების წინააღმდეგ, ახეთ შემთხვევაში კი ამავანი ზოგადი განსაზღვრა მაქცარ თეორიულ საფუძვლად შეიძლება იქცეს თუნდაც ისეთი მოვლენისაც კი, როგორიცაა ბერფუკაზიული „სანერგოო ლიტერატურა", რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ამიტომ არის აუცილებელი განმარტების ხიზუსტე და იმის ხაზგასმით აღიარება, რომ ლიტერატურის ხაგანი ადამიანია, ოღონდ არა მისი რომელიმე ერთი მხარი, რომლითაც დაინტერესებულია ცალკეული მეცნიერება (ეთეკეთ, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია თუ მრავალი სხვა), არამედ ადამიანი მის მთლიანობაში, მისი მოკმედების, გრძნობების, განცდების, აზროვნების ერთიანობაში.

ადამიანის ლიტერატურის ხაგნად აღიარება ნათელს ჰფენს თანამედროვეთა მხატვრული ხაზების, დადებით გმირის დიდმნიშვნელოვნებასაც. მაგრამ ეს ხაუხანით ნათელი მხოლოდ მას შემდეგ გახდება, როცა ლიტერატურის ხაზოგადოებრივ დანიშნულებასაც გავითვალისწინებთ.

ლიტერატურას მეცნიერებისაგან განასხვავებს არა მარტო ასახვის ფორმა, არა მარტო მისი სპეციფიკური ხაგანი, საკუთარი ობიექტი ანა ხასხვისა, არამედ მისი მიზნრადებაც მშვენიერისაკენ. იგი გულგრილი არ არის ასახასხვა ხინამდვილისადმი და თავის უურადღებას მიმართავს მშვენიერის დამკვიდრებისათვის ბრძოლისაკენ. პროგრესული ხელოვნებასა და ლიტერატურაში მშვენიერი მეგიდროდაა დაკავშირებული მიენიკავ ხაზოგადოებრივ ფიალეტთან. ამით არის განსაზღვრული ლიტერატურის აღმზრდელობითი ფუნქცია, განპირობებულია მისი უდიდესი ზემოქმედების ძალა.

თქმა არ უნდა, ისეთე, როგორც იცვლებოდა და ვითარდებოდა ხაზოგადოებრივი იდეალი სხვადასხვა ეპოქაში, იცვლებოდა და ვითარდებოდა ადერეკეკი ესთეტიკური იდეალიც. ასევე უდავოა, რომ მშვენიერის გაგებაში მწერლებს, მხატვრებსა თუ ფილოსოფოსებს ორ ბანაკად ყოფდა მათი კლასობრივი და პარტიული შეგნება. ყოველი ეპოქის პროგრესული ლიტერატურისა და ხელოვნების ესთეტიკური იდეალი უშუალოდაა დაკავშირებული თავისი ეპოქის პროგრესულ ხაზოგადოებრივ იდეალთან. მიუხედა_ დ მშვენიერის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ესთეტიკური კატეგორიის მთელი პრობლემატურობისა, ერთი რამ უდავოა, კერძოდ, რომ მშვენიერის გარეშე არ არსებობს ხელოვნება და ლიტერატურა, და რომ იგი გამოხატულებას პოულობს დადებით იდეალში. ლიტერატურისა და ხელოვნების შეფნილებელი სწრაფვა დადებით იდეალის დამკვიდრებისაკენ თავის მხრივ განაპირობებს მათთვის დადებითი გმირის პრობლემის დიდმნიშვნელოვანებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივანი მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საჭირო, უფრო ზუსტად გაიკვეს დადებითი გმირის როლი ესთეტიკური იდეალის დამკვიდრების საქმეში. თავიდანვე უნდა პირდაპარ ითქვას, რომ დადებითი გმირი არ არის ერთადერთი გამოხატველი ესთეტიკური იდეალისა.

მშვენიერი ხელოვნებისა და ლიტერატურაში, ერთის მხრივ, და მშვენიერი ცხოვრებაში, მეორეს მხრივ, არ შეიძლება ადვილად გაკეთდეგეთ. უფრო ნათელი რომ იყოს ეს მოსაზრება, გავიხსენოთ, რომ ცხოვრების მხოლოდ მშვენიერი მოვლენის ასახვა როდია საფუძველი მშვენერისა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მშვენიერისაკენ სწრაფვა არ აიძულებს ლიტერატურასა და ხელოვნებას ყურადღება გააჩახვიოს მხოლოდ და მხოლოდ მშვენიერზე ცხოვრებაში. ლიტერატურაში ასახული, როგორც ლაჩაში და ამალეული, ისე მახინჯი და უზნეო ადამეკები როგორც მშვენიერი, რადგან ესთეტიკური გრძნობისათვის „ზარდამეები ბორტებაც ისეთივე მშვენერებაა, როგორც გულწარმტაცი კეთილი, ამიტომ რომ ხელოვნება თვით ბორკაზს ამორიგებს კეთილისთვის და კეთილი ხომ კეთილია".

ამდენად, ლიტერატურა და ხელოვნება არ იფარგლება ცხოვრების მხოლოდ დადებითი მხარეების ასახვით, მხოლოდ დადებითი სახეების შექმნით. მხატვრულ ტილოებზე აღიბეჭდება ცხოვრების მახინჯი, ზიზღის აღმძვრელი სურათებიც. ხელოვნებისა და ლიტერატურის ნიმუშებში ჩვენ ვხედავთ, ეგრეთწოდებულ უარყოფითად, ჭვეშა ზრახვებისა და გრძნობების, სულაც უკიდურესი ბორკტების მატარებელ გმირებსაც. მაგრამ ახეთ შემთხვევებშიც კი მწერლისა თუ ხელოვანისათვის მთავარია ის დადებითი იდეალის ჩვენება და განმტკიცება, რომელის პოზიციიდანაც გვიხატავს იგი უარსაყოფელ სურათებს თუ ადამიანების გარკვეული ჯგუფის, ფენის ან მთლიანად ელასის მახინჯი მხარეების განმსაზღვრელენელ ტიპებს.

ამით ინიშნება, რომ დადებითი გმირის ხასიათთან ერთად, ლიტერატურა ხატავდა და ხატავს პროგრესული კეკიბრობისათვის სრულიად უცხო თვისებების მატარებელ, უფრო მეტიც, სრულიად უცხო სულიერი სამყაროს მქონე გმირების სახეებსაც, მაგრამ გოგოლის მოსწრებული და უალრესად მარიგებელი შენიშვნანი არ იყოს, „განა ყველაფერი, ბიღნი, და უსინდისო ადამიანის სულის ყოველ კუნკულამდე, უკვე არ გვიხატავს სპეტაკი ადამიანის სახეს?!"[4]

სწორედ ამ თავიხეპერ განსხვავებაზე, რომელიც არსებობს მშვენიერსა ცხოვრებაში, ერთის მხრივ, და მშვენიერის გამოხატვასა ხე-

ლოვნებასა და ლიტერატურაში. მეორეს მხრივ, მიგვანიშნებს ილია ჭავჭავაძის ის სიტყვები, რომ „სიხალხლისშემდეგ, კაცის მკლელი მაკბეგის აფთარი ეფიანი ისეთივე მშვენიერებაა ხელოვნების თვალით და ეთიკიკური გრძნობის შეხედულებით, როგორც გულკეთილი, გულწრფელი და კეთილმოქმედი კორდელია. თუმცა ერთი გძულს და მეორე გიყვარს. მაგრამ ამ ძულებასაც და სიყვარულიც ერთსა და იმავე საგანზეა მიმართული, ერთსა და იმავე ძარღვს ადამიანის გულისას სრავს, ერთი ბორბალის უარყოფის გზით და მეორე სათნოების დამტკიცებითა“.

მხატვრულ ლიტერატურაში მშვენიერის გამოხატვის ეს ხასიათი ყველასნ სწორედ მთელ სიგიადეს ისეთი კლასიკური ნაწარმოებებისა, როგორიცაა გოგოლის „მკვდარი სულები“, ხალტიკოვ-შჩედრინის „ბატონი გოლოვლიოვები“, ილია ჭავჭავაძის „კაცია — ადამიანი?!“ გორკის „კლიმ სამგინის ცხოვრება“ და ბევრი სხვა, რომლებშიც მათი ავტორების დროინდელი ეპოქის პროგრესული იდეალები გამოხატულია სწორედ ცხოვრების ყველაზე მახვილი მხარეების მხილების გზით.

მშვენიერი ლიტერატურასა და ხელოვნებაში ისახება არა მარტო დადებითი, ანდა საერთოდ მხატვრული სახეების მეშვეობით, არამედ ნაწარმოების სპეციფიკური შინაარსით, რომელიც გარდა ობიექტური სინამდვილის სურათებისა, მოიცავს მწერლის დამოკიდებულებას ასახული მოვლენებისა და ფაქტებისადმი. ერთი სიტყვით, ეთიკიკური იდეალს ემსახურება მხატვრული ნაწარმოები მთლიანად, და არა მარტო მისი ცალეული გმირები. მაგრამ ყოველივე ეს არ გვარიმეგს ფუფუნას ვაღიაროთ ის უცილობელი ფაქტი, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებში იდეალის ყველაზე უფრო პოზიტიური მატარებელია დადებითი გმირი და ლიტერატურა თავისი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მას.

ჭერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა ხელოვნების იმ ნაწარმოების უპირატეს კეთილნაყოფიერ გავლენაზე, რომელშიც განსახიერებულია დადებითი ხასიათის პერსონაჟები, იგი იძლეოდა რჩევას ენახათ პოლიგნოტის პეროიკული სულით გაჟღენთილი ტილოები, რომელნიც მის მოწონებას იმსახურებდნენ არა მარტო თავისი იდეალური სილამაზით, არამედ თავისი ამაღლებული ხასიათის გამოც.

მოწოდება იმისა, რომ დადებითი და წესიერები შეექმნა და განესახიერებინა, ყოველ ეპოქაში თან ხდებდა ლიტერატურას. ბელინსკი ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, ჭავჭავაძე მრავალგზის მოუწოდებდნენ მწერლებს მხატვრულად განესახიერებიათ ხალხის საუკეთესო თვისებები დადებითი გმირის სახეებში, მოაგონებდნენ მათ უპირველეს მოწოდებას თავიანთ ნაწარმოებებში მოეცათ თანამედროვეთა მაღალმხატვრული სახეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, „ფუნდამენტალური მოგერსისიდან ეორკამდე, რომ ალარფერი ვთქვათ საბჭოთა ლიტერატურაზე, დაკიდევ უფრო მრავალსაუკუნოვანი ხალხური შემოქმედება ბეჯითად გვაჩვენებენენ, თუ რამდენად ძლიერი იყო მისწრაფება მწერლობისა თავიანი განვითარების ყველა ეტაპზე გადმოეცა და ბოეხსნა მხატვრულ სახეებში ადამიანის ყველაზე ნათელი და კეთილშობილური თვისებები, მისი ხასიათის სიმშვენიერე, შეექმნა თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანის მაღალმხატვრული სახე.

ამაში ჩვენ ადვილად დაგვაჩწმუნებს უბრალო გახსენებაც კი ამი ხასიათის განსაკუთრებით შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი მხატვრული სახეებისა, რაც მსოფლიო ლიტერატურას შეუქმნია თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში და რომლებმაც დღევანდლამდე შეინარჩუნეს მხატვრული ზემოქმედების ძალა. ხოლო თავის დროზე წარმოადგენდნენ კაცობრიობის პროგრესის შესანიშნავ ხტიმეულს.

ანტიკური მითების, ლეგენდების და ლიტერატურის მრავალი სახე ახლაც წარმოადგენს დადებით მაგალითს, თავის დროზე კი მათ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. პლატონი ამბობდა, მოგერსმა, რომელის გმირები უალრესი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობენენ მთელ სპარძნეთში, აღზარდეთ ელადა. პლატონის ამ განცხადებას საკმაოდ რეალური საფუძველი გააჩნდა.

მითიური ტიტანი პრომეთე, რომელიც შემდეგ ესქ

ტრაგედიის გმირი გახდა, წარმოადგენს გმირობის, ვაჟკაცობის, თავისუფლებისმოყვარეობის და შეუდგიკელობის შესანიშნავ სიმბოლოს. ადამიანთა ბედნიერებისათვის თავგანწირული მებრძოლი პრომეთე, რომელიც ხალხის ინტერესების დასაცავად თვით ღმერთთა მბრძანებელს შესვს აღუდგა, როგორც მარკსი ახასიათებდა და აფასებდა, ყველაზე კეთილშობილი წმინდანი და წამებულია ფილოსოფიურ კალენდარში.

ქართულმა ხალხურმა სიტყვიერებამ უსსოვარი დროიდან შემოინახა ამირანის მითი. ამირანი გაზეკუთვნება იმ უკვდავი გმირების პლეადას, რომლებიც ანსახიერებენ გაუტეხელი ნებისყოფისა და ვაჟკაცურ- ბუნების, ბრძენული გონებისა და ამაყი სული. მებრძოლებს, თავიანთი უსაზღვრო კაცთმოყვარეობის გამო მუდამ მზად რომ არიან ემსახურონ ადამიანებს, სიკეთეს კი გასწირონ მათივის.

თუ ხალხის გენიამ „ამირანში“ შეკმნა უკვდავი ფოლკლორული ხასე ტიტანური გმირისა, რუსთაველის გენიამ ქართული ლიტერატურაში შესძინა ისეთივე წარფუვალი კეთილშობილური

ადამიანური თვისებების მატარებელი გმირების უკვდავი სახეები. „ეფეთნიტეკეაოსნის“ ყოველმხრივ, ფიზიკურად და სულიერად მშვენიერმა გმირებმა, უდიდესი ჰუმანური იდეალებისათვის ამ თავგადასავლებში მებრძოლებმა, დღევანდელ შინარსუნეს თავისი განუზომელი მნიშვნელობა და მხატვრული შემოქმედების ჯადოკრული ძალა, ისინი განეკუთვნებიან მსოფლიო ლიტერატურის იმ უკვდავ სახეებს, რომელნიც მუდამ მოუწოდებენ სიმართლის, თავისუფლების, ბედნიერებისათვის ბრძოლისაკენ, იძლევიან უსაზღვრო პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, წმინდა და ამაღლებული სიყვარულის ნათელ მაგალითს.

რუსთველის პოემა ერთ-ერთი იმ ლიტერატურული ნაწარმოებთაგანია, რენესანსის ეპოქას რომ იწყებენ მთელ მსოფლიო კულტურაში. არაერთი ნათელი დადებითი სახე შექმნეს რენესანსის ეპოქის პოეტებმა და მხატვრებმა, რომლებმაც შემოქმედების მიზნად ჰუმანიზმის სამსახური, მიტაკოცია და რელიგიური დოგმების ტყვეობიდან ლიტერატურისა და ხელოვნების გათავისუფლება და მისი ადამიანის სამსახურში ჩაყენება დასახეს. ამ დროის მხატვრულ ნაწარმოებებში გამოჩნდა ადამიანი მთელი თავისი ფიქრებითა და გრძნობებით, სიხარულითა და განცდებით.

ახლა შეკსპირის უკვდავი გმირები, გეთეს რენესანსის პიროშკინი გავიხსენოთ. ჰამლეტი, ამ ეპოქის ერთ-ერთი ნაყოფიერი მხატვრული სახე, თავისი სულიერი სიღრმითა და კეთილშობილებით, კაცთმოყვარეობით, უსაზღვარ პატიოსნებით, ორგანული ზიზღით ყოველივე მახინჯისადმი და ბოროტისადმი ცხოვრებაში, ნაუკუნებებს მანძილზე არ კარგავს შემოქმედების ძალას და წარმოადგენს ნათელი, ჰუმანური იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდებას.

პროგრესული რომანტიზმი ხომ არსებული ყოფით უმაყოფილოთა აბმობებულთა შემოქმედების ნაყოფია. იგი რეალურ სინამდვილეს თავის განყენებულ იდეალებს უპირისპირებდა და ამდენად ბუნებრივი იყო მისი ლტოლვა ძლიერი გმირებისაკენ, იდეალიზირებული მხატვრული სახეებისაკენ. რომანტიკული პოეზიის გიგანტების — შელის, ბაირონის, მიცკევიჩის, ლერმონტოვის, ბარათაშვილის შემოქმედების ლირიკული თუ ეპიკური გმირები ძლიერი ხასლის პატრონი მებრძოლები არიან, რომლებიც განაახორციენენ პროგრესული კაცობრობის შეუკავებელ სწრაფვას ეპოქის შეზღუდვისაგან თავის დახალწვად, უკეთესი მომავლის გამოსაგებად.

რეალიზმმა, რომელიც სრულიად ახალი ამოცანებიდან და პრინციპებიდან გამოდიოდა, ვიდრე რომანტიკიული ლიტერატურა, თავის გმირებად ირჩია არა იდეალიზირებული გმირები, ნაყოფი აზრის რომანტიკული გაჯანეტებისა, არამედ ცოცხალი, რეალური ადამიანები ნამდვილ დამახასიათებელი თვისებებით, ინტერესებით, მიზწრაფებებით, განცდებით, სულიერი სილამაზითა და ნაკლოვანებებით. რეალიზმის დამოკიდებულება ლიტერატურული გმირებისადმი კარგადაა გადმოცემული ბელინსკის შემდეგ განცხადებაში: „ჩვენ სხვაზე ნაკლებად არ გვსურს, რომ ადამიანები კარგები იყვნენ, მაგრამ გვინდა, რომ მათ გვიჩვენებდნენ ისეთნაგდ, როგორნიც არიან...

რომანტიზმსა და რეალიზმს შორის ახეთმა ფაქტორმა კონტრასტება შეიქმნა აზრი ზოგიერთებს, თითქოს კრიტიკული რეალიზმისათვის დამახასიათებელი იყოს უუფრადდებობა იდეალის მიმართ, გულგრილობა დადებითი სახის შექმნისადმი. ზოგი იმ უკიდურესობამდეც კი მივიდა, რომ საერთოდ უარყოფდა კრიტიკულ რეალიზმში არა მარტო დადებითი სახეების, არამედ დადებითი ესთეტიკური იდეალის არსებობასაც კი, ანუ არსებულად ის მოიგარს, ფორმალისდაც შეუძლებელია ლიტერატურის არსებობა.

რეალისტური ლიტერატურა არანაკლები გაბატეებით ეზსახურებოდა დადებითი იდეალის დამკვიდრებას, ვიდრე რომანტიკული. და თუ მისი მეოთდი, კრიტიკული დამოკიდებულება სინამდვილისადმი, სახის ხატვის მანერა განირჩევა რომანტიკულისაგან, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მას არ შეექმნას დადებითი გმირის სახეების მდიდარი გალერეა. ამაში ღრმად გვარწმუნებს კრიტიკული რეალიზმის ისეთი შესანიშნავი წარმომადგენლების შემოქმედება, როგორებიც არიან სტენდალი და ტურგენევი, ბალზაკი და ტოლსტოი, ნეკრასოვი და ჭაკჭაკაძე, პუშკინი და ჩეხოველი.

წარსულში ასეთი ნაუცხაოვები ექსკურსებიც კი ნათლად წარმოგვიდგენს და გვარწმუნებს იმ უცილობელ ჭეშმარიტებაში, რომ ლიტერატურისათვის მისი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე დადებითი გმირის ხასიათის შექმნა მუდამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრობლემას და ამოცანას წარმოადგენდა.

დღეისათვის, შეიძლება ითქვას, უკვე უცაბდებულია ის ვულგარიზატორული მოსაზრება, რომელიც დადებითი გმირის პრობლემას მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურას უკავშირებდა და ამით ბურჟოთად მიჩნაგდა მას ადრინდელი მწერლობისაგან. ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებით უგულვებელყოფდა კრიტიკული რეალიზმის გამოცდილებას. ეს იყო კლასიკური მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ერთ-ერთი გამოხატულება, რაც ახე დამახასიათებელი იყო ჩვენში ოციანი წლების დაჯგუფებებისათვის.

ახე მაგალითად, ეურნალი „პროლეტარსკაია კულტურა“ აცხადებდა, რომ პროლეტარიატის სულიერი ზრდა პირველ რიგში ეკრნდნობა ჭარს-

ულთან სულიერი ურთიერთობის გაწყვეტას". „აუწინაცას" პოეტები მოაწერდებენ მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს, ხელოვნელები დღის ნა-წაკვეთად, დღეს რაფაელი დაიწყეს. ფუტურისტების გაზეთის „ილუსტრაციის ალმანახ" რედაქცია ასე გადაუხატავდა თავის დეკორაციებელებსა ამ ხაკთხისადმი: „ჩვენი მშვენიერების ყაარო წარსულის მტაკიე ღალატია."

კლასიკური მემკვიდრეობისათვის ბრძოლა მწვავედ მიმდინარეობდა საკართველოშიც. ქართული სიმბოლიზმის, ფარმომადგენელმა თავიანი ჟურნალის „ცისფერი ყანწების" პირველსავე ნომერში გარკვევით განაცხადეს, რომ ზურგს აქცევენ წარსულ კულტურას. ქართველი ფუტურისტებიც თავის 1922 წლის მანიფესტში სიამაყით გრძნობით აცხადებენენ: „ქართული პოეზიის დამფახასიათებელი თვისება ჭეშმარიტ გაკვნაში, სიფთამამე და ამბიხეზეა. არ ეზერდებით მეზღუდებისა და ძეგლების წინაშე და ვკმნით საკართველოს მომავალს, რომელსაც არ ეხახეთებს სიერეე და დრო. უარეყოფთ, რაც ჩვენს უკან არის და ამიერიდან საკართველო ჩვენგან იწყება. ჩვენ შევიკვეარეთ მანკანის ყვამლში გადაწყვეთ პრნა, ალტაციები ტაშს რომ უკრავს რეკოლუციას, უარეყოფთ წარსულს, რადგან არის სამლოცველო ბებრების და მოხეკედავენის..."

ახეთი დამოკიდებულება წარსული კულტურისადმი ის ეპოქაში ერთგვარად გასაგებია. რეკოლუციის მშფოთვარე ეპოქაა, ახალი სიზოგადოების შექმნის პათოსს. ძველი ბურჟუაზიული საზეაროს ნამსხვრევებს შეეძლოთ გაეღვიძებინათ წარსულისადმი ქედმაღლური დამოკიდებულების გრძნობა.

იმ ეპოქაში ბევრმა გამოჩენილმა მწერალმა, თვალიანმ მაკსიმ გორკიმაც კი, ვერ შეძლო თავი დაეღწია ცალკეული შეცდომებისაგან კლასიკური ლიტერატურისადმი დამოკიდებულებისა და მისი შეფასების ხაკითხში. გორკის ეკუთვნის ყველაზე ლტაკეტური შეფახება რუსული კლასიკური წერილების გენიისა. ამავე დროს მის ცალკეულ გამოსვლებებს და მოსაზრებებშა გაკარგულები იყო ეზრი, თითქოს კლასიკური ლიტერატურა მეტისმეტად პესიმისტური იყო, თითქოს ატკიერი, ნეხსოყოფილი სავსე რუსი ადამიანნი ამ ლიტერატურის თვალთახედვის გარეთ დარჩა.

დღეს ახეთი ხასიათის შეცდომები უკვე დაძლეულია, რადგან გარკვეულია მარქსისტულ-ლენინური დამოკიდებულება წარსული კულტურისადმი. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ საბჭოთა კულტურა იქმნებოდა და იქმნება არა კაცობრობის მიერ ოქტომბრამდელი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილი კულტურის უგულვებელყოფის გზით, არამედ სწორედ ამ კულტურის საფუძველზე.

მსოფლიო შედეგრები ძვირფასი ვახდა საბჭოთა ხალხისათვის, რომელიც ეარმოადგენს ყველაზე უკეთეს დამფასებელსა და მოსიყვარულეს პროგრესული კულტურისა. საბჭოთა ხალხის ეს დამსახურება კიდევ უფრო დიდნაწილად ხდება იმის გამო, რომ ბურჟუაზიული შეცნიერება და ხელოვნება ფულგარეული და არაობიექტური წარსული კულტურის ნიადაგ, ისაი-ნი უგულვებელყოფენ კლასიკური მემკვიდრეობის მნიშვნელობას, ცდილობენ დაამტკიცონ წარსულის საუკეთესო ტრადიციები. მსოფლიო ლიტერატურის მუმბანური იდეალები. იმას, თუ ბურჟუაზიული საპყაროს ლვარძლი წარსულის პროგრესული მოაზროვნეებისა და მწერლების მიმართ ხადამდე მიდის, გვიხსნის თუნდაც ის ერთი ეპიმო საპატსგანო ფაქტი, რომ ინგლისში, ბაირონის ხაპმუზეუმში, ზოგიერთი „მეცნიერი" თავს უფლებას აძლევს „ამტკიცოს", რომ „ბაირონაზმი ნეგრანტენიკების პოეზიაა".

მართალია, ჩვენში ახლა თავს ვერავინ მოსცემს უფლებას მტრული დამოკიდებულება გამოიჩინოს კლასიკოსებისადმი, ან კიდევ უხეში ვულგარიზატორულ პოზიციებიდან გათათხოს ჩვენი ნაციონალური მემკვიდრეობა, მაგრამ დღესაც არა ვართ დაზღვეულნი ცალკეული შეცდომებისაგან კლასიკური მემკვიდრეობის ამა თუ იმ ძეგლების შეფასებისას. ოცდაი წლეების შემდეგაც მეტნაკლებად გაისმოდა ჩვენში კლასიკური მემკვიდრეობის უგულვებელმყოფი ხმები. ამგვარი ერთ-ერთი უკანასკნელი ამბავი, უეიდურები და მახინეი გამოვლენა იყო ა. გურგენის მიერ ბაკოტე ახე დიდი ხნის წინ გამეფაგნებულ. პოზიცია, თუმცა ერთგვარი მორიდებით მსგავსი თვალსაზრისი ახლაც გამოკრთება ზოლმე მკვლევართა ნაეაზეეში, კერძოდ დადებით მეორეთან დაკავშირებით მსკერნობაში.

მეთოდოლოგიერ საფუძვლად ლიტერატურული მეგრის მნიშვნელობას, მაგა. დადებითმიტ გასარკვევად უნდა მოვიშველიოთ ლენინის ის ცნობილი მოსაზრება, რომ მარქსიზმის მთელი არხი, მთელი მისი სისტემა მოიაზოდეს, ყოველი დებულება განვიხილოთ მხოლოდ ისტორიულად, მხოლოდ სხვა დებულებებთან დაკავშირებით, მხოლოდ ისტორიის კონკრეტულ გამოცდილებასთან დაკავშირებით.

ახეთი ისტორიული და დიალექტიკური მიდგომა ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი ნაერთოდ, ფ. ლიტერატურული მეგრისადმი კერძოდ, იძლევა გასალეს, როგორც ლიტერატურას აღმშრდელობითი ფუნქციის გასარკვევად მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ასევე ლიტერატურული მეგრების დადებითობის გასარკვევად საზოგადოების განვითარების ეტაპზე. ამ ნაკლოვანებებ ეეე

ა. გურვიჩის მტკიცება, თითქოს, კრიტიკული რეალიზმის რუსულ ლიტერატურას არ შეექმნას დადებითი გმირის სახეები, წარმოადგენს კლასიკური მემკვიდრეობის მცდარად გაგებისა და დაუფასებლობის ერთ-ერთ კერძო გამოხატულებას. სამართლიანად და მკაცრად გაკიცხეტაკა გაზეთ „პრავდას“ რედაქციამ გურვიჩი მისი ამ ვულგარიზატორული შეხედულებების გამო. „მოწინავე რუსმა მწერლებმა, — წერდა „პრავდა“, — რომლებიც გულისხმიერებით ეკიდებოდნენ ცხოვრების მოთხოვნილებებს, თავიანთი ნაწარმოებებში შექმნეს მთელი რიგი დადებითი გმირის სახეები, რომელთა კეთილშობილური მაგალითი ატკბილ ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოების პროგრესულ ძალებზე, ზრდიდა მათ. არ შეიძლება წარსულის გმირებს ისეთივე საზომით მივუდგეთ, როგორითაც ვუდგებით ჩვენი, საბჭოთა დროის გმირებს. კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ცხოვრება წინ სწევდა თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანის გარკვეულ ტიპს. მხოლოდ ისტორიული განპირობებულობის თვალსაზრისიდან შეიძლება იმსჯელო სწორად ამა თუ იმ ლიტერატურულ გმირზე“.

ახეთი ერთადერთი სწორი მიდგომა წარსულის ლიტერატურისადმი, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ისტორიული პირობების გათვალისწინებას. საშუალებას გვაძლევს შევნიშნოთ რუსული კლასიკური ლიტერატურის მიერ დიდი სიუჟეტულით შექმნილი მთელი რიგი დადებითი გმირების სახეები. ესაა რილეევის, პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის ლირიკული გმირი — თავისუფლებისმოყვარეობისა და სამართლიანობის დროშით ამბობენ რუსი მოქალაქე, ესაა სამშობლოს ბეშმარიტი პატრიოტი გმირები, რომელთაც სათავეში უდგას ტარას ბულბა, ესაა რევოლუციური ხალხის გამამხიბლიერებელი გმირები ჩერნიშევსკის რომანიდან „რა ვაკეთოთო?“, რომელთა შორის გამოირჩევა თავისი სულიერი და ფიზიკური ძალიერებით რახმეტოვის ფიგურა.

ჩამოთვლილი გმირების ყველრდი რუსულმა ლიტერატურამ შექმნა ისეთი დადებითი სახეებიც, რომელნიც მართალია არ გამოირჩევიან თავიანთი ატკბილეული ბრძოლით ცხოვრების გარდაქმნისა და გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ უდიდეს ზემოქმედებასა და დადებით გავლენას ახდენენ მკითხველზე თავისი ღრმა ჰუმანიზმით, კეთილშობილური გულით, კაცობრიულობით, თავისი ადამიანური ღირსებებით. ახეთებია პუშკინის ტატიანა, ტურგენევის გლეხები და მაინცდა ქალთა სახეები, რომელთაც ახე მაღალ შეფასებას ანდევენ ლევ ტოლსტოი, თვით ტოლსტოიისეე „ომის და მშვიდობის“ ბევრი გმირი. „ტოლსტოის ენენის ძალით თვით ნენეიუდოდეთ ეკ ახე წარდგეს. მკითხველის წინაშე, [illegible] „ენენის“. ბოლო კატაკლიზმა [illegible] მაღალი ზნეობრივი საწყისების მატარებელნი ხდები“.

ახეთი დადებითი გმირების ჩამოთვლა კიდევ ბევრის შეიძლება, რომლებიც გამოხატავდნენ თავიანთი თნამედროვე, პროგრესული ადამიანების აზრს, მისწრაფებებს, მოკმედებას, ან კიდევ გვიხატავდნენ მათ დამოკიდებულებასა ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენისა თუ ფაქტისადმი. ამიტომაცაა, რომ ყველა ეს სახე ახე ახლობელი, გასაგები და საყვარელია საბჭოთა მკითხველისათვის.

ჭარიელი სალიტერატურო კრიტიკაში ამ უკანასკნელ წლებამდე ახეთე შეხედებოდეთ ზოგიერთ არაზუსტ და ზოგჯერ პირდაპირ მცდარ მოსაზრებებს წარსულის მემკვიდრეობის ამა თუ იმ საკითხის შესახებ. კერძოდ, იმ მოსაზრებას, თითქოს კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურას არ ჰქონდა ხვალინდელი დღის შეგრძნების უნარი. ეს აშკარა გაუგებრობასა ჩვენი კლასიკოსების მთელი მოლვაწეობისა და შემოქმედებისა, რომელთა სახელები ძვირფასია საბჭოთა ადამიანებისათვის სწორედ იმით, რომ ისინი დაუცხრომლად ემსახურებოდნენ პროგრესის საქმეს და, ამასთანავე, იმ მძიმე პირობებში, მათ ღრმად სჯეროდათ თავიანთი ხალხების ბედნიერი მომავლისა. ახეთი კრიტიკოსების სასახელოდ გამოდგებოდა ვეჯა ფშაველას წერილი იმ. ვართაგაკასადმი, სადაც იგი პირდაპირ პასუხობს ამ კითხვას. „როგორ გგონია? არა მაქვს მე წარმოდგენილი მომავალი ჩვენი ქვეყნისა ბრწყინვალედ? ნუთუ ეს არა ჩანს ჩემი ნაწერებიდან? ეს რომ არ მწამდეს, თქვენ გგონიათ მე კალამს ავიღებდი ხელში?“

როგორ შეიძლება ვერ დაინახო კაცმა კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის მთელი ძალა დადებითი იდეალის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ვინც ამას სჩადის, იგი არამცთუ ვერ განიცდის მისი ესთეტიკური იდეალის ზემოქმედებას, უბრალოდ ვერც ხვდება ამ ლიტერატურის მნიშვნელობას.

ვფიქრობ, ეერიგო და ზედმეტი არ იქნება, ზოგად ხაზებში მაინც გავიხსენოთ ჭარიელი კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობა და მისი დადებითი გმირების სახეები, მით უმეტეს, რომ ეს ამ ცნების დასაზუსტებლადაც დაგვეხმარება. ძირითადად მაინც XIX-XX საუკუნის მწერლობით შემოვიფარგლები, რადგან სწორედ კრიტიკული რეალიზმის მიმართ მოლაპარაკებენ ხოლმე უნდობლობა დადებითი გმირის პრობლემის გარკვევის დროს.

ცნობილია, რომ ნაციონალური ეოფა, ხალხის, ერის ისტორიულად შეპირობებული ცხოვრების თავისებურებები, ეროვნული ფსიქიკა და ხასიათი, ენა, ყველფერი ეს განსაზღვრავს ლიტერატურის სფეციფიკას. ახეთე ლიტერატურის თემატიკა, იდეები, მისწრაფებები, მიზნადასახულობა ან სხვა რამ, ყოველივე შეპირო-

ბებულია იმ ხალხის ცხოვრებითა და ინტერესებით, რომელსაც იგი ეკუთვნის.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ყოველ ერს, დიდსა თუ პატარას, გააჩნია თავისი განსაკუთრებული თვისებები, რაც მისთვის არის დამახასიათებელი და რომ ეს თავისებურებები წარმოადგენენ იმ წელილს, რომელიც შეაქვს ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში, გასაგები გახდება, რაკიმ არ იყო რუსული ელასიციზმი ფრანგულის გამეორება, ანრა იყო მიზები ქართული რომანტიზმის წარმოშობისა, რომელსაც არაფრით არ შეეძლო აღმოცენებულიყო ამ ლიტერატურული მიმდინარეობის საერთო ევროპულ საფუძველზე, ან კიდევ, რაში მდგომარეობს რუსული კრიტიკული რეალიზმის სიდიადე.

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების პირობებმა განსაზღვრეს სწორედ ქართული ლიტერატურის შინაარსიც, მიზანდასახულობაც და მისი დადებითი გმირების ხასიათებიც. საუმწიწილოს სიყვარული, პატრიოტული გრძნობა ყოველი ჭეშმარიტი ლიტერატურის ერთ ძლიერ მოტივთაგანს შეადგენს და ახლერი აქვნია იგი რომელმე ევრპო ლიტერატურამ თავის საკუთრებად გამოაცხადოს. ყოველი ეპოქისა და ყოველი ერის ეული ყველა უდიდესი პოეტი თავისუფლების მეზზნებარე მომდერალი იყო, მაგრამ ეს ხელს რიდი გვიშლის, ვალიაროთ ის, უეცილბელი ფაქტი, რომ პატრიოტული გრძნობა ვლინდება სხვადასხვა ხიძლიერითა და ფორმებით, შესაბამისად ერის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების პირობებისა. ისტორიულად შექმნილი პირობების გამო ზოგიერთი ხალხი უფრო ძლიერად განიცდიდა ძალადობის მთელ ხაზინელებას და იძულებული იყო მთელი თავისი ენერგია ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისათვის შეელია.

ქართული ლიტერატურა თავისი დასაბამიდან მოყოლებული ბრავალსუფუნოვანი ისტორიის მანძილზე ძირითად მიზნად ხალხში პატრიოტული გრძნობის გაღვივებას და მუდამ თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მხურვალე მოწოდებად ისმოდა.

თუ დასავლეთევროპულ ან რუსულ ლიტერატურაში პატრიოტულ მოტივთან ერთად სულ უფრო ძლიერდება სოციალური მოტივები, ხოლო ზოგჯერ ეს უკანასკნელი კიდეც ჩრდილავს პირველს, ქართული ლიტერატურა საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო თავის ძირითად მიზნად ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა დაესახა და მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან შემდეგ მან მთელი ხიძლიერით აღემაღლებინა ხმა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ.

თუ ქართული ლიტერატურის ისტორიას გადავავლებთ თვალს, თამამად შეგვეძლება დავასკვნათ, რომ განვითარების ყოველ ეტაპზე იგი მეჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის გაღვიძებულ თავისუფლებელ ბრძოლასთან და თავისუფლებისმოსიყვარულ ადამიანებს მან შეეშინა საშობიაროდ ეროვნის თავდადებული, დადებითი გმირების მთელი გალერეა.

ლიტერატურა თვით ცხოვრებაში პოულობდა უმდიდრეს მასალას თავისი პატრიოტული გრძნობით აღსავსე დადებითი გმირების სახეების შესაქმნელად, ხოლო ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, ხალხში მრავალ წამბაძველს პოულობდნენ. ამის საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენენ შუშანიკი და ეესტანთ მცხეთელი, „ვეფხისტყაოსნის" უკადაკი გმირები, ქეთევან წამებული და გიორგი ხაკაძე.

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ძირითადად მაინც ორი მიმართულება — რომანტიზმი და კრიტიკული რეალიზმი მძლავრობს. ქართული რომანტიზმი ფრანგულივით წინა ლიტერატურულ მიმდინარეობასთან ცხარე ბრძოლაში რიდი დაიბადა. თუ ფრანგული რომანტიზმის დამფუძნებელმა თავისი პოეტური „მე"-ს გამოთავისუფლებლად კლასიციზმის ხელოვნური მარწუხების დამსხვრევა მოუხდათ, რომელიც მწერლის მდიდარ ფანტაზიასა და აზრს ბოჭავდა, ქართული რომანტიზმი არ გრძნობდა თავს ამ შეზღუდულად, მის პოეტურ თავისუფლებას ნაკლებ ეშურებოდა წარსული ლიტერატურული ტრადიციები.

მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო მიზეზი ქართული რომანტიზმის უშუალო კავშირისა ძველ ლიტერატურასთან. თუ ევროპის ჭკვიანებში რომანტიზმის აღმოცენებას ასე თუ ისე ერთი საერთო საუფუძველი ჰქონდა. — კერძოდ, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დამარცხება. მოახლოებული დიდი გარდატეხები სოციალურ-ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, გაბატონებული ფეოდალური კლასის სასოწარკვეთილება, რომელიც სულ უფრო აშკარად გრძნობდა, თუ როგორ ეცლებოდა ფეიქვეშ ნიადაგი და ახალი ბურჟუაზიული კლასის უკმაყოფილება, რომელიც არ იყო მთლიანად რევოლუციის შედეგების მაელილი, უკეფფერი ეს არ ყოფილ ქართული რომანტიზმის აღმოცენების გამომწვევი მიზეზი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა სამეფოს გაუქმება, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ კუთხედ და პროვინციად გადაქცევა, ამასთან დაკავშირებული ეკონომიური გარდაქმნები, აი ის სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი, რამაც წარმოშვა ქართული რომანტიზმი. ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და პოლიტიკურ მოფლენებთან თავისი მჭიდრო ორგანული კავშირით ქართული რომანტიზმი ენათესავება პოლონურს. ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ადამ მიცკევიჩს, ამ ორ უდიდეს რომანტიკოსს, ერთი ტკივილი ჰქონდა გულისა, ეს იყო თავისი ხალხის ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვნული ჩაგვრით გამოწვეული გულისტკივილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში, რომელშიც ქართველმა რომანტიზმმა თავისი გაჩენიერების ზენიტს მიაღწია, ნათლად და ძლიერადაა გამოკვეთილი პროგრესული რომანტიზმის დადებითი იდეალი. ბარათაშვილის პოეზიის ლირიკული გმირისათვის, რომელიც თავისი ერის ნაციონალურ და სოციალურ ჩაგვრას ჩაუფიქრებია, მართალია, დამახასიათებელი არსებული სინამდვილით გამოწვეული წწუხარება, მაგრამ მისთვის უცხოა ლაჩრული წუწუნი, უშოქმედობა. იგი არასოდეს კარგავს მომავლის იმედს და თავის პროტესტანტულ ხელს, რითაც ასე ენათესავება ბაირონის გმირებს. მას არაფერი აქვს საერთო რეაქციული რომანტიზმის გმირებთან — უკიდურეს ინდივიდუალისტებთან, რომლებიც უპირისპირდებიან სინამდვილეს, ცხოვრებას, ხალხს.

ბარათაშვილის შემოქმედებაში გამოხატულება ჰპოვეს მისი დროის პროგრესული ადამიანების ხანუკარაშა ფიქრებმა და მისწრაფებებმა. ამდენად მისი პოეზია გაედენთილია პოეტის თანამედროვეობის სულითა და იდეებით, მისი ლირიკული გმირი ამ დროის პროგრესული ადამიანის შინაგანი სამყაროს ანარეკლს წარმოადგენს.

ბარათაშვილის რომანტიკული პოეზიის შედევრია ლექსი „ბერანი". პოეტის მთელი მიზანდასახულება, ცხოვრების აზრი, მთელი მისი სულიერი სამყაროს თავისებურება გახსნილია ამ ლექსში, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის შთამაგონებელ ჰიმნს წარმოადგენს. „ბერანის" ლირიკული გმირი სიმბოლოდაა გამხატული პროგრესული კაცობრიობის შეუნელებელ ლტოლვას ეპოქის შეზღუდული ჩარჩოებიდან თავის დასაღწევად.

გენიალური პუშკინისა და გვიანი პერიოდის ხმა გამოჩენილი რომანტიკოსების მსგავსად, ბარათაშვილმა, ერთის მხრივ, ქართული რომანტიზმი აიყვანა მისი განვითარების ზენიტამდე, და ერთგვარად თითქოს ამოსწურა იგი, მეორეს მხრივ კი თავის შემოქმედებაში მოგვცა რეალისტური ლიტერატურის საწყისები. თავისი რომანტიკული პოეზიის ლირიკულ გმირთან ერთად მან დაგვიბადა რეალისტური სახეები პოემაში „ბედი ქართლისა".

ნაციონალური საკითხი ბარათაშვილის წინაშე მთელი თავისი სიმწვავეთა და სირთულით იდგა. თუ მშფოთვარე და ამბოხი ხელის პატრონმა ბაირონმა თავიანთ სიცოცხლე ხალბრძნეთის განთავისუფლებას შესწირა, თუ პუშკინი და ლერმონტოვი მხურვალედ თანაუგრძნობდნენ ეროვნული ჩაგვრის ქვეშ მყოფ კაკაესიელ ხალხებს, ბარათაშვილს არ დასჭირვებია თავისი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეები სხვა ხალხის ბედთან დაკავშირებია.

ერეკლე მეორეს პოლიტიკურად დაბალ ეროვნულ მწიფოებრივად გადაწყვეტა საჭართველოს ბედი. ნიკოლოზ ბარათაშვილმა კი, პირველმა შეიგნა სწორად ქართველ ლიტერატურაში ერეკლეს ეს ნაბიჯი და თამამად განაცხადა საქართველოს რუსეთთან შეერთების გარდუვალობა.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია აზრი, თითქოს ბარათაშვილის შეგნება გაორებულია ამ პოემაში, მას ჯერ კიდევ ვერ შეუფასებია საბოლოოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტი და ამიტომ საკითხს ღიად ტოვებს, ხოლო საბოლოო სიტყვას კი თავის ლექსში „საფფალი მეფის ირაკლისა" ამბობს. ეს მოსაზრება არ ჩანს სულ მართებულად.

პოემის ცენტრალური ფიგურაა ერეკლე მეფე. ბარათაშვილი, ვისაც წერილი გულით უყვარდა ეს, ფაქტიურად უკანასკნელი მეფე საქართველისა, შემოხვევით არ იღებს თავისი პოემის ფონად იმ ერთადერთ ბრძოლას, რომელშიც ერეკლე დამარცხდა. ისტორიული გმირის განსადიდებლად, თუკი ის წარსულის რომანტიკული გაიდეალების გზას გაჰკვეთოდა, უნდა აერჩია ისეთი ეპიზოდები ერეკლეს ცხოვრებიდან, რომელიც საშუალებას მისცემდა მთელი სისრულით გამოევლინა მისი მხედართმთავრული ანჯიანი და მარჯვენის სიძლიერე. მაგრამ ბარათაშვილი ამ პოემაში რეალიზმის პრინციპებს იმარჯვებს, მას ინტერესებს ერეკლეს შორსმჭვრეტელობა და ეროვნულური ნაბრძნე, ვინც სწორად შენიშნა ერთადერთი გზა საქართველოს ფიზიკური გადარჩენისა — რუსეთთან შეერთების გზა.

პოეტი არა მარტო დასაწყისში, ერეკლესა და სოლომონის საუბრის წინ ვვიხატავს საქართველოს ტრაგიკულ ბედს, რომ შეამზადოს მკითხველი სწორი დასკვნის გამოსაკანად, არამედ პოემის ბოლოსაც ალა-მამადა-ხანის შემოსეკის მთელი საშინელების მოწმედ გვხდის. გავეკნებიოთ და გავაკაცხებიოთ დედაქალაქის, დარბაზეთი მოსახლეობის მწარე ბედრის მხატვრული სურათები პოეტს ერეკლეს პოლიტიკის, მისი საბოლოო მტკიცე გადაწყვეტილების შთამბეჭდავ არგუმენტად სჭირდება.

გავრცელებული აზრით, სოლომონი პოემაში გამოყვანილია ერეკლეს საპირისპირო იდეის მატარებელ ადამიანად, ვინც სასტიკი წინააღმდეგია რუსეთთან საქართველოს შეერთებისა. ბარათაშვილი არ იშურებს ხალხებავეს, პირდაპირ თუ ფენარეთი ხშირად უსვამს ხაზს იმ დამსახურებებს, რაც ლეონიძეს მოეძღვის საბშოსლოსა და მეფის წინაშე. მთავარი, რაც ავტორს ასე მოსწონს თავის გმირში, ესაა სოლომონის თავისუფლებისმოყვარეობა და ეროვნული ბედ-ბედ-ლიშვილობა, რითაც იგი ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებების განმასაბიერებელი ხდება.

იმით, რომ სოლომონი მამულის მიმართ ამ თავისი დიდი სიყვარულისა და მოვალეობის ღრმა შეგნების გამო ეძებს გამოთქვამს ირაკლის გადწყვეტილებასთან დაკავშირებით, სულაც არ მეცინდება მისი ღიმილება, განა გასაკვირი რა არის იმ ყოყმანში, რომელსაც სოლომონი განიცდიდა? საქართველოს ბედ-იღბალი წყდებოდა და სოლომონის შიში, ვაითუ შეიღახოსო ქართველთა ეროვნული ინტერესები, მათი უფლებამოსილებანი, როდი იყო საფუძველს მოკლებული.

მართალია, ავტორი დიდი სიყვარულით გვიხატავს როგორც ერეკლეს, ასევე სოლომონის სახეს, მაგრამ ეს მისი პოეტური შეგნების გაორებას ოდდი მოწმობს. მამულის უანგარო სამსახურის წმინდა და შეუვალი გრძნობითაა გამსჭვალული ორივე დადებითი გმირი ამ პოემისა, ეს ერთთანეულ დდა ანაოსავებს მათ. ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთნაირი გატაცებითა და შინაგანი სითბოთი, ერთნაირი გულწრფელი სიყვარულით ძერწავს როგორც სოლომონის სახეს, რომელიც პოეტისათვის უწმინდესი გრძნობის — ეროვნული თავისუფლების ყოველგვარი შეუვალობის იდეის გამომსახველია პოემაში, ასევე მეფე ერეკლის სახესაც, ვინც იმ ისტორიული სიმართლის მატარებელია, რომ საკართველოს გზა ეროვნული სახის შენარჩუნებისა და პროგრესისაკენ რუსეთზე გადიოდა.

მე-19 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული, იმ დროიდან, როდესაც ჩვენში კრიტიკული რეალიზმი დამკვიდრდა, ქართული ლიტერატურა სულ უფრო და უფრო ძლიერად იმალებდა ხმას სოციალური უთანასწორობისა და ბოროტების წინააღმდეგ. მართალია, ამას არ გამოუწვევია ქართული ლიტერატურიდან მისი არსებობის მაძინალზე დომინირებული ისტორიულ-მერიოკული თემატიკის განდევნა, ან თუნდაც უგულვებელყოფა, მაგრამ ფაქტია, რომ სოციალური თემატიკა ხდება ამიერიდან წამყვანი.

ეერცენი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ თავისუფლებამოკლებული ხალხისათვის ლიტერატურა ის ერთადერთი ტრიბუნაა, რომლის სიმაღლიდანაც შეუძლია მას გაგგებინოს ყველას თავისი სინდისისა და აღშფოთების ხმა. და მართლაც, მე-19 საუკუნის მხატვრული ლიტერატურა იყო შესანიშნავი ტრიბუნა ქართული პროგრესული საზოგადოებრიობისათვის სოციალური და პოლიტიკური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართული ლიტერატურა თავისი ნაციონალურ-განმთავისუფლებელი იდეებით, რომლებიც მიმართული იყო მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ, აგრეთვე თავისი სოციალური სიმახვილით მჭიდროდ უკავშირდებოდა რუსულ პროგრესულ ლიტერატურასა და კულტურას.

რუსი ხალხის ბრწყინვალე სულიერმა კულტურამ, მისმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მე-19 საუკუნის დამდეგიდან უდიდესი ბეჭედი დასვა ეროვნული ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი აჭ მთელი სისრულითა და სიმძლავრით აყენებს საერთოდ ადამიანისა და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს.

პოეტი ილიაჭრილს და მზატვრული დამაჯერებლობის საშუალებით უარყოფს ასკეტიზმს ყველაზე ფართო გაგებით, როგორც ცხოვრებისაგან, ბრძოლისაგან, ჭეტიური მოქმედებისაგან გადახვევის, მისი ღალატის ყოველგვარ ცდას. ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება, როცა პოეტს განვიხილავთ მწერლის მთელ შემოქმედებასთან ერთად, მისი საერთო მსოფლმხედველობისა და მიზნდასახულობის გათვალისწინებით. პრობლემის ასე ფართოდ დაყენებითა და პოეტის დიდი საზოგადოებრივი ეღერადობის გამო, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მწუემსი ჭალის სახე, რომელიც დადებით იდეალს მატარებელი და დამამკვიდრებელია.

შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ მწუემსი ჭალი უპირისპირდება განდეგილს, რომ სწორედ იგია პოეტის დადებითი გმირი, რომელიც ანსახიერებს ყოველივე კაბმრთელსა და ალს, საუკეთესოსა და კეთილშობილურს, ძლიერსა და ოპტიმისტურს ადამიანში. მე-19 საუკუნის ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ნათლად გამოხატეს თავიანი დემოკრატიული მსოფლმხედველობა. ხალხი არა მარტო არ დარჩა მათი შემოქმედებისა და ინტერესების ფარგლებს გარეთ. არამედ პირიქით, მათ ხალხის წიაღიდან გამოსული გმირების მხატვრულ სახეებში გაბსნის ადამიანის საუკეთესო ზოგადი თუ ეროვნული თვისებები და ხასიათები.

ქართველი დემოკრატი მწერლები, პირველი რიგში ილია ჭავჭავაძე, სავსებით ეზიარებდნენ ბელინსკის მოსაზრებას, რომელიც მოუწოდებდა რეალიზმს მწერლის თავიანთი შემოქმედებაში კიდევ უფრო მეტი ყურადღება გამოეჩინათ ხალხის მიმართ, რადგან „ეგლეხკაცსაც გააჩნია სული, გული, გააჩნია სურვილები და ენებენი, სიყვარული და სიძულვილი, ერთი სიტყვით — აქვს თავისი ცხოვრება".

ამ კეთილშობილურმა მოწოდებამ, რომ ლიტერატურაში ხალხს ცხოვრება ასახულიყო, დიდი გამოძახილი ჰპოვა მე-19 საუკუნის 80-იან წლების საჭართველოში. ლიტერატურის, ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის დაღუღლავი მეცრძოლი და ქადაგი დიდი ილია ყოველგვარი შეფარვის გარეშე წერდა:

„სამოცად წლებამდე — ალ. ჭავჭავაძედან დაწყებული — ჩვენი პოეზია, თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოცდაათიან წლების ბოლო ხანებში, დაპუფუფუნებდა ჩვენის დიდაკაცობის გულთა თქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უსოფოს პოეზიას. სამოცად წლებმა ამ ვიწროად შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავიანი ტალღა გაპკრეს და შემოამტკიეიან ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდგმიოთა ცხოვრებაშიც არის ადამიანური გულთა-ოქმა, რომ ეროთა გული ოგეეი ზღვაა. საცა თუ არა მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლეხაცსა და ხახარაფოსა, ჭირანს და ლეჩრანს, ძულებისა და სიყვარულისა, რომ ამ მდგმიოთაც აქვთ იდეალები, თავიანი სანატრელები, ოღონდაც კი კაცს მაღლი ჭონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა".

ი. ჭავჭავაძე იყო ის დიდი ქართველი მწერალი, რომელმაც გლეხკაცის ძონძების ქვეშ ადამიანის გულის ფეთქვა დაიჭნა და არა მარტო ასახა ხალხის ცხოვრება თავის შემოქმედებაში, არა მარტო შეემნა გლეხკაცის შესანიშნავი მხატვრული სახეები, არამედ ლიტერატურის ერთადერთ მხრად ხალხის სამსახური დასახა.

„რუსეთი თავის ხსნას ხედავს არა მისტიკიზმში, არა ასკეტიზმში, არა პიეტიზმში, — წერდა ბელინსკი გოგოლს, — არამედ ცივილიზაციის, განათლების, ჰუმანურობის პირობებში, იგი საჭიროებს არა ქადაგებებს (საკმარისად იმეორებდა მათ!), არამედ ხალხში ადამიანური ღირსების გაღვიძებას, რომელიც ამდენი საუკუნეა დაეკარგავს ეუეუსა და ნაგავში". სწორედ ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე ამოცანას — ხალხში ადამიანური ღირსების გაღვიძებას — ემსახურებოდა მოწინავე რუსული და ქართული ლიტერატურა.

ილია ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში შეემნა ხალხის წრიდან გამოსული ღირსად ადამიანური მომხიბლავი სახეები და თვალნათლივ უჩვენა „ზედა ფენას", რომ სწორედ მშრომელი ხალხია საუკეთესო ადამიანური ხასიათებისა და ჩვეულების მატარებელი და სწორედ ის წარმოადგენს ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შემოქმედს.

ქართველი მშრომელების შესანიშნავი სახეები შეემნა ილია ჭავჭავაძემ ოთარაანთ ქვრივითა და გიორგით. მწერალმა თავის ამ ნაწარმოებში შეიქნა დიდი მხატვრული ოსტატობით დაენახვებინა მკითხველისათვის ის უფრაო ნაპრალი, რომელიც ერთის მხრივ თავადაზნაურობასა და მეორეს მხრივ გლეხობას შორის გაჩენილიყო.

მწერლის უტყუარი აღდგა და ისტორიული სიმართლე ამაში მჭვიმარეობს, რომ მომავალს შემოქმედად გაუნათლებელი მშრომელი ხალხი სცნო და არა განათლებული მაღალი ფენები, თუნდაც ისეთი მოლიბერალო მისი წარმომადგენელები, როგორებიც არიან არჩილი და კესო. მოთხრობის დადებითი გმირების, გლეხების — ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის შემოქმედება მკითხველებზე, მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ მწერალი გვაჩვენებს, ამასთანავე გვარწმუნებს კიდევ მათს უპირატესობაში ყოველ მხრივ, მორალურ-ეთიკური, ფიზიკური, სულიერი, თუნდაც გონებრივათაც კი, თავადაზნაურობის კლასის ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოკრატიულად მოაზროვნე და განწყობილ ადამიანებთანაც შედარებით, რომელთა განსახილველად კარიან არრიანი და კესო.

ოთარაანთ ქვრივი, ეს ეიეკაცური, შრომის-მოსმოყვარე, აგაკოგანი. ზედმიწევნით პატიოსანი, ფოლადი-ბეური ნებისყოფისა და სიმტკიცის ქალი, რომელშიც ზაზლისა და აღშფოთების ინ-ვევს უსამართლობის ყოველგვარი გამოვლენა, ადამიანი. რომლის გამდარ და სუსტ სხეულში მამაკაცის ღონე და ენერგია სჩქეფს, რომლის მკაცრსა და უხეშ გამომეტყველებაში იმალება უკიდურესი გულჩვილობა, კაცთმოყვარეობა, დედა, რომელიც თავისი დედური სიყვარულითაც კი გვაოცებს, ნათელი გონებისა და სუფთა სულის პატრონი ადამიანი, რომელიც მუდამ დინჯია და თავდაჭერილი თვით უზომო მწუხარების ჟამსაც, მომხიბლველი თავისი სიამაყითა და გულწრფელობითაც კი, — ამგვარი არის ერთი საუკეთესო მხატვრული სახე, რომელიც კი ქართულ ლიტერატურას შეუქმნია მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

ილია ღრმა სიყვარულით გვიხატავს ქართველი ქალის ამ შესანიშნავ სახეს, რომელიც პატიოსნებისა და სამართლიანობის სიმბოლოდ იქცა ჩვენში. ესეც ის დადებითმა თვისებამ, რომელიც გაჩნიათ ოთარაანთ ქვრივსა და მის შვილს გიორგის, მიიყვანა არრიანი იმ აზრამდე, მომავალი მათ ეკუთვნოთო, არრიან ყოფნის ნებისყოფა, გამოუტყდეს თავის დას მათივის მწარე სინამდვილეში: „ჩვენ რაცა ვართ, ვაკეთებულნი ვართ, ისინი კი შექმნილნი, ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი... ისინი ჩაკირული არიან, ჩვენ დონდლონნი, დუნენ“.

ქესოს შენიშვნაზე, რომ გლეხკაცებიც საკმაოდ ხშირად ავლენენ ცუდ ზნეს, არრიანი გულდაჭერებული პასუხობს: „მაგრამ ცოდვება მაინც იმათნია, იქა ჰდღეს ძარღვებნი მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ბუეკეია, ქაფია მდულარე ცოდვებისა, თავზედ მოგდებული. ძარ-ში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცსურ-კაცს, როგორიც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორიც ოთარაანთ ქვრივია? მაგასთანა პური მარტო იმათ თონეშიდა ცხეება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა ლუტკურს აცხობს... ჩვენ ხედვად და სმენადაც ულონონი ვართ და იქ კი... რამოდენა ღონე ყოფილა შექმნია...“ ილია ჭავჭავაძე ამ პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე აცხადებს, რომ ერის პოტენციური ენერგია, შემოქმედებითი სული მშრომელი ხალხია მხოლოდ და ამიტომაც მომავლის მშენებლებიც სწორედ ისინი იქნებიან.

მე-19 საუკუნის სხვადასხვა პერიოდში ცხოვრება ახალ-ახალ მომწიფებულ პრობლემებს სვამდა გადასაწყვეტად. 60-იან წლებისათვის ასეთი საჭირო

ბინა მისთვის გაღატაკებული, გათელილი გლეხობა, რომელსაც რეფორმამ თითქმის არაფითარი შეღავათი არ მისცა.

ნინოშვილის შემოქმედებაში ვხედავთ სრულიად სხვადასხვა ხასიათისა და შედ-იდგმული მქონე გმირებს. რომელთაც საერთო მხოლოდ ისა აქვთ, რომ, ერთნაირად უფლებაყოფილნი არიან და ქვეყნად გამეფებული უსამართლობის მსხვერპლნი ხდებიან. მწერალი დიდი მოქალაქეობრივი და ადამიანური გულისტკივილით გვიხატავს გლეხობის მძიმე ხვედრს. გოგია უიშვილი ვერ უძლებს ღირსების შელახვას და თავს იკლავს, კაცია მუნკაძე მაინც ემოჩრილება უსამართლო განკარგულებას და იღუპება, პალიატმის ტბის გმირები, მამა და შვილი, ლუკმა პურს სწირავენ თავს. ნინოშვილის მთელი სიმპათია ამ გაუბედურებული, დაბეჩავებული, დაჩაგრული პატიოსანი მშრომელების მხარეზეა, მაგრამ არც გოგია და არც კაცია ჯერ კიდევ არ არიან აქტიური გმირები, ისინი ჩვენ გვიჩვენებენ მხოლოდ იმ ფუნას, იმ წრეს, სადაც უნდა გამოსულიყვნენ ადამიანის ღირსებისათვის. ლეგზია ინტერესებისათვის აქტიური მებრძოლები.

მწერალმა მოგვცა ძლიერი და გულადი, აქტიური ადამიანის სახეც, ესაა სიმონა ძალაძე, მართალია, სიმონას თავისი ბიოგრაფია აქვს, მაგრამ მისი ხვედრი, მდგომარეობა ბევრით არაფრით განსხვავდება ნინოშვილის სხვა გმირების მდგომარეობისაგან. ოღონდ ესაა, სიმონა ძალაძე სხვებივით მორჩილად როდი ეგუება ყველაფერს, არც თვითმკვლელობაზე ფიქრობს, ცხოვრან დაბრუნებული იგი იარაღით ხელში იძიებს შურს თავისი ოჯახის პატიოსნების შემბღალავებზე და ამბობენად მებრძოლად რჩება ბოლომდე. მართალია, სიმონას ამბობენას სტიქიური ხასიათი აქვს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სწორედ სიმონასთანა ხალხი იქნება რევოლუციური ბრძოლების ავანგარდში, როდესაც ამისი დრო დადგება.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება იყო ახალი ნაბიჯი ქართული ლიტერატურისა თავისი განვითარების გზაზე. მისი მნიშვნელობა ძირითადად იმით განისაზღვრება, რომ აქ ნათლად აისახა მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედის ქართული სოფლის ცხოვრება თავისი სოციალური უთანასწორობისა და ჩაგვრის ახალი ფორმებით, გამძაფრებული კლასობრივი უთანხმოებითა და ბრძოლით. მაგრამ ეგნატე ნინოშვილი თავის შემოქმედებაში არ გამოსულა კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურის ჩარჩოებიდან.

არ შეიძლება მივიჩნიოთ სწორად ის მოსაზრება თითქოს ახალი, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა სათავეს ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში იღებდეს. ახეთი დასკვნისათვის არც ნინოშვილის შემოქმედება, მთლიანად, არც მისი გმირები, კერძოდ, არ გვაძლევენ საფუძველს. უბრალოდ, მწერლის მხატვრული შემოქმედებაში ვერ მოახერხო ასახვა ცხოვრებისეულ სიცხადეს. ამ მეთოდის დადებით გმირები სტიქიურად ამბობენენან და ცალ-ცალკე იბრძვიან თავისი ჩირადი მოძალადის წინააღმდეგ, ჯერ არ ამაღლებულან შეგნებულ და ორგანიზებულ ბრძოლამდე. საერთოდ სოციალური უთანასწორობის ალსაგველად. მათი ბრძოლა ჯერ არ განათლებულ რევოლუციური მოძღვრებით.

ეოფელივე ამიტომ, ეგნატე ნინოშვილი უნდა მივიჩნიოთ კრიტიკული რეალიზმის მწერლად, რომელმაც თავისი შემოქმედებით დაასრულა და დაავგვირგვინა ამ მეთოდის ლიტერატურა საქართველოში და გზა დაუთმო ახალი, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას.

წარსული ეპოქის მწერლის შემოქმედების ანალიზისა და შეფასების ლენინური მეთოდი გულისხმობს ისტორიული განვითარების გათვალისწინებას, მწერლის ადგილისა და როლის გარკვევას. ამ მეთოდის ბრწყინვალე ილუსტრაციაა თვით ლენინისავე სტატიები ტოლსტოისა და ფერეკენის შესახებ. ლიტერატურული მიმართულებების, ან ცალკეული მწერლების შემოქმედების შეფასებისას ლიტერატურის ისტორიკოსები უნდა გამოდიოდნენ იმ მეთოდოლოგიური მითითებიდან, რომელიც ლენინის შემდეგ სიტყვებშია მოცემული. „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუცია ისტორიულ მოღვაწეს თანამდროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით".

ასეთი მიდგომა მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისადმი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ მის განვითარებას, სწორად შევიხსწავლოთ იგი, როგორც ახალი თემებისა და საკითხების წამოჭრის თვალსაზრისით, ასევე დადებითი გმირის პრობლემის გადაჭრის მხრივაც. ამ მეთოდის დავიწყება ან უგულებელყოფა მხოლოდ სავალალო შეცდომებამდე მიგვიყვანს.

ახალი ეტაპი მსოფლიო ლიტერატურის განვითარებისა, რომელიც პროლეტარული რევოლუციების ეპოქიდან დღემდე გრძელდება თავის დასაწყისს პოულობს მხატვრული სიტყვის ისეთი ტიტანების შემოქმედებაში, როგორებიც არიან გორკი. ბარბიუსი, მაიაკოვსკი. მათ თავიანთი შემოქმედები საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე პროგრესულ მწერლობას. სწორედ ამ საფუძველს ეყრდნობა, გარდა საბჭოთა ლიტერატურისა, თანამედროვე მსოფლიოს იმ მწერლების შემოქმედებაც, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დგანან. სამპარლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ის პროგრესული როლი, რომელსაც ასრულებენ დღეს კრიტიკული რეალიზმის ხაზის გამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელებელნი დასავლეთის ლიტერატურაში, აღინიშნოს მნიშვნელობა მათ მიერ შექმნილი დადებითი გმირების სახეებსა.

ლიტერატურა, მას შემდეგ რაც თავის ბედი დაუკავშირა პროგრესული კლასს — პროლეტარიატს, რომლის წიაღშიც იბადებოდნენ და იწრთობოდნენ ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის შეუდგეველი მებრძოლები, გახდა დიადი სოციალისტური იდეალის მატარებელი. რევოლუციის ეპოქა იყო მასობრივი გმირობის, მთელი კლასების მოძრაობის და ადამიანის განთავისუფლებისათვის აქტიური ბრძოლის გამოხატულება. ამ პერიოდში წერდა გორკი, რომ „ზოგადის პოზიციებზე მდგარნი, ვერ ვამჩნევთ, რომ ვდგავართ ახალი ისტორიული პროცესის სათავესთან, რომ ვცხოვრობთ ახალი ფსიქოლოგიური ტიპის დამდგმის ეპოქაში".

თვით გორკიმ კარგად შენიშნა ახალი ისტორიული პროცესებიც და ახალი ფსიქოლოგიური ტიპიც. ამიტომაც იყო, რომ მისი შემოქმედების დადებითი გმირი თანმეგზავრ ეპოქის ნამდვილ გმირს, მუშა რევოლუციონერს, ბოლშევიკს. რევოლუციური მოძრაობის გარიერაქენ პიატნიცკისადმი მიწერილ წერილში გორკიმ შემდეგნაირად განსაზღვრა ლიტერატურის დანიშნულება:

„როგორია საერთოდ ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანა? ადამიანის ფერებში, სიტყვებში, ბგერებში, ფორმებში ის, რაც არის ადამიანში საუკეთესო, ლამაზი, პატიოსანი, ძალთლშობილური. ასეა ბოძ? ეტიოდ, ჩემი ამოცანაა გავფლეთო ადამიანს თავის თავი სიამაყის გრძნობა, ვუთხრა მას, რომ იგია ცხოვრებაში ყველაზე კარგი, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ძვირფასი. წმიდათა-წმიდა და მის გარდა არაფერი არ არის ყურადღების ღირსი...

გორკიმ ღირსეულად შეასრულა ეს კოლოსალური ამოცანა. მან თავის შემოქმედებაში ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ჩაუყარა მტკიცე საფუძველი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას და სწორედ აქედანვე იწყება ამ ახალი ლიტერატურის დადებითი გმირის განვითარების ეტაპებიც. პირველ ცდად ასეთი გმირის სახის შექმნისა ზოგი მიიჩნევს პარიზის კომუნის პოეზიის ლირიკული გმირს, ახალგაზრდა გორკის რომანტიკული პოეზიის გმირსაც, ქართველ ლიტერატურაში — ლირიკულ გმირს ირიდოინ ედალშვილის პოეზიისა, მაგრამ არსებობად სოციალისტური რეალიზმისა დადებითი გმირის განვითარების პირველი ეტაპი ორგანულად უკავშირდება გორკის პროზაულ ფა დრამატურგიულ შემოქმედებას. სწორედ ამ გასცდა იგი თავის ჩანასახოვან მდგომარეობას და მხატვრულ ხორცშესხმასა და სრულყოფილად გამოკვეთას ეღირსა.

ნილმი უკვე ვხედავთ ახალი ტიპის მებრძოლ ადამიანს, თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ მოწამეთა მისი აქტიური მოქმედებისა და გმირის ხასიათი ისევ მხოლოდ ბუნებრივად ... ჩანურ ოჯახთან კონფლიქტში. „მტრებში" ბრძოლის საზღვრები უფრო ფართოა და პიესის გმირად უკვე გვეგულისხმა მუშათა მასა, დაბოლოს, პირველი კლასიკური მხატვრული სახე სოციალისტური ლიტერატურის დადებითი გმირისა გორკიმ მოგვცა რომანში „დედა". ასევე ვლასოვი მუშა-რევოლუციონერის სულიერი სილამაზისა და ძლიერების განმასახიერებელი გმირია.

ოქტომბრის რევოლუციამდელი პერიოდის ქართულ ლიტერატურაში თანამედროვე დადებითი გმირის პრობლემა მთელი ხანდილერით გადაჭრა ლეო ქიაჩელმა, რომელმაც „ტარიელ გოლუაში" შექმნა დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ეჩვენებინა ქართველი გლეხების რევოლუციური შეგნების ზრდა.

თვალის ერთი გადაგლებით, ასეთი იყო ადრინდელი, რევოლუციამდელი ლიტერატურის განვითარების ეტაპები გმირის ინტერპრეტაციის ასპექტში. თუ წინასწარმეტყველებული სქემებით და თეორიებით არ დავიბრმავებთ თვალებს, ადვილად შეენიშნავთ, რომ მწერლობას არ გაწელებია ინტერესი თანამედროვეთა მხატვრული სახეებისადმი, ეპოქის დადებითი გმირებისადმი. მას ეს არც კრიტიკული რეალიზმის პერიოდში დამართნია. მიუხედავად იმისა, რომ სახელოვნებაში სწორედ კრიტიკული პათოსი ხაზგასმული. ხანგრძლივ მწერლობის სიახლეთა წარმოსახვენად, მისი ღირსებების გამოსაკვეთად წინარე კულტურის დამცირება, მისი გამრუდება და გაკაცხება ვერაფერი საკადრისი მეთოდი და საშუალებაა.

ა. გურეიჩის საპასუხოდ დაწერილ სტატიაში საბჭოთა ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი ლ. ტიმოფეევი საბრალოლანად აღნიშნავდა, რომ დადებითი გმირის პრობლემა „გასდევს ხელოვნების განვითარების ყოველ პერიოდს". მან გამონაკლისად მიიჩნია მხოლოდ თანამედროვე რეალიზიული ხელოვნება და ლიტერატურა, თითქოს მათთვის დამახასიათებელი სწორედ დადებითი გმირის იგნორირება იყოს. ეს უკანასკნელი აზრი დაწუსტებას მოითხოვს.

თქმა არ უნდა, პროგრესული კაცობრიობის თვალსაზრისით თანამედროვე რეალიზიულ ბურჟუაზიულ ლიტერატურას დადებითი გმირები არა ჰყავს, რადგან იგი ხატავს ისეთი ადამიანების სახეებს, რომლებიც უპირისპირდებიან საზოგადოებას, ცოცხლობენ მხოლოდ ვიწრო პირადული ინტერესებით, თავიანთი ეგოისტური ზრახვების ასრულებას მსხვერპლად სწირავენ ყველაფერ წმინდას და ჰუმანურს. მზად არიან მატერიალური სიკეთის მოსაპოვებლად უსაზღვნელები ბოროტმოქმედებანი ჩაიდინონ. თანამედროვე რეალიზიული ლიტერატურა, რომელიც ბურჟუაზიის სოციალურ დაკვეთას ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებს, ცდილობს ჩამოაცილოს ხალხის გულისყური სოციალური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის, კაცობრობის პროგრესისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლას. ამიტომაც არის, რომ მის დადებით გმირებად სულმდაბალი ეგოისტები, მძარცველები, ადისტები გვევლინებიან, მათ „ამერიკული სტილის“ ეროვნულ გმირებად, ზეკაცებად ხატავენ.

რეკიციული ლიტერატურა, თანამედროვე კაპიტალიზმის მტაცებლური ხასიათის გასამართლებლად ცდილობს მიბაძვისა და ალტაცების საგნად აქციოს იმ გმირების მოკმედება, ვინც ბნელი გზებით იხვევს სიმდიდრეს. ასეთი ტიპის გმირია, მაგალითად, რაფაელ ლორდი სამეელ ბერმანის პიესიდან „მეტეორი“. ეს ლიტერატურა ამართლებს ბურჟუაზიული სახელმწიფოების კოლონიალურ პოლიტიკას და იმ შენიღბულ ბრძოლას, რომელსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები სოციალიზმის გზაზე დამდგარ ქვეყნებში ეწევიან დამზმილი წყობილების აღსადგენად. იგი რომანტიული შარავანდედით მოსაავს გმირებს, რომლებიც ეროვნულ მოძრაობას ახშობენ ანდა ძირგამომთხრელ საქმიანობას მისდევენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ამ სახის ლიტერატურული ნაწარმოებების სამწუხარო ნიმუშია პ. ფრენკლის რომანი „სახელმწიფოებრივი საქმე“, სადაც დადებით გმირებად გამოყვანილი არიან უნგრეთში მყოფი ამერიკული მისიის დიპლომატები, რომლებიც ჯაშუშურ მუშაობას ეწევიან. მეორე ამერიკელი მწერალი დევიდ დოჯი რომანში „სინანულე სკაროდან“, დადებით გმირებად ხატავს ამერიკელ კორესპონდენტებს. რომლებიც ერთ-ერთი დემოკრატიული ქვეყანაში აკანესების მოწყობასა და არსებული წყობილების დამხობას მოახერხებენ.

ასე რომ, დადებითი გმირის სახის შექმნა არ არის სასხვათაშორისო საქმე არც თვით რეაქციული ლიტერატურისათვის. ყოველი ლიტერატურა უბრალოდ კი არ გამოხატავს გარკვეულ კლასობრივ ინტერესებს, არამედ მიზნად ისახავს ამით გაელენა მოახდინოს ადამიანებზე, ხოლო ამ საქმეში დადებითი გმირის როლი განსაკუთრებით აქტიურია და ქმედითი. მეტად საინტერესოა ის ფაქტი. რომ 60-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების „დიდმა პრესამ“ მთელი კამპანია წამოიწყო „დადებითი გმირის“ პრობლემის წამოსაწევად და გადასაწყვეტად ამერიკულ ლიტერატურაში. დადებით გმირად სახავდნენ ამერიკელი ბიზნესმენის, საქმოსანის ტიპს. ბურჟუაზიული იდეოლოგია როდი იწუხებს თავს ადამიანის ზნეობრივი პრინციპების შენარჩუნებისათვის ბრძოლით, პირიქით, იგი ხოტბას ახსამს და ხამაგალითად მიიჩნევს ისეთ ტიპებს, რომელნიც თავისუფალი არიან ყოველგვარი საზოგადოებრივი თუ მორალური ვალდებულებისაგან და ბიზნესის კეთებას მიიჩნევენ ცხოვრების მიზნად.

ლიტერატურის კლასობრივი არსის გათვალისწინება ნათელს ხდის რეაქციის სამსახურში მყოფი ლიტერატურის არანაკლებ მოსდომებას, შეეშინა, თავისი კლასობრივი პოზიციების შესაფერი დადებითი სახეები, რომლებიც რეაქციული ძალების იდეოლოგიურ დაკვეთას ემსახურებიან და მხატვრული აზრის დამპყრობლობის ძალით ცდილობენ გაამართლონ სოციალური თუ პოლიტიკური ძალმომრეობა, წაეკეზონ ადამიანებში ბნელი ინსტინქტები. ამრიგად, არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს ბურჟუაზიული ლიტერატურა თავისი კლასობრივი პოზიციებიდან არ ქმნიდეს დადებით სახეებს ან კიდევ გულგრილი იყოს ამ საკმისადმი. ასე რომ, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ: დადებითი გმირის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადია საერთოდ ლიტერატურისათვის.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ მთელი სერიოზულობით ისმის საკითხი, თუ რას ეწოდება მწერლობაში თანამედროვე მხატვრული სახეები და როგორ უნდა განისაზღვროს დადებითი გმირი. ყველაზე უფრო გავრცელებული განსაზღვრაი გმირის დადებითობა უკავშირდება მის აქტიურ პოზიციას ეპოქის პროგრესული ტენდენციის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ასეთმა განსაზღვრებამ საერთო აღიარება მპოვა და ვინც კი ამ საკითხს შეხებია, სხვადასხვა გარიანტით იმეორებდა მას. ამ განსაზღვრას არ შეიძლება ზოგადად არ დავეთანხმოთ, რადგან ის ადამიანები, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს საზოგადოების განვითარებას და პროგრესისათვის დაუცხრომლად იბრძვიან, ძლიერი ხასიათის დადებითი გმირების პროტოტიპებს წარმოადგენენ. მხატვრულად განზოგადებული მათი სახეები მიბაძვის საგნად ხდებიან და ხალხთა მასების გმირობის სილამაზის მაგალითზე ზრდიან. დადებითი გმირის ეს განსაზღვრა მოიცავს მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანსა და მონუმენტურ მხატვრულ სახეებს, რომელთაგან ჩვენ ზოგი გაკვრით მოვიხსენიეთ ისტორიიდან მომხილევაში. საბჭოთა ლიტერატურის ყველაზე მეტად პოპულარული გმირები, მაგალითად კორჩაგინი, ლევინსონი, დავიდოვი, ხაზარიძე, რომლებიც რევოლუციის ეპოქის მებრძოლ გმირებს, ანდა სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ ორგანიზატორებს განასახიერებენ, ან სამშვილო ომის წლების ლიტერატურის გმირები ვორობაევი, მერეხიევი, ახალგაზრდა გვარდიელები, ბათუ ქარდუა ცხადყოფენ დადებითი გმირის ასეთი განსაზღვრის სისწორეს.

მაგრამ, ამასთან ერთად, დადებითი გმირის ასეთი განსაზღვრა აშკარად არაა ამომწურავი, მას გავრცობა და დაზუსტება სჭირდება. იმ საყოველთაო, აღიარებული ტრადიციული დაყო-

ფის შემთხვევაში, რომლის დროსაც ჩვენ გმირებს ძირითადად ერთმანეთისაგან ვანსხვავებთ ან ოროგრაც დადებითებს, ან როგორც უარყოფითებს, შემოხსენებული განსაზღვრა დადებითი გმირის ცნებისა აშკარად ვიწროა და ვერ მოიცავს ლიტერატურის მიერ შექმნილი დადებითი სახეების მდიდარსა და მრავალფეროვან გალერეას.

თუ დადებითად მხოლოდ იმ გმირებს ჩავთვლით, რომლებიც ეპოქის წამყვან ტენდენციებს გამოხატავენ და პროგრესისათვის აქტიური მებრძოლები არიან, მაშინ მთელი რიგი ლიტერატურული გმირები, რომლებიც აშკარად არ არიან უარყოფითები, ჯერ დადებითის კატეგორიაში მოხვდებიან. ასე, მაგალითად, რუსი ქალის მომხიბვლელი სახე ტატიანა ლარინა. ანდა ტურგენევისა და ნეკრასოვის ლეგენდა სახეები, ლევ ტოლსტოის ბევრი გმირი. ქართული კლასიკური ლიტერატურის ისეთი სახეები, როგორიცაა ვაჟვაჟაძის ოთარაანთ ქვრივი და გიორგი ამაღაძი განსაზღვრით არ ჩაითვლებიან დადებით გმირებად, რადგან ძნელია მათი მიწნევა ეპოქის მოწინავე ტენდენციის განმასახიერებლად, მით უმეტეს, შეუძლებელია მათი დაკავშირება პროგრესისათვის აქტიურ ბრძოლასთან.

ასეთი განსაზღვრის შეზღუდულობას საბჭოთა ლიტერატურის გამოცდილებაც ადასტურებს. ლეგენსონის, კლიკოკოის, დავიდოვის, ბაზარაძის გვერდით საბჭოთა ლიტერატურამ შექმნა მთელი რიგი მხატვრულად არანაკლებ ძლიერი სახეები, რომელთა მიკუთვნება დადებითი კატეგორიისადმი შედარებით რთული საქმეა. თუ შემოთ ჩამოთვლილი სახეებში ლიტერატურა ბატავდ რეკოლეციისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის არა უბრალო, რიგით მონაწილეებს, არამედ მის აქტიურ შემოქმედებს, რომლებიც მზად არიან უყოყმანოდ შესწიროონ თავი სახალხო საქმეს, იმავე ლიტერატურამ შექმნა იმ ადამიანთა მხატვრული სახეებიც, რომელთათვისაც ახალი ცხოვრების მიღება დაკავშირებული იყო უდიდეს შინაგან განცდებთან, ზოგჯერ კი შეგნებისა და ფსიქიკის საფუძვლიან ცვლასთან. აქ შეიძლება გავიხსენოთ ა. ტოლსტოის ტრილოგიის „ტანჯვის გზაზე" შესანიშნავი გმირები. ან კიდევ, ვლეზობის სოციალისტურ გზაზე გადასული ლიტერატურაში ვეფხტენა არა მარტო დავიდოვისა და ბაზარაძის, კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის ამ აქტიურ და გამოცდილ მებრძოლთა ცხოვრების მაგალითზე, ამავე რიგულ პროცესს სხვა კუთხიდან ვვიჩვენებენ კონდრატ მაიდანიკოვი და ასლან მარგველაძე, პაკოოსანი შმრიმელი ვლეზეზი, რომელნიც ძნელად ეღიეკინან კერძო საკუთრებას, მიუხედავად იმისა, რომ მაიდანიკოვსა და მარგველაძეს სრულიად განსხვავებული როლი ენიშნებათ კოლექტივიზაციის საქმეში, ვიდრე დავიდოვსა და ბაზარაძეს, ეშვი არ არის, ისინიც სოციალისტური სოფლის დადებითი ადამიანების მხატვრული ტიპები არიან.

ამგვარად, კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურა ითვლის ისეთ გმირებს, რომლებიც განასახიერებენ ხალხისათვის დამახასიათებელ საუკეთესო თვისებებს, როგორიცაა პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, უნარი ფაქიზი და წმინდა სიყვარულისა და სხვა, რომელთა ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული საერთოდ ხალხის ბედთან, მაგრამ დადებითი გმირის დაკავშირება მხოლოდ პროგრესული ტენდენციისათვის ბრძოლასთან მათ განზე რიყავს, რომდისაც დადებითი გმირის სახეზე იწყებენ საუბარი, მათ ზნირად ივიწყებენ.

ეს უფრო ხელოვნის საკმარისად შესაბრწინეი იყო და ზოგი კრიტიკოსი ამის თავიდან აცილებას დადებითი გმირების რამდენიმე კატეგორიად დაყოფის გზით ცდილობდა. დადებითი გმირის ცნების ხელოვნური დიფერენცირების ცდები უუქი და უსარგებლო გამოდგა. მართლაც, სრულიად ზედმეტია ლიტერატურული გმირების საყოველთაოდ აღიარებული ტრადიციული დაყოფის (დადებითებად და უარყოფითებად) გართულება. იგი აშკარად თუ შენიღბულად, ნებით თუ უნებლიედ მომარულია ლიტერატურული გმირების „მაღალ" და „დაბალ" რანგებად დაყოფისაკენ, რისი ცდენიც იყო და რაც შეუოვანებელია მხატვრულ შემოქმედებასთან. ამასთანავე, ეს ადრინდელი დისუსიებნი, რომლებიც 50-იან წლებამდე გაგრძელდა, მოწმობდა იმას, რომ ხაზი იყო დადებითი გმირის ცნების უფრო ფართო და ტევადი განსაზღვრების მოძებნა. რა თქმა უნდა, ეს ძალზე ძნელი საქმეა. რადგან არ შეიძლება არსებობდეს ერთი ხაზობი, რა გინდ მოქნილი არ იყოს იგი, რომელიც ერთნაირი სიზუსტით გამოდგება ისეთი რთული და უსაზღვრად მრავალფეროვანი, ამასთანავე ღრმად ინდივიდუალური მოვლენისათვის, როგორიცაა ადამიანის სულიერი სამყარო ან დადებითი გმირის სახით მისი მხატვრული გამოხატვები. მაგრამ ის, რომ ლიტერატურული მოვლენები ძნელად ექვემდებარებიან ზუსტ ფორმულირებებს, სრულებითაც არ ნიშნავს ხელის აღება მათ ძიებაზე.

ჩემი დაკვირვებითა და ღრმა რწმენით დადებით გმირის ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ პროგრესული ლიტერატურის ის მხატვრული სახეები, რომლებიც წარმოადგენენ ტიპიურ, განზოგადებულ განსახიერებას როგორც ეპოქის მოწინავე ტენდენციების, ასევე ხალხის საუკეთესო თვისებების, ჩვეულებისა და ზასიათის მატარებელი ადამიანებისა.

ასეთი ფართო განსაზღვრაც კი არ გამოდგება იმ კრიტიკოსის ხელში, ვინც მას პროგრესულს სარეცელად აქცევს ლიტერატურული გმირის

დადებითობის გასარკვევად. ყოველი თავისთავად მარიგებული და სწორი ლიტერატურული დებულება, რომელიც კრიტიკოსის ხელში ბაკადარ ფოგმად იქცევა და არა ამოსავალ საფუძვლად დაკვირვებული, ღრმა მხატვრული ანალიზისათვის, ადვილი შესაძლებელია იქცეს მცდარი დასკვნების წარმომშობ პირობად. რადგანაც კრიტიკოსი თავის მოვალეობად საფუძვლიან მხატვრულ ანალიზს კი არ მიიჩნევს, არამედ ცდილობს დადებითი გმირის მზა იარლიყი მიაკერის ლიტერატურულ სახეს, მაშინ ხშირად გმირი არ თავსდება არც დადებითობა და არც უარყოფითის სკემაში და ირჩება რაღაც „შუალედური" მდგომარეობაში. მხატვრული ანალიზი, სახის განხილვა მის განვითარებაში ყოველთვის იძლევა მისი დადებითობის თუ უარყოფითობის გარკვევის საშუალებას.

ხაბეოთა ლიტერატურაში არის ისეთი სახეები, რომელთა დადებითობის და უარყოფითობის გარკვევა კიდევ უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენს და მათი განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებაც კი ვერ გადაგვაწყვეტინებს უეჭველობას საკითხს. ასეთია ტრაგიკული გმირი, რომლის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს გიორგი მელეხოვი შოლოხოვის „წყნარი დონიდან". მელეხოვის რთული ბუნება და საშინლად აწეწილი ცხოვრება. ხავსე საბედისწერო შეცდომებით, ართულებდა მისი დადებითობის და უარყოფითობის საკითხის გადაწყვეტას. ზოგი კრიტიკოსი ქმაყოფილდებოდა იმ ბუმბერაზის აღიარებით, რომ იგი ძნელად ეკუთვნოდა ლიტერატურულ სკემებს. ჩვენთვის საინტერესო საკითხს ისინი მხოლოდ სვამდნენ, მაგრამ გადაჭრით პასუხზე თავს იკავებდნენ.

თუ ვიმსჯელებთ გმირის ბიოგრაფიის მიხედვით, ვგიხსენებთ მხოლოდ შიშველ ფაქტებს, თუ როგორ იბრძოდა იგი ახალი ცხოვრების წინააღმდეგ, რა პოზიცია ეკავა მას რევოლუციური მასის ბრძოლაზე კონტრრევოლუციასთან, თუ გავიფიქრებინებთ მისი დაგნრეული ცხოვრების ბოლოს, თითქოს სრული საფუძველი გვეკნება ამისა, რომ მელეხოვი უარყოფით გმირად ვცნოთ. სწორედ ასე იქცევდა შოლოხოვის შემოქმედების მკვლევართა დიდი ნაწილი. მაგრამ წმერალს გმირის ბიოგრაფია სპრიდეთ მისი შინაგანი სამყაროს გასახსნელად, მას გმირის ცხა თუ ის მოკმედდება იმდენად არ აინტერესებს, რამდენადაც მისი ახსნა იმავე გმირის ფსიქიკით. მისი ყურადღება მიმართულია იმ გარეშე და შინაგანი ძალებისაკენ, რომლებიც უბიძგებენ გმირს გარკვეული მოქმედებისაკენ.

მაგრამ ეს ტრადიციული „გაქცევა" ან რომანტიკული „გასეირნება" კი არ არის ბუნებაში, არამედ ეს არის ერთგვარი ლტოლვა კოსმიურ კავშირთა იდუმალების ახსნისაკენ, ეს არის „ამ სოფლად წილობის" გარკვევის ცდა, აწ ყარიბად თუ მგზავრად შთენილი გენიალური პოეტ-ადამიანის ნეტარი ლტოლვა იხეკ და ისეკ თვისტომის პოვნისაკენ, სამყაროს მთლიანობასთან ზიარებისაკენ, სხვა სფეროთა, სხვა მასშტაბთა სხვა სულიერი გალეტკეტების შემეცნებისკენ ლტოლვა: „გულისთქმა ჩემი შენს იქით ეძიებს სადგურს, ზენაპირ სამყოფს, რომ დაშთის აქ ამაოება". ბარათაშვილის ამ ლექსის ქვეცნობიერი განწყობილება ივივეი, რაც ბაირონის მანფრედის მიერ სულია სამკეთილოს მბრძანებელთა გამოსმობის ან იუნგფრაუს მწვერვალიდან ბუნების მოფლენათა ჯიგიდში ნილვა ჩვეულებრივ თვალთათვის მიუწვდომელისა; კიენეკ სიმბოლად უკავშირდება ლუციფერს, რათა მისთვის გასაგები გახდეს „კაცთა ცოდნის საზღვარი და ეამი სიბრძნისა", გოეთის ფაუსტის ტრაგიკული აპკტიკ მეფისტოფელთან ამავეს ითავლისწინებს...

ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკაში მკვეთრად იჩენს თავს „ცთომილი მგზავრის" სულიერ ღირებულებათა მოტივი. გოეთეს მგზავრი ბარათაშვილის „ყარიბის" და „მოუსაფრის", ან „ძე შეცთომილის" სულიერი თანამოძმეა. ორივე შემოკმედთან ლირიკული გმირი ნათესაური განწყობილებითაა აღბეჭდილი. გოეთესთან ეს არის სამშობლოს (არსებობის) ბედნიერებისა და „ფლობის სიხარულის" (Besitztums Freude) განცდა, რომელიც „ცოცხალი მგზავრის" სიყვარულმა მიანიკა, ხოლო ბარათაშვილთან იგივე განწყობილება თავს იჩენს „სამშვენი გზისა" თუ „მზეცრის პოვნის" აუცილებლობის განცდაში, რომელიც* მას ჯერაც გაუცნობიერებელმა იდუმალმა ხმამ შთაგონა და ვერ გარკვეული „მფარველმა ანგელოსმა" თუ „ეშმამა".

გოეთე:

„მე, ცთომილმა მგზავრმა პირველად შენგან ვიგრძენი ფლობის სიხარული და სამშობლოს (არსებობის) ბედნიერება, რამეთუ სადაც ჩვენ გვიყვარს, (ის) არის სამშობლო, სადაც ჩვენ ვტკბებით, (ის) არის ეზო-კარი" („სიმღერა კლდის კურთხევისა") ;ან და უმეტეს შემთხვევაში მომაჭეს გოეთეს ლირიკის საკუთარი აწკარდეული თარგმანი — დედნის აზრისა და განწყობილების ზუსტად გადმოცემის მიზნით, რასაც თან ახლავს ჩემი ღრმა რწმენაც, რომ გოეთე ისეკ და ისეკ (!) „ელის" იმ რანგის პოეტებს, როგორებიც, ვთქვათ, ბაფუზის პოეზიას, ფრანსუა ვიიონს ან ზუსხაუუნენის ესპანეთში მოღვაწე ებრაელ პოეტებს „გამოუჩნდათ"

ჩვენზი ვახუშტი კოტეტიშვილის, დათო წერეტელიანის თუ ჭემლი აჭიაშვილის სახით).

ბარათაშვილი:

„რა ვსცან პირველად წუთისოფელი,
მას აქეთ, ხმა რომ თან სდევს ყოველთა,
ჩემთა ზრახვათა და საწადელთ!
ეხლადვ თუ ხმაზრად მე იგი მარად
სულ ერთსა მიწერთნის გულისა ქირად;
ეძიე ყმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვო შენი საშენი
(„ხმა იდუმალი").

როგორც ბარათაშვილის, ისე ყრმა გოეთეს ფილოსოფიურ ლირიკას, მძლავრად გამსჭვალავს „გულმოკლულობისა" თუ „გულმჭკნარობის", მიუსაფრობის, უსამშობლობის, „ღლობის სიხარულის" უკონლობის, სიკვდილისა თუ იდუმალებათა წვდომისაკენ ნეტარი ლტოლვის მოტივები (ბარათაშვილი: „სული ობოლი", „ეპოვე ტაძარი", „აღმოხდა მნათი", „ჩემი ლოცვა" და სხვ. „ზაურშერი" გოეთე: „ღილის სიმღერა ლტოლვილისა", „სიმღერა კლდის კურთხევისა", „ზეეტლე კრონსხს...")

ბარათაშვილთან ან განწყობილებათა სათავეცა და „სევდიანი საზღვრიც" არის კოსმიური შეგრძნება სიცვარულისა, რომელიც „მნათობა" თუ „მცირე შუქის", „ხოცარი, ცხოველი მზის" სახედ ჩნდება მასთან, ხოლო გოეთესთან იგივე ფენომენი „ყველგან არსებულ ტრფობაში" ფორმრდება:

აღმოხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ
ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა
ღრუბელი,
დიდ სამქუხარო, საავდარო და მეც გლახ
გული,
მსწრაფლ განმითენა, შავ ბედისგან
დადამებულ!
ნუთუ აღმიხნდი ცხოვრებისა ჩემის
მნათობლად,
ნუთუ შენ ჰფინო შვების სხივი ჩემს გულსა
ქვაღად
კვლავ ყოფიტეხო გულის ჭირნი
მიყრეებულნი
და განმიახლო ნეტარების დღენი წარსულნი
(„აღმოხდა მნათი").

„ყველგან არსებული სიყვარულო შენ აღმაჩოებ მე!.. შენ ჩაგვიგზე ჩემს ნაადრევად ჭკნობად გულში სასიცოცხლო სიხარული და მხნეობა" (ლექსი „დიღლის სიმღერა ლტოლვილისა"). აქ თითქოს მეორდება ბარათაშვილის ყარიბის სულიერი განწყობილება, „ხოცარ შუქად" სულში „ჩაღვრილი" სატრფოს მისამართით ნათქვამი — „განანაცოე კვლავ ცა ჩემი ეხრეთ ხაზარი...."

შემდეგ ახალგაზრდა გოეთესთან მოღლილი „ცოთმილი მგზავრის" კიეშნიანი განწყობილება შეიგრძნობა — თვისტომთან თავშუხაფარის მძებნელისა, — რომელმაც ეს-ეს არის „ბუბალეთ მზარეთა გზები" დალახა და წამით ეიფორიაში ჩაყრდნეს:

„და შორეული, სევდიანი ჭკვენით (ქვეყნიდან) იხეიალებს ჩემი სული და შენ დადგერ-ფნობ" („სიმღერა კლდის კურთხევისა").

ბარათაშვილთან მნელიცვალი გზნება, ფიცის ბადალი აღმსარებლობა იგრძნობა ყარიბის ტონში, ოღონდ იმგვარი ფიცის, რომელის პოტენციური „ღირებულებანი" ე. წ. სატრფოს, თუ პოეტის მეორე, ობიექტივიზირებული „მე"-ს სულიერ რხევათა მიხვედრილობის წილ შეკმნილი თითქოს. ამიტომაც იძენს ეს ფიცი თუ ლტოლვა პოეტის სულიერი ცხოვრების წესის რანგს:

ეპუფუცავ ძლიერსა სხვისა შენსა, ჯოა
მნათო ჩემო!
ოდეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს
გარეშო,
მყის დამიდამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად
ყოველი დიდება.
(„აღმოხდა მნათი").

აშკარად სხვადასხვა განწყობილებაა! სულთა განსხვავებული ვიბრაცია.

ოღონდ საერთოა ის, რომ ორივე მწირს კოსმიურ ძალად აღიქვამს ე. წ. სიყვარული; გოეთეს ლტოლვილი სულის სადგურს ეძიებს მასში, ბარათაშვილის ყარიბი საამისოდაა შემართული, რომ ქვეყნიური არსებობის ყველა დიდებაზე თქვას უარი, რათა იმგვარად და ამის „ხარჯზე" შეინარჩუნოს თავისი ე. წ. „მნათის" „მცირე შუქი", მისი სულიერი არსებობის, მისი ისევ და ისევ სულიერი სიცოცხლის პირობა თუ „უმიზნო მიზანი".

ყრმა გოეთეს ამ კოსმიური განცდისთვის მრავალი ცნება მოეძოებინა; ერთგან მას „ყოველსმყურნავი მალმო" ჰქვია (ლექსი „არწივი და მტრედი"). ბარათაშვილთანაც მრავალად არის მისი გამოსახატავი ტერმინი თუ განწყობილება; ერთ-ერთია „ხოცარი შუქი", ან „მცირე შუქი", „ხაზარი ცის განათებად" აღმომხდარი..

3. ბუნების ფენომენი. „უმიზნო მიზნის" ცნებისათვის.

„თუ ბატონებო, გრ. ორბელიანმა დიდებული სურათები დაგვიხატა ბუნების, — წერს კ. ბაბაშიე, — თუ იგიც ადამიანის სახეს ანლევდა ბუნებას, მიინცდამაინც მის ფილოსოფიურ ბუნებას პანთეიზმამდე არ მიუღწევია, მას არ წარმოუდგენია, თუ ბუნებისაკენ, შესანლებელია, ჭკონდეს თავისი ბრი და გრძნობა, თავისებური სული. ბარათაშვილი კი სწორედ ამ ფილოსოფიის მოძღვრად ხდება; მან ბუნება გააცოცხლა, სული ჩაუდგა და ხორცით შემოსა და ამით კიდევ ერთი ნაბიჯი წარსდგა წინ. პოეზია იმ სიმაღლემდე აიყვანა, საცა არის მისი სამეფო, ესე იგი, „მოცლენაა ზორის საიდუმლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის“ შემგნებ-გამომსახველად გახადა, ქართული პოეზია ფილოსოფიას დაუკავშირა“ („ეტიუდები“, 1962 თ., გვ. 74).

შემგნები „მოვლენათა შორის საიდუმლო კავშირისა“-ო — სრულიად მარიგებულად აღნიშნავს კ. ბაბუშიე ნ. ბარათაშვილზე:

„მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსასკოთაც და უსულთ შორის, და უცნოველეს სხვათა ენათა არის მნიშვნელობა მათის საუბრის“.

ყრმა გოეთე, რომლის პოეზიაში კოსმიურ მთელიანობასთან თანაზიარებისა თუ პანთეიზმის პრობლემა, აგერ უკვე რა ხანია, გოეთელოგიად თავის მასშტაბურ „საკმედ“ იქცია თავისი განვითარების თითქმის ყოველ ეტაპზე — ლესინგიდან და ჰაინედან მოყოლებული დღემდე — ბარათაშვილის დარად მიიჩნევს ბუნების არსს გაუცნობიერებელსა და იდუმალს სფეროდ:

„წარწერას, რომელზეც მე დავაბიჯებ, ვერ წაიკითხავ! უგზოდ მავალნი (მოხეტიალენი) ხართ, თქვენ, ღრმად ჩაბარბული (ჩაკირული) სიტყვებოს!“ („მგზავრი“).

როცა ვამბობთ, გოეთე ბუნებას ღვთაებად მიიჩნევსო, იმას ვგულისხმობთ, რომ ბუნება „ერთიცაა“ და „მრავალიც“ (ყველა). და ერთის მრავალში გამოვლენა გოეთესეებური პანეიზმის სპინოზისტური არსიც (სპინოზა იტყვის: **hen kai pan** — ერთი და ყველა). თანაც ისე, რომ თითოეულ „გამოვლენას“ დამოუკიდებლობაც გააჩნია და იმ „ერთის“ თანაზიარების ნიშნთაც არის აღბეჭდილი. და სწორედ ეს „თანაზიარებისა“ თუ თვისტომობის გენი წარმართავს ყოველ ნაწილს „მთელისაკენ“, თავისი სანუკვარი წიაღისაკენ (ლენი — „განიმეფი“).

ჭაბუკი გოეთეს ფილოსოფიურ ლექსებში ბუნება, ანუ ღმერთი, თავისი პირდაპირი სახით კი არ გვეკლინება, არამედ უამრავი „ხატით“, „ნარეკლით“ იბრეწების პირს ადამიანისაკენ; იგი წარმოგვიდგება ბერძნული პანეიზმის ღვთაებათა სახით: მზე-აპოლონად (ლენი — „ნაზი ყმაწვილური სევდა“, „მგზავრის სიმღერა ჭარიშხალში“), ქალღმერთ მნემოზად („პრომეთეი“), „ოოკეანოსოყვარე მამად“ ან „მიჭურად“ („განიმეფი“), „მარად ალმაცენებად ბუნებად“ („მგზავრი“); ვეღის კლდად („სიმღერა კლდის კურთხევისა“), „მრავალიან სულად“ თუ ყოფიერებად ანდა სიცოცხლად („მეეტლე კრონსს“), „ყველგან არსებულ სიყვარულად“ („დღლის სიმღერა ლტოლვილისა“), „ყოველად უწმინდესად“ („ხელოვანის ღიღის სიმღერა“), დროდ, ბედისწერად, ადამიანად („პრომეთეი“).

მთავარი და წარმმართველი განწყობილება გოეთეს „ხხივოსანი სიკბაკის“ დროინდელი პოეზიისა მაინც ისაა, რომ აკ ყოველი ლექსიდან ლაღად ჩქეფს „ზინაგანი სითბოს“ დიდმოიმედე, შემმჭიდველი ლირიკული გმირის, ე. წ. „გენიუსის“ „სიცოცხლის გრძნობა“.

ამაკვეკენის მიმართ „დასტურ-თქმის“ ტენდენცია აჭარიშხლებულ გზნებად ეკვეთება „ხიბ-ყაროს დიად სულში დავანებულ ეროვნულ მსგლელობას“ მოვლენებისას, რომელთა არსში გარკვევისა და მასზე ზემოქმედების სურვილი „ცოთმილი ლტოლვილის“ „სულის მუდარად“ ხმაიფდება. (იხ. ლენი — „მეეტლე კრონსს“).

„ყველგან არსებულ სიყვარულს“ მოუცავს „ბამბადის“ ლირიკული გმირი, რომელიც კლდის მჭეფდარე, ბატარა წყარიდ ისწრაფვის ალერსიანი ოკეანისკენ თუ „მარადიული მამისკენ“ თავისი ნამმობებითური, რაგეთუ მარგოოდენ ნაყოფიერ, მძლე ოკეანეს ძალუძს დაიხსნას ისინნი ნაადრევი დაშრეტისაგან, უდაბნოს სიცხით გაბეზრებულნი, უნაყოფობის, (ბუნეგ დადგომის) შიშით აბორგებულნი. ლენსნი — „სიმღერა კლდის კურთხევისა“ ხავსიან კლდეს ივნით ამკობს ლირიკული გმირი, ემოდარება უჯიათ კლდეს მწეფ ეკმნეს ცთომილი მგზავრის სწრაფვას, „შუბლზე დაიწეროს მისი სახელი“, შეითვისოს ცთომილი მგზავრი, ყარიბი თუ უბარო ლტოლვილი:

„შუბლზე დაიწერე ჩემი სახელი... იყავ შენ, ჩემთვის წმინდა და იყავ მიჭურო“ („სიმღერა კლდის კურთხევისა“).

ბარათაშვილის პოეზიაშეგ მსგავსი განწყობილება შეიგრძნობა; ეს არის ყარიბის ლტოლვა „ფიქრნი“ შეუფერთოს სატრფოს „ციურ ბმას“ („აღმმხდა მნათ“), მზედ იქმნეს, ცის ცვარად გარდასახულ შეყვარებულს შეუერთოდეს, რათა მთელი სამყაროს „განმაცხოვლებლად“ იქცნეს („არ უკოფინო სატრფოო“); ეს არის მდინარედ მოაზრებული მიჭურის იდუმალი ტანჯვა ამაყი სატრფოსა თუ „მალლად მჩინარ“ ხის მიმართ („ჩინარი“) და, დასასრულ ამ განწყობილებით არის აღსავსე „შემოლამება მთაწმინდაზედ“:

მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჭური
ვარსკვლავნი მარტო მისა ამარას.
გინახავთ სული ჯერეთ უმანკო, მხურვალე
ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისო
გადახრით შეკმეხნილი!

„არ შეიძლება თქვას, რომ ბარათაშვილი პანთეისტი ყოფილიყოს ამ ცნების გრადიციული გაგებით. მაგრამ უცილობელია, რომ ის ბევრად ახლო იდგა პანთეიზმთან, ვიდრე მეკანისტური ბუნებისმეტყველების იდეოლოგიასთან. მხოლოდ პანთეისტურად განწყობილ ადამიანს შეეძლო გადმოეცა ეს შეყვარებული მტკვრის ოხვრა სევდიანად თავის მრხეველი ჩინარის ფეხთ ქვეშ („ჩინარი“). განა პანთეისტის თვალით არ არის დანახული ეს წმინდა ტაბლასავით გაშლილი ველი, საიდანაც ყვავილნი სამადლობელ გუნდრუკს უკრეფენ მთაწმინდის ლღვიებს, ეს საიდუმლოებით აღსავსე ნაპრალები, საიდანაც ღელეთა კენესა ისმის, ეს თითქოს ლოცვით მოკანცული, დისკო-გადახრილი მთვარე და მიჭურიანი მისი მადეკარი ვარსკვლავი“ („შემო-

ღამება მთაწმინდაზედ“), გაბა პანთეისტური რწმენიმით არ არის ნაკარნახევი პოეტის ეს სურვილი, რომ ის განთიადის მორბედ ვარსკვლავად, ან კიდევ უკეთესი, მზედ იქცეს, რათა მიხმა ცოცხა ნათელ ქცეული ხატრფო შეიწროს და მასთან ერთად შვება მოპოვნის მცენარეთა სამყაროს სოფლის დახასრულამდე („არ უკეთესნო, ხატრფოო“). თვით ნახსენებ და გადაკეთებულ თემას („ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“) ნიკოლოზ ბარათაშვილმა პანთეისტური განხრა მისცა: მან სიუკვარულის ეშმით დადნობაც და პირადი სიკვდილიც წარმოიდგინა, როგორც შეერთება ლურჯ ეთერსა“ (გ. ქიკოძე).

არა მარტო ბარათაშვილის პოეზიის დიახაც „არაერრადიციული“ პანთეიზმისათვის „თავგადმდებან“, არამედ ბარათაშვილისა და გოეთეს ლირიკის ხაერთო განწყობილების აღსანიშნავად, გ. ქიკოძის ამ ბრწყინვალე კომენტარის ჩვენი მხრით დაფხენთ:

...„ეს ყოველი ლეკსის ლირიკული გმირის სწრაფვაში შეიგრძნობა ეგლოპალური ეკსტაზი; ლტოლვიელია სურველია შეუერთდნენ გაუოფადს, მთლიანს, ბუნებას, ღვთიებასა თუ მიჯნურს; შეკმნან და ფაიმეიდრონ თავიანთი სამყარო ისე, როგორც ბუნებას აქვს საკუთარი არსებობა მისსავე თავში დაფუძნებული. „ტატრმერიელ“ თუ რომანტიკულ გმირთა სიმაგიერდე ეტანილ ტკივილსა და მტანჯველ თავდადებულებაში თუ უნაზეს, ფიფქად ფრენაში აშკარად შეიგრძნობა ნაყოფიერებისაკენ, დიახ, „ამ სოფლად ნელობისაკენ“ კიეშნაინი ლტოლვილის გამოფიქმელად მტკივნეული სწრაფვა, ტრაგიკული, უმადლესი რანგისა...

ჰე კი მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ „ტრადიციულად“ გაგებული პანთეიზმი არც ერთ შემოხვევაში არ უნდა ავგიროს შემოქმედის ხელით გაბნილნი, დიდი სულიერი ძაბვით დამუშტული, მატერიულ-სულიერი ერთიანობანი თუ სამყაროს მოხიზნის განწყობილებანი აღმეგზდელ (ხოლო თუ მანქდამანე „მიღებულ“ ტერმინოლ ვიტყვით — „ფენომენოლისტურ“) პათეიზმში, რომელსაც „გოეთესეებურ პანთეიზმადაც“ იხსენიებენ და რასაც არტურ შოპენჰაუერმა „თავაზიანი“, ხოლო ვ. ი. ლენინმა „მორცხვი ათეიზმი“ უწოდა. „საგანგებოდო“, იმიტომ ვწერ, რომ პანთეიზმის გაგებას, დიდ შემოქმედთან დაკავშირებით, ჩვენს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ოდითგანვე „დაებედა“ გაუგებრობა, რაც, რამდენადმე ჰქონე, სუსტად, მაგრამ გრძელდება დღესაც.

...ეკ ერთხელ უკვე ვახსენეთ ე. წ. „უმიზნო მიზნის“ ცნება, თელეოლოგიიდან პოეზიაში უნეგლილი შემოტანილი. აღვნიშნეთ ისიც, რომ მისი გაგაზრება, ალბათ, საკმარია ორი დიდი შემოქმედის პოეზიის დინამიკური გაგებისათვის.

„უმიზნო მიზნის“ ცნება ამაზეული კანტთან ფიგურირებს, როგორც მისი თელეოლოგიური მრწამსის ჭვაკუთხედი ხელოვნების ფილოსოფიის მიხედრთით. კანტმა თავის „მსჯელობა-ფუნქციის კრიტიკაში“, ხელოვნება ბუნების გვერდით დაიყენა იმ თვალსაზრისით, რომ ორივენი დიდი პრინციპით მოქმედებენ და მეტად ტავადნი არიან საინტერესო, რომ მიზანი ჰქონდეთ, ან მიზნიდან გამომდინარეობდნენ. გოეთე ამ ორი ფენომენის ვგვრძალი ავენებს კოსმიურ სიკეთერუნაგს. „მე დავუშაგებდი, კოსმიური ტრფობაც „უმიზნო მიზნის“ პრინციპს ეკვემდებარებაო“ — წერს გოეთე და დასძენს — „ეს ჯერ კიდევ სპინოზამ მასწავლაო“. მხედველობაში აქვს მისი ე. წ. „უანგარობის პრინციპი“, რომელმაც, ფაქტიურად, წარმართო კიდევაც გოეთეს ზნეობრივი და პოეტური სამყარო და რის შესახებაც თავის ბიოგრაფიულ თხზულებაში „პოეზია და ჭეშმარიტება“ დიდი მღელვარებით აღნიშნავს: „რაც მე განსაკუთრებით მიზიდავდა ამ ნაწარმოებისაკენ (იგულისხმება ბარუხ სპინოზას „ეთიკა“ — ლ. თ.) იყო უნაპირო უანგარობა, რომელიც მისი თითოეული წინადადებიდან გამოსჭვიოდა. ის საოცარმა გამონაკვეთმა — „ვისაც ღმერთი ჭეშმარიტად უყვარს, არ უნდა მოითხოვდეს, რომ ღმერთსაც უყვარდეს იგი“ — მთელი თავისი წანამძღვრებით, რომელზედაც თავადაც არის დაფუძნებული, დანამკვეთნი, რაც აქედან გამოდის — ალბათ მთელი ჩემი შთანაფიქრია; უანგარობა ყველფერში, სრულქმნილი უანგარობა სიყვარულსა და მეგობრობაში უმაღლეს ხატგრად მექცა. იგი გახდა ჩემი უდიდესი მოთხოვნილება, რომელის განხორციელებასაც დაუოკებლად ვეიწრაფოდი მოკმედებაში. და ეს „კადნერი“ ნათქვამი — „მე თუ მიყვარხარ, გაბა ეს შენ გეხებაო?“ — პირდაპირ გულიდან გადმომდგარა...“

ცელლერს სწერს გოეთე: „ეს არის უსაზღვრო დამსახურება ჩვენი მოხეცი კანტისა მთელი სამყაროს და, თავს უფლებას ვიცევ, ვიტყვი, ჩემს წინაშეც, რომ იგი თავისი „მსჯელობის უნარის კრიტიკაში“ ბუნებას და ხელოვნებას მძლედ აყენებს გვერდიგვერდ და ორივე მათგანს უფლებამოსილს ხდის, დიდი პრინციპების წილ უმიზნოდ იმოქმედონ. ბუნება და ხელოვნება, ძალზე დიდია საინტერესო, რომ მიზნებიდან გამომდინარეობდნენ, რადგან დამოკიდებულებაა ყოველივე და ურთიერთობანი ქმნიან თავად ცხოვრებას. ამგვარად დამარწმუნა მე ჯერ კიდევ სპინოზამ, ახსოვდეთ მიზეზების სიძულვილში“.

„ურთიერთობანია ყოველივე“-ი, რომ წერს, გოეთე იქვე დასძენს, რომ მხედველობაში აქვს მოვლენათა ან პიროვნებათა ფენომენისგან, ხასიათისგან წარმომდგარი ურთიერთობანი.

„დიახ, ჩემო მეგობარო, — წერს გოეთე ერთ-ერთ ბარათში, — ალბათ, წარმოადგენია, რანაირ წარუმატებლობას განვიცდიდი, თუ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვიწყალინებთ, საკუთარი მოდელი, ერთხელ უკვე განცდილითა და ნანახით შექმნილი, ახალ, გამოუცნობ, იდეამალ მოვლენას მოვაბეითო თავს. ყოველი მოვლენა და, მე ეიტუოდი, ყოველი ლაბადებული, ხაინტერესო პროოვნება იდეუმლებით ირის დახახლებული და გვმართებს, დიდი სიფრთხილით. რუდფუნებითა და სინაზით, დიახ, სიყვარულით მივდგეთ მას, თუ გვინდა მისი სულის მშვენიერი ნაპრალები შევიცნოთ; მერე? არ გინდა, ხაბიანი ტაქტი, სიფაქიზე და, რაც მთავარია, ნებისყოფა გაგაჩნდეს! არადა უამისოდ კოტრდები, დიახ, შენი სულიერი ცხოვრებით კოტრდები, ვინც არ უნდა იყო და რაც არ უნდა ძალგიიდეს".

პოეტი, რომელსაც ამგვარი სიფაქიზით ძალუძს გაგვიმხილოს ნებისმიერი არსის იდუმალი სფეროს გაცნობიერების სურვილი, უპირველეს ყოვლისა, იმ კოსმიური ძალის წინ ჩაწს ქედმოდრეკილი, რომელიც მასთან ფიგურირებს, როგორც „ყოველად უშინდესი", „გულთმავრცოხელი", —შთამაგონებელი", „ყოველგანარსი", „სულის სითმო", ხოლო ყველა ამ ცნებათა შესახამისი შინაარსი (განწყობილებითი!) გაიჩნია ბარათაშვილის ე. წ. „სულის წყდილს", რომელიც ლეკსში — „არ უკეთინო, სატროოო" გამოჩნდა.

ამ ლექსის განწყობილება სრულიად არორდინალური პოეტ-კაცის დამუხტული — ან, როგორც ბარათაშვილი იტყვის, „უკვდავთა", გრძნობაა.

იგი გამოუთქმელია.

სხვა ლექსში („ჩემი ლოცვა") ისევ გამოუთქმელობის, დუმილის კატეგორია ფიგურირებს: „და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთო შენდა სთქმელად, მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვადო", — ამბობს.

აქ („არ უკეთინო, სატროოო") — პოეტ-კაცის „სულის წყდილი" მზედ ქცევია იმისკენაა მიმართული, რომ „დილა უფრო აცნობვლოს", ვარსკვლავად ქცევა იმიტომ უნდა, რომ „განთიადის ბორბები იეოს", სატროფის ცვარად გარდასახვასაც იმად ენოკვის, რომ „სიცხით დამწკარი მდელო განაცოცხლოს" და ბოლოს, მასთან შეერთების მოწადინეც იმიტომაა, რომ სამყაროს „განმაცხოველებლად" იქმნენ.

ამ ანთეიტატურ ლექსში, (ასე უწოდა მას გ. ქიქოძემ) სრულიად, თავიდან ბოლომდე უანგარობის განწყობილება სუფევს და ამით იგი ენათესავება გოეთის პრომეთეს (ფრაგმენტი „პრომეთეს") სწრაფვას ქაცთა გაღვთიურებისაკენ. აქ ერთი განწყობილებაც საცნაურია: ბენერეა, რომლის მიმართ პრომეთეს „ღრმა ეროსი ამოძრავებს" (ბ. კორფი), იმიტომ ეხსებება ტიტანს „საკუთარ სულად", რომ იგი უთქმელად, კეთილშობილი პროოვნების გუმანითა თუ შეუკარებულის გულთამხილაობით ხვდება თავისი ტრაგიკული მიჯნური სწრაფვის არსს. ამიტომაც ეუბნება პრომეთეი ქალღმერთს:

„შენ ისა ხარ ჩემი სულისთვის, რაც ჩემი სულია თავისთვის"-ო.

(გავიხსენოთ ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა": „გულთამხილაო, ცხად არს ჩემგა გულისა სიღრმე: შენ ფუნიარეს ჩემსა ფუნი, რაც ვიზრახო მე!")

ხოლო ეს „სული", ბარათაშვილის გმირის მსგავსად, მარტოოდენ იმგვარ წყდილს იტანს და იფერების, რომელსაც ბუნებისა თუ მზის ფენომენთა დარად, „თავისთვის" გამიზნული არაფერი გაჩნია. იგი საკუთარი ბუნებითაა „თავისი თავის მიზეზ", საკუთრისავე არსებაში მოიცავს ამგალეზულ და, მაშასადამე, განწირული სულის „მშვენიერ ნაპრალებს".

ამ „სულის წყდილს" ბარათაშვილი აშკარად მიჭნავს ე. წ „სხვათაებრი სიყვარულისაგან".

ბარათაშვილის „სულის წყდილი" იმიტომ არის გოეთეს პრომეთეს „ღვთიური ცეცხლის" ბაგალი, რომ ერთიცა და მეორეც, მზისა თუ ღმერთის დარად, გამორჩეული თუ აღმაღებული სიკეთის, დიახ, არაორდინალიური მშვენიერებისათვის „ინოკვნენ", „იხარეკნ". მსგავსად ხელოვნების შედევრისა, რომელსაც გენიალური დიდოსტატი ქმნის ყოველგვარი ინსტანციისა და სანქციისაგან დამოუკიდებლად და ხშირად საკუთარ, ხელოვნებისეულ კანონებს უქვემდებარებს მას, ეს „სულის წყდილიც" ერთობ დიდ პრინციპებს და განწმიდილებებს მოიცავს საკუთარ არსშივე სიმისოდ, რომ რაიმე ეფიფიჩვეულებრივი მიზანი გაიჩნდეს. ამიტომ წერს ბარათაშვილი: „ნუთუ ამ სულის წყდილსაც მრეკა სიყვარულთ სხვათაებრ, მაშინ მზეც უსხივ-უეცცხლოდ შეიძლებს ნათვა ვარსკვლავებრ. მაშინ ვარდიცა განთიადს ვერდარა გარდაიშალოს და ცისა ცვარმან მდელო არღარა გაბაბინოს".

აქ იმ „გამანაყოფიერებელ" თუ შთამაგონებელ ძალაზეა მინიშნებული, რომელსაც გოეთე „ღვთაებრივს" უწოდებდა მზის ფენომენში და ამბობდა: „ერთნაირად მოწიწებით ვეთაყვანები ქრისტეს, როგორც მორალურ პრინციპს და მზეს, როგორც ნაყოფიერების უშრეტ წყაროსო". შემთხვევითი არ არის, რომ გოეთესთან მზის ეს მენი ღვთაების, მიჯნურისა თუ შთამაგონებლის სატად ფიგურირებს, ისევე როგორც ბარათაშვილთან „მნათი", „მზეებრ ცხოველნ" თუ „მცირე შეკი" მსგავს განზომილებებს იძენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან რობაქიძე

უდროოდ გარდაიცვალა ახალგაზრდა კრიტიკოსი ამირან რობაქიძე. ვაქვეყნებთ რეცენზიას, რომელიც ავტორმა გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მოიტანა რედაქციაში.

სულიერ მეტამორფოზათა სტიმულები

ლალი ბრეგვაძის მოთხრობების პირველი კრებული, „მერცხლები დაბრუნდნენ" („ მერანი", 1982), სულ სამი ნაწარმოებისაგან შედგება. ესენი: „მერცხლები დაბრუნდნენ", „კენტავრის უკანასკნელი ზაფხული" და „ვინ წაგიძღვება ილუმენამდე! " პირველი მოთხრობა, რომლის სახელწოდებაც მწერალმა წიგნის საერთო სათაურად გამოიყენა, მოცულობის მხრივ საგრძნობლად მცირეა დანარჩენ ორზე, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ავტორის შემოქმედებითი შესაძლებლობა მომეტებულად, უფრო მოზრდილ მხატვრულ ქმნილებებში გამოვლინდა.

დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ მწერალი თავის პროზაულ თხზულებებში ნაკლებად ზრუნავს სიუჟეტურ სილამაზეზე დამყარებული ეფექტის მოსაპოვებლად. იგი, ძირითადათ საკუთარი პერსონაჟების განცდებზე გვესაუბრება, — ცდილობს მათი სულის სიღრმეში ჩახედვას და იქიდან გარკვეული „რამის" აღმოჩენაც ძალუძს. მთავარი კი, რასაკვირველია, ისაა თუ როგორ ახერხებს პროზაიკოსი ამ „აღმოჩენილის" მკითხველამდე მიტანას.

პირველი მოთხრობა, „მერცხლები დაბრუნდნენ", როგორც უკვე ითქვა, მცირე ზომისაა. ამგვარი სახის ნაწარმოებისათვის კი, საზოგადოდ არის დამახასიათებელი „... ამა მხოლოდ მოქმედ გმირთა რაოდენობის სიმცირე, არამედ მათი წარმოსახვის სიფაქიზეთა ერთგვარი „გაუშლელობაც". ზოგიერ[illegible] ...ინი და ამა ყოველმხრივი გათვალისწინების ცდა" (გრ. კიკნაძე). მიუხედავად ამისა, ავტორი ხაკმაო დამაჯერებლობით გვიჩვენებს, ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირის, ბობა ქალის, კარბუს სულიერ და ზნეობრივ მეტამორფოზას, რომელიც თითქოს მკითხველის თვალწინ გამოიკვეთა.

მოთხრობიდან ირკვევა, რომ ქალაქში „უფლის გასაკეთებლად" გამოსული, მაგრამ ქმრისაგან მიტოვებული და დადარდიანებული კარბუ, ვეღარ უძლებს მის გარშემო მყოფი ახალგაზრდა გოგო-ბიჭების მიერ შექმნილი საზეიმო განწყობილების ცდუნებას და... ისიც მხიარულ ფერხულში ჩაებმება. ამის შემდეგ კარბუ ოტკიმსტყრად უყურებს ცხოვრებას, სჯერა რომ დაბრუნდება ქმარი, რომელსაც იანგარი ჰქვია და არც იმას ნაღვლობს, მისცემს თუ არა ვინმე ფულს. არსებითად ასეთია ამ ნაწარმოების სიუჟეტი, რომელსაც ისე მოხდენილად აქვს ხორცი შესხმული, რომ ნამდვილად არაა რაიმეს დამატების ან შელამაზების საჭიროება. მწერალმა კარგად იცის სად დასვას წერტილი, მან ხომ უკვე გვითხრა თავისი ძირითადი სათქმელი, რომელიც შეიძლება ასე გამოვხატოთ: ზოგჯერ რა ცოტა რამ სჭირდება ადამიანს, რათა იგი სულიერად და ზნეობრივად გარდაიქმნას.

წიგნში დაბეჭდილი შემდეგი მოთხრობა, „კენტავრის უკანასკნელი ზაფხული", ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ამ ნაწარმოებში, ავტორს გადმოცემული აქვს სიყმაწვილის ასაკს მიახლოებული ბიჭის განცდები, რომლებსაც, ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი, „ტკბილი ტკივილების" წარმომშენი გრძნობა დაუფლებია. ჯემალს (ასე ჰქვია ბიჭს) უყვარს ახალგაზრდა ქალი, მაგრა, რომელიც მის ოჯახში ჩამოდის ხოლმე დასასვენებლად. იგი ვერ მალავს თავის დამოკიდებულებას მაგურასადმი, რის გამოც, ოჯახის წევრებისაგან, უწყინარი იუმორის ობიექტად არის ქცეული. ასე, მაგალითად: „— ჯემალ, — ჰკითხა ერთხელ დედამ, — შემწვარი კარტოფილი უფრო გიყვართ თუ მაგურა?". მწერალი შემდეგნაირად ხსნის ბიჭის ფიქრებსა და განწყობილებას: „დედა მართალს ამბობდა, მაგრამ ბიჭს კარტოფილზე მეტად მაგურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარდა, უფრო მეტად ეი თავისი ძალები, არა, ძალები კი არ უყვარდა, უბრალოდ ვერ წარმოიდგინა, რაგორ შეიძლებოდა ყოფილიყო მის გარეშე". მოთხრობიდან ცალკერძებული ადგილი ამაზე მიგვითითებს, რომ ჭეშმარიტი ბავშვია და ამიტომ ყველა კარგად არც კი იცის, ვის თუ რის მიმართ უფრო ძლიერია მისი გრძნობიერი მიმართება. ლალი ბრეგაძეს სწორედ ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ინდივიდი ჰქონია მხატვრულ სახედ და იგი ერთგვარი დაკვირვების ობიექტად გამოიყენა. ალბათ, ამიტომაა, რომ მოთხრობაში ზზრინდა ანალიტიკური ხასიათის მსჯელობით არის გადმოცემული პერსონაჟის განცდები, მისი სულიერი მდგომარეობა. იმის გამო, რომ თავადი მოკმეული გმირის გაუცნობიერებელი ლტოლვებზე მსჯელობამ მკითხველსაფთან დამარწმუნებელი ხასე მიიღოს, ნაწარმოებში ეველი პირობა არის შექმნილი. მწერალი ცდილობს ისეთ სატუაციაში წარმოგვადგინოს თავისი პერსონაჟი, საიდანაც მთელი სიმძაფრით იქნება გამოცდილები მისი გრძნობიერი ბუნების მრავალი დფფარული ნიუანსი. აი, ნაწარმოებში ასახული ერთი მაგალითი: ჭეშმარიტ მოოულიდელად წაადგება თავზე მაგურას, რომელიც ქმართან იწვა. მწერალი ასე გადმოაკეცებს ამ შემთხვევით დაბნეულად და გაოგნებული ბიჭის მდგომარეობას: „მაგურა ახლა იყო საოკეკ, რომელშიც ბიჭმა დაინახა თავისი თავი და გაოცდა. რაკიმდაც მის სხეულს გადაეწეუებოდა მნიშვნელოვანი, ალბუ მნიშვნელოვანი რამ და ეს წუთიც გახანგრძალა წუთი იყო, რომელიც პოურიდელად ანჯრეულდა და ალეიანდა მას, რისი ახლი და შინაარსი ბიჭის მამაკაცური წარმოშობის წიალში იდო". აქ, კონკრეტული ვითარებით გამოწვეული, ისეთი რთული ფსიქიოლოგიური მოძიებანი ფეკნარეულია, რომელიც ადამიანის ქვეცნობიერ სამყაროში მიმდინარე პროცესებს ასახავს და ამიტომ ძნელია მისი გონებრივი სპეკტრით გაანალიზება. მით უმეტეს ძნელი უნდა ეოფილიყო ზემოთაღნერილი მოძეებს წარმოჩენა ამ მოთხრობის ავტორისათვის, რადგან ქალია იგი, — მისი პერსონაჟი კი უბრალოდ ბიჭი, მამაკაცი. ლ. ბრეგაძის სახასელოდ უნდა თქვას, რომ მას არ ეფალეტა ალეორა, რათა მოეხდინა, ამ შემთხვევაში, უტეკუარი მხატვრული სინამდვილის ფიქსაცია.

მოთხრობაში არის ადგილები, სადაც ოგრძნობა, რომ მწერალი მეტისმეტად „ეხმარება" თავის პერსონაჟს. იგი ჭეშმარიტ, გაუცდენში საკუთარი სულის სიღრმეებიდან იჭრება და ამიტომ, მოკმეული გმირი, რომელიც არსებითად ბავშვია, ზოგჯერ მიზეფფული ადამიანივით მსჯელობს, აზროვნებს. ეი ერთი მაგალითი, სადაც გადმოცემულია თუ რას განიცდის ჭეშმელი, როდესაც კატერზე მყოფ მაგურასა და მის ქმარს უცქერის: „რა ეხეპეზოდა აქ, რა უნდოდა ბეიწიერი ჭეკალისგან. მეთი შეხეპაკეპლებულები ურთიერთობა ალოთიაკენდა, ნურიოლნანი ადამიანური ეგოიზმი შეკეროდა თუ თავკერძობის ხეფანგ და ანალეკზრდა მამაკაცის დინჯ, მოწეკრნგენელ ცხოვრებაში და სწორედ ეს აკარვენებდა მოსენეფნას... მიხვდა, რომ ბეფნერთა გეეფნით აზრს კარგად ყოველგვარი მიზეზისა და მიზანის, ისე ეწინდეს, ურნარდეს. ეიტაკოლ ეს მოსში გამეეეკ საკუთარი უნიათოდა ეა, იქნეს, ისე ინატრო, ნეტავ გაკეკრე და ალეპანოდეს ვიხილო ნათელა". ჩემის აზრით, ძნელი წარმოსადგენია, ბიჭმა, რომელმაც კარგად არც კი იცის, ვინ თუ რა უფრო მეტად უყვარს: კარტოფელი, საკუთარი ძალები თუ მაგურა, — თავის თავში აღმოაჩინოს და გაიცნობიეროს ის განწყობილების ნიშნები, რომელზედაც მოთხრობიდან ცალკერძული ადგილი მეტყველებს. საზოგადოდ კი, უნდა თქვას, რომ ნაწარმოებში მაღალმხატვრულ დონეზეა გადმოცემული პერსონაჟის იდეამალი სურვილები, ფიქრები და გრძნობები. მწერალი ადგას მხატვრული ასახვის ინტერსუბიექტიურ გზაზ. იგი თითქოს შემოჭეკილი გმირის სულშია ჩასახეფნელი და ოკეიდან აწერილიგებს მისი რთული შინაგანი სამყაროს თავისებურებებს.

ნაწარმოებში მრავლადაა ისეთი ადგილი, რომელის მხატვრული აღწერა და მკითხველისათვის მიეწოდება შეუოლებელია მოზარდი ბიჭის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნის გარეშე. მწერალი ვვიჩვენებს, რომ ბავშვის სასიყვარულო ლტოლვა ქალისადმი არც ისე ზედაპირულია, ერთი შეხედვით, რომ შეიძლება კაცს მოეჩვენოს. სწორედ ამაზე მეტყველებს მოთხრობაში ასახული ის „საგმირო" მოკმედება, რომელსაც ბიჭი ვერ მოიყვანდა სისრულეში ქალისადმი თავდადებისა თუ თავმოწონებინის მოთხოვნილების გარეშე. რა მიიღო ჭეშმელმა იმ სიყოჩაღის ავფასუოებდ. როდესაც კატერიდან გადაეშვა ზღვის ტალღებში მისივე ეშმაკობით ჩაკარდნილი მანგურას ლამაზი ქუდის ნაპარზე გამოსახანად? საკუთარი, ბავშვური ზვაშიადის დაკმაყოფილება და მეტი არაფერი. მან ისიც კარ იცის, იგრძნო თუ არა ქალმა მისი საქციელის გამიზნულება. სხვათა შორის, არც მწერალს აინტერესებს ეს საკითხი და ალბათ, ამიტომაა, რომ მანგური, როგორც პერსონაჟი, ერთოლ „პასიურია.“ ბიჭი კი ისევ წარმოგვადგება თავისი დფფარული სურვილებით: „...ნუთუ აუცილებლად ლეკნეს უნდა თხზავდე, რომ ვინმეს ნამდვილად ისე შეუუვარდე, თავისი ნებით გაკოცოს", ფიქრობს იგი. ამავე დროს ნაგარსს: „ხვალამდე უფრო კარგად დამზეფეტუფილიყო ლედეი". ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ჭეშმელის არსებაში ჯერ კიდევ ერთად თვლეს ბავშვი და მამაკაცი. ნაწარმოებში ნაჩვენებია თუ რა ნელ-ნელა იზრდება ბიჭში მამაკაცური პოტენციალი, რომელსაც მწერალი „ეენტაკერის ბალადმიანების" პროცესს უწოდებს. ავტორმა შეძლო მკითხველისათვის ნარმოეხახა გარდატეხის ასაკში მყოფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი ბიჭის ბუნებრივი სახე, ბიჭისა, რომელიც მისთვის შეუმჩნეველად ემშვიდობება ბავშვობას და უკან ტოვებს ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელ აუცილებელ მონაკვეთს.

წიგნში დაბეჭდილი ბოლო მოთხრობა „ვინ წაგიძღვება იღუმნიამდე" მკვეთრად განსხვავდება წინა მოთხრობებისაგან, როგორც იდეურ-თემატიკური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. მწერალს, ეს ნაწარმოები სამ ნაწილად აქვს დაყოფილი და თითოეულ მათგანს თავისი სათაური გააჩნია. მისი ბოლო მონაკვეთი კი, რომელსაც „დროთა კავშირი" ეწოდება, ცალკე მოთხრობის, შთამეტდილების ტო

ჭოლას, როგორც პიროვნების მდგომარეობის გაცნობით იწყება. აი, როგორია იგი გარკვეული დროის შემდეგ: „არც ქკუასუსტი იყო და არც გლახაკი, არამგზავ თავის თავზე ხელმოშვებული და გასაცოდავებული, უპატრონო და უქმიგო... არავინ და არაფერი არ გააჩნდა, ყველაფერი დაეკარგა, რისი დაკარგვაც კი შეიძლებოდა, ასე განსაკეთ, საკუთარი სახელიც. კაცს სინამდვილეში ჭოლა ერქვა, მაგრამ ახლა მას გოგოს ეძახოდნენ. არც იცის, ვინ შეარქვა ეს მეტსახელი, ერთი კი უდავოა: ისე მოირგო და შეეჯიხა ყოველივეს, რაც ამ ერთ ჩვეულებრივ სიტყვაში იყო ნაგულისხმევი, რომ ალარც ახსენებდნენ, ოდესაც თავისი ნათლობის სახელი რომ ჰკონდა, ჭეშმარიტად ქრისტიანული, ლამაზი". როგორც ვხედავთ, მწერლის მიერ დახატული ჭოლას სულიერი რაობის გამომხატველი პორტრეტი მეტყველებს იმაზე, რომ ამბდარა მისი ავი წინათგრძნობა.

ცხოვრების უკონტროლო დინებაში მოქცეულ ეიღლაო ჭაბუკს დიმბაკი ისიც, რომ დაჰკარგა ერთადერთი ნუგეში — დედა. იგი მამინაცვალთან კინდელიქმს შეეწირა. მარტოდ დარჩენილი ჭოლა ალკოჰოლს მიეჯალა და გალოთდა. ახლა იგი დედაკაცების ერთ-ერთ ხიდმოსტენელს მაღაზიაში მუშაობს დამბარე მუშად, სადაც, როგორც მწერალი წერს, „შტატზედაც კი არ ჰყავდათ გაფორმებული, ასე, დღიურად გადმოუგდებდნენ ხოლმე რაღაცას". მოუხდავად ამისა, ჭოლა ალალია და კეთილი. მაგრამ ვის რაში სჭირდება მისი კეთილი გული, მით უმეტეს, მაშინ როდესაც ლოთობის გამო „ჩაჩაბული წინდას უგავს სიფათი". ჭოლას არსებაში ჩაბუდებული სიკეთის მოთხოვნილებაზ, ზშირად დინეიზოტური ხასიათით გამოვლინდება. ამგვარი სტიმულები კი მასში ალრეც იყო შესამჩნევი.

გოგო, როგორც მხატვრული სახე, ძალზედ ენთუსიაზმს თანამედროვე დასავლეთის რომანის ზოგიერთ პერსონაჟს, რომელი პერსონაჟიც დასავლეთგერმანელი კრიტიკოსის, კარლ მიგნერის აზრით, „.... არც გმირული პიროვნებაა და არც არამზადა, არამედ ის ჟრის ადამიანი არსარულფასოვანი, უიღბლო, ფიგურა დინეიზოტის მსგავსი".

ვინ შეიძლება დაუკავშირდეს ისეთ ადამიანს, როგორიც გოგოა? რასაკვირველია, რამდენადმე მაინც მისებური, მის ბედში მყოფი, და აი, მოთხრობაში ასეთიც გამოჩნდა. ეს ჟრის კირონი: „მათხოვრის კონკლაში გამოხვეული მჭერმეტყველი". კირონის, როგორც მწერალი წერს: „მსმენელი სჭირდებოდა ბეჩავს, ჰაერზე და წყალზე მეტად, ყველაფერზე მეტად. ისეთი მსმენელი, რომელიც კოჭკებში გამოხვეულს კაცად შეიაცხდა, ყურად იღებდა მის აზრს, თუნდაც მცირე ხნით ისევ აზიარებდა ადამიანურ სრულფასოვნებას". კირონი, ისევე როგორ ჭოლა, „ზანაკადელნი კაცია. აი, რას ეუბნება იგი მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟს: „... ხმა-თის შორის, რომ იცოდეთ, მე ერთ დროს ფოგოტზე ვუკრავდი და ოდნავი ჭკუა რომ მეზარა, ახლა ამრიალი პენსიე უნდა მეკეთოსო".

შეიძლება თუ არა, ისეთმა ბედმანდილობილმა ადამიანებმა, როგორიც გოგო და კირონია, შეძლონ საზოგადოებისათვის სასიკეთო ტკბილთის ზიდვა? არა! გვეუბნება მწერალი. მათ ეს ალარ ძალუძთ. ამაზე მეტყველებს, ნაწარმოების ერთ ადგილზე, გოგოს სიზმრისეული ხილვებიდან მომდინარე აზრიც, რომელიც გარკვეული კუთხით იძლევა პასუხს მოთხრობის სათაურში დასმულ კითხვაზე: „ვინ წაგიღებენ იღუმენამდე?".

ჭოლა და კირონი საკუთარი უიღბლობით დაჩაგრული და საზოგადოების უურადღებას მოკლებული ხალხია. ისინი კ. გამსახურდიას რომანის „დიონისის ღიმილის" ცნობილი პერსონაჟის, კონსტანტინე ხავარსამიძის სიტყვების პერიფრაზით რომ ვთქვათ, ჭუჭაზე დაგდებულ იმ გადალესილ ფუოლს ჰგვანან, მტვერს რომ შემოაცალი და ხელში ძვირფასი ლიღონი შეგრჩება. მწერალი გვფიქრობს ამ უიღბლო, მაგრამ სულიერად ჯანსაღი ადამიანების ბედზე. ამავე დროს კი გვამზადებს იმისათვის, რათა ფატუმის მომხუსხველ ძალას ხელიდან გამოსტაცოთ მათი ცხოვრების მოწესრიგების პერსპექტივა.

ნაწარმოებში, რომლის განხილვისას ძირითადად აზრობრივ მხარეზე გავამახვილე ყურადღება, გვხვდება ბუნდოვანი ადგილები, სადაც ჭირს მწერლის ჩანაფიქრის ამოცნობა. ეტყობა, რომ ამ შემთხვევაში მწერალი ნაკლებად თვალისწინებს მკითხველს. პროზას კი, ლირიკისაგან განსხვავებით, მეტი სიცხადე ესაჭიროება, რადგან, როგორც ჰ. ჰესე ამბობს: „ლირიკას კაცი თავისთვის წერს და არ ფიქრობს მკითხველზე. მაგრამ რომანისა და მოგვიანი რამის დაწერა შეუძლებელია, თუ დაიბლოკინი მაინც კარ წარმოიდგენე ის წრეები, რომელთაც ესაუბრები..." მიუხედავად ამისა, რომ ნაწარმოებში ზოგჯერ არ ჟრის გათვალისწინებული ხსენებული პრინციპი, იგი მაინც საინტერესოდ აკითხვა. საზოგადოდ კი, ლ. ბრეგვაძის პირველ წიგნში გამოქვეყნებულ მოთხრობებში იგრძნობა ინდივიდუალური ხელწერის მქონე ავტორი, რომლის მწერლური ბედვა ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნაზეა დაფუძნებული. აღნიშნული თვისება კი, შესაძლებლობას აძლევს მწერალს, რათა წარმოაჩინოს ცალკეულ პერსონაჟთა შინაგანი რაობა, მათი სულიერი მეტამორფოზთა სტიმულები. სწორედ ეს ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ მისი პირველი წიგნის უპირველეს ღირსებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისია ზვედი მწერლის ლარს იულენსტენის ახალი წიგნის სათაურს გაეცნოს მკითხველი, რომ მაშინვე აღმოჩნდეს მისი რთული ფიქრებ-მხატვრული სამყაროს ტყვეობაში. თავის დროზე მწერალმა განაცხადა, რომ წერს არა ცალკეულ ნაწარმოებებს, არამედ ქმნის მთელ შემოქმედიებს, სადაც მის მიერ შექმნილი წიგნები, მიუხედავად იმისა, რომ სახოლოო კამში ახანი ერთმანეთს ავსებენ, ძალზედ ურთიერთსაწინააღმდეგო, დიალექტიკურ კავშირში არიან.

მწერლის შეხედულება გარემომცველ სამყაროზე დამახასიათებელია თანამედროვე დასავლეთის შეგნებისათვის: ბურჟუაზიული საზოგადოების ღრმა კრიზისი და ინდივიდის დამონება მისთვის უცნო სოციალური ინამდვილის ობიექტური ფორმებით, ორ სოციალურ სისტემას შორის პრინციპიალური განსხვავების გაუთავალსწინებლობა — ყოველივე ეს გარკვეულ დაღს ასვამს ადამიანის მთელ არსებობას. გაუცხოება, მისი სამედიცინერო შედეგებით, პიროვნების ძველისძველ ოვისებადაა აღიარებული. ამიტომ ლ. იულენსტენის შემოქმედებაში დომინირებს სოციალური ძერებისადმი უნდობლობა და სტიიკური სკეპტიციზმი.

რაკი სოციალურ გარდაქმნათა შესაძლებლობანი ხაეკვნა, მწერლის ყურადღების საგანი ხდება ადამიანი, მისი სრულყოფის შესაძლებლობანი. ხილვადი, უსულგულო და უკუღმართი სამყარო — ეს ნიღაბია, რომელიც მალავს ადამიანის არსს, მის ცხოვრებას. იულენსტენისათვის ლიტერატურის დანიშნულება (და მისი უმნიშვნელი მოვალეობა) არა მარტო ილუსტრირებაა (ძალზედ წინააღმდეგობრივია და მრავალფეროვანი თითოეული ადამიანისათვის ბედით ბოძებული რეალობა), არამედ ვალიცაა აიძულოს ადამიანი ფიქრის, ინაზრეგნოს. მოაზროვნე ადამიანი კი თვით გააკეთებს სწორ ეთიკურ არჩევანს.

როგორც ჩანს, იულენსტენის, ისევე როგორც მთელი რიგი მწერლების შემოქმედებით ლაბორატორიაში, (მაგ. რ. მუზილთან) მიდის ოდიოვანვე ცნობილი ბრძოლა ფიზიოსოფოსსა და მხატვარს შორის.

ნაწარმოების სიმბოლური სახეა ბაბილონის გოდოლის ლეგენდა და მისი შედეგი: ღვთის სასჯელი. მთელი წიგნი ესაა უსაბელო სუბიექტის მსჯელობა ადამიანური ყოფის საფუძველთა საფუძველზე და უმნიშვნელო წვრილმანებზეც. სანდალან ეს მსჯელობანი გმირის ბუნემებზე დაკვირვებითა და პანორამატის ხტუმრთა ცხოვრების ეპიზოდებით იცვლება. პანორამაში მთავარი გმირი ვინმე ელიზაბეტის დაეინებით მოხდა, რათა, როგორც ელიზაბეტის ალნიშნავდა, „დიემარტინა კაკშირი საყოველთაოსთან“.

გარეგნული ურთიერთობებისა და პრაკტიკული მოკმედების სიმწირე აზრის სიუხვითა და მრავალფეროვნებით კომპენსირდება. პროპორციათა ახეთი ალრევა, რეფლექსთა მიპერტროფია უნებურად ბადებს ეკვს: ხომ არაა ეს რეალურ ცხოვრებასთან განხეთქილების სიმპტომი? იმ მდგომარეობის ფიქსაცია ხომ არაა, სადაც დაბეეწილი მეფიდაცეები იძულებით, შეგნებულად თუ შეუგნებლად ცდილობენ შეავსონ ადამიანური ურთიერთობანი?

მთავარი გმირი 47 წლისაა, ცხოვრობს, როგორც ზმირად იმეორებს, შეხანშნავად, უყოლფეი აკვს. როცა მხატვარი გახდა, სურვილი ჰქონდა ადამიანური არსებობა იმგვარად აეხსნა, რომ გარემომცველი ბოროტება ადვილად გადასაბანი და დახაძლეკი ყოფილიყო. მაგრამ მთავარი გმირი ყოველგვარი ილუზიების გარეშე აღიარებს, რომ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო. ერთადერთი, რასაც მიაღწია ეს „ხაზოგადოების აღიარება, მყარი მდგომარეობა და... ეპიგონები. „იგი მარტო, ერთადერთი რამ, რაც მას გზას უხსნის ან ხამყარიხაკენ, სადაც ნამდვილი ცხოვრება დუღს — ესაა მის მიერ აღწერილი ბუნების სურათები.

ახე წუდება ლარს იულენსტენის შემოქმედებაში სოციალურისა და ბუნებრივის ანტინომია: გმირი ვერ პოულობს თავის ადგილს ბურჟუაზიულ სამყაროში. იგი მუდამ განზე იდგა ცხოვრებისაგან, გაუსწორო სამყაროს, მაგრამ ბუმანური საზოგადოების დონემდეც ამაღლება არ უწერია — ძალზე მძიმეა გაუცხოების ბორკ

. გმირი არ მოკმედებს, იგი სტატიკურია არამარტო გარეგნულად, არამედ შინაგანადაც.

ამასთან, ესაა ბურჟუაზიული სამყაროს არაადამიანური არსის დაუღალავად მამხილებელი წერილის ნაწარმოები. ადამიანი გადარჩება — ანნიშნავს იულენსტენი, თუ ერთგული დარჩება იმ სუბსტანციური ღირებულებებისა, რომელიც ადამიანური ცივილიზაციის რთულ პროცესში გამოიკვეთა. უბრალოდ, თითოეული ვალდებულია შეიგნოს. აი, რაში მდგომარეობს წიგნის არსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
tbilisi-library.ge

კერლანის საოცარი კოლექცია მინეაპოლისში, მინესოტაზეას უნივერსიტეტთან არსებულ უოლტერის ბიბლიოთეკის შენობაშია გამოფენილი. აქ თავმოყრილია განსაკუთრებული ღირებულების მქონე ხანავშვო წიგნები, ხელნაწერები და ილუსტრაციები.

კოლექციის მთავარი დარბაზი მორენის მუქი ხით, მასიური მაგიდებითა და მოხერხებულად განლაგებული ნათურებით გაწყობილ შუახანაუოუნების უნივერსიტეტის ხმაკითხველო დარბაზს მოგვაგონებს. კედლებზე წიგნების რიგებია, დარბაზის ბოლოში კი გერბით შემკული ბუხარი. აქ, ვერ ვხედავთ ბავშვებს, მხოლოდ ასპირანტები და სწავლულები ფურცლავენ წიგნებს, აკეთებენ ამონაწერებს.

როგორც კოლექციის მცველი კარენ პოილი (იგი ამ თანამდებობაზეა 1967 წლიდან) აღნიშნავს, აქ ხალხი ხერიოზული ხაჭმოთაა დაკავებული. თუმცა ეს კოლექცია ბავშვებსა და მათ წიგნებს ეძღვნება, იგი უფროსებისათვისაა გაკეთებული, — მათთვის, ვინც თავად წერს ხანავშვო წიგნებს, ახსოვლის ან სწავლობს ხანავშვო ლიტერატურას.

თავდაპირველად ხანავშვო წიგნებში ტეტჩეი დომინორებდა, შემდეგ თანდათან გამოჩნდა ილუსტრაციები, რომლებმაც ბავშვებს დიდი სიხარული მოუტანეს. „თვლიან, რომ პირველი დაბსურათებული ხანავშვო წიგნი, — გვიამბობს კარენ პოილი, — გამოსცა ცნობილმა ჩეხმა პედაგოგმა იან ამოს კომენსკიმ 1658 წელს. წიგნს ლათინური სახელწოდება ჰქონდა „ორბის სენსუალიზმ პიკტუს". იგი შეიცავდა ილუსტრაციებსა და ტეტჩეტებს ლათინურ და ჩეხურ ენებზე.

ილუსტრაციული ხელოვნების ნამდვილი აღმავლობა შეინიშნება მეცხრამეტე საუკუნეში. ჯონ ტენიელის ილუსტრაციები ლუის კეროლის წიგნისთვის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში" ტეტჩეტისა და ილუსტრაციების ჰარმონიული შერწყმის მაგალითს წარმოადგენდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ძალზე პოპულარული გახდა სამი ინგლისელი ილუსტრატორი: უოლტერ კრეინი, კეიტ გრინეუეი და რანდოლფ კოლდეკოტი.

ახალ გამოცემებს უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი თანხით, პირდაპირ ტიპოგრაფიიდან ყიდულობენ გამოფენისთვის. ბევრი ექსპონატი მწერლებისა და მხატვრების მიერაა გამოგზავნილი. მაგ. დე პაოლომ მრავალი ნამუშევარი გამოუგზავნა ექსპოზიციის მესვეურთ, იმის და მიუხედავად, რომ თითო მისი სურათის ღირებულება ათას დოლარზე მეტია.

კერლანი კოლექციაში დამთვალიერებელი შეხვდება კოლდეკოტის ილუსტრაციებს, ორიგინალურ ნამუშევრებს დანიელ სტუდიიდან, გამოჩენილ მხატვარ-გრავიორის ფრიც აბრაჰამის ბეგის ტატამეებს. აქვე შეხვდებით ჯუდი ბლუმის, ბეეფილდ ლლორის, უოლტერ დე ლა მერის და ასობით სხვა ავტორის სრულ და ცალკეულ ხელნაწერებს. ძალზე საინტერესოა ასტრიდ ლინდგრენის წიგნის „რონია ყაჩაღის ქალიშვილის" ხელნაწერიც.

მაგრამ, კოლექციის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად თვლიან ცალკეული მხატვრების ნამუშევრების მდიდარი კრებული. მაგალითად, შვედი მხატვარ-ილუსტრატორის გუსტავ ტენგრენის (1896-1970) ნამუშევრების კრებული. იგი აშშ-ში ემიგრაციაში იმყოფებოდა, წლების მანძილზე დანიელის სტუდიებში მუშაობდა, მონაწილეობას იღებდა ალეთა კლასიკური მუტაციალიკაციური ფილმების შექმნაში, როგორიცაა „ფიფქია" და „უანტაზია". მას ეკუთვნის 50-ზე მეტი სამაგვო წიგნის ილუსტრაცია. გუსტავ ტენგრენის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ქვრივმა კერლანის კოლექციას გადასცა მისი ნამუშევრებით სავსე 62 დიდი უთუი.

ექსპონატებიდან შეგვიძლია გამოვყოთ უილიამ არმსტრონგის ათი ხელნაწერი, როჯერ ლიუუოუანების 8 ხელნაწერი და 80 ილუსტრაცია, ჯინ კრეიგპედ ჯორჯის 27 და მარგარტ პენრის 17 ხელნაწერი, ლოის ლენსკის 11 ხელნაწერი და 84 ხუთათი, ლეეფენტ ბერდას 78 და მორის სენდაკის 28 ილუსტრაცია და ხელნაწერი. გამოფენაზე ყველაზე კარგადაა წარმოდგენილი დე პაოლო, მან შუზეუმს უსახსოვრა 120 ილუსტრაცია და 39 ხელნაწერი.

●

ცნობილი ფინელი მწერლის ბენჯამ ალფორსის (დაბ. 1937 წელს) ნაწარმოებები შვედურ ენაზეა შექმნილი, რომანს „მოკმედენი პირნი" ხაუფუძვლად დაედო ბენჯამ ალფორსის თეატრში მუშაობის ოცწლიანი გამოცდილება. იგი ჰელსინკის შვედური თეატრის ხელმძღვანელი იყო, აქვე მოვგაწეოთდა როგორც დრამატურგი დ ა რეჟისორი.

„თეატრალური რომანი" — მწერალი ხალაურდანვე ცდილობს მიგვანიშნოს, რომ წიგნი კომპოზიციურად განსხვავებული ფანრისაა. ეს არ არის რომანი ტრადიციული გაგებით, მასში ვერ შეხვდებით მთავარ და მეორე ხარისხოვან გმირებს, რომანისათვის დამახასიათებელი ინტრიგის. წიგნი პატარ-პატარა ნოველებისაგან შედგება. მეოთხეელის წინაშეა სხვადასხვა ასაკის და ეროვნების გმირთა მთელი გალერეა.

ჩვენ თეატრის შინაგან სამყაროს ვხედავთ, მისი შემქმნელის თვალით, იმათი თვალით, ვისთვისაც ხასწაულის მოხდენა ყოველდღიურ, ყოფით ხაჭმიანობად ქცეულა. ამ სამყაროში ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველა, ხურო აქნება იგი თუ რეჟისორი, მეკრავი თუ დირეკტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, მსახიობი თუ მეგუფეტე. ამ შემოზღუდულ მაგრამ ცოცხალ სისტემაში ერთი მთავარის არყოფნა თუ უმოქმედობა მთელი მექანიზმის რღვევას გამოიწვევს, მისი ნორმალური მუშაობა კი თითოეული „მოქმედი პირის“ უმაღლესი მიზანია, მიზანი, რომელიც ყველა სხვა გრძნობას, — შეფრაცხოფას, დაღლილობას, მტრობას თუ მწუხარებას, — აღემატება.

●

ბარი სტეპანი „სახლი გორაზე“. 1937 წლის შემოდგომა, გერმანიაში ნაციზმი პარპაშებს, ესპანეთში სამოქალაქო ომი მიმდინარეობს, სხვა ქვეყნებშიც უალრესადაა გამწვავებული პოლიტიკური ბრძოლები, აქ კი, პარიზის მახლობლად, გორაკზე, პატარა სახლში თავშეყრილი ბერები საზოგადოება, ძირითადად წერილი ბურუაზის წარმომადგენლობა, ფუჭი საქმეებითა და ლაყბობებით ირთობს თავს. ამ სახლის ყველა ბინადარი თუ სტუმარი ლტოლვილია: ვინ საშობლოდან გამოკეცული, ვინ საკუთარ წარსულს გაურბის, ვინ უნიადაგო ილუზიებით იკვებება. ყველანი ერთად კი იმ დროის რეალური და მრისხანე ეკონომიკ სინამდვილეს გაურბიან.

მთავარი „ლტოლვილი“ მაინც დიახალსია, ცნობილი არქიტექტორის ქვრივი, ორმოცდაცხუთი წლის ფოზეფინა რივო. ამ გონიერ, განათლებულ ქალს პოლიტიკის გაგონებაც არ სურს მისი ოცნებაა შეინარჩუნოს ახალგაზრდა საუკარელი და ამ საყოველთაო შეშლილობისა და მკვლელობების ეპოქაში შექმნილი განსაკუთრებული გარემო — ცივილიზებული უმეცრესობის ხაზოგადოება.

პიესის უმთავრესი ღერძებია სცენური ხასიათების მრავალფეროვნება. მოქმედ პირთა ქცევას უამრავი გარემოება განაპირობებს და ეს გარემოებები, ინტიმური იქნება ის თუ ისტორიული, მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. ყოველგვარი შინაგანი ეფექტებისა და მეფლიდრამატული გართულებების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა ინტერესების, მოტივთა, გრძნობათა თუ ზრახვების რთული თამაშით იქმნება დრამის ზნეობრივ-ფსიქოლოგიური საფუძველი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-33, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პრიზის — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 4.02.87 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.04.87 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. საალრ.საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 339. უე 04401. ტირაჟი 65.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

62/76

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ